საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო

კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელო მასალები საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე

ცნობარი

თბილისი
1970

ᲗᲖ
ს 36

შემდგენლები: გ. კიპაროიძე
ს. პულუზაშვილი

რედაქტორი: პ. კიკნაძე

საჯარო ბიბლიოთეკის სიამაყედ და სახელად მიჩნევა არა ეძისა, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას, არამედ ის, თუ რამდენად ფართოდ ტრიალებს წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მიზიდული, რამდენად სწრაფად კმაყოფილდება წიგნის ყოველი მოთხოვნა, რამდენი წიგნი გაიცა შინ წასაკითხად, რამდენი ბავშვია მიზიდული, რომ იკითხონ და ისარგებლონ ბიბლიოთეკით...

ვ. ი. ლენინი თხუზულებანი
ტ. 19, გვ. 324—325

შემდგენლებისაგან

წინამდებარე ცნობარი წარმოადგენს 1961, 1962 და 1966 წლებში გამოცემული წიგნის — „სახელმძღვანელო მასალების კრებული საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე“ — გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემას. მასში აგრეთვე შეტანილია მეთოდური მასალების კრებულებში შესული და ცალკე გამოცემული ის დოკუმენტები, რომელთაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და რეკომენდებულია პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.

მითითებულ მასალებსა და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც შესულია წინამდებარე გამოცემაში, დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მათში ყურადღება გამახვილებულია საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ძირითად პრობლემებზე.

ცნობარში შეეიდა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საბიბლიოთეკო საქმის მიღწევებს ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის მანძილზე.

ცნობარში ცალკე თავად არის გამოყოფილი საქართველოს სსრ ქალაქად და სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების მიზნით ქ. ქუთაისსა და მახარაძის რაიონში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმების მასალები და ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებანი ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

მიღებული სკკპ XXII ყრილობის მიერ (ამონაბეჭდი)

მეორე ნაწილი

V. პარტიის ამოცანები იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში

საბჭოთა საზოგადოებამ დიდი წარმატებები მოიპოვა მასების სოციალისტურ აღზრდაში, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა ფორმირებაში. მაგრამ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგაც ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში რჩება კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების წინსვლას.

კომუნიზმის გაამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება. რაც უფრო მაღალია საზოგადოების წევრთა შეგნება, მით უფრო სრულად და ფართოდ ვითარდება მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, შრომის კომუნისტური ფორმების და ადამიანთა ახალი ურთიერთობის განვითარებაში და, მაშასადამე, მით უფრო სწრაფად და წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები.

პარტიას თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარ ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ბურუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული დაძლევა, პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის

შექმნა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას.

ახალი ადამიანის ფორმირება ხდება კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტური საწყისების განვითარების პროცესში, პარტიის, სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის ზეგავლენით, რომელშიც დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პრესას, რადიოს, კინოსა და ტელევიზიას. საზოგადოებრივი წყობილების კომუნისტური ფორმების შექმნის მსვლელობაში სულ უფრო ძლიერ და მტკიცედ დამკვიდრდება კომუნისტური იდეურობა ცხოვრებაში, შრომაში ადამიანთა ურთიერთობაში, გამომუშავდება იმის უნარი, რომ გონივრულად ვისარგებლოთ კომუნიზმის სიკეთით. საზოგადოების წევრთა ერთობლივი, გეგმაზომიერად ორგანიზებული შრომა, მათი ყოველდღიური მონაწილეობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის კომუნისტური ურთიერთობის განვითარება იწვევს ადამიანთა შეგნების გარდაქმნას კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობისა და ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლება ხელს უწყობს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შემდგომ იდეურ-პოლიტიკურ შეკავშირებას. მათს თანდათანობით გაერთიანებას კომუნისტური საზოგადოების მშრომელთა ერთიან კოლექტივად.

პარტია აყენებს შემდგომ ამოცანებს:

4. კულტურული მშენებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

კულტურული განვითარება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი იქნება. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია ყველა საჭირო იდეოლოგიური და კულტურული პირობის შექმნა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მოსახლეობის კულტურულ-ზრდაზე დიდად არის დამოკიდებუ-

ლი საწარმოო ძალების აღმავლობა, ტექნიკის პროგრესი და წარმოების ორგანიზაცია, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლება, თვითმმართველობის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება, ყოფაცხოვრების კომუნისტური გარდაქმნა.

კომუნიზმის კულტურა, რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. იგი განასახიერებს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ მრაავლფეროვნებასა და სიმდიდრეს, ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების, საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა.

ა) საზოგადოების კულტურული ცხოვრების ყოველმხრივი განვითარება.

კომუნიზმზე გადასვლის პირობებში შემოქმედებითი საქმიანობა კულტურის ყველა დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერი და ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ყველა წევრისათვის. საბჭოთა ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, კინემატოგრაფია, თეატრი, ტელევიზია, ხელოვნების ყველა სახე ახალ სიმაღლეებს მიაღწევს იდეური შინაარსისა და მხატვრული ოსტატობის განვითარებაში. ფართოდ გავრცელდება სახალხო თეატრები, მასობრივი თვითმოქმედება, ტექნიკური გამომგონებლობა და ხალხური შემოქმედების სხვა ფორმები. მასების მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობის აღმავლობა ხელს შეუწყობს ახალი ნიჭიერი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, მსახიობების დაწინაურებას. საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება ხდება მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე.

პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის, თვითეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრული გამოვლინებისათვის ყველა პირობის შესაქმნელად, ყველა მშრომელის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის. მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთამაგონებელი იქნება შრომისა, გაამშვენიერებს ყოფაცხოვრებას და გააკეთილშობილებს ადამიანს.

კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის უზრუნველყოფილი იქნება:

— წიგნის გამომცემლობის საქმისა და პრესის ყოველი ღონისძიებით განვითარება პოლიგრაფიული მრეწველობის და ქაღალდის წარმოების შესაბამის გაფართოებასთან ერთად;

— ბიბლიოთეკების, სალექციო და სამკითხველო დარბაზების, თეატრების, კულტურის სახლების, კლუბების, კინოთეატრების ქსელის გადიდება:

— ჩვენი ქვეყნის რადიოფიკაციის დამთავრება, სატელევიზიო ცენტრების მშენებლობა, რომლებიც მოიცავენ ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს;

— სახალხო უნივერსიტეტების, თეატრალური კოლექტივებისა და სხვა თვითმოქმედი კულტურული ორგანიზაციების ფართოდ განვითარება;

— შექმნა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამეცნიერო და ტექნიკური ლაბორატორიების, სამხატვრო სახელოსნოების და კინოსტუდიების ფართო ქსელისა, სადაც მუშაობა შეეძლება ყველას, ვისაც მისწრაფება და უნარი აქვს.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია თანაბრად განლაგდეს კულტურული დაწესებულებანი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა თანდათანობით ამაღლდეს სოფლის კულტურის დონე ქალაქის დონემდე, უზრუნველყოფილ იქნას კულტურული ცხოვრების სწრაფი განვითარება ახლად ათვისებულ რაიონებში.

ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების აღმზრდელობითი როლის ამაღლება.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდეული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური

სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, გაბედული ნოვატორობა ცხოვრების მხატვრულ ასახვაში შეხამებულია მსოფლიო კულტურის მთელი პროგრესული ტრადიციების გამოყენებასა და განვითარებასთან. მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოვლინებისათვის, შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებისათვის.

კომუნსტური პარტია ზრუნავს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში სწორი მიმართულებისათვის, მათი იდეური და მხატვრული დონისათვის, ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითს კავშირებს მათს მუშაობაში.

გ) საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის განვითარება. პარტიას საჭიროდ მიაჩნია გაფართოვდეს სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობა სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ურთიერთგაცვლის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ინტერესებისათვის.

განყოფილება I

პარტიული, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (1959—1970 წ.წ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 22 სექტემბრის დადგენილება

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". მასში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საბიბლიოთეკო საქმემ მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა ჩვენს ქვეყანაში. პარტიოდენ მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი ჩვენში რევოლუციამდელ დროსთან შედარებით გადიდდა 104-ჯერ და უფრო მეტად. ხოლო მათი წიგნობრივი ფონდი—69-ჯერ. განუხრელად იზრდება მკითხველთა რიცხვი. ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს. ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან წიგნის პროპაგანდის ხაზით. ხელს უწყობენ მუშების, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის საერთო საგანმანათლებლო, პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლებას, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

მაგრამ ბიბლიოთეკების მუშაობის შინაარსი და დონე ჯერ კიდევ მრავალმხრივ ვერ პასუხობს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანებს. მრავალი ბიბლიოთეკა მოწყვეტილია საწარმოო ცხოვრებას. ისინი ცუდად აკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს პოლიტიკურ, საწარმოო, მხატვრულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სეცნობარო ლიტერატურაზე. ბიბლიოთეკებში დიდი რაოდენობით დაგროვდა მოძველებული ლიერატურა, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი მეცნიერული და

პრაქტიკული ღირებულება. ამავე დროს მათ აკლიათ კარგი წიგნები ცოდნის მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა წარმოების მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ტექნოლოგია, ძლიერ მცირეა ლიტერატურა სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე, მოწინავე გამოცდილებაზე. აკლიათ პოპულარული წიგნები მასობრივ პროფესიულ მუშაკთა დასახმარებლად.

რიგ ბიბლიოთეკებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მასობრივი მუშაობა, ცუდათ არის გამოყენებული მკითხველისათვის წიგნის მიწოდების მრავალფეროვანი ფორმები, არ არის მოწესრიგებული ინფორმაცია ახლად შემოსულ ლიტერატურაზე. მეტად სუსტად არის დაყენებული ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდის საქმე მოსახლეობაში. განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის. ყველაფერ ამას იქამდე მივყევართ, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. იგი ვერ იღებს საჭირო დახმარებას წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ხაზით.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში. ლიტერატურის გამოცემული საძიებლები არც ისე იშვიათად მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ საჭიროებას. ისინი ვერ პასუხობენ ტექნიკური პროგრესის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის დანერგვის ამოცანებს, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლების საქმეს. ძალზე მცირე რაოდენობით იბეჭდება ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთათვის მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების კონკრეტულ საკითხებზე, თითქმის არ მოიპოვება სახელმძღვანელოები მასობრივი პროფესიების მუშაკთა დაასხმარებლად. ამავე დროს ხშირია შემთხვევები ერთსახოვანი ტიპის ბიბლიოგრაფიის გამოშვებისა ერთსა და იმავე საკითხებზე, რაც ქმნის არასაჭირო პარალელიზმს, ფანტავს ძალებს და სახელმწიფო სახსრებს.

მრავალი ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ზოგიერთ ბიბლიოთეკას არ გააჩნია საკუთარი შენობა და სამკითხველო დარბაზი. ისინი მოთავსებული არიან უვარგის შენობებსა და კერძო სახლებში. ბევრ ბიბ-

ლიოთეკას აკლია მაგიდები, სკამები, საკატალოგო ყუთები, სტელაჟები, მრავალი მსხვილი ბიბლიოთეკის მოწყობილობა მოძველებულია. მათში ძალზე ნელა ინერგება საბიბლიოთეკო მუშაობის პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. სათანადო ყურადღება არ ექცევა საბიბლიოთეკო შენობათა მშენებლობას კოლმეურნეობათა, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის სახსრების ხარჯზე.

ცუდად არის დაყენებული მუშაობა საბიბლიოთეკო კადრების შერჩევისა და აღზრდის ხაზით. სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა დაახლოებით 70 პროცენტს არა აქვს სპეციალური საბიბლიოთეკო განათლება. **არ არის ორგანიზებული საბიბლიოთეკო კადრების მომზადება სამეცნიერო ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებისა და სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის, ადგილი აქვს საბიბლიოთეკო მუშაკთა დიდ დენადობასა და ცვალებადობას.**

აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი ბიბლიოთეკების მუშაობაში მოწმობს იმას, რომ სსრკ კულტურის სამინისტრო, სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროები და განათლების სამინისტროები, პროფესიულ კავშირთა და საკავშირო ცენტრალური საბჭო, აგრეთვე მრავალი პარიტული, საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანო არა დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საბიბლიოთეკო საქმეს, არ უწევენ ბიბლიოთეკებს აუცილებელ დახმარებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, მკითხველებთან კავშირის გაძლიერებაზე, კადრების შერჩევასა და აღზრდაში. **საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხების გადაწყვეტის საქმეში ჯერ კიდევ სუსტადაა ჩაბმული საზოგადოებრიობა, ჯერ კიდევ დაბალია როლი საბიბლიოთეკო საბჭოების, რომლებიც ვერ ახდენენ არსებით გავლენას წიგნობრივი ფონდებით მშრომელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.**

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს, სსრკ კულტურის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროებს და განათლების სამინისტროებს; სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრკ უმაღლესი და საშუალო

სპეციალური განათლების სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, აგრეთვე ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, — აღკვეთონ აღნიშნული ნაკლოვანებანი ბიბლიოთეკების მუშაობაში და მიიღონ აუცილებელი ღონისძიებანი მათი მოქმედების ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის, თითოეულ საბჭოთა ადამიანში კომუნისტური თვისებების აღზრდის ხაზით წიგნის უფრო სრულად გამოყენებისათვის, მიაღწიონ ბიბლიოთეკების გადაქცევას პოლიტიკური, საერთო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და პროფესიული ცოდნის მასობრივი პროპაგანდის ნამდვილ ცენტრებად, პარტიულ ორგანიზაციათა დასაყრდენ პუნქტებად მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ბიბლიოთეკების მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა ახსნა განმარტება. პარტიისა და სახელმწიფოსათვის აქტიური დახმარების გაწევა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებულობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის აღზრდასა და ამაღლებაში. ბიბლიოთეკები უნდა დაეხმარონ მუშებს, კოლმეურნეებს და ინტელიგენციას თავისი ცოდნის სრულქმნასა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში, მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დაუფლებაში, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ახალგაზრდობის პოლიტექნიკური განათლებისა და მასში მაღალი მორალური თვისებების აღზრდის საქმეს, აუცილებელია უფრო ფართოდ გაშალონ წიგნის პროპაგანდა, უფრო სრულად გავხსნათ და უკეთ გამოვიყენოთ წიგნობრივი ფონდების სიმდიდრე, გავხადოთ იგი მისაწვდომი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი ყველა მოქალაქისა და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, გავუწიოთ მკითხველებს საქმიანი, კონკრეტული დახმარება წიგნის შერჩევასა და მასზე დამოუკიდებლად მუშაობაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, პროფესიულ კავშირთა საკავში-

რო ცენტრალურ საბჭოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაევალა განიხილონ და გადაწყვიტონ ბიბლიოთეკების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. უახლოეს 2-3 წელში გამონახონ შესაძლებლობანი ბიბლიოთეკებისათვის კეთილმოწყობილ შენობების გამოსაყოფად უზრუნველყონ ისინი საბიბლიოთეკო მოწყობილობით.

მოწონებულია ინიციატივა მოწინავე კოლმეურნეობებისა, რომელთაც ააგეს საკუთარი კარგათ მოწყობილი ბიბილოთეკები საკითხველო დარბაზებით. **რეკომენდაცია მიეცა კოლმეურნეობებს, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციას, — გაუწიონ დახმარება ბიბლიოთეკებს არა მარტო შენობების აგებაში, არამედ აგრეთვე წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტებაში, განსაკუთრებით სპეციალური ლიტერატურის, სასწავლო სახელმძღვანელოების, ცნობარებისა და პერიოდულ გამოცემათა შეძენაში მემინდვრეთა, მეცხოველეთა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა კატეგორიის მუშაკთა დასახმარებლად.**

აეკრძალა ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას ბიბლიოთეკების შენობებით სარგებლობა სხვა მიზნებისა და დანიშნულებისათვის და მათი გადატანა უფრო ცუდსა და უვარგის შენობებში.

განიხილონ საკითხი უვარგის შენობებში მოთავსებულ ბიბლიოთეკების უკეთ მოწყობილ შენობებში გადაადგილების შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა კანტორების შემჭიდროვების ხარჯზე.

ქალაქებისა და ცალკეულ საცხოვრებელ რაიონების დაგეგმისა და აშენების პროდუქტის შედგენისა და დამტკიცებისას, აგრეთვე მუშათა დასახლებებისა და სასოფლო-ადგილებში კულტურის სახლებისა და კლუბების აგების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მათში მასობრივი ბიბლიოთეკების განლაგება.

საქარხნო და საფაბრიკო ბიბლიოთეკების მუშაობაში პარალელიზმის ასაცილებლად და არსებულ სახსრების უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით დაევალა პარტიის რაიკომებს, ქალაქკომებს, საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცკ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებ-

თან ერთად განიხილონ საკითხი სხვადასხვა უწყებათა გამგებლობაში მყოფ იმ წვრილმან ბიბლიოთეკების გაერთიანების შესახებ, რომლებიც მცირე მანძილით არიან დაშორებული ურთიერთისაგან, აგრეთვე იმ ბიბლიოთეკებისა, რომლებიც მდებარეობენ ერთ წამოწყების ან დაწესებულების ტერიტორიაზე. ახალი ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებისას ანგარიში უნდა გაეწიოს მოსახლეობის არსებობას საკმარისი რაოდენობით, აგრეთვე იმ წამოწყებათა და ორგანიზაციების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, რომლებთანაც იქნება ჩამოყალიბებული ეს ბიბლიოთეკები, ადგილებზე მოსახლეობის მცირე რაოდენობით არსებობის პირობებში საჭიროების და მიხედვით არსებულ შტატებისა და გათვალისწინებულ ასიგნობათა ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს ბიბლიოთეკების ფილიალები, ბიბლიოთეკების მოძრადები და წიგნის გასაცემი პუნქტები უახლოესი ბიბლიოთეკებიდან. ამ მუშაობაში საჭიროა ფართოდ ჩავაბათ საზოგადოებრიობა, დიასახლისები, ახალგაზრდობა. მეთოდური დახმარება და ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია უნდა დაეკისროს კულტურის ადგილორივ ორგანოებს.

მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან დაამუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სახალხო მეურნეობათა საბჭოებისა და ადგილობრივი მრეწველობის წამოწყებაზე ბიბლიოთეკებისათვის საჭირო მოწყობილობის ლითონის და ხის სტელაჟების, წიგნისა და საკატალოგო კარადებისა და ყუთების, ვიტრინების, დგამის — წარმოების ორგანიზაციისა და გაფართოების ხაზით.

წინადადება მიეცა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრკ კულტურის სამინისტროს, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო ტექნიკურ კომიტეტს, სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებსა და განათლების სამინისტროებს უზრუნველყონ ბიბლიოთეკების პროფილური დაკომპლექტება და შევსება უახლესი პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო მხატვრული, საცნობარო, სასწავლო ლიტერატურით და თვალსაჩინო ლიტერატურით, მიიღონ აუცილებელი ზომები მოძველებულ გამოცემათაგან ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გასაწმენ-

დად, მოაწყონ გადანაწილება ბიბლიოთეკებს შორის გამოუყენებელი დუბლეტური და არაპროფილური ლიტერატურის, გაზარდონ წიგნობრივი ფონდის ბრუნვადობა, უახლოეს 2—3 წელიწადში გადაწყვიტონ თვითეული, დასახლებული პუნქტის თითოეული ოჯახის, ბიბლიოთეკებით მომსახურების ამოცანა.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს გაუქმება ბიბლიოთეკების ხარჯებისა წიგნების შეფუთვისა და ტრანსპორტირებისათვის რომელთაც ისინი იღებენ დაუსწრებლად დაკომპლექტების ხაზით წიგნით ვაჭრობისა და საბიბლიოთეკო კოლექტორებისაგან ამ ხარჯების მიკუთვნებით წიგნით ვაჭრობისა და საბიბლიოთეკო კოლექტორების წიგნის ბრუნვაზე გაწეულ ანგარიშისადმი.

მკითხველებთან წიგნების მაქსიმალურად მიახლოების მიზნით უზრუნველყოფილი იქნას ყველა მშრომელის მიერ ნებისმიერი ბიბლიოთეკით თავისუფალი სარგებლობა. დამოუკიდებლად მისი უწყებრივი დაქვემდებარებისა, გარდა დახურული ტიპის ბიბლიოთეკებისა, არასწორად ჩაითვალოს ის მუშაობა, როდესაც საბიბლიოთეკო მომსახურეობა განისაზღვრება მხოლოდ ერთი წამოწყების ან უწყების ფარგლებით.

სსრკ კულტურის სამინისტროს დაევალა გაამჯობესოს ბიბლიოთეკების მომარაგება ახლად გამოსული ლიტერატურით, მოაწესრიგოს საბიბლოთეკო კოლექტორების მუშაობა, აეკრძალოს მათ ამ უკანასკნელთა განცხადების გარეშე წიგნების გაგზავნა, ამასთანავე მუდმივად გაეწიოს ანგარიში ბიბლიოთეკების მოსაზრებებს და ინტერესებს საგამომცემლო გეგმების შედგენისა და საბიბლიოთეკო წიგნობრივი ფონდებით მათი მიმდინარე დაკომპლექტების დროს.

გამომცემლობები და „სოიუზკნიგა“ მოვალენი არიან დროულად უზრუნველყონ თვითეული ბიბლიოთეკა გამომცემლობათა თემატური გეგმებით და დამდეგი წლისათვის გათვალისწინებული შეკვეთების ბლანკებით.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს დაევალა 1960 წელს შეუდგეს გამოცემას საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ნაკრები ბიბლიოგრაფიული საძიებლებისა ხუთწლედების მიხედვით და საჟურნალო სტატიების წელიწდეულებისა.

სსრკ სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკურმა ბიბლიოთეკამ და ცენტრალურმა სამეცნიერო ტექნიკურმა დარგობრივმა და

სპეციალურმა ბიბლიოთეკებმა უნდა უზრუნველყონ გეგმიანი მუშაობა მიმდინარე ბიბლიოგრაფიების შესადგენად მეცნიერების, ტექნიკის, სახალხო მეურნეობის ეკონომიკის შესატყვისი დარგების მიხედვით, რომლებიც გათავლისწინებული იქნება სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთათვის. მოაწყონ რეგულარული ინფორმაცია ახალი წიგნების შესახებ სხვადასხვა მასობრივი პროფესიებისათვის, უზრუნველყონ გეგმიანი მუშაობა მიმდინარე რეტროსპექტული და თემატური ბიბლიოგრაფიის შესადგენად.

სსრკ კულტურის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროებს დაევალა მეთოდური ხელმძღვანელობა საბიბლიოთეკო საქმეზე ჩვენს ქვეყანაში და ყველა უწყების ორგანიზაციათა და კოლმეურნეობების ბიბლიოთეკათა მოქმედების კოორდინაცია.

სამინისტროები, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს უწყებები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ბიბლიოთეკების თავისი სისტემა, განახორციელებენ უშუალო ხელმძღვანელობას **მათდამი დაქვემდებარებულ ბიბლიოთეკებზე და უზრუნველყოფენ საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობას ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებისა და მკითხველთან წიგნის მიახლოვების საქმეში.**

სსრკ კულტურის სამინისტროს, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და სსრკ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა დაამუშაონ ტიპიური პროექტები სპეციალური მშენებლობის სხვადასხვა სახის მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის, სანიმუშო პირობები და ბიბლიოთეკების გახსნისა და მუშაობის წესი, სანიმუშო ნუსხა მოწყობილობისა მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის, **აგრეთვე დაადგინონ ერთიან საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა უწყებისა და ორგანიზაციის საბიბლიოთეკო მუშაკებისათვის და საერთო საშტატო ნორმები სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და პროფკავშირული მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის.**

ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკების მუშაობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით გადაწყვეტილია შეიქმნას სსრკ კულტურის სამინისტროს სტრუქტურაში **მთავარი საბიბლიოთეკო ინსპექცია არსებულ შტატების ფარგლებში.**

მეთოდური დახმარება საკონსულტაციო მუშაობა ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებთან ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში დაევალ სსრკ ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას, ხოლო სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკების ხაზით სსრკ სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო ტექნიკურ ბიბლიოთეკას.

წინადადება მიეცა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა საბიბლიოთეკო საქმეზე, ფართოდ მოიზიდონ საზოგადოებრიობა აქტიური მონაწილეობის მისაღებად **ბიბლიოთეკების მუშაობისა და მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდის ხაზით საბიბლიოთეკო შენობების კეთილმოწყობასა და მშენებლობაში. აამაღლონ საბიბლიოთეკო საბჭოების როლი, ჩააბან მათში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მასწავლებლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომელთაც აქვთ უნარი მოაწყონ ბიბლიოთეკების მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.**

სსრკ კულტურის სამინისტრომ, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო ტექნიკურმა კომიტეტმა ერთი თვის ვადაში უნდა მოამზადონ და გამოაქვეყნონ დებულება ბიბლიოთეკების საბჭოების შესახებ.

წინადადება მიეცა სსრკ კულტურის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროებს და ყველა გამომცემლობას მოაწყონ წიგნების ცენტრალიზებული კლასიფიკაცია და კატალოგიზაცია, უზრუნველყონ ბიბლიოთეკები სასწავლო და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ცნობარების, ბიბლიოგრაფიული საძიებლებისა და კატალოგების გამოყენების ხაზით.

სსრკ კულტურის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროებს, აგრეთვე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაევალათ განამტკიცონ ბიბლიოთეკები კვალიფიციური კადრებით, მიიღონ ზომები მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის საბიბლიოთეკო მუშაკთა მომზადების გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლებისა

და სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის. გაითვალისწინონ ღონისძიებათა და სემინარების სისტემა ბიბლიოთეკების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, ჟურნალების რედაქციები, აგრეთვე რადიო და ტელეხედვა ვალდებულნი არიან გააშუქონ ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება, გადაჭრით გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდა .სისტემატურად დაბეჭდონ რეცენზიები წიგნებზე და ლიტერატურის მიმოხილვები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში მეცნიერების, წარმოებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებზე. გამოაქვეყნონ სარეკომენდაციო სიები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ლიტერატურული ნაწარმოებებისა და აგრეთვე წიგნებისა მასობრივი პროფესიებისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგების მუშებისა და კოლმეურნეთა დასახმარებლად.

სარედაქციო სტატია

ჟურნ. Партийная жизнь-იდან 1959 წ. № 20, გვ. 25.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექტივს საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკების

ყველა მუშაკს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება და გულითადად ულოცავს სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექტივს, ბიბლოთეკის ყველა მუშაკს, მათს შესანიშნავ თანაშემწეებს — წიგნის საზოგადოებრივ პროპაგანდისტებს ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის — უდიდესი წიგნსაცავის, ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის სამეცნიერო და მეთოდური ცენტრის ასი წლისთავს.

წიგნი საბჭოთა კავშირში გახდა მილიონობით მშრომელის ერთგული მეგობარი და მრჩეველი. საბჭოთა ახალგაზრდობის დამრიგებელი და აღმზრდელი. იგი აიარაღებს ყველა ასაკისა და სპეცია-

ლობის ადამიანებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, აზიარებს სამამულო და მსოფლიო კულტურის საგანძურს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, ეხმარება მათ შეიცნონ ახალი, მოწინავე, რასაც წარმოშობს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა.

ბიბლიოთეკის სიამაყე და სახელი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, განისაზღვრება იმით, თუ რა ფართოდ არის გავრცელებული წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მოზიდული, როგორ სწრაფად კმაყოფილდება ყოველი მოთხოვნა წიგნზე.

საბიბლიოთეკო საქმე ჩვენს ქვეყანაში ვითარდება მთელი ხალხის ინტერესებისათვის, მილიონობით მასების კულტურისა და შეგნებულობის ზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში არის დაახლოებით ოთხასი ათასი ბიბლიოთეკა, რომლებშიც მილიარდ ნახევარი წიგნია, ამ წიგნებით უფასოდ სარგებლობენ მშრომელები. სამოცდაათ მილიონზე მეტი კაცი ამ წიგნების მკითხველია.

ეს არის ისტორიაში ყველაზე დიდი კულტურული რევოლუციის, საბჭოთა კავშირში სახალხო განათლების სიღრმისა და გაქანების მკაფიო მაჩვენებელი.

კომუნიზმის მშენებლობის პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, ყოველმხრივ განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების, ახალი ადამიანის აღზრდის ამოცანები. ამ ისტორიულ ამოცანათა განხორციელებაში ფასდაუდებელია ბიბლიოთეკების მუშაკთა, წიგნის ყველა პროპაგანდისტის როლი, რომლებიც დაუცხრომლად ავრცელებენ მასებში ცოდნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ბიბლიოთეკების ყველა მუშაკი და ენთუზიასტი — საზოგადოებრივი მუშაკები კვლავაც დაუცხრომლად აამაღლებენ ბიბლიოთეკების როლს სამშობლოს ერთგულთა, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ, შეგნებულ, ყოველმხრივ განვითარებულ მშენებელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გაზ. „კომუნისტი“ 1962 წ. 3 ივლისი № 154.

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 იანვრის დადგენილება № 11

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების სწორად გმოყენების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს სამინისტროებს, უწყებებს და სხვა ორგანიზაციებს თავიანთი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოუყენებელი ლიტერატურა უსასყიდლოდ გადასცენ სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკებს.

2. დაევალოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ერთი თვის ვადაში დაამუშავოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პრესაში სამხედრო და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მონაწილეობით, და დაამტკიცოს ინსტრუქცია ამ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის წესის შესახებ.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 772

1967 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კულტურულ-საგანმანათლებლო და-

წესებულებათა მუშაობის დონის ამაღლების, ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

1966—1967 წლებში რესპუბლიკაში გაიხსნა 236 ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა და კლუბი. კოლმეურნეობებმა ,საბჭოთა მეურნეობებმა და სასოფლო საბჭოებმა თავიანთი სახსრებით ააშენეს 300-მდე კლუბი და ბიბლიოთეკა. ამჟამად მშენებლობის პროცესშია 211 სასოფლო კლუბი და 18 კულტურის სახლი. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საგრძნობი ნაწილი შეივსო წიგნადი ფონდით, საჭირო ინვენტარითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით.

საკლუბო დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას, რამაც განაპირობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარება.

რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკამ, მუზეუმმა, კულტურისა და დასვენების პარკმა მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო დათვალიერებებში. 137 ბიბლიოთეკამ მიიღო პირველი, მეორე და მესამე ხარისხის საკავშირო დიპლომები.

მიუხედავად ამისა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. რესპუბლიკის 1477 დასახლებულ პუნქტში არ არის არც ბიბლიოთეკა და არც კლუბი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, კასპის, თეთრიწყაროსა და ზოგიერთ სხვა რაიონში. სამხრეთ ოსეთის სოფლების ორ მესამედს არ გააჩნია არცერთი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულება. დუშეთის, ყაზბეგის, კასპისა და ლენტეხის რაიონების სოფლების ნახევარზე მეტი დარჩენილია უბიბლიოთეკოდ და უკლუბოდ. ბევრი კულტურის კერა ჯერ კიდევ შეუფერებელ და დაქირავებულ ბინაშია მოთავსებული. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიდი ნაწილი საჭიროებს გადაუდებელ, მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს. სასოფლო კლუბები და ბიბლიოთეკები არ არიან უზრუნველყოფილი მუსიკალური და საჭირო სამეურნეო ინვენტარით. 1497 საკლუბო დაწესებულებიდან პიანინო ან როიალი

მხოლოდ 266 დაწესებულებაშია, ტელევიზორი—64, მაგნიტოფონი—117 დაწესებულებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის ადგილებზე სათანადოდ არ იყენებენ კულტფონდებსა და თვითდაბეგვრის თანხებს. ზოგიერთ რაიონში (გეგეჭკორი, გალი, აბაშა) არადანიშნულებისამებრ იყენებენ კულტურის კერებისათვის განკუთვნილ შენობებს. სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი არ თბება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივლისის № 423 დადგენილების მესამე პუნქტის შესრულება. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილის მუშაობის დონე დაბალია. წითელწყაროს სარაიონო კულტურის სახლში, ქარელის რაიონის ავლევისა და ბრეთის, მარნეულის რაიონის კასულ-მლინსკისა და კაპანახჩის სასოფლო კლუბებში თითქმის არავითარი კულტურულ-მასობრივი ღონისძიება არ ხორციელდება. გარდაბნის, ხაშურის, საჩხერის, თერჯოლისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კულტურის სახლებთან მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალის დამთავრებისთანავე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა შეწყვიტეს მუშაობა.

არსებითი ნაკლოვანებებია სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის დაკომპლექტების საქმეშიც. ქობულეთის, თეთრიწყაროს, ბათუმის, თიანეთის, მარნეულისა და ახალციხის რაიონების მთელ რიგ სასოფლო ბიბლიოთეკებში არა აქვთ ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგისა და სხვა კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულები, „ჩვენი საუნჯის“ ტომები და სხვა. წითელწყაროს, საგარეჯოს, დმანისის რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნად ფონდში მცირეა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ზოგიერთ სასოფლო რაიონში არ იყენებენ ლიტერატურის პროპაგანდის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს, რის გამოც მცირეა მკითხველთა რიცხვი და მათზე გაცემულ წიგნთა რაოდენობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ბიბლიოლექტორი არადამაკმაყოფილებლად აკომპლექტებს ბიბლიოთეკებს საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო ტექნიკით.

თითქმის არფერი კეთდება ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არდამაკმაყოფილებელია სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა ბოლნისისა და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, აგრეთვე ი. ევდოშვილის, დ. კლდიაშვილის, რ. ერისთავის და ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმებში.

თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკებში გზები, გაზონები და მწვანე ნარგავები მოუვლელია. სუსტად მუშაობენ თიანეთის, გარდაბნისა და აბაშის რაიონების კულტურისა და დასვენების პარკები.

არადამაკმაყოფილებელია სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება. 1966 წელს კინომომსახურების გარეშე იყო დარჩენილი 417 სოფელი. ამ მხრივ მიმდინარე წელსაც არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა, განსაკუთრებით ქარელის, გარდაბნის, დუშეთის, ცხაკაიას, მახარაძისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში.

სუსტია სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურება პროფესიული თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების მხრივ. პროფესიულმა თეატრებმა 1966 წელს რესპუბლიკის სოფლებში მხოლოდ 356 სპექტაკლი გამართეს, ხოლო ფილარმონიის ბრიგადებმა — 2992.

სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არიან უზრუნველყოფილი სათანადო სპეციალური განათლების მქონე კადრებით. ცოტაა მაღალკვალიფიციური ლოტბარები, ქორეოგრაფები, რეჟისორები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ უწევს სათანადო მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კინოქსელის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ რაისაბჭოს აღმასკომები ნაკლებად ზრუნავენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონის ამაღლებისა და მათი მატერიალური ბაზების გაუმჯობესებისათვის.

წაროება-დაწესებულებათა მუშაკების ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსახლე-

ობაში კულტურულ-საგანმაანთლებლო მუშაობის გუამჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, ყველა საქალაქო და რაისაბჭოს აღმასკომს:

ა) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXII ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად, ისე გარდაქმნან კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობა, რომ მათ უფრო სრულად და მაღალ ესთეტიკურ დონეზე დააკმაყოფილონ მშრომელთა მზარდი კულტურული მოთხოვნილებანი.

გააძლიერონ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, მათ მუშაობაში ფართოდ ჩააბან ინტელიგენცია და ახალგაზრდობა:

ბ) დააკომპლექტონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი უნარიანი და კვალიფიციური კადრებით;

გ) განუხრელად განახორციელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივლისის № 423 დადგენილება „სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) სოფლის მოსახლეობის მხატვრული მომსახურების გაძლიერების მიზნით დაგეგმოს და სისტემატურად გაგზავნოს სოფლად სახელმწიფო და სახალხო თეატრები, მუსიკალური კოლექტივები და საკონცერტო ბრიგადები.

ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად მოაწყოკს ერთთვიანი კურსები და კურს-კონფერენციები, გააძლიეროს ადგილებზე მეთოდური დახმარება, განახორციელოს საჩვენებელი ღონისძიებანი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს მკვეთრად გააუმჯობესოს სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება, რისთვისაც:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ძნელად მისასვლელი სოფლების მოსახლეობის სისტემატური კინომომსახურებისათვის.

ბ) მკვეთრად შეამციროს სოფლის კინოდანადგარების მოცდენა და გააძლიეროს კონტროლი მათი გამოყენებისადმი;

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა და მათი მატერიალური მდგომარეობა. 1968 წლის პირველ კვარტალში საგანგებოდ განიხილონ სესიებზე ამ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მუშაობის დონის ამაღლებისა და მატერიალური ბაზების გაუმჯობესებისათვის;

ბ) შეიმუშაონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი თითოეული სოფლის, დასახლებული პუნქტის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მოსახლეობისათვის. ამასთან, შეადგინონ მატერიალური ბაზის განმტკიცების უახლოესი წლების კონკრეტული გეგმები, სადაც გაითვალისწინონ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა, შეკეთება და მათი ინვენტარით უზრუნველყოფა. განახორციელონ ეს გეგმები კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების აქტიური მონაწილეობით და ამ მიზნისათვის წარმართონ რაიონის ბიუჯეტის ჭარბი შემოსავალი და სასოფლო საბჭოების თვითდაბეგვრის თანხები.

გ) სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებს შეუქმნან საჭირო საბინაო და კომუნალური პირობები.

5. ეთხოვოს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმს შეისწავლოს, განიხილოს და დასახოს ღონისძიებანი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და მათი მუშაობის დონის ამაღლებისათვის.

6. გეგეჭკორის, გალისა და აბაშის რაისაბჭოების აღმასკომებმა (ამხ. ა. სურმავა, ვ. ეზუგბაია, ა. ნადარეიშვილი) ერთი თვის ვადაში გაათავისუფლონ სარაიონო კულტურის სხლების შენობები იმ

ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ კულტურის სახლის საქმიანობასთან.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა პირველ რიგში გამოუყოს ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკის პროფილის შესაბამისად საჭირო რაოდენობით ლიტერატურა. ამასთან დროულად უზრუნველყოს ბიბლიოთეკები საბიბლიოთეკო ტექნიკით და გამოცემათა თემატური გეგმებით ქართულ და რუსულ ენებზე.

8. კულტურისა და დასვენების პარკების შემდგომი კეთილმოწყობისა და მათი მუშაობის სრულყოფისა და საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დაევალოთ:

ა) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სააქრთველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად, წარმოადგინოს წინადადება კულტურისა და დასვენების პარკების საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მათი 1968 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების მიხედვით;

ბ) კულტურისა და დასვენების პარკების ხელმგღვანელებს — უზრუნველყონ პარკებში არსებული ატრაქციონებისა და სხვა გასართობების შემოსავლის გეგმების შესრულება.

9. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პარკების კეთილმოწყობას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას, სისტემატურად გამოუყონ მათ ამ მიზნისათვის საჭირო ასიგნებანი, უზრუნველყონ სანიმუშო წესრიგი პარკების ექსპლუატაციის საქმეში.

ბ) 1968 წლის პირველ კვარტალში განიხილონ და გადაწყვიტონ კულტურისა და დასვენების პარკებში შესასვლელი ფასიანი ბილეთების შემოღების საკითხი.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტროსთან ერთად ,შეისწავლონ რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი პროფესიების სწავლების შემოღების საკითხი და 1968 წლის პირველი მარტისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება.

11. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დაუკვეთოს, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დროულად უზრუნველყოს საკლუბო დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკების სარეკომენდაციო პროექტების შედგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივლისის № 423 დადგენილების მესამე პუნქტის შესაბამისად.

12 დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტებს ორი თვის ვადაში უზრუნველყონ 130-ადგილიანი კინოთეატრის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა, დამტკიცება, გამრავლება და ადგილებზე დაგზავნა.

13. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაავალოს საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მისცეს იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც საკმარისი მატერიალური შესაძლებლობანი გააჩნიათ, განახორციელონ გამარტივებული ტიპის კინოთეატრების მშენებლობა 150-200 მაყურებლისათვის და პირველ რიგში ეს მშენებლობა დაიწყონ იქ, სადაც არცერთი კულტურულ-საგანმაანთლებლო დაწესებულება არ არის.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით გათვალისწინონ კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კინოდანარგარების ქსელის ზრდა იმგვარად, რომ 1971 წლის ბოლოსათვის იმ სოფლებში, სადაც 500 და მეტი მცხოვრებია, გაიხსნას კულტურის ერთერთი კერა მაინც.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის 1968 წელს დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სტანდარტული ტიპის 5 სახლი (190 კვ. მეტრი). 3 ათასი კვ. მეტრი ფანჯრის მინა და 2 ათასი კვ. მეტრი ორგმინა.

16. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტე-

ქნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ყოველწლიურად. დაწყებული 1968 წლიდან, გაითვალისწინონ და მაქსიმალურად დააკმაყოფილონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოთხოვნილებანი რესპუბლიკის კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კულტინვენტარითა და დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის შესახებ.

17. დაევალოს ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს, საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, შეიმუშაოს, სანახაობითი დაწესებულებებისათვის საჭირო იაფფასიანი, გამძლე და ხარისხიანი სკამების, საბიბლიოთეკო და საკლუბო ინვენტარის პროექტები.

18. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილებასა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თვალყური ადევნონ ამ დადგენილების შესრულებას და შედეგები პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
1967 წ. 13 ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის

რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებები ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცელი (თან ერთვის)

3. აღნიშნული ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 ივნისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“.

დებულება იხ. მესამე განყოფილებაში გვ. 141.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილება № 80

1969 წლის 17 თებერვალი
ქ. თბილისი

სასოფლო და სადაბო ადგილებში მდებარე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 66 დადგენილების პირველი პუნქტი უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ სასოფლო და სადაბო ადგილებში მდებარე ბიუჯეტში მყოფ კულტურულ-საგანამანათლებლო დაწესებულებათა იმ მუშაკებზე, რომელთაც აქვთ უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტით 1969 წლის 1 იანვრისათვის გასავალზე შემოსავლის გადამეტებით ხარჯზე მისცეს ცალკეულ ადგილობრივი ბიუჯეტებს 52.700 მანეთი, დანართის თანახმად.

სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილება № 423

1966 წლის 15 ივლისი
ქ. თბილისი

სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო აღმასკომებს დასახონ ქმედითი ღონისძიებანი სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის მკვეთრი ამაღლებისათვის. თელავის, გორისა და ზუგდიდის რაიონების მშრომელთა ვალდებულებების საპასუხოდ ფართოდ გაშალონ მუშაობა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მასობრივ პოლიტიკური მუშაობის მოწინავე ფორმების დანერგვისათვის.

მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი კულტფონდები კულტურის დაწესებულებათა საჭიროებისათვის და არ დაუშვან ამ სახსრების სხვა დანიშნულებით გამოყენება.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1967 და 1968 წლების ბიუჯეტით და სახალხო მეურნეობის გეგმით თანაბარი რაოდენობით, სასოფლო ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოების, კლუბებისა და კულტურის სახლების აღდგენა, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 იანვრის № 43 დადგენილებით შემცირდა და მოიხსნა ბიუჯეტის დაფინანსებიდან.

საქართველოს სრ ფინანსთა სამინისტრომ 1967 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს რაიონის კულტურის განყოფილებებში დამატებითი თითო ინსპექტორისა და ბუღალტრის საშტატო ერთეულები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1966—67 წლებში დაამუშაონ სასოფლო კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების სარეკომენდაციო პროექტები: კულტურის სახლებისა და კლუბებისათვის — მაყურებელთა დარბაზით 150, 200, 300, 400 და 600 კაცზე, სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის სათანადო სათავსოების გათვალისწინებით — 6000, 7000, 12000 და 15000 ტომისათვის, ხოლო სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკებისათვის — ცალკე მდგარი შენობები 20000, 25.000, 36000 და 50000 წიგნადი ფონდისათვის.

4. სასოფლო-კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის დაევალოთ:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — დამატებით გამოუყოს 1966 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 10 ათასი მანეთის ღირებულების ფარგლებში სკამები, 10 პიანინო, 3 ტელევიზორი და საჭირო საშენი მასალა სასოფლო კულტურულ დაწესებულებათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებისა და დაწყებულ მშენებლობათა დამთავრებისათვის.

ბ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს — 1967 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს სოფლის ბიბლიოთეკებისათვის წიგნის შესაძენი თანხების გადიდება 1966 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გადამეტებით საშუალოდ ერთ ბიბლიოთეკაზე 100 მანეთის ოდენობით, ხოლო მხატვრული თვითმოქმე-

დების შემდგომი განვითარების, მისი რეპერტუარის ნაწარმოებების შევსებისა და ადგილებზე სპეციალისტთა მივლინებისათვის 30 ათასი მანეთი.

5. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გამოუყოს საჭირო საშენი მასალები იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც საკუთარი სახსრებით აგებენ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების შენობებს.

6. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის საჭირო სპეციალური სახელმძღვანელოები ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგებში.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოახდინოს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებლის რეორგანიზაცია იმ ვარაუდით, რომ კონტიგენტის მიღება ხდებოდეს საშუალო განათლების ბაზაზე და სწავლების ვადა განისაზღვროს 2 წლით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

განკარგულება № 482-გ

1963 წლის 22 აპრილი
ქ. თბილისი

1. საბიბლიოთეკო კადრების სწორად გამოყენების მიზნით, დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონისა და ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე ყველა იმ სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს, რომელთა სისტემაშიც ბიბლიოთეკებია, რომ ბიბლიოთეკებში ვაკანტურ ადგილებზე დანიშნონ სპეციალური განათლების მქონე პირები და არ დაუშვან ნაკლოვანებანი საბიბლიოთეკო კადრების დანიშნულებით გამოყენების საქმეში.

ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კულტურის ორგანოების მონაწილეობის შესახებ

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1964 წ. 12 მაისის დადგენილება (ამონაკრები)

სსრ კავშირს კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებთან ერთად განიხილა საკითხი ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ხელოვნებისა და კულტურის ორგანოებისა და დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ და აღნიშნავს რომ უკანასკნელ ხანებში თეატრებმა, საკონცერტო ორგანიზაციებმა, ცირკებმა, მუზეუმებმა, ბიბლიოთეკებმა, კულტურისა და დასვენების პარკებმა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა რამდენადმე გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით. მეტი რაოდენობით ტარდება ბავშვებისათვის სპექტაკლები, კონცერტები, ლექციები, გაიზარდა რაოდენობა სასკოლო ექსკურსიებისა მუზეუმებში და სხვადასხვა გამოფენებზე, ახალგაზრდობისათვის უფრო ხშირად ეწყობა საღამოები კლუბებში, ავტორებთან შეხვედრები და საბჭოთა მწერლების ახალ ნაწარმოებთა განხილვები ბიბლიოთეკებში. ჟურნალებსა და გაზეთებში, რომლებიც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების ორგანოებს წარმოადგენენ, მეტი რაოდენობით ქვეყნდება მასალები ხელოვნების როლის და მნიშვნელობის შესახებ ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღმზრდელობით მუშაობაში ხელოვნების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციებისა და სხვა კულუტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებმა ჩაატარეს სპეციალური კოლეგიები, რომლებზედაც განხილულია ბავშვთა შორის და ახალგაზრდობაში ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესების ძირითადი საკითხები. რუსეთის სფსრ-ში, უკრაინის სსრ-ში და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ასეთი კოლეგიები ჩატარდა განათლების სამინისტროებთან, კომკავშირის რესპუბლიკურ ორგანიზაციებთან, მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების შემოქმედებით კავშირებთან და თეატრალურ საზოგადოებებთან ერთად.

რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ესტონეთის ,სომხეთის, უზბეკეთის სსრ ატარებენ კონკურსებს საბავშვო პისებისა და მუსიკალურ ნაწარმოებთა შესაქმნელად, ბავშვებისათვის მზადდება საუკეთესო სპექტაკლების დათვალიერებები დრამატიულ თეატრებსა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. რუსეთის სფსრ-ში გაიხსნა 5 ახალი საბავშვო თეატრი, მოსკოვში იქმნება მუსიკალური თეატრი. ბავშვებისათვის მზადდება საუკეთესო სპექტაკლების დათვალიერებები დრამატიულ თეატრებსა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში. რუსეთის სფსრ-ში გაიხსნა 5 ახალი საბავშვო თეატრი, მოსკოვში იქმნება მუსიკალური თეატრი ბავშვებისათვის. იდი მუშაობა ტარდება ზოგადი განათლების სკოლებისათვის მუსიკის, სიმღერისა და ხატვის მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად, სასკოლო მოძრავი გამოფენების დასაკომპლექტებლად, ზაფხულის პერიოდში ბავშვების უკეთ მომსახურებისათვის კულტურისა და დასენების პარკების მოსამზადებლად.

ამასთანავე კოლეგია აღნიშნავს, რომ ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა საქმიანობა ბავშვთა შორის და ახალგაზრდობაში ჯერ კიდევ ვერ უპასუხებენ იდეოლოგიური მუშაობის ამოცანებს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ამ საქმიანობას საკმაო გაქანება არა აქვს, სასკოლო ასაკის ბევრი ბავშვი და მოზარდი კულტურის დაწესებულებათა გავლენის სფეროს გარეშე რჩებიან. სკოლებში, საბავშვო ბიბლიოთეკებში და კლუბებში იშვიათად ტარდება ბავშვებისა და ახალგაზრდობის შეხვედრები ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან. ბევრი დრამატიული და მუსიკალური თეატრი ნაკლებად მონაწილეობს ბავშვთა მომსახურებაში, იშვიათად დგამენ ბავშვებისა და ახალგაზრდობი-

სათვის განკუთვნილ სპექტაკლებს. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის საკონცერტო ორგანიზაციები მოკავშირე რესპუბლიკების ფილარმონიები, სამხატვრო და სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, ბიბლიოთეკები და კლუბები არასაკმაოდ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს მოსწავლეთა და მოზარდთა უფრო ფართოდ მოზიდვისათვის მათთვის მოწყობილ ღონისძიებებზე, არასაკმაოდ ეხმარებიან ბავშვებისა და ახალგაზრდობის თვითმოქმედებას.

სუსტად ხორციელდება კულტურის ორგანოებისა და დაწესებულებების კონტაქტი სკოლებთან, პროფკავშირებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე შემოქმედებით კავშირებთან და მათ განყოფილებებთან ადგილებზე. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამმართველო, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები ძალიან მცირე ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს. უკანასკნელ წლებში ეს საკითხები იშვიათად განუხილავთ კულტურის საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების კოლეგიებზე.

ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების, კულტურის ორგანოებისა და თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლებისა და სასახლეების ყველა მუშაკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლა მოზარდი თაობის აღზრდისათვის, ეს მუშაობა ჩატარდეს განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, შემოქმედებითი კავშირებსა და საბავშვო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტში.

ბავშვთა შორის და ახალგაზრდობაში კულტურისა და ხელოვნების ორგანოებისა და დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციისა და ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით ამ მუშაობის აქტივიზაციისათვის შეიქმნას სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საბჭო ბავშვთა შორის და ახალგაზრდობაში მუშაობის დარგში.

II. მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებმა ხელი შეუწყონ და ფართოდ გაავრცელონ მოსკოვის ორგანიზაციე-

ბის ინიციატივა სასწავლო წლის თვითეული მეოთხედის ბოლოს „მოსწავლის დღის“ ჩატარებაში და ამ დღეებში ბავშვებსა და მოზარდებს დაუთმონ თეატრები, საკონცერტო დარბაზები და ესტრადები, ცირკები, კულტურის სახლები და სასახლეები, მუზეუმები, კლუბები და პარკები. „მოსწავლის დღეებში“ მოაწყონ ახალი სპექტაკლების სპეციალურად მომზადებული საკონცერტო და საესტრადო პროგრამების გასინჯვა, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, ოლიმპიადები, დათვალიერებები, ბავშვთა თვითმოქმედების კონკურსები, ბავშვთა მხატვრული შემოქმედების გამოფენები და სხვ.

III. ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრებმა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სამმართველოების უფროსებმა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

3. საბიბლიოთეკო მომსახურების დარგში

1. ბიბლიოთეკების, განსაკუთრებით საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს აქტიური მონაწილეობა მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში. ნორჩი მკითხველების საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისთვის მომზადების მიზნით გააძლიერონ სამეცნიერო ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდა.

2. კოლეგიების სხდომებზე განიხილონ რესპუბლიკაში ბავშვების საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა შორის ბიბლიოთეკების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. საბავშვო ბიბლიოთეკებს შორის ფართოდ გაშალონ მოძრაობა „საუკეთესოდ მომუშავე ბიბლიოთეკის“ წოდების მოსაპოვებლად.

მთავარმა საბიბილიოთეკო ინსპექციამ 1964 წლის ივნისში ჩაატაროს რესპუბლიკური ბიბლიოთეკების დირექტორების სემინარ-თათბირი შემდეგ საკითხზე: „ბავშვების საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესება და ბიბილიოთეკების როლის ამაღლება მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში“.

3. გადმოიღონ და ფართოდ გაავრცელონ უკრაინის სსრ-ის გა-

მოცდილება სასოფლო ბიბლიოთეკებთან ნორჩი მკითხველის ოთახების საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობის საქმეში. 1964 წლის განმავლობაში უზრუნველჰყონ სასოფლო ბიბლიოთეკებში ნორჩი მკითხველის ოთახების, საბავშვო განყოფილებების შექმნა, დააწესონ ბავშვების მომსახურების საათები. ნორჩი მკითხველის ოთახების მუშაობაში ფართოდ მოიზიდონ მასწავლებლები, მშობლები — საზოგადოებრივი მუშაკები, უფროსი მოსწავლენი.

4. საჭიროდ ჩაითვალოს თვითეულ რესპუბლიკაში რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის, თითოეულ ოლქში — საოლქო საბავშვო ბიბლიოთეკის და ქალაქებში — ცენტრალური საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკების შექმნა. დაეკისროს ამ ბიბილიოთეკებს პასუხისმგებლობა ბავშვებთან მომუშავე ყველა ბიბილიოთეკისადმი მეთოდური დახმარების გაწევისათვის, სემინარებისა და პრაქტიკუმების ჩატრება სასოფლო, ზონალური, რაიონული საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს მიიღონ სასწრაფო ზომები საბავშვო ბიბილოთეკების აღდგენისათვის იმ ადგილებში, სადაც ისინი გაუქმებული იყო. მთავარმა საბიბლიოთეკო ინსპექციამ თვალყური ადევნოს ამ გადაწყვეტილების შესრულებას.

5. იმ სასწავლებლების გეგმებში, რომლებიც საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებს ამზადებენ გათვალისწინებულ იქნას საბიბლიოთეკო დარგის მოსწავლეთა მიღებისა და ბიბლიოთეკის მუშაკების გამოშვების გადიდება საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.

6. ეთხოვოს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს:

ა) გააუმჯობესოს სასკოლო ბიბლიოთეკების საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობა, გამოჰყონ სპეციალური ინსპექტორები, რომლებიც პასუხსს აგებენ მათი მუშაობისათვის;

ბ) მიიღონ ქმედითი ზომები სასკოლო ბიბილოთეკების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი წიგნობრივი ფონდების გადიდებისათვის; გაითვალისწინონ სახსრების ყოველწლიური გამოყოფა სასკოლო ბიბილიოთეკებისათვის ლიტერატურის შესაძენად.

7. ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ:

ა) 1965 წელს მოამზადოს და გამოსცეს პრაქტიკული სახელმძღვანელო — „საბავშვო ბიბლიოთეკა“ (საბავშვო ბიბილიოთეკების მუშაკებისათვის);

ბ) დაამუშავოს 1964 წელს და წარმოადგინოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში დასამტკიცებლად წინადადებანი საბავშვო ლიტერატურის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სისტემის შესახებ.

IV. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) უზრუნველჰყოს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა მუსიკალური ხელოვნების საკითხებზე ზოგადი განათლების სკოლებისათვის;

ბ) გაადიდოს საუკეთესო საბავშვო წიგნების ტირაჟი იმ ანგარიშით, რომ ეს წიგნები მოხვდეს სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკებში;

გ) გამოსცეს მასობრივი ტირაჟით სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები ბავშვებისათვის, ილუსტრირებული კატალოგები, პლაკატები კითხვის კულტურის ასამაღლებლად (როგორ ავირჩიოთ წიგნი, როგორ ვისარგებლოთ კატალოგებით და სხვ.).

V. ეთხოვოს მოკავშირე რესპუბლიკების განათლებისა და უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროებს განიხილონ საკითხი მაგნიტოფონებისა და ელექტროფონების შესაძენად სკოლებისა და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ იმ მიზნით, რათა ფართოდ იქნას გამოყენებული მაგნიტოფონის ფირები და გრამაფონის ფირფიტები მუსიკაში ლექციების საილუსტრაციოდ ზოგადი განათლების სკოლებისა და პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის.

VI. გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“, ჟურნალების — „თეატრის“, „ტეატრალნაია ჟიზნის“, „სოვეტსკაია მუზიკას“, „მუზიკალნაია ჟიზნის“, „ისკუსტვოს“, „სოვეტსკაია ესტრადა ი ცირკის“, „პროსვეტიტელნაია რაბოტას“, „ხუდოჟესტვენნაია სამოდეიატელ-

ნოსტ ი კლუბის“ „ბიბილიოთეკარის“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები ხელოვნებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საშუალებით ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, გააძლიერონ ეს საქმიანობა თეატრებში, საკონცერტო ორგანიზაციებში, სასწავლებლებში, ცირკებში, ბიბლიოთეკებში, პარკებში, კულტურის სახლებში და სხვა დაწესებულებებში.

VII. 1964 წლის ოქტომბერში მოსმენილ იქნას კოლეგიაზე ამ დადგენილების შესრულების საკითხი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1959 წლის 24 ნოემბრის №1710 ბრძანება

საბჭოთა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, ამჟამად რესპუბლიკაში ხუთიათასზე მეტი ბიბლიოთეკაა, რომელთა წიგნადი ფონდი დაახლოებით 28 მილიონს აღემატება. საქართველოს სსრ თვითეულ 800 მცხოვრებზე სშუალოდ 1 ბიბილიოთეკა მოდის, საქართველოში შექმნილია და აქტიურად მოქმედებს საბიბლიოთეკო სისტემა, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, მასობრივ, სასკოლო, უმაღლეს სასწავლებელთა, დარგობრივ, პროფკავშირულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამეცნიერო და სხვა ტიპის ბიბლიოთეკებს.

საბჭოთა ბიბილიოთეკების მუშაკები წარმატებით ატარებენ ცხოვრებაში ვ. ი. ლენინის მითითებებს წიგნის კითხვაში მშრომელთა ჩაბმისა და ხალხში წიგნის აქტიური პროპაგანდის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მარტო მასობრივი ბიბლიოთეკები სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების ჩაუთვლელად ყოველწლიურად ემსახურება 800.000 მკითხველს და სცემენ მათზე 13 მილიონამდე წიგნს.

გაშალეს რა სკკპ XXI ყრილობის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა მრავალმა ბიბილოთეკამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა, ისინი ფართოდ იყენებენ მკითხველებისადმი წიგნის მიახლოვების ყველაზე აქტიურ ფორმებს: წიგნის თაროებთან თავისუფალ დაშვებას წიგნების ღია ჩვენებას და უშუალოდ ქარხნებისა და წარმოების საამქროებში ლიტერატურის დათვალიერებას. მათ მოაწყვეს საკოლმეურნეო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმების საბიბლიოთეკო მომსახურება, მრავალ ბიბლიოთეკასთან შეიქმნა ბიბლიოთეკის საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობს მასებში წიგნის პროპაგანდას. ამასთან ერთად, ბიბლიოთეკების წინაშე წამოყენებულია ახალი, გაზრდილი მოთხოვნილებები.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რა საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ აღნიშნა ზოგიერთი დადებითი მომენტი იდეოლოგიური ფრონტის ამ დიდ და მნიშვნელოვან უბანზე. ამავე დროს მიუთითა, რომ ბიბილოთეკების მუშაობის დონე და შინარსი ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანებს. მრავალი მასობრივი, სამეცნიერო, ტექნიკური, საბავშვო ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას წიგნზე, თავის მუშაობას სუსტად უკავშირებს ცხოვრების მოთხოვნებს; საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას. ზოგიერთ მასობრივ ბიბილოთეკაში ძალიან მცირეა მკითხველთა რაოდენობა, დაბალ დონეზე დგას წიგნადი ფონდის ბრუნვა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ რჩება საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის დაკომპლექტებაში. აღმოფხვრილი არ არის არადროულად, არაგეგმაზომიერად რაიონის ეკონომიური თავისებურებების და მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის გათვალისწინების გარეშე ბიბლიოთეკების ლიტერატურით მომარაგების ფაქტები. იმის გამო, რომ „საქწიგნი“ ხშირად ბიბკოლექტორს უყოფს ლიტერატურას მასობრივი ბიბილოთეკების მოთხოვნილებათა მხედველობაში მიღების გარეშე, მასობრივი ბიბლიოთეკების ფონდი ტექნიკუ-

რი, სასოფლო-სამეურნეო, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო, ახალი მხატვრული ლიტერატურით არასაკმაოდაა დაკომპლექტებული. სამეცნიერო, საოლქო, რესპუბლიკურ ბიბილოთეკებში ბევრია ერთი და იმავე წიგნების ზედმეტი გამოუყენებელი ეგზემპლარები. ბევრი ბიბლიოთეკის წიგნადი ფოედები დანაგვიანებულია მოძველებული გამოცემებით. სამხრეთ ოსეთის, ქალაქების რუსთავის და ჭიათურის, კასპის, ყაზბეგის, დმანისის, სამგორის და ბოგდანოვკის რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მასობრივი მუშაობა, სუსტადაა გამოყენებული მკითხველებისადმი წიგნის მიწოდების მრავალფეროვანი ფორმები, არაა მოწესრიგებული ახალი წიგნების მიღების შესახებ მკითხველებისათვის ინფორმაციის მიწოდების საქმე. მოსახლეობაში, განსაკუთრებით საშუალო სკოლების მოსწავლეთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შორის სუსტადაა დაყენებული ბიბლიოგრაფიული პროპაგანდა. ამის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისათვს აუცილებელი დახმარების გარეშე.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში: გამოცემული ლიტერატურის მაჩვენებლები ხშირად მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ საჭიროებათაგან .ვერ უპასუხებენ ტექნიკური პროგრესის, წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის დანერგვის, მშრომელთა იდეურ პოლიტიკური სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლების ამოცანებს. არა საკმაო რაოდენობით უშვებენ ბიბილიოგრაფიულ დამხმარე მასალებს სხვადასხვა კატეგორიის მკითხველებისათვის მეცნიერების, ტექნიკის და წარმოების კონკრეტულ საკითხებზე. თითქმის სრულებით არ მოიპოვება დამხმარე მასალები მასობრივი პროფესიების მუშაკებისათვის; ამავე დროს იშვიათი არ არის ერთი დაიმავე ტიპის ბიბლიოგრაფიის ერთ და იმავე საკითხებზე გამოშვების შემთხვეევები, რაც ქმნის არასაჭირო პარალელიზმს და იწვევს ძალების და სახელმწიფო თანხების განიავებას.

რესპუბლიკის მრავალი ბიბილოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ასე მაგალითად: ჯაფარიძის სახელობის თბილისის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბილისის სამეცნიერო ისტორიული ბიბლიოთეკა, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, სამხრეთ ოსეთის საოლქო ბიბლიოთეკა მო-

თავსებულია გამოუსადეგარ შენობებში. ახალქალაქის, საგარეჯოს, ქარელის. კასპის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკები იმყოფებიან კერძო პირთა კუთვნილ სახლებში, რომლებიც მოუხერხებელია საბიბლიოთეკო მუშაობისათვის. რესპუბლიკაში ღირსეული ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობათა სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერატივების სახსრების საშუალებით ბიბილოთეკების შენობათა მშენებლობას.

მრავალ ბიბილოთეკას არა აქვს შესაფერი საბიბილოთეკო მოწყობილობა და ინვენტარი. ასპინძის კასპის, ზნაურის, ხულოს და სხვა რაიონების ბიბილოთეკებს არ ჰყოფნით მაგიდები, სკამები, საკატალოგო ყუთები, სტელაჟები და სხვა სპეციალური საბიბილიოთეკო ინვენტარი. კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკებს დაუძველდათ საბიბილიოთეკო მოწყობილობა. ამ ბიბლიოთეკებში ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს საბიბლიოთეკო მუშაობის მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მუშაობა საბიბლიოთეკო კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის. სახელმწიფო დამოუკიდებელი მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა დაახლოებით 27,8%-ს არა აქვს სპეციალური საბიბილიოთეკო განათლება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია სამეცნიერო-ტექნიკური. უმაღლესი სასწავლებლების და სპეციალური ბიბილიოთეკების კვალიფიციური საბიბილიოთეკო კადრებით უზრუნველყოფის საქმე. ადგილი აქვს ბიბლიოთეკების მუშაკთა დენადობის და შეცვლის ხშირ შემთხვევებს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ბიბილიოთეკების მუშაობის ძირითადი გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებანი, დააყენა ამოცანები, რომ გადავაქციოთ ბიბილოთეკები პოლიტიკური, ზოგად საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო სამეურნეო და პროფესიონალურ განთლების მასობრივი პროპაგანდის ნამდვილ ცენტრებად, პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენ პუნქტებათ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა,

რომ ბიბლიოთეკების მუშაკთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტიის 21-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების განმარტება, პარტიისა და სახელმწიფოსათვის აქტიური დახმარების გაწევა საბჭოთა ადამიანების აღზრდისა, მათი კომუნისტური შეგნებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში.

საჭიროა ფართოდ გავშალოთ წიგნის პროპაგანდა და უკეთესად გამოვიყენოთ წიგნადი ფონდის სიმდიდრე, გავხადოთ იგი მისაწვდომი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი ყველა მოქალაქისათვის და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, გავუწიოთ მკითხველებს საქმიანი და კონკრეტული დახმარება წიგნის შერჩევასა და მასზე დამოუკიდებელ მუშაობაში.

ბიბილიოთეკების მუშაკთა წინაშე დასმულია წიგნადი ფონდების ბრუნვის გადიდების ამოცანა; უახლოეს 2—3 წელიწადში თითოეული დასახლებული პუნქტის თითოეული ოჯახის ბიბლიოთეკებით მომსახურეობის ამოცანა.

მკითხველებთან წიგნის მაქსიმალური მიახლოების მიზნით მოცემულია წინადადება უზრუნველყოთ ყველა მშრომელის მიერ ყოველი ბიბლიოთეკით თავისუფალი სარგებლობა, მისი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად .დაუშვებლადაა აღიარებული ისეთი მდგომარეობა, როდესაც საბიბლიოთეკო მომსახურება შეზღუდულია ერთი წარმოების ან უწყების ფარგლებით.

ჩვენს რესპუბლიკაში საბიბილიოთეკო საქმის მეთოდური ხელმძღვანელობა ყველა უწყებათა ბიბლიოთეკების მუშაობის კორდინაცია და სახელმწიფო კონტროლი დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს და კულტურის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადდაება მისცა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ საბიბილიოთეკო საქმის ხელმძღვანელობა, ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა ბიბილოთეკების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის და მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდისათვის, საბიბილიოთეკო შენობების კეთილმოწყობისა და მშენებლობისა-

თვის, გაზარდონ საბიბლიოთეკო საბჭოების როლი, ჩააბან მასში პარტიული საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მასწავლებლები, ექიმები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, რადიოსა და ტელეხედვას დაკისრებული აქვს გააშუქონ ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება. გადაჭრით გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდა, სისტემატურად გამოაქვეყნონ რეცენზიები და ლიტერატურის მიმოხილვები ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებიდან, მეცნიერების, წარმოებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ. გამოაქვეყნონ ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურული ნაწარმოებების სარეკომენდაციო სიები და აგრეთვე წიგნები მასობრივ პროფესიების და საშრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგების მუშებისა და კოლმეურნეთა დასახმარებლად.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების გასაუმჯობესებლად, ოპერატიული და პროფილური დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად, მოძველებული ლიტერატურისაგან ბიბლიოთეკების გაწმენდისათვის, მიუთითა გზები ბიბლიოთეკების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის. დასმულია ამოცანა უახლოეს 2—3 წელიწადში ძირეულად განმტკიცდეს ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოწონებულია იმ მოწინავე კოლმეურნეობების ინიციატივა, რომლებმაც ააგეს კარგი მოწყობილი ბიბლიოთეკები სამკითხველო დარბაზებით და რეკომენდებულია კოლმეურნეობებისათვის, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპეოაციისათვის, რომ მათ ბიბლიოთეკებს არა მარტო შენობათა აგებაში, არამედ წიგნადი ფონდების დაკომპლექტებაშიაც გაუწიონ დახმარება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მითითებების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. საქართველოს სსრ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკის კულტურის მინისტრებმა, კულტურის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებების გამგეებმა:

ა) მიიღონ ზომები ბიბლიოთეკების მუშაობაში იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ.

ბ) შესაბამისად ამისა დაამუშაონ და დაამტკიცონ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ერთიანი საუწყებათშორისო გეგმები, იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2—3 წელიწადში გადაწყდეს თითოეული დასახლებული პუნქტის თითოეული ოჯახის წიგნით მომსახურების ამოცანა. მნიშვნელოვნად გაიზარდოს წიგნადი ფონდების ბრუნვა. გეგმების შედგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული სხვადასხვა უწყებების პატარა ბიბლიოთეკების გაერთიანების შესაძლებლობა, აგრეთვე ერთი დაწესებულების ან წარმოების ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკები. ახალი ბიბლიოთეკების დაგეგმვისა და ორგანიზაციის დროს მხედველობაში იქონიონ მოსახლეობის საკმაო რაოდენობა, აგრეთვე იმ წარმოებათა და ორგანიზაციათა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რომელთანაც შეიქმნება ბიბლიოთეკები. მცირედ დასახლებულ ადგილებში საჭიროების მიხედვით არსებული შტატებისა და ასიგნების ფარგლებში, გაითვალისწინონ ბიბლიოთეკების ფილიალების, მოძრავი ბიბლიოთეკებისა და უახლოესი ბიბლიოთეკებისაგან გაცემის წერტილების ორგანიზაცია.

გ) იმ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა დაქვემდებარებაშია ბიბლიოთეკების ქსელი, 1959 წ. 25 დეკემბრამდე დაამუშაონ და შეიტანონ ავტონომიურ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და სარაიონო აღმასკომების განსახილველად წინადადებები ბიბლიოთეკების კეთილმოწყობილი სადგომებით, ავეჯით და მოწყობილობით უზრუნველყოფა, — 1959 — 1960 წ.წ უვარგისიდან კეთილმოწყობილ შენობებში ბიბილოთეკების გადაყვანა სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების კანტორების .შემჭიდროების ანგარიშზე, ბიბილოთეკების სათავსოების სხვა მიზნებისათვის გამოყენებისა და ბიბლიოთეკების უარეს შენობებში გადაყვანის აკრძალვა. აუცილებელი ცვლილებების შეტანა ქალაქების ცალკეული საცხოვრებელი რაიონების დაგეგმვასა და გაშენებაში .რაც უზრუნ-

ველჰყოფს მასობრივი ბიბილოთეკების ისე განლაგებას, რომ მიღწეული იქნას თითოეული კითხვის უნარის მქონე მოქალაქის ბიბლიოთეკით მომსახურება.

2. ყველა უწყებათა ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოში შეიქმნას საბიბლიოთეკო განყოფილება 3 კაცის შემადგენლობით.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ (ამხ. ა. კალანდარიშვილმა) საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ (ამხ. ნ. ჩიქოვანმა) 1959 წლის 1 დეკემბრამდე დაამუშაონ საკითხი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოში შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. კულტურის საოლქო, საქალაქო, და სარაიონო განყოფილებები განმტკიცდეს კვალიფიციური საბიბლიოთეკო სპეციალისტებით.

4.საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებმა, კულტურის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებების გამგეებმა.

ა) უზრუნველჰყონ ჩვენს რესპუბლიკაში საბიბილიოთეკო საქმის მეთოდური ხელმძღვანელობა და ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და სარაიონო ბიბილიოთეკების მეშვეობით. ამ მუშაობის გაუმჯობესების საკითხები განხილული იქნეს საქართველოს სსრ, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების კოლეგიის სხდომებზე.

ბ) სხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ ყველა მშრომელის მიერ ყოველი ბიბლიოთეკით თავისუფალი სარგებლობა, მისი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. ამის შესახებ მშრომელებს ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელეხედვის საშუალებით მიეცეთ ფართო ინფორმაცია.

გ) დააწესონ კონტროლი ყველა უწყებათა და ორგანიზაციათა ბიბლიოთეკების მუშაობაზე;

დ) დაამუშაონ ახალი ბიბლიოთეკების გახსნის სავალდებულო წესი. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სარაიონო საბჭოების აღმასკომების ნებართვით, თანახმად საბიბლიოთეკო მომსახურების გეგმისა კულტურის განყოფილებებმა უზრუნველჰყონ ყველა უწყების ბიბლიოთეკების დროული რეგისტრაცია.

ე) ბიბლიოთეკების მუშაობის უკეთესი კოორდინაციისა და საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელობაში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებთან, კულტურის საოლქო, საქალაქო, სარაიონო განყოფილებებთან შეიქმნას საუწყებათაშორისო საბჭოები საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მთავარი საბიბლიოთეკო ინსპექციის მიერ დამუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძველზე, რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკების მქონე დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად ორი თვის ვადაში დამუშაონ:

ა) ბიბლიოთეკების გახსნისა და მუშაობის სანიმუშო პირობები და წესი.

ბ) ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა უწყებათა საბიბლიოთეკო მუშაკებისათვის.

1960 წლის მარტამდე სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებისათვის საერთო საშტატო ნორმები.

6. დაევალოს კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას (ს. ეულს) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში მეთოდური დახმარების და საკონსულტაციო მუშაობის გაწევა ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებისადმი.

დაეკისროს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარუდგინოს ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთე-

კებისათვის მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების გაწევი
ღონისძიებათა გეგმა.

7. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების კულ
ტურის მინისტრებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კულტურის
განყოფილებათა გამგეებს, გააძლიერონ კონტროლი და დახმარებ
ყველა უწყებათა ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით დაკომ
პლექტებასა და მათი ფონდების მოძველებული გამოცემებისაგან
გაწმენდაზე, რაიონის, ქალაქის, ოლქის, ასს რესპუბლიკის ფარგლებ
ში უზრუნველყონ ბიბილოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექ
ტების კოორდინაცია. მუშაობა, არსებული წიგნადი ფონდის გადა
სინჯვისა, მოძველებული გამოცემებისაგან მისი გაწმედნის მიზნით
ჩატარდეს 1960 წელს და შემდეგში ხორციელდებოდეს პერი
ოდულად.

8. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასრ კულტურის მინისტ
რებს, საოლქო, საქალაქო, საქალაქო, სარაიონო კულტურის განყო
ფილებათა გამგეებს, უზრუნველყონ ბიბლიოთეკები უახლესი პო
ლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საბუნებისმეტყველო-სამეცნიე
რო, საწარმოო, მხატვრული, საცნობო, სასწავლო ლიტერატურით
და თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით დაკომპლექტება, მოსახლეო
ბის ნაციონალური შემადგენლობის გათვალისწინებით.

9. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებე
ბის საქმეთა სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქ
ართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიას წინადადე
ბები ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების დარგ
ში საბიბლიოთეკო კოლექტორის საქმიანობის გაუმჯობესების შე
სახებ.

10. დაევალოს „საქწიგნის" გამოცემული წიგნის პირველი ტ
რაჟიდან უზრუნველყოს საბიბლიოთეკო კოლექტორის შეკვეთების
შესრულება.

11. აეკრძალოს საბიბლიოთეკო კოლექტორს ბიბლიოთეკებს
დაკვეთის გარეშე მათთვის ლიტერატურის გგაზავნა, ხარჯები იმ
წიგნების შეფუთვისა და ტრანსპორტირებისათვის, რომლებიც იგ
ზავნება დაუწერელი დაკომპლექტების გზით წიგნთვაჭრობისა და
საბიბლიოთეკო კოლექტორისაგან, გაწეულ იქნას წიგნთვაჭრობის
და საბიბლიოთეკო კოლექტორის ბრუნვის ანგარიშიდან.

12. დაევალოს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს „საქწიგნთან" ერთად 1960 წლიდან კულტურულ-საგნმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოსთან შეთანხმებული სიის მიხედვით დროულად უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკებში გამომცემლობათა თემატური გეგმების და შეკვეთის ბლანკების გაგზავნა საბიბილოთეკო კოლექტორის დაკვეთის თანახმად წიგნის ტირაჟის ნაწილის გამძლე ყდებით გამოცემა.

საგამომცემლო გეგმების შედგენისას და ბიბლიოთეკების მიმდინარე დაკომპლექტებისას მხედველობაში მიღებული იქნას ბიბლიოთეკების მოთხოვნილება და ინტერესები.

13. მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. ბახტაძემ) უზრუნველჰყოს საბიბლიოთეკო კოლექტორისათვის ბიბტექნიკის დასამზადებლად შესაფერი ხარისხის 15 ტონა, ხოლო კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკისათვის, მეთოდური მასალების გამოსაცემად, სამი ტონა ქაღალდის ყოველწლიურად გამოყოფა.

14. დაევალოს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის მთავარ-სამმართველოს (ამხ. გ. ხუციშვილს) გამომცემლობებთან ერთად ორგანიზება გაუკეთოს წიგნების ცენტრალიზებულ კატალოგიზაციას და კლასიფიკაციას. 1960 წლიდან უზრუნველყოს ისეთი წესის გატარება, რომლის მიხედვით ბიბლიოთეკა წიგნს მიიღებს საკლასიფიკაციო ინდექსით და ანოტაციით. ამ მიზნით:

ა) დაევალოს გამომცემლობებს მიაღწიონ იმას, რომ 1960 წლიდან გამოცემულ ყველა წიგნის თავფურცლის პირველ გვერდზე დაისვას საკლასიფიკაციო ინდექსები, ხოლო მეორე გვერდზე კი დაიბეჭდოს ანოტაცია.

ბ) რესპუბლიკური გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერლიობა და კლასიფიკაცია დაევალოს საქართველოს სსრ წიგნის პალატას და კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას, ხოლო აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნებისა კი შესაბამის საოლქო ბიბლიოთეკებს.

15. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კალანდარიშვილს, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორს ამხ. ვ. გოგოლაძეს, კარლ მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ამხ. ეულ-ქურიძეს ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განსახილველად წარმოუდგინონ წინადადებები საქართველოს სრ სახელმწიფო წიგნის პალატასთან საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული გამომცემლობის შექმნის შესახებ.

16. დაევალოს საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიას (ამხ. ვ. კუპრავას) წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად საუკეთესო ბიბლიოთეკების, საუკეთესო წიგნების, საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიულ ცოდნათა პროპაგანდისათვის კინო-ჟურნალების პროგრამებში შეიტანონს სიუჟეტები ამ თემებზე.

17. დაევალოს კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ს. ეულ-ქურიძეს მეთოდური განყოფილების საშუალებით წლის ყოველ კვარტალში მოამზადოს და გამოსცეს მეთოდური მასალები ბიბილოთეკების დასახმარებლად, რომელშიაც გაშუქებული იქნება ბიბილოთეკების და მათი საბჭოების მუშაობის მოწინავე გამოცდილება წიგნის პროპაგანდისა და მკითხველთა მომსახურებისათვის.

18. დაევალოს საქართველოს სრ წიგნის პალატას, კარლ-მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას და საოლქო ბიბლიოთეკებს ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების, ისტორიისა და რევოლუციური ტრადიციების შესწავლაში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამეცნიერო დაწესებულებებისადმი დახმარების გაძლიერების მიზნით გაშალონ მუშაობა სამხარეოთმცოდნეო ლიტერატურის შეერთებული კატალოგების შექმნის, სარეკომენდაციო და სამეცნიერო-ინფორმაციული ხასიათის მიმდინარე და რეტროსპექტული და სამხარეთმცოდნეო ბიბლიოგრაფიის გამოცემის გზით.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ გამომცემლობების გეგმებში გათვალისწინებულ იქნას ამ სახელმძღვანელოების გამოშვება.

19. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს გააშუქონ წიგნის პროპაგანდა, სისტემეტურად დაბეჭდონ რეცენზიები და მიმოხილვები.

20. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრებმა, კულტურის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებების გამგეებმა:

ა) უფრო ფართოდ მიიზიდონ საზოგადოებრიობა ბიბლიოთეკების მუშაობის, მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდისა, საბიბლიოთეკო შენობათა კეთილმოწყობისა და მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ბ) დააწესონ ბიბლიოთეკების ანგარიშების ყოველწლიური ჩატარება მოსახლეობის წინაშე.

გ) ფართოდ გაავცრელონ ბიბლიოთეკათა საუკეთესო საბჭოების მუშაობის გამოცდილება, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მიიზიდონ ბიბლიოთეკების საბჭოებში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული აქტივი, მასწავლებლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომელთაც უნარი აქვთ მოაწყონ ბიბლიოთეკების მუშაობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებთან და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასთან მჭიდრო კავშირში.

21. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლების კომიტეტის წინაშე უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის ბიბლიოთეკის მუშაკთა მომზადების გასაუმჯობესებლად საბიბლიოთეკო სასწავლებლის გეგმებსა და პროგრამებში საჭირო ცვლილებების შეტანისა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა, ბიბლიოგრაფიისა და სხვა სპეციალურ საგნებში სტაბილური სახელმძღვანელოების მომზადების შესახებ.

22. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, კადრების განყოფილებასა და ბიბლიოთეკების მქონე უწყებების ხელმძღვანელობასთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი კვალიფიციური კადრებით სახელმწიფო, მასობრივი ბიბლიოთეკების განმტკიცების შესახებ და მოამზადოს წინადადებები

ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკართა იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად საკურსო ღონისძიებებისა და სემინარების ჩატარების შესახებ.

23. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრებმა, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კულტურის განყოფილებათა გამგეებმა ბიბლიოთეკების მქონე უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად, აგრეთვე კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ საბიბლიოთეკო მუშაკების სამუშაოზე მიღებისას მტკიცედ დაიცვან ერთიანი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

24. დაწესდეს საბიბილოთეკო დარგში მომუშავეთათვის წოდება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი".

დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს, შეიმუშაოს და 1960 წლის 1 იანვარამდე კოლეგიას განსახილველად წარუდგინოს დებულების პროექტი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის" წოდების მინიჭების პირობებისა და წესების შესახებ" და პერიოდულად მოამზადოს მასალები საბიბლიოთეკო დარგის იმ მუშაკების შესახებ, რომლებმაც ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობით დაიმსახურეს „საქართველოს სსრ რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის" წოდება.

25. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. კალანდარიშვილმა მოამზადოს წინადადებები ჩვენს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკის მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის ჩატარების შესახებ.

26. ეს ბრძანება განხილული იქნას ბიბლიოთეკების მუშაკთა საოლქო, საქალაქო, სარაიონო თათბირებზე.

27. ამ ბრძანების შესრულებისადმი კონტროლი დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კალანდარიშვილს.

სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა

ქ. თბილისი № 835 29 აგვისტო 1963 წ.

1. დამტკიცდეს კულტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნა ბიბლიოთეკების მუშაკთათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ოლქის, ყველა საქალაქო და სარაიონო კულტურის განყოფილების გამგეს, მომავალში მტკიცედ დაიცვან ბიბლიოთეკებში მუშაკთა დანიშვნისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამავე დროს თვალყური ადევნონ სხვადასხვა უწყებების ბიბლიოთეკებში საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად ვაკანტურ ადგილებზე მუშაკთა დანიშვნის საქმეს.

3. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს, საქალაქო და სარაიონო კულტურის განყოფილებებთან ერთად შეამოწმოს 1955 წელს დამტკიცებული ბიბლიოთეკების მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულება და ხსენებული დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ დანიშნული ბიბლიოთეკარების პრაქტიკული საქმიანობა და დოკუმენტაცია.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ დაამუშაოს ინსტრუქცია ამ ღონისძიების ჩასატარებლად და დაუგზავნოს ადგილობრივ კულტურის ორგანოებს სახელმძღვანელოდ.

4. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის კულტურის მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის ოლქის, ყველა საქალაქო და სარაიონო კულტურის განყოფილების გამგეს, საშუალო განათლების მქონე ბიბლიო-

თეკების მუშაკებს ხელი შეუწყონ დაამთავრონ პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

5. აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა დაავალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღონ მხოლოდ ბიბლიოთეკებში საშტატო თანამდებობაზე მომუშავე ბიბლიოთეკარები და კონკურსის გარეშე ჩარიცხონ დიდი ხნის სტაჟის მქონე ბიბლიოთეკარები.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დასწრებულ დღის განყოფილებაზე კონტიგენტი ძირითადად შეარჩიონ რაიონების მკვიდრი მცხოვრებლებისაგან, განსაკუთრებით მთაგორიანი და სასაზღვრო რაიონების მცხოვრებლებისაგან, რომლებიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავიანთ რაიონებში დაბრუნდებიან სამუშაოდ.

6. ქ. თბილისის № 1 კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს, სადაც დატოვებულია მხოლოდ საშუალო განათლების მქონე საბიბლიოთეკო კადრების მომზადება, 1963 წლიდან ეწოდოს ქ. თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთათვის

(შეთანხმებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან).

II კატეგორიის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაკთათვის

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
1	დირექტორი	პერსონალურად ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ან მინისტრის მოადგილე.
2	ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება, სამეცნიერო მეთოდური ან ბიბლიოგრაფიული მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა ან უმაღლესი განათლება სხვა სპეციალობით, საბიბლიოთეკო-მეთოდური შრომები და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 7 წლისა.
3	განყოფილების გამგეები, მთავარი ბიბლიოგრაფები, მთავარი ბიბლიოთეკარები და მეთოდისტები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება, საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა ან უმაღლესი განათლება სხვა სპეციალობით და საბიბლიოთეკო (საბიბლიოგრაფიო) მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 7 წლისა.
4	სექტორების, კაბინეტების, სამკითხველო დარბაზების გამგეები, სწავლული მდივანი, უფროსი ბიბლიოთეკარები, უფროსი ბიბლიოგრაფები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.
5	ბიბლიოგრაფები	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება
6	ბიბლიოთეკარები	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება
7	ბიბლიოთეკარების თანაშემწეები, ბიბლიოთეკის ტექნიკოსები.	საშუალო საბიბლიოთეკო განათლება.

III კატეგორიის რესპუბლიკურ, საოლქო და სამეცნიერო ბიბლიოთეკების მუშაკთათვის

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
1	დირექტორი	პერსონალურად ამტკიცებს კულტურის მინისტრი ან მინისტრის მოადგილე. უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა.
2	დირექტორის მოადგილე საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება, სამეცნიერო მეთოდური ან ბიბლიოგრაფიული შრომები და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 7 წლისა.
3	განყოფილებათა გამგეები, მთავარი ბიბლიოგრაფები და მთავარი ბიბლიოთეკარები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო საბიბლიოგრაფიო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.
4	სექტორების, სამკითხველო დარბაზების გამგეები, სწავლული მდივანი, უფროსი ბიბლიოთეკარები, უფროსი ბიბლიოგრაფები, და მეთოდისტები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.
5	ბიბლიოგრაფები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.
6	ბიბლიოთეკარები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.
7	ბიბლიოთეკარის თანაშემწეები და ბიბლიოთეკის ტექნიკოსები.	საშუალო საბიბლიოთეკო განათლება.

საქალაქო, რაიონული, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაკთათვის

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
1	2	3
1	საქალაქო, რაიონული და საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟით არა ნაკლებ 2 წლისა.
2	საქალაქო, რაიონული და საბავშვო ბიბლიოთეკების განყოფილების გამგეები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.

1	2	3
3	სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეები.	უმაღლესი ან საშუალო საბიბლიოთეკო განათლება.
4	ბიბლიოთეკარები	უმაღლესი ან საშუალო საბიბლიოთეკო განათლება.

სხვადასხვა უწყებების, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო, სპეციალური და ტექნიკური ბიბლიოთეკების მუშაკთათვის

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
1	დირექტორი (გამგე)	პერსონალურად ნიშნავენ სათანადო უწყებების ხელმძღვანელები.
2	დირექტორის მოადგილე საბიბლიოთეკო დარგში.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა, ან უმაღლესი განათლება სხვა სპეციალობით და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა.
3	განყოფილებათა გამგეები, მთავარი და უფროსი ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება, მუშაობის სტაჟი საბიბლიოთეკო დარგში არა ნაკლებ 5 წლისა.
4	ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.
5	ბიბლიოთეკარების თანაშემწეები, ბიბლიოთეკის ტექნიკოსები.	საშუალო საბიბლიოთეკო განათლება.

პროფკავშირული-მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთათვის

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
	ბიბლიოთეკების გამგეები და ბიბლიოთეკარები.	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.

	თანამდებობის დასახელება	საკვალიფიკაციო მოთხოვნა
1	საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების გამგეები (მთელ საშტატო ერთეულებზე).	უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. სარაიონო, საქალაქო, საბავშვო, სასოფლო და პროფკავშირულ-მასობრივი ბიბლიოთეკის გამგისა და ბიბლიოთეკარის ვაკანტურ ადგილებზე, თუ რაიონსა და ქალაქში არ არის უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების მქონე პირები, შეიძლება დაშვებულ იქნან სამუშაოდ ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების უკანასკნელი კურსის სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ ბიბლიოთეკებში.

2. სარაიონო, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეები ინიშნებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ სარაიონო და საქალაქო კულტურის განყოფილებების წარდგენით.

„ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენი თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 9 დეკემბრის № 1753-გ განკარგულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა

ქ. თბილისი № 545 17 დეკემბერი 1966 წ.

„ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენი თანხების გამოყენების შესახებ“ 1966 წლის № 1753-გ განკარგულებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

1. ნება დართო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმა-

სრულებელ კომიტეტებს კულტურის სამინისტროს სისტემის სოფლის ბიბლიოთეკების წიგნების შესაძენი თანხები 1967 წლიდან ხარჯონ ცენტრალიზებული წესით სათანადო საქალაქო და რაიონული ადგილობრივი ბიუჯეტიდან საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებების მეშვეობით.

2. დაავალა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასკომებს ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ბიბლიოთეკებს და გააძლიერონ კონტროლი ლიტერატურის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების სწორად, გეგმაზომიერად, მიზნობრივად და მთლიანად გამოყენებისადმი.

აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის განყოფილებისა და ყველა საქალაქო და რაიონული კულტურის განყოფილებათა გამგეებს:

ა) სოფლის ბიბლიოთეკების წიგნების შესაძენი თანხები 1967 წლიდან ხარჯონ ცენტრალიზებული წესით საქალაქო და რაიონული ადგილობრივი ბიუჯეტიდან საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებების მეშვეობით.

ბ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ბიბლიოთეკებს და უზრუნველყონ ლიტერატურის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების სწორად, გეგმაზომიერად, მიზნობრივად და მთლიანად გამოყენება.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გამოცემული ლიტერატურის პირველი ტირაჟიდან გამოუყოს ბიბკოლექტორს კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებისათვის პროფილის შესაბამისად საჭირო რაოდენობის ლიტერატურა.

3 .დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კალანდარიშვილს, საგეგმო-საფინანსო განყოფილებასა და სარევიზიო ჯგუფთან ერთად თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და პერიოდულად მოახსენოს კულტურის სამინისტროს კოლეგიას.

საქართველოს რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების გამოყენების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება № 7/1

ქ. თბილისი 29 სექტემბერი 1967 წ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილების — „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შემდგომ პერიოდში რესპუბლიკის მასობრივ ბიბილოთეკებში ნაწილობრივად გაუმჯობესდა წიგნობრივი ფონდების გამოყენების საქმე.

ყოველწლიურად იზრდება მკითხველთა და მათზე გაცემული წიგნების რაოდენობა. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდი 1960 წელთან შედარებით 1966 წელს რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში გაიზარდა 3,7 მილიონი ეგზემპლარით და 12,5 მილიონს მიაღწია, ამავე პერიოდში მკითხველთა რაოდენობა გაიზარდა 278 ათასით, ხოლო გაცემული წიგნების რაოდენობა 5,5 მილიონით.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების მიზნით, კერძოდ: პერიოდულად მიმდინარეობს ფონდების გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული და არაპროფილური ლიტერატურისაგან, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში (აბაშა, ზუგდიდი, ზესტაფონი, მცხეთა, გარდაბანი, თერჯოლა, წყალტუბო და სხვა). შეიქმნა გაცვლითი ფონდები და განხორციელდა ბიბლიოთეკებს შორის წიგნების გადანაწილება.

მოსახლეობისათვის წიგნის მიახლოების მიზნით რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს 1966 წელს გახსნილი ჰქონდათ 2245 მოძრავი ბიბლიოთეკა, 700 წიგნის გაცემის პუნქტი და 29 ფილიალი, წიგნის გავრცელების საქმეს ემსახურებოდა 6545 წიგნდამტარებელი.

1966 წლის მაჩვენებლებით მაიაკოვსკის რაიონის ბიბლიოთე-

კებში წიგნობრივი ფონდის ბრუნვის მაჩვენებელი საშუალოდ შეადგენს 3-, სილნაღის რაიონში 2,4, ლაგოდეხის რაიონში 2,2 ორჯონიკიძის რაიონში 2,3, თერჯოლის გეგეჭკორის და ვანის რაიონებში 3,1, ხულოს, გალის და გულრიფშის რაიონებში 2, ქ. რუსთავში — 2,2-ს და ა. შ.

ამასთან ერთად კულტურის სამინისტრო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების გამოყენების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ფონდის ბრუნვის მაჩვენებელი რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში 1966 წელს კვლავ დაბალია და საშუალოდ 1,6 შეადგენს ასევე დაბალი მაჩვენებელი აქვს აფხაზეთის (1,6) და აჭარის (1,3) ასსრ და სამხრეთ ოსეთის ოლქის ბიბლიოთეკებს (1,2).

ფონდების გამოყენების კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვთ ზოგიერთ რაიონებს, რაც დაბლა სწევს რესპუბლიკის საერთო შონაცემებს. მაგალითად: მარნეულის, მესტიის და ყაზბეგის რაიონებში ფონდის ბრუნვის მაჩვენებელი უდრის 0,7, დმანისის რაიონში 0,8; ხაშურის დუშეთის და ქარელის რაიონებში 0,9, ბოგდანოვკის თეთრიწყაროს და წალკის რაიონებში — 1, ჩოხატაურის და ამბროლაურის რაიონებში 1,2, ბორჯომის და საგარეჯოს რაიონებში — 1,3, გორის რაიონში 1,4 და ა. შ.

განსაკუთრებით დაბალია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურის გამოყენება. მაგალითად: რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ბრუნვის საშუალო მაჩვენებელი არ აღემატება 1-ს. სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურის ბრუნვა 1.5-ს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის გამოყენების საქმე განსაკუთრებით ცუდათაა დაყენებული, — დუშეთის (0,4), მარნეულის (0,4), ონის (0,3), ყაზბეგის (0,3), წალკის (0,4), ხაშურის (0,4); თეთრიწყაროს (0,5), ქარელის (0,5), ჭიათურის (0,5), საგარეჯოს (0,6), ბოგდანოვსკის, (0,8), წულუკიძის (0,9), ვანის 1, გუდაუთის (0,6) და გალის (0,8) რაიონებში. მსგავსი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა რაიონებში (ბოლნისი, ბორჯომი, ჩოხატაური და

სხვ.) ასეთივე მდგომარეობაა თითქმის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოყენების საქმეში.

მთელ რიგ ბიბილოთეკებში დაბალია აგრეთვე საწარმოო ტექნიკური ლიტერატურის გამოყენების მდგომარეობა .მაგალითად, ქ. ქუთაისის და ქ. გორის ბიბილოთეკებში ამ ლიტერატურის ბრუნვის მაჩვენებელი უდრის 1, ბათუმში 1,1 ქ. ცხინვალში 1,1 და ა. შ.

რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმითაა გამოწვეული რომ ჯერ კიდევ ბიბლიოთეკების დაკომპლექტება არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, ადგილი აქვს არადროულ და არაგეგმაზომიერად, რაიონის და ქალაქის ეკონომიური თავისებურებებისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გაუთვალისწინებლად ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ფაქტებს, რის გამოც მრავალ ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ისეთი ლიტერატურა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ასეთი მდგომარეობაა აჭარისა და სამხრეთ ოსეთის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ქარელის, დუშეთის, ყაზბეგის, მარნეულის, ხაშურის, წულუკიძის და სხვა რაიონების ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკების უხარისხოდ დაკომპლექტების ერთერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ბიბკოლექტორმა დღემდე ვერ მოახერხა ბიბლიოთეკების დაკომპლექტება წარმართოს წინასწარი შეკვეთის მიხედვით, რაც იწვევს ბიბლიოთეკებში პროფილის შეუსაბამო და მეტი ეგზემპლარი ლიტერატურის თავმოყრას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის რაიონებში და ქალაქებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული გაცვლითი ფონდების ორგანიზაციისა და ბიბლიოთეკებს შორის წიგნების ურთიერთ გადანაწილების საქმე.

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების საქმეს ხელს უშლის ისიც, რომ ბიბლიოთეკების უმრავლესობა სუსტად ეწევა ლიტერატურის პროპაგანდას.

წიგნობრივი ფონდების გამოყენების დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში მომუშავეთა ნახევარზე მეტს არა აქვს სპეციალური საბიბლიოთეკო განათლება, დაბალია მათი საწარმოო კვალიფიკაცი-

და ნაკლებად არიან დაუფლებული წიგნის პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებს.

ფონდების გამოყენების საქმეში არსებული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული, რომ ზოგიერთი კულტურის განყოფილება ნაკლებ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევს, ბიბლიოთეკების, წიგნის პროპაგანდასა და დაკომპლექტების ორგანიზაციას.

რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კ ო ლ ე გ ი ა ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის კულტურის საოლქო, ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილების და ბიბლიოთეკის გამგეს, ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) 1968 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე შეისწავლონ თვითეული მასობრივი ბიბლიოთეკის ფონდი და უზრუნველყონ საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგება.

ბ) ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი დააკომპლექტონ ცოდნის სხვადასხვა დარგის პროფილური ლიტერატურით, რისთვისაც გაითვალისწინონ სამოქმედო რაიონის ეკონომიური თავისებურებები და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

ზედმეტი და პროფილის შეუსაბამო ლიტერატურისაგან ფონდების შემდგომი გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით მტკიცე კონტროლი დააწესონ საბიბლიოთეკო კოლექტორის მიერ გაგზავნილ ლიტერატურაზე.

გ) უზრუნველყონ სარაიონო და ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკებთან გაცვლითი ფონდის ორგანიზაცია და 1968 წლის პირველ იანვრამდე დაამთავრონ რაიონის და ქალაქის ბიბლიოთეკებს შორის პროფილის მიხედვით ლიტერატურის გადანაწილება.

დ) ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1966 წლის 17 დეკემბრის № 454 ბრძანების „ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენი თანხების გამოყენების შესახებ“.

წიგნების შესაძენი თანხები გაანაწილონ ბიბლიოთეკის მუშაო-

ბის მასშტაბისა და სამოქმედო მიკრორაიონის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

ე) ბიბლიოთეკების მუშაკთა ორდღიან რაიონულ და საქალაქო სემინარებზე სისტემატურად განიხილონ წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტებისა და გამოყენების საკითხები.

ვ) ბიბლიოთეკებში ახალი კადრების სამუშაოზე მიღების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკის მუშაკთა „საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“.

ზ) ფართოდ აწარმოონ მოსახლეობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო ტექნიკური, საბუნებისმეტყველო სამეცნიერო და სხვა დარგის ლიტერატურის პროპაგანდა, რისთვისაც ჩაატარონ მკითხველთა კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, წიგნის განხილვები, მოაწყონ ლიტერატურის თემატური და ახალი წიგნების გამოფენები, აქტუალურ თემებზე შეადგინონ საბიბლიოთეკო პლაკატები და ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, ცალკეული სპეციალისტებისა და სხვა მკითხველებისათვის შეადგინონ კითხვის გეგმები, ფართოდ გამოიყენონ წიგნის თვალსაჩინო პროპაგანდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევონ სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში დასაქმებულ ახალგაზრდობასთან მუშაობას, შექმნან ახალგაზრდობის ცალკეული ჯგუფების კარტოთეკები, მოსახლეობისათვის წიგნის მიახლოების მიზნით ფართოდ გამოიყენონ მოძრავი საბიბლიოთეკო ფორმები, მოძრავი ბიბლიოთეკები ფილიალები, გაცვლის პუნქტები, წიგნდამტარებლები.

თ) მოქმედი დებულების საფუძველზე ყოველწლიურად მოაწყონ ბიბლიოთეკების ანგარიში მოსახლეობის წინაშე.

ი) მკითხველთა მომსახურების გასაუმჯობესებლად უფრო ფართოდ და სერიოზულად გამოიყენონ ბიბლიოთეკათაშორისო და დაუსწრებელი აბონემენტი.

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკურ, სამხრეთოსეთის საოლქო, ქუთაისის საჯარო, ა. ჯაფარიძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორებს, ყველა სარაიონო და ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეს:

5. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კალანდარიშვილს, თვალყური ადევნოს აღნიშნული ბრძანების შესრულებას და პერიოდულად მოახსენოს კულტურის სამინისტროს

კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება

ქ. თბილისი № 7 „30“ ივლისი 1970 წ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილებამ უკანასკნელ წლებში ერთგვარად გაამჯობესა მუშაობა.

აბონენტთა წიგნით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განმტკიცდა კავშირი ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებებთან, წიგნსაცავში ორი თანამშრომელი ბიბლიოთეკათაშორისო აბონენტით მოთხოვნილი წიგნების მიწოდებაზე მუშაობს. შემცირდა აბონენტთა მიერ მოთხოვნილ ლიტერატურაზე უარები.

გაიზარდა პერსონალურ აბონემენტთა რიცხვი, პრაქტიკაში დაინერგა აბონენტთა მიერ წრმოდგენილი თემატიკის მიხედვით წიგნების შერჩევა და მიწოდება. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საერთაშორისო აბონენტების რაოდენობა, აბონენტებს მათი მოთხოვნისამებრ ეგზავნებათ მცირე მოცულობის იშვიათი გამოცემის მიკროფირზე გადაღებული ასლები.

მიუხედავად ამისა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და მისი ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მუშაობა სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი საერთო სახელმწიფოებ-

რივი სისტემის დებულების შესაბამისად, ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი. იგი მიზნად ისახავს პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა წიგნზე მოთხოვნილების დროულად და ყოველმხრივ დაკმაყოფილებას, გამორიცხავს ბიბლიოთეკებს შორის წიგნადი ფონდების ურთიერთ გამოყენების ყოველგვარ ხელოვნურ შეზღუდვას და ითვალისწინებს მაქსიმალური ოპერატიულობით და რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილდეს ორგანიზაციებისა და მკითხველების ყოველი მოთხოვნა წიგნზე.

ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების საბინაო პირობები არ შეეფერება მუშაობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, იმის გამო, რომ განყოფილება ტერიტორიულად დიდი მანძილით არის დაშორებული ლიფტთან, გაძნელებულია წიგნსაცავთან კავშირი.

სუსტად არის დაყენებული საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით ლიტერატურით სარგებლობის საქმე და წიგნის პროპაგანდა, რის გამო მთელი რიგი რაიონების: აბაშის, გეგეჭკორის, დუშეთის, ვანის, მაიაკოვსკის, მარნეულის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, წულუკიძის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის, ბათუმის, ქედის, ხულოს, ლენინგორის, ჯავის, ცხინვალის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკები ვერ სარგებლობენ კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით. საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა უწყების 7.000 ბიბლიოთეკიდან რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით სარგებლობს 1,169 ბიბლიოთეკა. აქედან კულტურის სამინისტროს სისტემის 3.000-ზე მეტი ბიბლიოთეკიდან აბონენტი მხოლოდ 275 ბიბლიოთეკაა (მათ შორის სასოფლო 142).

გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საშუალებით მკითხველების მიერ მოთხოვნილ ლიტერატურაზე გაცემული უარების შესამცირებლად, რის გამო 1969 წელს მკითხველებმა მოთხოვნილი წიგნებიდან ვერ მიიღეს მათთვის საჭირო 3.484 წიგნი. ზოგ შემთხვევაში აბონემენტისადმი უარის თქმა არაობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. ბიბლიოთე-

ბიბლიოთეკათაშორისო აბონენტის განყოფილება არ აწარმოებს წიგნსაცავის ბიერ მკითხველის შეკვეთილ იმ წიგნების განმეორებით მოთხოვნას, რომელთა პირველი მოთხოვნისას აბონენტმა უარი მიიღო.

გადამუშავებას მოითხოვს განყოფილების დებულება, სამუშაო ინსტრუქცია და ნორმები

განყოფილება თავის სტრუქტურით, მუშაობის შინაარსით და მასშტაბით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას წიგნზე. ვერ უზრუნველყოფს კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და სხვა მსხვილი ბიბლიოთეკების მდიდარი წიგნობრივი ფონდების ფართოდ გამოყენებას.

კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კ ო ლ ე გ ი ა ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას (დირექტორი ა. კავკასიძე):

ა) უახლოეს დროში აღმოფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი.

ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით რეგიონალური, უნივერსალური და დარგობრივი ცენტრების საშუალებით არსებითად გარდაქმნას სახალხო მეურნეობის სპეციალისტების; მეცნიერ-მუშაკთა, პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა წიგნით მომსახურება; წლის ბოლომდე მიაღწიოს იმას, რომ პერსონალური და დაუსწრებელი აბონემენტით მოემსახუროს 1000 მკითხველს. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების აბონენტთა რაოდენობა გაზარდოს 2.000-მდე.

ბ) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების საბინაო პირობებისა და წიგნსაცავთან კავშირის გაადვილების მიზნით განყოფილება გადაიყვანოს ისეთ ოთახში, სადც საცავთან კავშირი შესაძლებელი იქნება ლიფტით.

გ) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მიერ წიგნსაცავის განყოფილებიდან წიგნების მიღების წესის განსაზღვრისას სათანადო დოკუმენტებში გაითვალისწინოს ერთი და იგივე წიგნის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების საშუალებით მაქსიმალური ოდენობით გაცემა.

დ) ა/წლის ნოემბრისათვის მოამზადოს და გამოსცეს მეთოდური მითითებანი და პლაკატი ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის შინაარსისა და ამოცანების შესახებ და დროულად დააგზავნოს ადგილებზე გამოსაყენებლად.

ე) გაატაროს საჭირო ღონისძიებები საქართველოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ურთიერთ გამოყენების მოწესრიგებისათვის.

3) რესპუბლიკის მასშტაბით ფართოდ გასწიოს ბიბლიოთეკათა შორისო აბონემენტის პროპაგანდა: წარმოება-დაწესებულებებში ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაატაროს საუბრები ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით წიგნით სარგებლობის შესახებ.

ზ) მთელი შესაძლებლობით იბრძოლოს აბონემენტის მიერ ლიტერატურის მოთხოვნებზე გაცემული უარების ლიკვიდაციისათვის, მოთხოვნილი წიგნების დროულად მიწოდებისათვის და გაცემული წიგნების თავის დროზე დასაბრუნებლად.

2. გააძლიეროს ბიბილოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილება სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით. მისი საქმიანობა გარდაქმნას სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის დებულების შესაბამისად,

3) დამტკიცდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველო და კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი „კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების დებულება“, ბიბლიოთეკის დირექტორმა ამხ. ა. კავკასიძემ დებულების შესაბამისად შეადგინოს და დაამტკიცოს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების თანამშრომელთა მუშაობის შინაგანაწესი.

4. დაევალოს სარაიონო და საქალაქო კულტურის განყოფილებების გამგეებს, სარაიონო და ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკებთან ერთად ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით წიგნით სარგებლობის წესების პროპაგანდა. მაქსიმალურად მიაღწიონ კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ რესპუბლიკური და სხვა დიდი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები-

დან მკითხველებისათვის საჭირო წიგნების მიღებას. ამავე დროს უზრუნველჰყონ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით წიგნების სარგებლობის წესების მტკიცედ დაცვა.

5 .დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ა. კლანდარიშვილი) კ. მარქსის სახ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექციასთან ერთად გადასინჯოს ბიბლიოთეკაათშორისო აბონემენტის განყოფილების კადრების შემადგენლობა და დააკომპლექტოს იგი მაღალკვალიფიციური, საბიბლიოთეკო საქმის მცოდნე მუშაკებით.

6. კ. მარქსის სახ. რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მუშაობის გამოცდილების გასაცნობად ქ. მოსკოვში და ბელორუსიის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მიავლინოს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაკები.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად გააშუქონ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის წიგნის პროპაგანდისა და მკითხველთა მომსახურების საკითხები.

8. ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1969 წლის 25 აპრილის № 185 ბრძანებით

ს ა ბ ჭ ო ს ბ ი უ რ ო ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა

1. **კავკასიძე ა. კ.** — კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი — საბჭოს თავმჯდომარე.
2. **ყურაშვილი ფ. ე.** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფა-

კულტეტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი — თავმჯდომარის მოადგილე.

3. **გორგილაძე რ. დ.** — საქართველოს სსრ სპეციალური — ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი — თავმჯდომარის მოადგილე.

4. **კალანდარიშვილი ა. ი.** — საქართველოს — სსრ კულტურის საშინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

5. **კიპაროიძე გ. ი.** — კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო — რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე — საბჭოს მდივანი.

6. **აბაშიძე გ. ა.** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკური საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი.

7. **თოდუა გ. გ.** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი.

8. **თულაშვილი ი. დ.** — საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე.

9. **აგლაძე ე. ვ.** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.

10. **კიკნაძე პ. ვ.** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე.

11. **ხადური ს. ა.** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

საბჭოს წევრები

1. **კალანდაძე ა .პ.** — საქართველოს სსრ ლიტერატურული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი, პროფესორი.

2. **ჭინჭარაული გ.** — საქართველოს სსრ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმრთველოს უფროსი ინსპექტორი.

3. **ოტიაშვილი ქ. ნ.** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე

4. **ნოდია ო.** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.
5. **კაკულია შ. ვ.** — ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
6. **აბაშიძე გ. ა.** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.
7. **გოგოლაძე ვ. მ.** — ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.
8. **ჩინჩალაძე ზ. თ.** — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამგე.
9. **ჯიშკარიანი გ. ზ.** — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის დირექტორი.
10. **ზამბახიძე ლ. ნ.** — კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, სამეცნიერო დარგში.
11. **გვარამაძე ა. ე.** — ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.
12. **ჯაბუა დ. ა.** — საქართველოს ბიბკოლექტორის დირექტორი.
13. **იზაშვილი თ. ჯ.** — საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.
14. **ჭელიძე ნ. ი.** — ა. ჯაფარიძის სახელობის თბილისის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.
15. **რატიანი ნ. ს.** — თბილისის ახალგაზრდობის საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი.
16. **ბერულავა გ. ქ.** — კ .მარქსის სახ .საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი.
17. **ბახუტაშვილი ე.** —საქართველოს სსრ წიგნის პალატის დირექტორის მოადგილე.
18. **ჯანგულაშვილი თ. ა.** — საინფორმაცია ბიულეტენის „წიგნის სამყაროს“ რედაქტორი.
19. **ჩხაიძე თ. გ.** — საქწიგნის საავაჭრო განყოფილების გამგე.
20. **მეფარიშვილი ს. ნ.** — კ. მარქსის სახ .სახელმწიფო რესპუბლი-

კური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მომსახურების დარგში.

21. **ბუანია ე. ვ.** — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.

22. **ცივაძე ე.** — აჭარის ასსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.

23. **უაუიევი ა.** — სამხრეთ ოსეთის საოლქო ბიბლიოთეკის დირექტორი.

24. **ფანცხავა ნ. ი.** — ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

25 **კოკაია ა. ა.** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

26. **სახაროვი გ. ი.** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის კათედრის გამგე, დოცენტი.

27. **ბარათაშვილი ა. ი.** — ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

28. **ხუციშვილი ს. გ.** — პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

29. **რაზმაძე კ. ს.** — ბიოლოგიურ მეცნიერებათ კანდიდატი, მიწათმოქმედების კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

30. **მუჩიაური კ. კ.** — ფიზიკოსი, მეტროლოგიის ინსტიტუტის სექტორი უფროსი.

31. **ჯიბლაძე დ. ნ.** — დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ერთობლივი დადგენილებები და ბრძანებები, ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირების მიმართვები და რეკომენდაციები

ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრკ პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რსფსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1968 წ. 5 თებერვლის დადგენილება.

ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის წიგნს. ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება წიგნობრივი ფონდები, ფართოდ არის განვითარებული მასობრივი, სამეცნიერო, სპეციალური და სასკოლო ბიბლიოთეკის ქსელი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მშრომელებს მათი ადგილსამყოფელის, მუშაობისა და სწავლის ადგილის მიხედვით. ჭაბუკები და ქალიშვილები წარმატებით სარგებლობენ ამ შესაძლებლობით თავისი ყოველმხრივი განვითარებისა და გონივრული დასვენებისათვის და სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ წიგნისადმი, საკმაო დროს უთმობენ კითხვას, წიგნობრივი სიმდიდრის გაცნობას.

ამასთანავე წიგნის პროპაგანდაში, ბიბლიოთეკების აქტიურ მკითხველთა შემადგენლობაში ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმის საქმეში ჯერი კიდევ ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს.

კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები და კულტურის ორგანოები ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მასობრივ საბიბლიოთეკო მუშაობის ორგანიზაციას, არასაკმაო გავლენას ახდენენ ახალგაზრდა მკითხველების გემოვნების ჩამოყალიბებაზე. ბევრ მასობრივ ბიბლიოთეკას არა აქვს სამკითხველო დარბაზები, საჭირო ავეჯი და საბიბლიოთეკო ტექნიკური საშუალებანი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გასაშლელად.

ბიბლიოთეკებში ცოტა ტარდება საინტერესო ღონისძიებანი სპეციალურად ახალგაზრდობისათვის. ბიბლიოთეკების წიგნობრივ ფონდებს პოლიტიკურ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, სასწავლო და მხატვრულ ლიტერატურით ხშირად აკომპლექტებენ ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფების მოთხოვნილების გაუთვალისწი-

ნებლად. ჭაბუკები და ქალიშვილები სუსტად არიან მიზიდული წიგნის პროპაგანდის მასობრივ მუშაობასა და საბიბლიოთეკო საბჭოების საქმიანობაში.

სსრკ პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რსფსრ კულტურის სამინისტრო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, კულტურის ორგანოებს გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდა ახალგაზრდობაში, უზრუნველჰყონ წიგნობრივი სიმდიდრის აქტიური გამოყენება ჭაბუკებისა და ქალიშვილების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ბიბლიოთეკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — ჩაატარონ ახალგაზრდობაში ფართო ახსნა-განმარტება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ და ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს ერთობლივ საზეიმო სხდომაზე. სადაც მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ნახევარსაუკუნოვანი გზა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივები.

ბიბლიოთეკები ვალდებული არიან უფრო აქტიურად გაავრცელონ ახალგაზრდა მკითხველთა შორის ლიტერატურა, რომელიც განმარტავს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას და გადაწყვეტილებებს, მასობრივი მუშაობის ყველა ფორმებით ხელი შეუწყოს ჭაბუკებსა და ქალიშვილებში კომუნისტური შეგნების, შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის და ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და უცხო მორალისადმი შეურიგებლობის გრძნობების აღზრდას.

ყოველმხრივ გააააქტიურონ ბიბლიოთეკების მუშაობა ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად.

ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკის მუშაკების საზოგადოებრივ მოძრაობას დევიზით: „ლენინის წიგნი — თვითეულ ჭაბუკსა და ქალიშვილს“. იღწვოდენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობა აქტიურად ეუფლებოდეს პოლიტიკურ ცოდნას, მეტს კითხულობდეს და შეისწავლიდეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს.

კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით ფართო პროპაგანდა გაუწიონ ლიტერატურასა და მუშა-პროფესიების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამხედრო-პატრიოტული წიგნების პროპაგანდას ახალგაზრდობაში, საბჭოთა და პროგრესიული მსოფლიო ლიტერატურის პატრიოტულ და გმირულ ტრადიციებზე ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდას.

2. საჭიროა მნიშვნელოვნად ამაღლდეს ბიბლიოთეკების ორგანიზატორული მუშაობის დონე, მეტი რაოდენობით იქნეს მიზიდული ამ საქმეში აქტიური მკითხველები ახალგაზრდობის წრიდან, გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება, მოწესრიგდეს ოპერატიული ინფორმაცია ახალ წიგნებზე, აგრეთვე ლიტერატურაზე აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენებსა და პრობლემებზე. უნდა დამუშავდეს ბიბლიოგრაფიული სიები იმ წიგნებისა, რომლებიც უნდა წაიკითხოს ჩვენმა თანამედროვე ახალგაზრდობამ პოლიტიკის, ეკონომიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესახებ.

ჩაატარონ სისტემატური მუშაობა ახალგაზრდობაში წიგნის შერჩევისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებისათვის, რისთვისაც გამოიყენონ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია, როგორც ჭაბუკებისა და ქალიშვილების თვითგანვითარების, ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების განვითარების საფუძველი.

რესპუბლიკურმა (ასსრ), სამხარეო, საოლქო ბიბლიოთეკებმა პერიოდულად გამოუშვან ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოები მუშებისა და კოლმეურნეებისათვის, რომლებიც პირველად მოვიდნენ წარმოებაში, დაეხმარონ მათ პროფესიების დაუფლებაში.

დაწესდეს მასობრივი ბიბლიოთეკების, მათი ფილიალებისა და მოძრაველების მუშაობის შეთანხმებული გრაფიკი ხუთდღიანი სამუ-

შაო კვირის პირობებში მუშა-ახალგაზრდობის სკოლების განრიგისა და გამოსასვლელი დღეების გათვალისწინებით.

3. მასობრივი სახელმწიფო და პროფკავშირული ბიბლიოთეკების არსებული ქსელის ფარგლებში შეიქმნას სისტემა იმ ახალგაზრდა მუშების საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომსახურებისათვის, რომლებიც მუშაობენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, აგრეთვე ზოგადი განათლების სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და სპეციალური სასწავლებლების მე-9—10 კლასების მოსწავლეთათვის, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების 1—2 კურსების სტუდენტებისათვის.

საბიბლიოთეკო ფონდების სარგებლობის საქმეში ახალგაზრდობისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად ფართოდ განვითარდეს მოძრავი ბიბლიოთეკებისა და წიგნის გაცემის პუნქტების ქსელი საწარმოო უბნებზე, სასწავლებლებში, საერთო საცხოვრებლებში, გაწვევის პუნქტებზე, ახალგაზრდობის დასასვენებელ ადგილებში.

4. წინადადება მიეცეს პროფკავშირების საოლქო, სამხარეო საბჭოებს და ალკკ კომიტეტებს, ასსრ კულტურის სამინისტროებს და სამმართველოებს გააუმჯობესონ ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობა, შექმნან ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ერთიანი მეთოდური ცენტრები ახალგაზრდობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციისათვის და ახალგაზრდობასთან მომუშავე ბიბლიოთეკების დახმარების გასაწევად.

5. ჟურნალებმა: „მოლოდოი კომუნისტ“, „სოვეტსკიე პროფსოიუზი“, „კომსომოლსკაია ჟიზნ“, „სელსკაია მოლოდიოჟ“, „ბიბლიოტეკარ“, „კულტპროსვეტრაბოტა“ „კლუბ ი ხუდოჟესტვენნაია სამოდეიატელნოსტ“, გაზეთებმა: „კომსომოლსკაია პრავდამ“, „ტრუდ“ — სისტემატურად გააშუქონ ბიბლიოთეკების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საუკეთესო გამოცდილება ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის საქმეში.

სასკოლო ასაკის ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ბრძანება

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა და საქართველოს სსრ განათლების მინისტრისა

ქ. თბილისი, № 114/4778, 1961 წ. 11 ოქტომბერი

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის მათი ყოველმხრივი განვითარებისა და პოლიტექნიკური განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას ეწევა 104 სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკა, 2181 დამოუკიდებელი სასოფლო და კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა, 8 მოზრდილთა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება, 3557 სასკოლო ბიბლიოთეკა და აგრეთვე პროფკავშირული ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკები ატარებენ სხვადასხვა სახის აღმზრდელობით მუშაობას ბავშვთა შორის. რესპუბლიკაში იზრდება საბავშვო ბიბლიოთეკების ქსელი, მაგრამ მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების შინაარსი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს და კანონებს სკოლის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცების შესახებ.

ბიბლიოთეკების საქმიანობაში ერთიანობის უქონლობისა და კულტურისა და სახალხო განათლების ორგანოების არასაკმაო ხელმძღვანელობის გამო, მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ არ არის დაკავშირებული ბიბლიოთეკასთან.

ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი დახმარებას არ უწევენ სკოლებს სასწავლო აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელებაში. საბავშვო ბიბლიოთეკებს არა აქვთ კავშირი პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვთა კითხვის ინდივიდუალურ ხელმძღვანელობას.

თბილისის საბავშვო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის 50% მოძრაობაში არ არის და მკვდარ ფონდადაა ქცეული. ასეთივე მდგომარეობაა ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის და სხვა საბავშვო ბიბლიოთეკებში. არ სწარმოებს ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა მოსწავლეთა შორის.

ბევრი ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი გადატვირთულია შინაარსობრივად მოძველებული და გაცვეთილი ლიტერატურით. გარდა ამისა, ბევრია ისეთი წიგნი, რომელიც საბავშვო ასაკს არ შეეფერება.

სასოფლო და პროფკავშირული ბიბლიოთეკები სათანადოდ არ კომპლექტდება საბავშვო ლიტერატურით. სასკოლო ბიბლიოთეკებში ცოტაა წიგნი უმცროსი ასაკის ბავშვთათვის.

არ იბეჭდება კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები ცალკეული კლასებისა და თემების მიხედვით.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თავისი სტრუქტურის მიხედვით ვერ ანხორციელებს საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი ჯეროვან მეთოდურ ხელმძღვანელობას. სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკები არ ეხმარებიან იმ ბიბლიოთეკებს, რომლებიც ეწევიან ბავშვთა წარმომადგენლები. გაშალონ სისტემატური მუშაობა აქტივთან, რივი ორგანოები და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი სათანადო დახმარებას არ უწევენ სასკოლო ბიბლიოთეკებს.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურისა და განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის საოლქო კულტურისა და განათლების განყოფილებები, ქალაქებისა და რაიონების კულტურისა და სახალხო განათლების განყოფილებები საჭირო კონტროლს არ უწევენ და სათანადოდ არ წარმართავენ იმ ბიბლიოთეკების მუშაობას, რომლებიც ბავშვებს ემსახურებიან.

სასკოლო ასაკის ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ კულტურისა და განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის კულტურისა და განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქალაქებისა და რაიონების კულტურისა და განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მოსწავლეთა შორის მთელი საბიბლიოთეკო მუშაობა წარმართონ ძირითადი ამოცანების,—მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საწარმოო—სწავლების შრომასთან კავშირის გაძლიერებისა და მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად შეთვისების განხორციელებისაკენ. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბავშვებში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვას;

ბ) ბიბლიოთეკების მუშაობაში ჩააბან საზოგადოება, მშობლები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. რესპუბლიკურ, საქალაქო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკებში შეიქმნას საბიბლიოთეკო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შეყვანილ იქნან კულტურისა და სახალხო განათლების, კომკავშირული, პიონერული და პროფკავშირის ორგანოების, მასწავლებელთა და მშრომელთა წარმომადგენლები. გაშალონ სისტემატური მუშაობა აქტივთან, თვითეულ საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკასთან, აგრეთვე მოზრდილთა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებებთან ჩამოყალიბდეს ბიბლიოთეკის მეგობართა წრეები.

გ) 1961 წლის განმავლობაში, თვითეული ქალაქისა და რაიონის მხედვით შეიმუშაონ სახელმწიფო და პროფკავშირული ბიბლიოთეკებით, გაცემის პუნქტებითა და მოძრავებით მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი გეგმები, თვითეულ ბიბლიოთეკაზე გააპიროვნონ დასახელებული მიკრორაიონი.

2. ბიბლიოთეკების (რომლებიც ეწევიან ბავშვთა მომსახურეობას) წიგნობრივი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) 1961 წლის განმავლობაში გაწმენდილ იქნას წიგნობრივი ფონდი შინაარსობრივად მოძველებული და გაცვეთილი წიგნებისაგან. აგრეთვე იმ წიგნებისაგან, რომლებიც არ შეესაბამებიან მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.

ბ) ლიტერატურა, რომელიც არაა რეკომენდირებული 1-8 კლასების მოსწავლეთათვის, დაწყებით, რვაწლიანი სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებიდან გადაეცეს სხვა ბიბლიოთეკებს (სახელმწიფო პროფკავშირულ და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებს).

გ) უზრუნველყოფილ იქნას საბავშვო, სასოფლო, სასკოლო და პროფკავშირული ბიბლიოთეკების სისტემატური დაკომპლექტე-

ბა ახალი საბავშვო ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით;

დ) სოფლად ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისათვის 1961-1962 წლების განმავლობაში, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკებთან შეიქმნას საბავშვო ლიტერატურის სპეციალური მოძრავი ფონდი. ამისათვის გამოიყოს წიგნები რესპუბლიკური და საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკების სადუბლეტო ფონდიდან. შემდგომში გათვალისწინებულ იქნას მოძრავი ფონდის მქონე საბავშვო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ასიგნობათა გადიდება.

3. ბიბლიოთეკარების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკების კადრების შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) ყოველთვიურად ჩატარდეს საბავშვო, სასკოლო და სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაკთა საქალაქო და რაიონული სემინარები, მოეწყოს სპეციალური სემინარები სასოფლო და პროფკავშირული ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის (რომლებიც ეწევიან ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურეობას) სემინარების ჩატარების დროს ფართოდ იქნას გამოყენებული მოწინავე ბიბლიოთეკების გამოცდილების გაზიარება.

ბ) ბიბლიოთეკების მუშაკთა სამუშაოზე მიღების დროს მტკიცედ იქნას დაცული სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაცო მოთხოვნები და სასკოლო ბიბლიოთეკების დებულება.

4. რეგულარულად იქნას მოსმენილი ანგარიშები საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ კულტურისა და სახალხო განათლების განყოფილებების გაერთიანებულ სხდომებზე.

5. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის კულტურის განყოფილებამ ქალაქებისა და რაიონების კულტურის განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ 1961-62 წ. წ. განმავლობაში 1-8 კლასების ყველა მოსწავლის ჩაბმა ბიბლიოთეკებში. მათი სისტემატური კითხვა. სახალხო განათლების ორგანოებისა და კომკავშირულ ორგა-

ნიზაციებთან ერთად შეიმუშაონ ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ქსელის პერსპექტიული გეგმა და პირველი დეკემბრისათვის წარუდგინონ საქ. სსრ კულტურის სამინისტროს.

ბ) თვითეულ სასოფლო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკაში ორგანიზებულ იქნას საბავშვო განყოფილება ან საბავშვო ლიტერატურის თაროები და დაწესდეს ბავშვთა მომსახურების დღეები ან საათები.

გ) ბიუჯეტის განაწილების დროს გაითვალისწინონ საბავშვო განყოფილების მქონე ბიბლიოთეკების ასიგნობათა გადიდება. დაკომპლექტებისათვის გათვალისწინებული თანხის საერთო ჯამის 30% დახარჯულ იქნას საბავშვო წიგნების შესაძენად. სასოფლო ბიბლიოთეკებში, რომელთა მკითხველების 30—40% ბავშვები შეადგენენ. გამოიყოს აგრეთვე თანხები 25—30% საბავშვო ლიტერატურის შესაძენად.

6. ყველა უწყების ბიბლიოთეკებისადმი (რომლებიც ეწევიან ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას) ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) ყველა უწყების ბიბლიოთეკების მეთოდური დახმარების ორგანიზაცია და მათი მუშაობის კოორდინაცია დაევალოთ რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებს. რესპუბლიკური და საოლქო საბავშვო ბიბლიოთეკების გახსნამდე მეთოდური ხელმძღვანელობის ფუნქცია დაეკისროს მოზრდილთა სათანადო ბიბლიოთეკებს, სადაც სპეციალურად ამ სამუშაოსათვის გამოიყოს მეთოდისტი. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის, ოლქის ან ქალაქის ცენტრის საუკეთესო საბავშვო ბიბლიოთეკა გამოყენებულ იქნას, როგორც ბაზა.

ბ) 1961 წლის 25 სექტემბრისათვის შემუშავდეს ბიბლიოთეკებისათვის (რომლებიც ეწევიან ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას) მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული დახმარების ერთიანი გეგმა.

გ) რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის და რაიონის საუწყებათშორისო საბიბლიოთეკო საბჭოებთან შეიქმნას საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების სექცია.

დ) 1962 წელს გათვალისწინებულ იქნას რესპუბლიკური და საოლქო საბავშვო ბიბლიოთეკების გახსნა.

7. კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუთან ერთად:

ა) 1961 წლის ბოლომდე მოამზადოს გამოსაცემად ნარკვევი 3-6 კლასების მოსწავლეთა კითხვის კულტურის შესახებ და მშობლებთათვის — „ბავშვთა კლასგარეშე კითხვის ხელმძღვანელობა ოჯახში“.

აღნიშნული შრომების გამოცემა დაევალოს გამომცემლობებს: „ნაკადული“ და „ცოდნა“.

ბ) შეიმუშაოს მოსწავლეთა საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის პერსპექტიული გეგმა 1961-1965 წლისათვის.

8. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების და კულტურის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) სასკოლო ბიბლიოთეკების მასობრივ მუშაობაში მასწავლებლებისა და კლასების ხელმძღვანელების მუშაობაში გაითვალისწინონ მოსწავლეთათვის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ ცოდნათა საფუძვლების გაცნობა.

ბ) გააპიროვნონ ერთერთი სასკოლო ინსპექტორი სასკოლო ბიბლიოთეკებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის მიზნით;

გ) ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ და გაზეთის „სახალხო განათლება“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხები და აგრეთვე სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილების ამსახველი მასალა, ჟურნალში და გაზეთში სისტემატურად მოთავსდეს ინფორმაციები და რეცენზიები ახალ საბავშვო წიგნებზე.

9) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. კალანდარიშვილმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. ჯავახიამ განახორციელონ კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების საქმეში საქართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური

კომიტეტის ერთობლივი

გადაწყვეტილება

25 იანვარი 1968 წელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, კულტურის სამინისტრო და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავენ: საქართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორმა უკანასკნელ პერიოდში შედარებით გააუმჯობესა მუშაობა რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდით დაკომპლექტების საქმეში. ამ მიზნით ბიბკოლექტორმა შესძლო ცოცხალი კავშირის დამყარება რესპუბლიკის ბევრ ბიბლიოთეკასთან და ყურადღებით ეკიდება ბიბლიოთეკების მოთხოვნილებათა შესწავლას.

1967 წელს ბიბკოლექტორმა მეტი ყურადღება დაუთმო ბიბლიოთეკების საკატალოგო ყუთებით უზრუნველყოფას, გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული ბიბკოლექტორიდან განთესილი ბიბლიოთეკის კვლავ ბიბკოლექტორთან დაკავშირებისათვის.

გაუმჯობესდა ბიბკოლექტორის საბინაო პირობები. ბიბკოლექტორს გამოეყო ახალი შენობა 640 კვ. მეტრი, რომლის რემონტი და რეკონსტრუქცია უახლოეს ხანში დამთავრდება.

მიუხედავად ამისა, ბიბკოლექტორის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებია. ბიბკოლექტორმა დღემდე ვერ წარმართა მუშაობა ისე, რომ უზრუნველყოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების საჭირო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა უწყების 6.000 ბიბლიოთეკიდან 2.000 ბიბლიოთეკამ უარი თქვა ბიბკოლექტორთან ხელშეკრულების და-

დებაზე. ბიბკოლექტორს ჩამოცილდა აფხაზეთისა და აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის და რუსთავის ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ნაკლები ყურადღება ეთმობა გამომცემლობათა გეგმების დამუშავებას. ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისას ხშირად გათვალისწინებული არ არის ბიბლიოთეკის პროფილი და რაიონების ეკონომიური თავისებურებანი. ამიტომაც რესპუბლიკის სარაიონო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკები ხშირ შემთხვევაში პროფილის შეუფერებელ წიგნებს და ზედმეტ ეგზემპლარებს იღებენ.

განსაკუთრებით სუსტადაა დაყენებული სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმე. ფაქტიურად ამ ბიბლიოთეკებში არაფრით განსხვავდება მოზრდილთა სარაიონო ბიბლიოთეკებში გაგზავნილი წიგნებისაგან.

ბიბლიოთეკებში გრძელებადი გამოცემების გაგზავნისას ბიბკოლექტორი არ ითვალისწინებს ამა თუ იმ წიგნის წინათ გაგზავნილ ეგზემპლარების რაოდენობას, ამიტომაც სარაიონო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკებში მიღებული ასეთი გამოცემების ტომები თანაბრად არ არის წარმოდგენილი და ბევრი ხარვეზებია. ბიბკოლექტორში არ ეწყობა ახალი წიგნების თემატური-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, შეხვედრები გამომცემლობის მუშაკებთან, მწერლებთან და ავტორებთან, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები და კონსულტაციები იშვიათად ტარდება, არ ეწყობა გამოფენები, არ არის შექმნილი დაკომპლექტების საბჭო.

ბიბკოლექტორი ვერ აკმაყოფილებს ბიბლიოთეკების მოთხოვნილებებს საბიბლიოთეკო ტექნიკის ისეთ ძირითად სახეებზეც, როგორიცაა: მკითხველთა ფორმულარები, საკატალოგო ბარათები, საინვენტარო წიგნები და სხვ.

ჯერ კიდევ ყველა გამომცემლობა ვერ ასრულებს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას მათ მიერ გამოცემულ წიგნებზე საკლასიფიკაციო და საავტორო ინდექსის დასმისა და ანოტაციის შესახებ. ეს კი ბიბკოლექტორს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის ბიბლიოთეკებისათვის გასაგზავნი წიგნების. როგორც პროფილის მიხედვით შერჩევაში ისე ამ წიგნების დაინდექსებაში.

„საქწიგნი" ზოგჯერ არ ასრულებს ბიბკოლექტორის შეკვეთებს. საქწიგნიდან ბიბკოლექტორი ხშირად ვერ იღებს მის მიერ დაკვეთი-

ლი წიგნების რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ „საქწიგნს“ გამომცემლობიდან მთლიანად აქვს მიღებული შეკვეთები.

ცუდათაა დაყენებული ბიბლიოთეკების რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და უცხოური ლიტერატურით მომარაგების საქმეძალზე მცირე ტირაჟით და დაგვიანებით იბეჭდება თემატურ-საგამომცემლო გეგმები ქართულ და რუსულ ენებზე, რესპუბლიკის ბიბლიოთეკები დროულად ვერ ღებულობენ მას. ამიტომ ბიბკოლექტორი იძულებული ხდება თვითონ მიახლოვებით დაადგინოს ეს მოთხოვნილებები. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის პროფილურად დაკომპლექტების საქმეს.

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის პროფილურ დაკომპლექტებას და საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგებას დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ წიგნის პალატის გამოცემები (მატიანები) დროულად არ გამოდის. მაგალითად, 1968 წლის პირველი იანვრისათვის 1967 წლის „წიგნის მატიანეები“ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი სამი ნომერი და ისიც ბიბლიოთეკებში დღემდის არ არის დაგზავნილი.

საქართველოს ბიბკოლექტორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ბაღდავაძემ) „საქ. წიგნმა“ (ამხ. რ. არაშიძე) და ბიბკოლექტორმა (ამხ. დ. ჯაბუა) ბიბკოლექტორის ახალი ეკეთილმოწყობა და რეკონსტრუქცია დაამთავრონ 1968 წლის მარტისათვის და უახლოეს დროში უზრუნველყონ ამ დაწესებულებების სპეციფიკური შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიბლიოთეკების წიგნებით უკეთესად დაკომპლექტებისა და მათი ბიბტექნიკით უზრუნველყოფის მიზნით ქ. სოხუმში და ქ. ბათუმში შეიქმნას საქართველოს ბიბკოლექტორის ფილიალები.

3. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა, აგრეთვე სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების უკე-

თესად დაკომპლექტების მიზნით ბიბკოლექტორთან შეიქმნას სპეციალური განყოფილებები.

დაევალოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საგეგმო საფინანსო განყოფილებას (ამხ. ა. აბზიანიძე) „საქწიგნს“, ბიბკოლექტორს ამ ღონისძიების პრაქტიკულად გატარებისათვის დამატებით გამოუყოს საჭირო რაოდენობით საშტატო ერთეულები.

4. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას (ამხ. ა. აბზიანიძე) და მომარაგება-გასაღების სამმართველოს (ამხ. გ. დონაძე) მიიღონ გადამჭრელი ზომები რესპუბლიკის ბიბლიოთეკებისათვის ყველა სახის ბიბტექნიკის დასამზადებლად საჭირო სპეციალური მასალების დროულად გამოყოფისათვის.

მომარაგება-გასაღების სამმართველომ 1968 წლის პირველი კვარტალისათვის უზრუნველყოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულების შესრულება ბიბკოლექტორისათვის სატვირთო მანქანის შესახებ.

5. პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარმა სამმართველომ (ამხ. გ. ფოჩხიძე) ბიბკოლექტორისათვის ბიბტექნიკის დამზადება დააკისროს რომელიმე სტამბას, უახლოეს ხანში მოამარაგოს იგი საამისო სპეციალური დანადგარებით, საჭირო იარაღით და უზრუნველყოს ბიბტექნიკის დროულად და ხარისხიანად დამზადება.

6. დაევალოს რესპუბლიკის გამომცემლობებს: ა) საგამომცემლო გეგმებით გათვალისწინებული ყველა წიგნი გამოსცენ ამჟამად მოქმედი საკლასიფიკაციო ცხრილების მიხედვით დაინდექსებული და საავტორო ნიშანდასმული. გააუმჯობესონ წიგნის ანოტაციის ხარისხი.

ბ) უზრუნველყონ საგამომცემლო თემატური გეგმების ქართულ და რუსულ ენებზე ანოტაციით თავის დროზე და საკმაო ტირაჟით გამოცემა.

საგამომცემლო თემატური გეგმების შედგენა-განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის სარედაქციო საბჭოებში შეიყვანონ ბიბკოლექტორის, რესპუბლიკური და უმაღლესი სასწავლებლების მსხვილი ბიბლიოთეკების წარმომადგენლები.

6. დაევალოს „საქწიგნს“: ა) ძირეულად გააუმჯობესოს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო კოლექტორის მომარაგება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სასოფლო-სამეურ-

ნეო და სამეცნიერო ლიტერატურით. იმ ანგარიშით, რომ ამ სახის წიგნებით ბიბლიოლექტორმა შესძლოს რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკომპლექტება.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიბლიოლექტორისათვის ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების, აგრეთვე სხვა სასწავლო მეთოდური ხასიათის წიგნების საჭირო რაოდენობით გამოყოფას.

გ) გაატაროს საჭირო ღონისძიებები რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და უცხოური ლიტერატურით მომარაგებისათვის და ამ წიგნებით პირველ რიგში ბიბლიოლექტორის უზრუნველსაყოფად.

დ) საბიბლიოთეკო კოლექტორის ტიპიური დებულების შესაბამისად უზრუნველყოს ახალი წიგნებით პირველ ტირაჟიდან ბიბლიოლექტორის დაკომპლექტება.

ე) დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატას წიგნის, საჟურნალო და საგაზეთო სტატიების მატიანეები, აგრეთვე წიგნობრივი ფონდის ბარათული მატიანე გამოსცეს დროულად, შეუფერხებლად და უზრუნველყოს მათი ბიბლიოთეკებში დაგზავნა ბიბლიოლექტორის მეშვეობით.

8. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის დაკომპლექტების გაუმჯობესების მიზნით მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა და კომპლექტების ერთერთ პირველ წყაროდ მიჩნეული იქნეს ბიბლიოლექტორი და ამ საქმეში ბიბლიოთეკებმა იხელმძღვანელონ „ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტების დებულებით“.

9. დაევალოს საქართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორს (ამხ. დ. ჯაბუა):

ა) რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტების ძირეული გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკაზე შემოიღოს „დაკომპლექტების რუკა“.

ბ) გარდაქმნას დაკომპლექტების საბჭოს მუშაობა და დაკომპლექტების საქმეში ფართოდ ჩააბას კულტურისა და განათლების სამინისტროების პროფკავშირებისა და მსხვილი ბიბლიოთეკების წარმომადგენლები.

გ) უზრუნველყოს რესპუბლიკის რაიონების ეკონომიური სპეციფიკის გულდასმის შესწავლა, საგამომცემლო თემატური გეგმების

საფუძვლიანი დამუშავება და ამის საფუძველზე ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმიანობის წარმართვა.

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასოფლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმეს. განაბორციელოს სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებების შესწავლა და უზრუნველყოს სასოფლო ბიბლიოთეკების პროფილის შესატყვისი და სისტემატური დაკომპლექტება.

ე) ძირეულად გააუმჯობესოს საბავშვო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ხარისხიანობა და არ დაუშვას ამ ბიბლიოთეკებში პროფილის შეუსაბამო წიგნების გაგზავნა.

ვ) შეიმუშაოს და პრაქტიკულად გაატაროს ბიბკოლექტორის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები.

10. კულტურის სამინისტრომ:

ა) მშრომელი მოსახლეობის კომუნისტური აღზრდისა და მათი კულტურულ-მეცნიერული და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე მოთხოვნილებათა საფუძვლიანად გამომდინარე სისტემატური კონტროლი განახორციელოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდით დაკომპლექტების საქმიანობაზე.

ბ) რესპუბლიკის რაიონების ეკონომიური პროფილისა და მათი ეროვნული შემადგენლობის თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული ბიბლიოთეკისათვის შეიმუშაოს დაკომპლექტების მეცნიერულად დასაბუთებული თემატური გეგმა.

გ) სისტემატური ყურადღება მიაქციოს წიგნების დაკომპლექტებისათვის ბიბკოლექტორთან ბიბლიოთეკების მიერ ხელშეკრულების თავის დროზე გაფორმების და ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტექნიკით უზრუნველყოფას, ბიბლიოგრაფიული დახმარება გაუწიოს საქართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორს. რისთვისაც რესპუბლიკის უმსხვილესი ბიბლიოთეკების მონაწილეობით ბიბკოლექტორში მოაწყოს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, კონსულტაციები და ა. შ.

დ) ბეჭდვითი სიტყვის გამომცემლობის და ბიბკოლექტორის მუშაკებთან ერთად მოაწყოს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირები, საგამომცემლო თემატური გეგმების, დაკომპლექტების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვა.

ე) მოაწყოს სემინარები და მოკლევადიანი კურსები რესპუბლიკის ბიბლიოთეკების იმ მუშაკებისათვის, რომლებიც ბიბლიოთეკე-

ბის წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების საქმიანობას ახორციელებენ.

11. ამ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლი დაევალოს: „საქწიგნის“ დირექტორს ამხ. რ. არონიშიძეს და კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსს ამხ. ა. კალანდარიშვილს.

ბიბლიოთეკა მასების კომუნისტური აღზრდის კერაა

მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მიეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბიბლიოთეკის მუშაკთა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი, რომელიც 29-31 მაისს გაიმართა თბილისში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების რესპუბლიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საქალაქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეებმა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მთელი რიგი მოხსენებანი საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება და მიიღეს მიმართვა ამიერკავკასიის ყველა ბიბლიოთეკის მუშაკისადმი.

მ ი მ ა რ თ ვ ა

ამიერკავკასიის ყველა ბიბლიოთეკის მუშაკისადმი

ამიერკავკასიის ბიბლიოთეკათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ სარესპუბლიკათაშორისო თათბირზე, რათა განეხილათ თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და ბიბლიოთეკათა ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ, XXII ყრილობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ადამიანების კომუნისტური მსოფლმხდველობის ჩამოყალიბებაში, თავიანთი სამშობლოს უანგაროდ ერთგული კომუნიზმის მშენებლობის აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის წიგნს, ბიბლიოთეკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ყველა ბიბლიოთეკის მუშაობის საფუძველი გახდა, მათი საქმიანობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. ბიბლიოთეკების მუშაობა დაუახლოვდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, უფრო მიზანსწრაფული, ქმედითი გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულება მოითხოვს აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას სოფლის მშრომელთა შორის. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ბევრი ბიბლიოთეკა ქმედით დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გაფართოებისათვის საბრძოლველად სოფლის მშრომელთა დარაზმვაში. ლიტერატურის პროპაგანდის მჭიდრო კავშირი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებასთან ბიბლიოთეკათა წარმატებით მუშაობის გადამწყვეტი პირობაა.

ყველა მშრომელთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად მუშაობის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრებაში ფართოდ ჩაებნენ აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბიბლიოთეკის მუშაკები, რომლებმაც იკისრეს ვალდებულებანი: აქტიურად დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვაში, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებულობის აღზრდისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში, რესპუბლიკების მეტ წილ რაიონებში დაამთავრონ მუშაობა ყოველ ოჯახში წიგნის ფართო გავრცელებისათვის, ფართოდ ჩააბან საზოგადოება წიგნის პროპაგანდაში.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. უნდა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი და მთელი ჩვენი ძალღონე, ცოდნა და ენერგია მოვახმაროთ კომუნიზმის გაშ-

ლილი მშენებლობის პერიოდში ბიბლიოთეკების საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესების პროგრამის შესრულებას. რაც პარტიამ დაგვისახა.

ძვირფასო ამხანაგებო!

ბიბლიოთეკის მუშაკთა ვალია ფართო პროპაგანდა გაუწიონ წიგნს, მიიტანონ პარტიის სიტყვა თვითეული მშრომელის გულთან, აღანთონ იგი მისწრაფებით—იმუშაოს უკეთ, ვიდრე წინათ, მზრუნველურად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, ფართოდ დანერგონ მეცნიერების მიღწევები და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, გააძლიერონ მუშაობა ყოველ ოჯახში წიგნის ფართო გავრცელებისათვის.

მოაწყონ ბიბლიოთეკათა ახალი ფილიალები, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები, მოძრავი ბიბლიოთეკები, წიგნის გასაცემი პუნქტები, გააფართოონ წიგნის ტარება, რათა ყოველმა საბჭოთა ადამიანმა ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნით.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას უახლესი ლიტერატურით. ყოველი კარგი წიგნი უნდა იყოს ხმარებაში და ხელს უწყობდეს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდას.

ამხანაგო ბიბლიოთეკარებო! უფრო გაბედულად დანერგეთ მკითხველთა წიგნით მომსახურების ყველაზე პროგრესული ფორმები და მეთოდები, შემოიღეთ წიგნადი ფონდის ღია ფორმები, ყოველდღიურად გაუწიეთ პროპაგანდა ბიბლიოგრაფიულ ცოდნას, მტკიცედ დაეუფლეთ პოლიტიკურ ცოდნას, აიმაღლეთ კულტურული ჰორიზონტი, შეისწავლეთ მუშაობის მოწინავე გამოცდილება, უფრო გაბედულად დანერგეთ მკითხველთა მომსახურების ყველაზე პროგრესული ფორმები. ხშირად მიდით საამქროებში, საველე კალოებზე, ფერმებში და შორეულ საძოვრებზე.

ჩვენ, თათბირის მონაწილენი, აღუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ბიბლიოთეკის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის,, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბიბლიოთეკო

მუშაობის აღმავლობისათვის, მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მიღებულია ერთხმად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბიბლიოთეკის მუშაკთა თათბირზე.

ქალაქი თბილისი, 1961 წლის 30 მაისი.

საქართველოს სსრ ბიბლიოთეკების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვა საქართველოს ყველა ბიბლიოთეკის მუშაკისადმი

1968 წ. 27 თებერვალი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა ხალხმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი დიდი შთამაგონებელი და შესანიშნავი მიღწევებით აღნიშნა ცხოვრების ყველა დარგში. საიუბილეო წელი განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მან მემკვიდრეობით გადმოგვცა მძლავრი უმაგალითო რევოლუციური ოპტიმიზმი, მძლავრი შემოქმედებითი ენერგია, შეგვძინა პარტიის, ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება.

საბჭოთა ხალხი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით იბრძვის ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი ღირსეულად შეხვედრისათვის. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, ეხმარებიან პარტიას საბჭოთა ადამიანების კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

50 წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმემ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ბიბლიოთეკები გახდა ნამდვილი სახალხო, ხალხისათვის ხელმისაწვდომი. წარმატებით ხორცი-

ელდება ვ. ი. ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკის სიამაყე და სახელი განისაზღვრება იმით, თუ რა ფართოდ არის გავრცელებული წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მოზიდული, როგორ სწრაფად კმაყოფილდება ყოველი მოთხოვნა წიგნზე.

საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბიბლიოთეკო მშენებლობის საქმეში. ამჟამად საქართველოს მოსახლეობას ემსახურება სხვადასხვა უწყების 7000-ზე მეტი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადა ფონდიც 40 მილიონს აღემატება.

ჩვენ, საქართველოს ბიბლიოთეკების წარმომადგენლები შევიკრიბეთ. ქ. თბილისში რესპუბლიკურ თათბირზე და განვიხილეთ დიდი ოქტომბრის 50 წლის თავზე საბიბლიოთეკო საქმის მიღწევები და ბიბლიოთეკების მომავალი ამოცანები ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

საიუბილეო წლის განმავლობაში საქართველოს ბიბლიოთეკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მთავარი შედეგი ის არის, რომ მათი მუშაობა დაუახლოვდა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, უფრო მიზანსწრაფული და ქმედითი გახდა. ბიბლიოთეკები აქტიურად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვაში, მასების კომუნისტური შეგნებულობის აღზრდისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში. რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში განხორციელდა ყოველი ოჯახის წიგნით მომსახურება და წარმატებით სრულდება კითხვის უნარის მქონე მთელი მოსახლეობის კითხვაში ჩაბმის ამოცანა, გადაჭრით გაუმჯობესდა წიგნადი ფონდების გამოყენება, გაიზარდა მკითხველთა და გაცემული წიგნების რაოდენობა, საბიბლიოთეკო საქმეში ფართოდ მონაწილეობს საზოგადოება, ხორციელდება პარტიის მოწოდება იმის შესახებ, რომ ყოველმა წიგნმა სარგებლობა მოუტანოს რაც შეიძლება მეტ მკითხველს.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. უნდა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი და მთელი ჩვენი ძალღონე, ცოდნა და ენერგია მოვახმაროთ კომუნიზმის გაშლილ

მშენებლობის პერიოდში ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებას.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი საშუალებით განვამტკიცოთ დათვალიერების პერიოდში მოპოვებული მიღწევები და ფართოდ გამოვიყენოთ საიუბილეო წელში შეძენილი მდიდარი გამოცდილება და ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ბიბლიოთეკებმა გადაჭრით აამაღლონ თავიანთი მუშაობის დონე, კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლის საქმეში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ბიბლიოთეკების მუშაკთა ვალია ფართო პროპაგანდა გაუწიონ წიგნს, მიიტანონ პარტიის ყველა სიტყვა თითოეული მშრომელის გულთან. აღანთონ იგი მისწრაფებით — იმუშაონ უკეთ, ვიდრე წინათ, მზრუნველურად გამოიყენონ არსებული რეზერვები, ფართოდ დანერგონ მეცნიერების მიღწევები და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, გააძლიერონ მუშაობა მოსახლეობაში წიგნის ფართო გავრცელებისათვის.

მოსახლეობისათვის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წიგნის მიახლოების მიზნით ფართოდ გამოიყენონ მოძრავი საბიბლიოთეკო ფორმები. მოაწყონ ფილიალები და წიგნის გაცემის პუნქტები, მოძრავი ბიბლიოთეკები, გააფართოონ წიგნდამტარებლობა და სხვა, რათა ყველა მცხოვრებმა შეუფერხებლად ისარგებლოს წიგნით.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების პროფილურ დაკომპლექტებას უახლესი ლიტერატურით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი წიგნი იყოს ხმარებაში და ხელს უწყობდეს მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდას.

ამხანაგო ბიბლიოთეკარებო! უფრო გაბედულად დანერგეთ მკითხველთა წიგნით მომსახურების ახალი ყველაზე პროგრესული ფორმები და მეთოდები, სისტემატურად გამოიყენეთ წიგნადი ფონ-

დით სარგებლობისათვის ღია ფორმები, ფართოდ გაშალეთ მოსახლეობაში: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო, საწარმო-ტექნიკური, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, მხატვრული და სხვა დარგის ლიტერატურის პროპაგანდა, ყოველდღიურად გაუწიეთ პროპაგანდა ბიბლიოგრაფიულ ცოდნას, აიმაღლეთ თქვენი პოლიტიკური და კულტურული ცოდნის დონე, შეისწავლეთ მუშაობის მოწინავე გამოცდილება, ხშირად მიდით უშუალოდ საწარმოო უბნებზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ცალკეულ ბრიგადებში და ფერმებში, იქ, სადაც პრაქტიკულად წყდება კომუნიზმის მატერიალური დოვლათის შექმნის ამოცანა.

ჩვენ, თათბირის მონაწილენი აღუთქვამთ საქართველო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ბიბლიოთეკის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ საქართველოს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო მუშაობის აღმავლობისათვის, მთელი თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით ხელს შეუწყობენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

რეკომენდაციები ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისათვის

მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების ბიბლიოთეკების სამმართველოების, განყოფილებებისა და საბიბლიოთეკო ინსპექციების უფროსების, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიბლიოთეკების დირექტორების თათბირის მიერ. 1967 წ. იანვარი.

მოწონებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს № 68 ბრძანებით, 1967 წ. 21 თებერვალს.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე, მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის უდიდესი ზრდისა და საგამომცემლო საქმის მძლავრი განვითარების პირობებში შექმნილია ბიბლიოთეკების ფართო ქსელი.

1965 წელს ჩვენ ქვეყანაში იყო 370 ათასი სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკა 2.400 მილიონი ეგზემპლარი წიგნობრივი ფონდით, მა-

შინ როდესაც 1914 წელს ითვლებოდა სულ 76 ათასი ბიბლიოთეკა 46 მილიონი ეგზემპლარი წიგნობრივი ფონდით.

ბუმბერაზულად გაიზარდა ბიბლიოთეკების ქსელი და მოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფა მოკავშირე რესპუბლიკებში.

თუკი 1913 წელს უზბეკეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში და თურქმენეთში სრულიად არ იყო მასობრივი ბიბლიოთეკები, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანში ითვლებოდა სულ 25 ბიბლიოთეკა თვითეულში, სომხეთში —13, ამჟამად ყირგიზეთში არის 1.280 მასობრივი ბიბლიოთეკა, უზბეკეთში —4.893, ტაჯიკეთში —963, სომხეთში —1.166, თურქმენეთში —809, საქართველოში —3.083, აზერბაიჯანში —2.413.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფის საქმეში. რევოლუციამდე მასობრივ ბიბლიოთეკებში რუსეთის ყოველ 100 მცხოვრებზე მოდიოდა მხოლოდ 6 წიგნი, ამჟამად მოდის 454 წიგნი; საქართველოში და სომხეთში მოდიოდა ერთი წიგნი, მოლდავეთში —3 წიგნი, ამჟამად საქართველოში მოსახლეობის ყოველ 100 კაცზე მოდის 396 წიგნი, სომხეთში —393, აზერბეიჯანში —396 წიგნი, მოლდავეთში —407 წიგნი.

გაუმჯობესდა მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება. საბიბლიოთეკო წიგნი დაყვანილია დასახლებული პუნქტების უმრავლესობამდე, ხოლო ლიტვაში, ესტონეთში, უკრაინისა და ბელორუსიის ბევრ ოლქში — თვითეულ ოჯახამდე; რუსეთის სფსრ-ის ქალაქებში ბიბლიოთეკებით სარგებლობს ოჯახების 80%-ზე მეტი, სოფლებში —90%. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩაბმულია კითხვაში. თითქმის ყველგან შემოღებულია თავისუფალი დაშვება წიგნის თაროებთან.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ კულტურის ორგანოებისა და ბიბლიოთეკის მუშაკების მიერ ჩატარებულია დიდი ორგანიზატორული მუშაობა.

წიგნობრივი ფონდების ჩამოყალიბებისა და წიგნის პროპაგანდის საქმეში ბიბლიოთეკების დიდ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ ადგილი აქვს წიგნობრივი ფონდების გამოყენების არასაკმაო ეფექტურობას, წიგნების სუსტ ბრუნვადობას როგორც მასობრივ ბიბლიოთეკებში, ისე სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკე-

ბის ქსელში. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მასობრივ ბიბლიოთეკებში წიგნების ბრუნვადობა 1965 წელს შეადგენდა 1,6, ნაცვლად 1.8-სა 1960 წ. განსაკუთრებით დაბალია წიგნების ბრუნვადობა რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო ბიბლიოთეკებში, სადაც 1965 წელს იგი შეადგენდა 0,7%.

მიუხედავად მკითხველთა რაოდენობის ზრდისა და ბიბლიოთეკების, ფილიალების, წიგნის გაცემის პუნქტების და მოძრავი ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოებისა, ყველა მკითხველს არა აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ბიბლიოთეკებით თავიანთი სამუშაო ადგილისა ან ადგილსამყოფელის მიხედვით. სუსტი საბიბლიოთეკო მომსახურება აქვთ ბევრ შორეულ სოფლებს, ქალაქების გარეუბნებს, ახალმშენებლობებს, მცირე საწარმოებს და დაწესებულებებს. ბევრ ბიბლიოთეკაში არასაკმარისად აკმაყოფილებენ მკითხველთა მოთხოვნილებას, განსაკუთრებით მუშებისა და სპეციალისტების მოთხოვნილებას ტექნიკურ და საწარმოო ლიტერატურაზე.

ტექნიკური და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციის პრობლემა წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტებისა და გამოყენების საქმეში ჯერი კიდევ გადაწყვეტილი არ არის. არასაკმარისია წიგნები ნაციონალურ ენებზე, ცოტაა წიგნები ბავშვებისათვის. მთელ რიგ ბიბლიოთეკებში მკითხველები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ჯერ კიდევ ვერ ღებულობს კვალიფიციურ დახმარებას წიგნების შერჩევაში. ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს წიგნების გადანაწილების, პროფილური და დუბლეტური ლიტერატურისაგან მათი გაწმენდის პროცესი. არ არის გადაწყვეტილი აგრეთვე ნაკლებ-გამოყენებული ლიტერატურის სპეციალურ სარეზერვო საცავებში გამოყოფის საკითხი.

მთელი რიგი ბიბლიოთეები, განსაკუთრებით საოლქო და სამხარეო ბიბლიოთეკები, ლიტერატურის უაღრესად დიდ ფონდებს ქმნიან ნაკლებ-გამოყენებული და დუბლეტური ლიტერატურის ხარჯზე. წიგნობრივი ფონდების შემადგენლობაში, და, მაშასადამე, მათი გამოყენების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი აიხსნება აგრეთვე იმით, რომ ხშირად საბიბლიოთეკო კოლექტორები ბიბლიოთეკებში გზავნიან არაპროფილურ, ნაკლებგამოსაყენებელ ლიტერატურას.

მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში საკმაო ყურადღება არ ექცევა ბიბლიოთეკების საორგანიზაციო-მეთოდურ ხელმძღვანელობას და ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ხარისხის კონტროლს.

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და წიგნების ბრუნვადობის ამაღლების მიზნით, თათბირს საჭიროდ მიაჩნია კულტურის ორგანოებისა და ბიბლიოთეკების მუშაობა წარიმართოს შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

1. ბიბლიოთეკების შემადგენლობის გაუმჯობესება და დაკომპლექტების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა;

2. წიგნების პროპაგანდის გაუმჯობესება;

3. წიგნობრივი ფონდების მეცნიერულად დასაბუთებული დაკომპლექტებისა და მათი გამოყენების თეორიული დამუშავება.

წიგნობრივი ფონდების შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მათი დაკომპლექტების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის დარგში

თათბირი ბიბლიოთეკების უპირველეს ამოცანად თვლის წიგნობრივი ფონდების ძირეულ გაუმჯობესებას, რომელთა შემადგენლობა რაც შეიძლება სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა კატეგორიის მკითხველთა მოთხოვნილებას და ითვალისწინებდეს მომსახურების რაიონის, ქალაქის, სოფლის ეკონომიური განვითარების სპეციფიკას, მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობას და კულტურულ დონეს.

ამ მიზნით თათბირი ურჩევს მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, კულტურის საოლქო, სამხარეო სამმართველოებს, კულტურის საქალაქო, რაიონულ განყოფილებებს, ბიბლიოთეკების დირექტორებს (გამგეებს) ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. 1967—1968 წწ. განმავლობაში შეისწავლონ თვითეული ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი, შეადგინონ მისი მოკლე აღ-

წერილობა (პასპორტი), დაადგინონ ხარვეზები, ზედმეტი დუბლეტობა, და არაპროფილური ლიტერატურა სხვა ბიბლიოთეკებში გადასაცემად, აგრეთვე, რაოდენობა ჩამოსაწერი წიგნებისა, რომელთაც დაკარგეს თავიანთი მეცნიერული და მხატვრული ღირებულება, აგრეთვე დაძველებული წიგნების რაოდენობა.

ამავე დროს დაამუშავონ თვითეული ბიბლიოთეკისათვის დაკომპლექტების მეცნიერულად დასაბუთებული თემატური გეგმა მომსახურების რაიონის ეროვნული და ეკონომიური თავისებურებების გათვალისწინებით.

ცენტრალური, საქალაქო და რაიონული ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტება უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება მეტი სისრულით.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისათვის კულტურის ორგანოებთან უნდა შეიქმნას რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომისიები და დაწესდეს მათი მუშაობის გრაფიკი. დაეკისროს ამ კომისიებს სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია დასახული გეგმის განხორციელებაში.

2. თათბირი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოხსენებით ბარათში მოცემულია სწორი შეფასება ბიბლიოთეკების მუშაობისა და წიგნობრივი ფონდების გამოყენების ხარვეზების შესახებ და მიზანშეწონილად თვლის თვითეულ ოლქში, რესპუბლიკაში დაამუშაონ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მიმართული იქნება წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების გაუმჯობესებისაკენ და ეს წინადადებანი შეიტანონ განსახილველად სათანადო ინსტანციებში. წინადადებებში გათვალისწინებულ იქნას ცენტრალიზაცია სახსრებისა სასოფლო და რაიონული ბიბლიოთეკებისათვის ლიტერატურის შესაძენად საოლქო, სამხარეო ან რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი გამომცემლობების მიერ წიგნების გამოცემა ნაციონალურ ენებზე, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების მოზიდვა ხელშეკრულების საფუძველზე, ბიბლიოთეკების პირველ რიგში მომარაგება ლიტერატურით გამოშვების პირველი ტირაჟიდან, პირადი წიგნების საზოგადოებრივ (საბიბლიოთეკო) ფონდში გადაცემის

ინიციატივისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას წიგნობრივი ფონდის გადანაწილება რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის ფარგლებში.

სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების ფონდების უფრო ზუსტი პროფილირებისათვის, წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების კოორდინაციისა და სპეციალისტების მომსახურებაში მათი კოოპერაციის მიზნით შეადგინონ ბიბლიოთეკების მქონე უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით გეგმა.

3. ჩაატარონ საბიბლიოთეკო მუშაკების რაიონული, საქალაქო, ხაოლქო, რესპუბლიკური თათბირები ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებთან და საბიბლიოთეკო კოლექტორებთან ერთად და განიხილონ წიგნობრივი ფონდების შემადგენლობისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების გეგმა.

დააწესონ სემინარების, პრაქტიკუმებისა და სტაჟირების სისტემატური ჩატარება მომსახურების განყოფილებათა მუშაკებისა და დაკომპლექტებისათვის პასუხისმგებელ პირთათვის, მათი მუშაობის პროფილის მიხედვით.

წიგნობრივი ფონდების პროპაგანდის გაუმჯობესების დარგში

თათბირი თვლის, რომ ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების შემადგენლობის გაუმჯობესება, მეცნიერულად დასაბუთებული და გეგმაზომიერი დაკომპლექტების ორგანიზაცია თვითეულ ბიბლიოთეკაში, რომელიც განიხილება როგორც ცალკე რგოლი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიან სისტემაში, ხელს შეუწყობს წიგნობრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას.

ამ მიზნით თათბირი ურჩევს კულტურის ორგანოებს და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს:

1. აამაღლონ ბიბლიოთეკების მუშაობის იდეურ-პოლიტიკური დონე, გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდისა და წიგნობრივი ფონდების ფართოდ გამოყენების ფორმები და მეთოდები და ამ მნიშვნელოვან ამოცანას დაუკავშირონ მთელი მასობრივი და ინდივიდუალური მუშაობა მკითხველებთან. დანერგონ ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში ერთობლივი ღონისძიებების ჩატარე-

ბა ერთიანი გეგმით პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდაში. ერთობლივ ღონისძიებათა ორგანიზაციისათვის მოიზიდონ ტექნიკის სახლები, სპეციალური ბიბლიოთეკები, მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების სპეციალისტები.

2. გააუმჯობესონ და გააფართოონ მუშაობა წიგნობრივ ფონდებთან მოსახლეობის თავისუფალი დაშვებისათვის; წიგნების პროპაგანდისათვის უფრო აქტიურად გამოიყენონ საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო გამოცემები, აგრეთვე კატალოგები და კარტოთეკები, რომლებიც ასახავენ ბიბლიოთეკის ფონდებს. მოაწყონ ბიბლიოთეკებთან წრეები, სემინარები, კურსები მკითხველთათვის ბიბლიოგრაფიული ცოდნისა და კატალოგებით, კარტოთეკებით და საცნობო-საინფორმაციო გამოცემებით სარგებლობის ჩვევების შესათვისებლად.

3. მიაწოდონ მკითხველებს ინფორმაცია სხვა ბიბლიოთეკების ფონდების შემადგენლობის შესახებ, რესპუბლიკურ, სამხარეო და ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში შემოიღონ ნაკრები კატალოგების შექმნა, სასურველია გამოცემათა სახეობის ან ცოდნის ცალკეული დარგების მიხედვით.

4. გააუმჯობესონ რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკათაშორისო და დაუსწრებელი აბონემენტების მუშაობა, შეისწავლონ 1967 წელს საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის გაფართოების შესაძლებლობანი ყველა ბიბლიოთეკისა და მათ შორის, სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის.

ეთხოვოს მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს ამ საკითხის განსახილველად წინადადებები შეიტანოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში 1968 წ. 1 იანვრისათვის.

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტებისა და გამოყენების პრობლემების მეცნიერული დამუშავების დარგში

თათბირი აღნიშნავს, რომ საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებისა და გამოყენების პრობლემების მეცნიერული დამუშავება ჩამორჩება მოთხოვნილებას და არ ეხმარება პრაქტიკას მეც-

ნიერული რეკომენდაციებით. ამას გარდა, თათბირი თვლის. რომ რაციონალური დაკომპლექტებისა და წიგნობრივი ფონდების უფრო სრულად გამოყენების პერსპექტივები მოითხოვენ უფრო სერიოზულ ცვლილებებს საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციასა და ბიბლიოთეკების ერთმანეთთან ურთიერთობაში.

ამასთან დაკავშირებით თათბირი ურჩევს ვ. ი. ლენინის სახელ. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკას და სხვა სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრებს:

1. მოაწესრიგონ ექსპერიმენტული და კვლევითი მუშაობა მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრალიზებული (ფილიალური) სისტემის დანერგვისათვის; ამასთან მხედველობაში იქონიონ რომ ამ სისტემას შეუძლია უზრუნველჰყოს ბიბლიოთეკების ყველაზე უფრო სრული დაკომპლექტება და მათი ფონდების მაქსიმალურად გამოყენება.

2. მოსახლეობის წიგნით მომსახურების ცენტრალიზებული (ფილიალური) სისტემის პრინციპების საფუძველზე გადაისინჯოს 1967—1968 წ.წ. დებულებები და ინსტრუქციები სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების შესახებ, მუშაობის ძირითადი პრინციპები კატალოგების სისტემის ცენტრალიზაციის შესახებ იმ ანგარიშით, რომ 1968 წელს დაინერგოს მეცნიერული რეკომენდაციები ყველა საკითხზე.

3. დაამუშაონ საბიბლიოთეკო მუშაობის ეფექტურობის ანალიზის პრინციპები და მეთოდიკა და წიგნობრივი ფონდების გამოყენების აღრიცხვა.

4. დაამუშაონ პრინციპები და კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ ბიბლიოთეკების სხვადასხვა კატეგორიებისადმი მიკუთვნებას; ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ამჟამად არსებული პრაქტიკა მოძველდა, რომ იგი სრულიად არ უწყობს ხელს ბიბლიოთეკების სწორ დაკომპლექტებას და აბრკოლებს მათი წიგნობრივი ფონდების სრულად გამოყენებას.

საბიბლიოთეკო საქმის ძირითად დარგებში ფართო კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის მიზნით თათბირს მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების შექმნა ვ. ი. ლენინის სახელ. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში,

რომელიც სათავეში ჩაუდგება სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში.

თათბირი მოუწოდებს საბიბლიოთეკო მუშაკებს აამაღლონ ბიბლიოთეკების როლი კომუნისტურ მშენებლობაში, ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი სამშობლოს 50 წლისთავს.

თათბირი თხოვს მთავარ საბიბლიოთეკო ინსპექციას უზრუნველჰყოს დასახულ ღონისძიებათა შესრულება და ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს მას.

უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის ბიბლიოთეკების მუშაკთა რესპუბლიკათშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებზე

(1966 წლის მაისი)

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1966 წლის 5 სექტემბერს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვენ, რომ ბიბლიოთეკების მთელი იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა აქტიურ ზეგავლენას ახდენდეს საბჭოთა ადამიანების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და მიმართული იყოს სოფლის მცხოვრებთა განათლებისა და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობისაკენ.

მაღალი იდეურობა, სოფლის მცხოვრებთა განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, სოფლის მეურნეობის თვითეული მუშაკის აქტიურობისა და ინიციატივის გამოვლინებისათვის

სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ბიბლიოთეკების როლის ამაღლებისათვის რესპუბ-

ლიკათაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საჭიროდ თვლის იხელმძღვანელოთ შემდეგი რეკომენდაციებით:

1. ბიბლიოთეკების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა ხელს უწდა უწყობდეს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას. სოფლის ბიბლიოთეკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს წიგნობრივი ფონდის აქტიური გამოყენება, მკითხველებში სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიით, როგორც წიგნის კითხვისა და მისი პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი საშუალებით დამოუკიდებელი სარგებლობის ჩვევების შემუშავება; ბიბლიოთეკების პრაქტიკაში წიგნის კომპლექსური პროპაგანდის მეთოდის დანერგვა, რაც ხელს უწყობს თემის ყოველმხრივ გაშუქებას, მეცნიერებათა დაკავშირების ჩვენებას, წიგნის შემეცნებითი და ემოციური გავლენის შერწყმას, ადამიანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაზე ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ზეგავლენის გაძლიერებას.

ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდის საქმეში ბიბლიოთეკარებისათვის დახმარების გასაწევად მეთოდურმა ცენტრებმა უნდა შეარჩიონ სოფლის მკითხველისათვის საკითხავი ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობს მისი შეგნების გაფართოებას, ესთეტიკური გამოვლენების განვითარებას, პოლიტიკურ განათლებას და ღრმა და ყოველმხრივი პროფესიული ცოდნის შეძენას.

2. სოფლის ბიბლიოთეკების მუშაობაში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდას: დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე, პარტიასა და ლენინზე, 50 წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევებზე, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაზე, ხალხთა მეგობრობაზე. დიდი ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობაზე არსებული ლიტერატურის პროპაგანდას სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური და ეკონომიური ცოდნის კონკრეტულ პროპაგანდას.

3. მკითხველებთან მუშაობა უნდა წარმოებდეს დიფერენცირებულად. მკითხველთა ცალკე ჯგუფების მომზადების დონისა და იდე-

ური აღზრდის ამოცანების, აგრეთვე მათი პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

კონფერენცია სოფლის ყველა ბიბლიოთეკარის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა მკითხველების, მთელი სოფლის მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნილების სისტემატური შესწავლა მათი შრომის კონკრეტულ პირობებში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყოფაცხოვრების სისტემატური შესწავლა, როგორც საფუძველი მათი წარმატებითი მუშაობისა სოფლის მშრომელთა აღზრდის საქმეში. თვითეული რესპუბლიკის მეთოდურმა ცენტრმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მეცნიერული თემის — „საბჭოთა მკითხველის" დამუშავებაში და სოციოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩაატარონ სოფლის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილების სოციოლოგიური გამოკვლევა.

4. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სოფლის ინტელიგენციის წიგნით მომსახურება. უფრო ფართოდ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა სპეციალისტებს ახლად გამომავალ და არსებულ ლიტერატურაზე, უნდა დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილება საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მეშვეობით.

სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მაქსიმალური დახმარების გაწევა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის.

ამ საქმეში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების მწყობრი სისტემის შექმნას, ოპერატიული, მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებას მეცნიერების უახლეს მიღწევებზე და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილებაზე.

კონფერეცია თვლის, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსალური და სპეციალური სამეცნიერო-სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკების შეერთებული ძალღონით, და იწონებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მომსახურების განყოფილებათა შექმნას რუსეთის სფსრ-ისა და უკრაინის სსრ-ის საოლქო ბიბლიოთეკებში.

5. სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მთელი მუშაობა უნდა წარიმართოს საბჭოთა, კომკავშირული და სხვა

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კულტურის დაწესებულებებთან, რადიოსა, ტელეხედვისა და მწერალთა ორგანიზაციებთან, საზოგადოება „ცოდნასთან“ და სხვ. მჭიდრო კავშირში.

მოწონებულ იქნას ხმელნიცკის ოლქის ბიბლიოთეკების საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან და კოლმეურნეობების გამგეობებთან ერთობლივი მუშაობის გამოცდილება წიგნის პროპაგანდის, სოფლის მშრომელებისა და ბავშვების კითხვაში ჩასაბმელად და ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში.

6. საჭიროდ იქნას ცნობილი სოფლის ბიბლიოთეკებთან სამკითხველო დარბაზების შექმნა, რომლებიც უნდა იქცნენ სოფლად კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრებად, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდის, კითხვის კულტურის განვითარების, მასობრივი ღონისძიებების (ფირფიტების მოსმენით, სამეცნიერო-პოპულარული კინოფილმების, დიაპოზიტივების ჩვენებით და სხვ.) ჩატარების ორგანიზატორად.

7. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ბიბლიოთეკის მუშაკებისა და წიგნის საზოგადოებრივი პროპაგანდისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა გახდეს სოფლის თვითეული მშრომელის, თვითეულ მოსწავლის მიზიდვა ბიბლიოთეკაში წიგნით სარგებლობასა და სისტემატურ კითხვაში.

8. სოფლად საბიბლიოთეკო მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისა და წიგნობრივი ფონდების მაქსიმალური გამოყენების შესაბამისობათა შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი სისტემის პრაქტიკულ განხორციელებას, რაც ითვალისწინებს მასობრივი ბიბლიოთეკების გეგმაზომიერ განლაგებას, თვითეული დასახლებული პუნქტის მომსახურების ორგანიზაციას, სოფლის ყველა ბიბლიოთეკის ძალების კოოპერირებას, კოლმეურნეობებისა და პროფკავშირების სახსრების მოზიდვას.

ამ ამოცანის შესრულებას ხელს შეუწყობს სრულიად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგება და საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი გეგმების დამუშავება.

9. საჭიროა მეთოდური ხელმძღვანელობის სისტემის სრულყოფა: ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ ამ სისტემის საოლქო და რაიონული რგოლები, ავამაღლოთ მეთოდური ცენტრების ორგანიზატორული როლი, განსაკუთრებით ბიბლიოთეკების პრაქტიკაში მოწინავე საბიბლიოთეკო გამოცდილების დანერგვის საქმეში; მეთოდური ხელმძღვანელობა უნდა დავუახლოვოთ თვითეული ბიბლიოთეკის კონკრეტულ მოთხოვნილებას.

პრაქტიკაში უნდა იქნას შემოღებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციის მეთოდური ცენტრების მეთოდური მუშაობის ნაკრები გეგმების დამუშავება.

განყოფილება III

დებულებები, ინსტრუქციები, წესდებები, განმარტებები, მუშაობის ნორმები

სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი, საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, პროფესიული კავშირების ცენტრალურ საკავშირო საბჭოსთან. მინისტრთა საბჭოს დავალებით (1968 წლის 23 დეკემბერი) დაამტკიცა სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ 1969 წლის 7 აპრილს.

1 — საერთო დებულებანი

1. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის (ბშა) ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 916 დადგენილების საფუძველზე, „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის შესახებ“ და მიზნად ისახავს პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების წიგნზე მოთხოვნილების დროულ და ყოველმხრივ დაკმაყოფილებას, აგრეთვე, ქვეყნის ბიბლიოთეკების ფონდების ურთიერთგამოყენების მოწესრიგებას.

2. ბშა-ის ერთიანი საერთო — სახელმწიფოებრივი სისტემა — სავალდებულოა ყველა უწყების ბიბლიოთეკებისათვის, მას საფუძვლად უდევს ბიბლიოთეკათა კოორდინირებული და კოოპერირებული მუშაობა და გამორიცხავს წიგნადი ფონდების ურთიერთ გამოყენების ყოველგვარ ხელოვნურ შეზღუდვას.

3. ბშა-ის ერთიანი — საერთო სახელმწიფოებრივი სისტემა გულისხმობს ბიბლიოთეკების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე

სამამულო და უცხოური ლიტერატურით პროფილის მიხედვით დაკომპლექტებას, დეპოზიტარული ბიბლიოთეკების ქსელის ზრდას, შეერთებული კატალოგების სისტემის შექმნას, ბიბლიოთეკათაშორისო კავშირის გამარტივებასა და რაციონალიზაციას.

4. ბშა-ის ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა აგებულია ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპების მიხედვით, ეს პრინციპი ითვალისწინებს ბშა-ის უნივერსალური და დარგობრივი რეგიონალური ცენტრების შექმნას და ლიტერატურის შეკვეთების ტერიტორიალურ-საფეხურებრივ გადაგზავნასა და მიღებას.

ბშა-ის საერთო — სახელმწიფოებრივი საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციები ეკისრება სსრ კავშირის ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას.

5. ბშა-ის ერთიანი საერთო — სახელმწიფოებრივი სისტემა ითვალისწინებს მაქსიმალური ოპერატიულობითა და რაც შეიძლება სწრაფად დააკმაყოფილოს ორგანიზაციებისა და მკითხველების მოთხოვნები წიგნზე, მტკიცედ დადგენილ ვადებში გადაგზავნოს ლიტერატურა ან ბეჭდური მასალის ასლები, გაუწიოს ფართო ინფორმაცია წიგნადი ფონდების სისტემას საჭირო გამოცემის მოძებნის გასაადვილებლად, დანერგოს სამუშაო პრაქტიკაში მექანიზაციის თანამედროვე საშუალებანი შეკვეთების მისაღებად და გადასაცემად (ტელეფონი, ტელეტაიპი, ფოტოტელეგრაფი და სხვა), ორგანიზაცია გაუკეთოს ასლების გადაღებას და რეპროდუქცირებას იმ გამოცემებიდან, რომელთა გაცემა ბიბლიოთეკის კედლების გარეთ არ შეიძლება, გამოიყენოს შეფუთვისა და გადაგზავნის ყველაზე რაციონალური ტექნიკა.

II — ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საერთო — სახელმწიფოებრივი სისტემის სტრუქტურა

6. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი საერთო — სახელმწიფოებრივი სისტემა იგება სსრ კავშირის ადმინისტრაციულ — ტერიტორიული დაყოფის ბიბლიოთეკების უკვე ჩამოყალიბებული ქსელისა და ტიპების სამეცნიერო — ტექნიკური ინფორმაციის ორგანოების კონკრეტული რეგიონის (რაიონის, ქალაქის, ოლქის, მხარის, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკის) ყველა

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოცულობისა და შინაარსის შესაბამისად.

7. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის კოორდინაციისა და კოოპერირების ძირითად რგოლებს წარმოადგენენ რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრები — უნივერსალური და დარგობრივი:

ა) ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და მუშათა დასახლებების ჩათვლით, ბშა-ის უნივერსალური რეგიონალური ცენტრია სახელმწიფო რაიონული ბიბლიოთეკა.

ბ) საოლქო დაქვემდებარების ქალაქებში ბშა-ის უნივერსალურ რეგიონალურ ცენტრს წარმოადგენს ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა.

ტექნიკური და სხვა სპეციალიზირებული ბიბლიოთეკების ქსელის არსებობის შემთხვევაში, ცენტრალურ დარგობრივ, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებთან და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ტერიტორიულ დარგთაშორისო ორგანოებთან შეთანხმებით, მისგან გამოიყოფა ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის დარგობრივი რეგიონალური ცენტრი (საყრდენი ბიბლიოთეკა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ ქალაქში არ არის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა, ბშა-ს უნივერსალური რეგიონალური ცენტრის ფუნქციები ქალაქის კულტურის განყოფილებასთან შეთანხმებით ეკისრება ერთ-ერთ სახელმწიფო მასობრივ ბიბლიოთეკას.

გ) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებსა და საოლქო და სამხარეო ცენტრებში ბშა-ს უნივერსალურ რეგიონალურ ცენტრს შესაბამისად წარმოადგენენ საოლქო, სამხარეო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ბიბლიოთეკები.

თუ ამ ქალაქებში არსებობს სპეციალიზირებული საოლქო, სამხარეო რესპუბლიკური ბიბლიოთეკები, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკები, ცენტრალურ დარგობრივ ბიბლიოთეკებთან (სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო — ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან, სახელმწიფო ცენტრალურ სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკასთან, ცენტრალურ სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკასთან) — და სამეცნიერო — ტექნიკურ ინფორმაციის

ორგანოებთან შეთანხმებით იქმნება ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის რეგიონალური დარგობრივი ცენტრები ტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის განხრით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უნივერსალური რეგიონალური ცენტრების ფუნქციები ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროთ უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს.

დ) რესპუბლიკაში, სადაც არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ზონები (რსფსრ ,უკრაინის სსრ და სხვა) ზონის ბიბლიოთეკებისათვის რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებად ითვლებიან ზონალური ბიბლიოთეკები.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციებს ასრულებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა.

8. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საკავშირო დარგობრივი ცენტრებია:

ა) საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ხელოვნებათმცოდნეობასა და ენათმეცნიერებაში — სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა მოსკოვში და Შ .ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა — ლენინგრადში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ისტორიაში, სპეციალურ და დამხმარე საისტორიო დისციპლინებში — რსფსრ-ის სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკა — მოსკოვში;

— პედაგოგიურ მეცნიერებაში და სახალხო განათლების დარგში — რსფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის კ. დ. უშინსკის სახელობის სახალხო განათლების—სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა — ქ. მოსკოვში.

— ლიტერატურათმცოდნეობასა და ენათმეცნიერებაში (ლიტერატურა უცხო ენებზე) — უცხოური ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკა — მოსკოვში.

ბ) საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა ლენინგრადში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ ბიბლიოთეკათა ქსელის სექტორი და სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა მოსკოვში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურისათვის — უცხოური ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო ბიბლიოთეკა მოსკოვში.

გ) ტექნიკურ მეცნიერებაში — სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო ტექნიკური ბიბლიოთეკა მოსკოვში და აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების ცენტრლური დარგობრივი სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკები.

დ) სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებში — ცენტრალური სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა მოსკოვში.

ე) სამედიცინო მეცნიერებებში — სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკა მოსკოვში.

ვ) პატენტებში — სსრ კავშირის საპატენტო — ტექნიკური ბიბლიოთეკა.

ზ) სტანდარტებში — სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების საკავშირო საინფორმაციო ფონდი.

III — ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის რეგიონალური უნივერსალური და დარგობრივი ცენტრების ძირითადი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი

9. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის უნივერსალური რეგიონალური ცენტრებია:

ა) რაიონული სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რომელიც ახდენს თავისი რაიონის ყველა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის კოორდინაციას იმისდა მიუხედავად თუ რომელ უწყებას ექვემდებარება ეს ბიბლიოთეკა და რა მოცულობის ფონდი აქვს მას.

— ახორციელებს ინფორმაციას რაიონის ბიბლიოთეკების ფონდების შემადგენლობის შესახებ.

— აკმაყოფილებს აბონენტთა შეკვეთებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდებიდან, ან აგზავნის მოთხოვნებს თავისი რაიონის იმ ბიბლიოთეკაში ,რომლის ფონდებშიაც მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემა.

— თუ ეს გამოცემა რაიონის ბიბლიოთეკებში არ არის, უსვამს შეკვეთის ბლანკს შტამპს: „რაიონში არ არის“ და აგზავნის თემატიკის მიხედვით ბშა-ის საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკურ)რეგიონალურ უნივერსალურ ან დარგობრივ ცენტრში.

ბ) ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა (ან ის ბიბლიოთეკა, რომელიც მის ფუნქციებს ასრულებს):

— ახდენს ქალაქის ყველა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის კოორდინაციას იმისდა მიუხედავად თუ რომელ უწყებას ექვემდებარება ეს ბიბლიოთეკა და რა მოცულობის ფონდი აქვს მას.

— მეთოდურ დახმარებას უწევს და კონსულტაციებს უტარებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტს.

— ახორციელებს შეკვეთების საბოლოო ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას.

— ახორციელებს ინფორმაციას თავისი ქალაქის ბიბლიოთეკების ფონდების შემადგენლობის შესახებ.

— აკმაყოფილებს აბონენტების შეკვეთას თავისი ფონდით ან აგზავნის მოთხოვნებს ქალაქის იმ ბიბლიოთეკაში, რომლის ფონდებშიც მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემა.

— როდესაც მოთხოვნილი გამოცემა ქალაქის არცერთ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდება, აგზავნის შეკვეთის ბლანკს შტამპით: „ქალაქში არ არის“, თემატიკის შესაბამისად, ბშა-ის საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკურ. ავტ. სსრ-ის) რეგიონალურ უნივერსალურ ან დარგობრივ ცენტრში.

გ) საოლქო (სამხარეო რესპუბლიკური — ასსრ-ის) სახელმწიფო ბიბლიოთეკა:

— ახდენს ოლქის, (მხარის, რესპუბლიკის) ყველა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის კოორდინაციას, იმისდა მიუხედავად თუ რომელ უწყებას ექვემდებარება ეს ბიბლიოთეკა და რა მოცულობის ფონდი აქვს მას.

— მეთოდურ დახმარებას უწევს და კონსულტაციას უტარებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტს.

— ახორციელებს შეკვეთების საბოლოო ბიბლიოგრაფიულ დაშუშავებას.

— ახორციელებს ინფორმაციას თავისი ოლქის (მხარის, — რესპუბლიკის) ბიბლოთეკის ფონდების შემადგენლობის შესახებ.

— აკმაყოფილებს აბონემენტთა შეკვეთებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდებიდან, ან აგზავნის მათ ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) იმ ბიბლიოთეკებში, რომელთა ფონდებშიაც მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემები.

— თუ საჭირო გამოცემა ოლქის (მხარის რესპუბლიკის) ბიბლიოთეკაში არ არის აგზავნის შეკვეთის ბლანკს შტამპით: „ოლქში (მხარეში რესპუბლიკაში) არ არის“ ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ზონალურ ცენტრში ან, მოთხოვნის თემატიკის შესაბამისად, რესპუბლიკურ რეგიონალურ ცენტრში — უნივერსალურში ან დარგობრივში. (იმ რესპუბლიკაში, სადაც ზონები არ არის).

— აბონენტების თხოვნით აწარმოებს ლიტერატურის ფოტოპირებსა და მიკროფილმების დამზადებას.

დ) ზონალური ბიბლიოთეკა

მასზე დაკისრებულ ფუნქციების გარდა, როგორც საოლქო რეგიონალური ცენტრი:

— ახდენს ზონის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ცენტრების კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათ.

— ახორციელებს უშუალო კავშირს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საკავშირო ცენტრებთან.

ე) მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა:

— ახორციელებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ცენტრების მუშაობის კონტროლსა და კოორდინაციას რესპუბლიკაში.

— თავისი რესპუბლიკის უნივერსალურ და დარგობრივ ცენტრებთან ერთად ამზადებს მეთოდურ მასალას და დოკუმენტაციას ბშა-ის მუშაობის შესახებ, ატარებს სემინარებს, თათბირებს და ა. შ.

— აკმაყოფილებს აბონენტთა შეკვეთებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდიდან, ან აგზავნის მათ ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) იმ

ბიბლიოთეკებში რომელთა ფონდებშიაც მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემები.

— თუ მოთხოვნილი გამოცემა რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში არ არის, აგზავნის შეკვეთის ბლანკს შტამპით: „რესპუბლიკაში არ არის“ ბშა-ის საკავშირო დარგობრივ ცენტრებში.

— აბონენტების მოთხოვნით აწარმოებს გამოცემათა, ფოტოპირებისა და მიკროფილმების დამზადებას.

10. ბშა-ის დარგობრივი რეგიონალური ცენტრები:

ა) საოლქო დაქვემდებარების ქალაქში არსებული საყრდენი დარგობრივი ბიბლიოთეკა:

— ახდენს ქალაქის ბიბლიოთეკების ბშა-ის მუშაობის კოორდინაციას თავისი თემატიკის მიხედვით.

— მეთოდურ დახმარებას უწევს და კონსულტაციებს უტარებს თავისი დარგის ბიბლიოთეკებს ბიბლოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

— ახდენს შეკვეთების საბოლოო ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას.

— აკმაყოფილებს აბონენტებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ლიტერატურით ან აგზავნის მოთხოვნას ქალაქის იმ ბიბლიოთეკაში, რომლის ფონდებშიც მოიპოვება შეკვეთილი გამოცემები.

— თუ ქალაქის შესაბამისი პროფილის ბიბლიოთეკების ფონდებში და უნივერსალურ რეგიონალურ ცენტრში არ მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემები, საყრდენი დარგობრივი ბიბლიოთეკა გადაგზავნის შეკვეთის ბლანკს შტამპით: „ქალაქში არ არის“ თავისი, ოლქის (მხარის რესპუბლიკის) რეგიონალურ ცენტრებში.

ბ) საოლქო (სამხარეო რესპუბლიკურ) ცენტრში არსებული ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის დარგობრივი რეგიონალური ცენტრი:

— ახდენს ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტების მუშაობის კოორდინაციას თავისი თემატიკის მიხედვით (ტექნიკა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა).

— მეთოდურ დახმარებას უწევს და კონსულტაციებს უტა-

რებს თავისი დარგის ბიბლიოთეკებს ბშა-ის ორგანიზაციის საქმეში.

— ახორციელებს შეკვეთების საბოლოო ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას.

— აკმაყოფილებს აბონენტებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდებში და უნივერსალურ რეგიონალურ ცენტრში არ მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემები, საყრდენი დარგობრივი ბიბლიოთეკა გადაგზავნის შეკვეთის ბლანკს შტამპით: „ქალაქში არ არის" თავისი ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) რეგიონალურ ცენტრებში.

ბ) საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკურ) ცენტრში არსებული ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის დარგობრივი რეგიონალური ცენტრი:

— ახდენს ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტების მუშაობის კოორდინაციას თავისი თემატიკის მიხედვით (ტექნიკა, მედიცინა, სოფლის მეურნეობა).

— მეთოდურ დახმარებას უწევს და კონსულტაციებს უტარებს თავისი დარგის ბიბლიოთეკებს ბშა-ის ორგანიზაციის საქმეში.

— ახორციელებს შეკვეთების საბოლოო ბიბლიოგრაფიულ დამუშავებას.

— აკმაყოფილებს აბონენტთა შეკვეთებს თავისი ბიბლიოთეკის ფონდიდან ან აგზავნის მათ ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) იმ ბიბლიოთეკებში, რომელთა ფონდებშიაც მოიპოვება მოთხოვნილი გამოცემები.

— თუ ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) შესაბამისი პროფილის ბიბლიოთეკაში და უნივერსალურ რეგიონალურ ცენტრში არ მოიპოვება მოთხოვნილი ლიტერატურა, დარგობრივი ცენტრი გადაგზავნის ბლანკ-შეკვეთას შტამპით: „ოლქში (მხარეში, რესპუბლიკაში) არ არის" საკავშირო დარგობრივ ცენტრებში.

— აწარმოებს გამოცემების ფოტოასლებისა და მიკროფილმების დამზადებას.

11. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საკავშირო დარგობრივი ცენტრები:

— ახორციელებს მეთოდურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას თავისი დარგის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მუშაობაზე.

— უზრუნველყოფს ყველაზე რთული შეკვეთების დაკმაყოფილებას იმ სპეციალურ ლიტერატურაზე, რომელიც რეგიონალურ ცენტრებში არ მოიპოვება.

— თუ მოთხოვნილი გამოცემები არ არის მის ფონდებში, აზუსტებს ამ დარგის რომელ ბიბლიოთეკაშია იგი და გადაგზავნის შეკვეთების ბლანკს იმ ბიბლიოთეკაში.

— თუ ამ დარგის ბიბლიოთეკების სისტემაში მოთხოვნილი ლიტერატურა არ მოიპოვება, გადაგზავნის შეკვეთას სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

— ამზადებს გამოცემების ფოტოასლებსა და მიკროფილმებს

12. სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა:

ა) ახდენს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ცენტრების მუშაობის კოორდინაციას და კონტროლს უწევს მათ.

ბ) ახორციელებს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის უნივერსალურ და დარგობრივ ცენტრების მეთოდურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას (ატარებს სემინარებს, თათბირებს, წერილობით და ზეპირ კონსულტაციებს).

გ) დარგობრივ ცენტრებთან ერთად ამზადებს მეთოდურ მასალასა და დოკუმენტაციას ბიბლითეკათაშორისო აბონემენტის მუშაობის შესახებ.

დ) აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება ვერ შეძლო ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის რეგიონალურმა და საკავშირო დარგობრივმა ცენტრებმა.

IV — შეკვეთების მიღება და გადაგზავნა. შეკვეთების შესრულებისა და დაბრუნების ვადები

13. ლიტერატურის გაცემა ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით წარმოებს ერთიანი შეკვეთის ბლანკის საფუძველზე დაწესებულების ბეჭდით (შტამპით) და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

14. ბშა-თი შეკვეთის გამგზავნმა ბიბლიოთეკამ უნდა შეამოწმოს მოთხოვნილი გამოცემის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სისწორე და საჭიროების შემთხვევაში, მიუთითოს მოთხოვნილი გამოცემის დასახელების წყარო.

15. შეკვეთა, თემატიკის გათვალისწინებით, გაიგზავნება საკუთარი რეგიონის უნივერსალურ ან დარგობრივ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკებმა, რომელთაც აქვთ ტელეტაიპი, უნდა გამოიყენონ იგი შეკვეთის გადასაცემად.

16. ამა თუ იმ რეგიონის (რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის) ბიბლიოთეკას შეუძლია მიმართოს არა მარტო ბშა-ის საკუთარ რეგიონალურ ცენტრს, არამედ უშუალოდ ცენტრალურ დარგობრივ ან საკავშირო ბიბლიოთეკებს (თემატიკის გათვალისწინებით), მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად იცის, რომ საჭირო ლიტერატურა არ მოიპოვება თავისი რეგიონის ბიბლიოთეკებში და ნამდვილად არის ბიბლიოთეკა — ადრესატში.

17. შეკვეთები ადგილობრივ გამოცემებზე, როგორც წესი, იგზავნება შესაბამის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში, რომლებიც იღებენ ამ გამოცემების სავალდებულო ეგზემპლარებს. თუ ეს გამოცემა არ არის აღნიშნულ ბიბლიოთეკებში, ისინი წიგნის პალატებთან ან ადგილობრივ გამოცემების მფლობელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ვალდებული არიან მოთხოვნა დააკმაყოფილონ შეკვეთის ასლის გადაღების გზით.

18. არცერთ ბიბლიოთეკას, რომელიც მიიღებს შეკვეთას თავისი თემატიკით, არ აქვს უფლება უარი უთხრას აბონენტს, თუ მოთხოვნილი წიგნი არის მის ფონდში. იმ შემთხვევაში, თუ გამოცემა დაკავებულია, აბონენტს შეატყობინებენ ამას, ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილებას გადასდებენ, სანამ გამოცემა არ განთავისუფლდება.

19. შეკვეთის გადაგზავნა სხვა რეგიონის ბიბლიოთეკაში მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ გამოცემა არ მოიპოვება საკუთარი რეგიონის ბიბლიოთეკებში.

20. შეკვეთილ წიგნებს სხვა რეგიონი პირდაპირ დამკვეთ ბიბლიოთეკას უგზავნის.

21. შეკვეთა უნდა დაკმაყოფილდეს ან გადაეგზავნოს სხვა ბიბლიოთეკებს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

თუ მოთხოვნილება საჭიროებს დამატებითი ბიბლიოგრაფიული სამუშაოს ჩატარებას, ან წიგნი ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა და საჭიროა პირის გადაღება, შეკვეთის დაკმაყოფილების ვადა შეიძლება გაიზარდოს 10 სამუშაო დღემდე.

22. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით ლიტერატურა გაიცემა შემდეგი ვადით: წიგნები — 30 დით, პერიოდიკა — 15 დღით, მიკროფილმები — 45 დღით. ამ დროში არ შედის გადაგზავნისათვის საჭირო დრო. ერთადერთი ეგზემპლიარები და ის გამოცემები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა გაიცემა 10 დღით.

23. თუ მკითხველმა ვადამდე დაამთავრა მუშაობა მიღებულ ლიტერატურაზე, ბიბლიოთეკა ვალდებულია მაშინვე დააბრუნოს წიგნი უკან.

V — ლიტერატურის სახეები, რომელთა გაცემა შეიძლება ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით

24. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით გაიცემა და გაიგზავნება ყველა სამამულო და უცხოური გამოცემები, ერთადერთი ეგზემპლიარის ჩათვლით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა გაიგზავნება მხოლოდ სამეცნიერო და საწარმოო მუშაობისათვის.

25. იმისათვის რომ არ დაიკარგოს ან არ დაზიანდეს იშვიათი და ძვირფასი გამოცემები, ბშა-თი იგზავნება მხოლოდ მათი პირები და მიკროფილმები.

26. გაზეთის კომპლექტები არ იგზავნება, მაგრამ შეიძლება ცალკეული სტატიების ან სხვა საგაზეთო მასალების ასლების გადაღება და გაგზავნა.

27. ხელნაწერები და მასალები ხელნაწერების უფლებით, დისერტაციები და მათი მიკროფილმები ბშა-თი არ გადაიგზავნება.

VI — ბშა-ით გაგზავნილ და მიღებულ გამოცემათა დაცვა

28. მატერიალური პასუხისმგებლობა ბშა-ით მიღებულ გამოცემებზე ეკისრება შემკვეთ ბიბლიოთეკას.

29. იურიდიული საბუთი, რომელიც იძლევა გამოცემის დაცვის გარანტიას, არის სსრკ-ის ყველა ბიბლიოთეკისათვის სავალდებულო ერთიანი ფორმის შეკვეთის ბლანკი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: როცა შეკვეთას ტელეფონით ან ტელეტაიპით გადასცემენ თან შეკვეთის ბლანკს გადაგზავნიან ხოლმე.

30. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით მიღებული წიგნის ან სხვა გამოცემის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია შეცვალოს იგი ასეთივე გამოცემით ან, ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით, დაკარგული გამოცემის ასლით.

31. ქვეყნის ცენტრალური წიგნსაცავიდან ბშა-თი მიღებული წიგნის დასაცავად, ზოგ მათგანს აქვს განსაკუთრებული აღნიშვნა „გაიცემა სამკითხველო დარბაზში". საჭიროა ეს წიგნები გავცეთ მხოლოდ სამკითხველო დარბაზში.

32. წიგნები კარგად უნდა შეიფუთოს და გადაიგზავნოს შეკვეთილი ბანდეროლით ან ამანათით. წიგნის გაგზავნის ღირებულებას იხდის გამგზავნი ბიბლიოთეკა.

33. წიგნის დაკარგვის ან ბშა-ის წესების ხშირი დარღვევისათვის ბიბლიოთეკას შეიძლება დაეხუროს აბონემენტი ამა თუ იმ ვადით.

34. ფოტოპირებისა და მიკროფილმების გადაღება ათი გვერდის რაოდენობით ხდება უფასოდ გამოცემის მფლობელი ბიბლიოთეკის ხარჯზე, უფრო დიდი რაოდენობით — შემკვეთი ბიბლიოთეკის ხარჯზე.

35. სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი, საერთო — სახელმწიფოებრივი სისტემის დებულების შემოღების შემდეგ ბშა-ს ყველა წინათ არსებული დებულება ჩაითვალოს ძალდაკარგულად.

სანიმუშო დებულება

„წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ წოდების მინიჭებისა და მასობრივი ბიბლიოთეკის მუშაკებისა და აქტივისტების საპატიო სიგელით დაჯილდოვების პირობებისა და წესების შესახებ.

დანართი პროფკავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური სამდივნოსა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებისა.

1961 წელი, 22 აგვისტო ,ოქმი № 23—მ. 6.

1. „წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ წოდებისათვის მოძრაობა მიმართულია საბიბლიოთეკო მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის, მშრომელთა ფართო მასებში წიგნის გაძლიერებული პროპაგანდისა, ხალხთა კომუნისტურ აღზრდაში ბიბლიოთეკების როლის ამაღლებისაკენ. „წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ წოდება ენიჭება ბიბლიოთეკას, რომელიც: ყოველდღიურად მრავალმხრივ მუაშობას ეწევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებაში, აქტიურ დახმარებას უწევს მშრომელებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, კომუნისტური შეგნებისა და მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში;

თავის მუშაობას განახორციელებს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, აქტიურად ეხმარება ყველა საწარმოოს ვადაზე ადრე შეასრულონ თავიანთი შვიდწლიანი საწარმოო გეგმები, თითოეული მუშისა და მოსამსახურის აღებული სოციალისტური ვალდებულებები, ფართოდ ავრცელებს მოწინავეთა და ნოვატორთა საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო გამოცდილებებს;

სისტემატურად ეწევა წიგნის პროპაგანდას უშუალოდ საწარმოების საამქროებში, განყოფილებებში, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ფერმებსა და ბრიგადებში, ორგანიზაციას უკეთებს საბიბლიოთეკო მომსახურეობას თითოეულ საწარმოო უბნებში მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში, აგრეთვე მშრომელთა დასახლებებში და ამგვარად წარმატებით

სწყვეტს მნიშვნელოვან ამოცანას წიგნის თითოეულ ოჯახამდე, თითოეულ მუშამდე დაყვანის საქმეში;

შესამჩნევად აღწევს წიგნობრივი ფონდების ბრუნვის ამაღლებას განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის, მოწინავეთა საწარმოო გამოცდილების წიგნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საბუნებისმეტყველო მეცნიერული და ათეისტური ლიტერატურის;

აწყობს მკითხველთა დიფერენცირებულ მომსახურებას, ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიონალური მომზადებისა, ნაციონალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან;

ფართოდ იყენებს თავის პრაქტიკულ მუშაობაში წიგნის პროპაგანდის ყველაზე უფრო ეფექტიურ მეთოდებსა და საშუალებებს წიგნის თაროებთან თავისუფალ დაშვებას, ოპერატიულ საინფორმაციო ბიბლიოგრაფიას, ყველაზე მოქნილ და საინტერესო ინდივიდუალური და მასობრივი მუშაობის ფორმებს მკითხველებთან.

ყოველმხრივ აუმჯობესებენ და აფართოებენ წიგნის პროპაგანდას, იზიდავენ ამ მუშაობაში ფართო საზოგადოებრივ აქტივს, ბიბლიოთეკის საბჭოს, საზოგადოებრივ ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოთეკარ-მემოძრაველებს, წიგნდამტარებლებს და სხვას;

წიგნის საზოგადოებრივი პროპაგანდისტების ძალებით სისტემატურად ატარებენ მკითხველთა კონფერენციებს, საუბრებს და წიგნის კოლექტიურ განხილვებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს. ორგანიზაციას უკეთებენ წიგნის გამოფენასა და სხვა ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ლიტერატურის უკეთეს პროპაგანდას და ახალი მკითხველის მოზიდვას ბიბლიოთეკაში; რეგულარულად ანგარიშს აბარებს მოსახლეობას თავისი მუშაობის შესახებ. უზრუნველყოფენ ოპერატიულ და პროფილურ დაკომპლექტებას, ფართოდ იყენებენ საინფორმაციო სარეკომენდაციო სიებს, შეკვეთის ბლანკებს, საგამომცემლო თემატურ გეგმებს, ავსებს წიგნობრივ ფონდებს იმგვარად, რომ ყოველმხრივ დააკმაყოფილოს მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება წიგნზე, ქმნის საჭირო პირობებს მკითხველთა ნაყოფიერ მუშაობისათვის, ცდილობს წესრიგში მოიყვანოს ბიბლიოთეკის შენობა და კეთილმოაწყოს ბიბლიოთეკის ახლო მდებარე ტერიტორია.

2. „წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ წოდება მიენიჭება ბიბლიოთეკებს აღებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, ბიბლიოთეკის კოლექტივი მოპოვებულ უფლებებისათვის იწოდება „წარჩინებულ მუშაობის ბიბლიოთეკად“, გადაეცემა დიპლომი. „წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ საუკეთესო მუშები და აქტივისტები ბიბლიოთეკისა დაჯილდოვდებიან პროფკავშირების საბჭოებისა და კულტურის სამმართველოების საპატიო სიგელებით.

მიღებული ვალდებულებების შემოწმება, ბიბლიოთეკის წარდგინება მისანიჭებელ წოდებაზე და ბიბლიოთეკებისა და აქტივისტების საპატიო სიგელებით დაჯილდოვება წარმოებს პროფკავშირული კომიტეტების, ცალკეულ ბიბლიოთეკის საბჭოების საბიბლიოთეკო მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოებსა და კულტურის განყოფილებების მიერ.

ბიბლიოთეკებზე წოდების მინიჭებას და ბიბლიოთეკებისა და აქტივისტების დაჯილდოებას აწარმოებს საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკური), პროფესიული საბჭოები და კომიტეტები, აგრეთვე საოლქო (სამხარეო) კულტურის სამმართველოები ან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები.

სანიმუშო დებულება ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საბჭოს შესახებ

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1961 წ. 20 ივლისს.

1. ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საბჭო ეწყობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საოლქო, სამხარეო, საქალაქო (რესპუბლიკების დაქვემდებარების ქალაქების) აღმასკომების კულტურის სამმართველოების (განყოფილებების) საბიბლიოთეკო კოლექტორებთან.

2. საბჭო წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანოს, რომელიც ხელს უწყობს ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკების დაკომპლექტების გაუმჯობესებას. მის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

მეთოდური და საკონსულტაციო დახმარების გაწევა კოლექტორისა და ბიბლიოთეკებისათვის დაკომპლექტების ორგანიზაციის საქმეში; კონტროლის გაწევა კოლექტორის მუშაობაზე.

3. დაკომპლექტების საბჭოს ფუნქციას შეადგენს:

ა) ოლქის, მხარის, რესპუბლიკის საწარმოო-ეკონომიური და კულტურული პროფილის შესწავლა ბიბლიოთეკების პროფილური, დიფერენცირებული დაკომპლექტების ორგანიზაციისათვის;

ბ) ბიბლიოთეკებისათვის დახმარების გაწევა ლიტერატურის დაკვეთების შედგენაში ცოდნის ყველა დარგში, ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობების თემატური გეგმების, „დაკვეთების ბლანკების" და სხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მიხედვით, რაიონის ეკონომიური და კულტურული პროფილის შესაბამისად;

გ) კოლექტორისათვის დახმარების გაწევა ბიბლიოთეკების დაკვეთების განხილვასა და ანალიზში და კოლექტორის საერთო დაკვეთების შედგენაში;

დ) კოლექტორისათვის დახმარების გაწევა წიგნების თემატური გამოფენების, მიმოხილვების,, ინფორმაციების მოწყობაში — გამოსაცემი და არსებული ლიტერატურის შესახებ, დაკომპლექტების ჩატარებაში;

ე) ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების შესწავლა, მათი დაკომპლექტების ხარვეზების დადგენა, ლიტერატურაზე ბიბლიოთეკების მოთხოვნილების გამორკვევა და წინადადებათა დამუშავება ბიბლიოთეკების დაკომპლექტების გასაუმჯობესებლად;

ვ) კონტროლი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების პროფილურ, დიფერენცირებული დაკომპლექტების სისწორეზე, ცოდნის ყველა დარგში;

ზ) იმ წიგნების განაწილებაში მონაწილეობა, რომელსაც განსაზღვრული რაოდენობით ღებულობს საბიბლიოთეკო კოლექტორი;

თ) ბიბლიოთეკების მუშაკების, მკითხველთა აქტივის შეხვედრების მოწყობა საბიბლიოთეკო კოლექტორის და გამომცემლობების მუშაკებთან. მიმდინარე და პერსპექტიული საგამომცემლო გეგმების განსახილველად, აგრეთვე შეხვედრები მწერლებთან მათი ნაწარმოებებისა და შემოქმედებითი გეგმების განხილვისათვის;

ი) დახმარება კოლექტორის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა მომზადებასა და ჩატარებაში.

4. საბჭოს შემადგენლობაში შედის ბიბლიოთეკების ქსელის მქონე ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკების მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები, კულტურის საოლქო, სამხარეო და საქალაქო სამმართველოები (განყოფილებები).

საბჭო თავის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იზიდავს ბიბლიოთეკების მუშაკებისა და მკითხველთა აქტივს.

დებულება საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკების სამხარეთმცოდნეო მუშაობის შესახებ

დამტკიცებულია რსფსრ კულტურის სამინისტროს მიერ 1959 წ. 29 ივნისს

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების—კომუნისტური საზოგადოების მშენებლების — აღზრდა გულისხმობს ქვეყნის საწარმოო ძალების ფართოდ შესწავლას და გამოყენებას, კომუნისტური შეგნების, მშრომელთა აქტიურობისა და თვითმოქმედების ამაღლებას.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული საწარმოო ძალების განაწილება სსრ კავშირის ტერიტორიაზე, მხარეების, ოლქების, რესპუბლიკებისა და მსხვილ ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება ადგილობრივი მუშაკებისაგან მოითხოვს თავის მხარის, მისი ბუნებრივ, ეკონომიურ და ისტორიულ თავისებურებათა და მატერიალური რესურსების საფუძვლიან და ყოველმხრივ ცოდნას.

მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაზე საოლქო ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ა) მხარეში კომუნისტური მშენებლობისათვის აქტიური დახმა-

რების გაწევა და მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა;

ბ) საბჭოთა ადამიანებში, და პირველ ყოვლისა ახალგაზრდობაში, საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობისა და თავის მხარისათვის სიამაყის გრძნობის აღზრდა, მისი ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვაზე ზრუნვა;

გ) მხარის ბუნებრივი სიმდიდრის გამოვლინებასა და გამოყენებაში, მისი ისტორიისა და კულტურის შესწავლაში დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, მხარის მკვლევარებისათვის დახმარების გაწევა;

დ) მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ნოვატორების მოწინავე გამოცდილების დანერგვა და გავრცელება.

1. მ ხ ა რ ე თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ი ს ფ ო ნ დ ი, მ ი ს ი დ ა კ ო მ პ ლ ე ქ ტ ე ბ ა დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

1. საოლქო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის ფონდი კომპლექტდება მაქსიმალური სისრულით შემდეგი გზით:

ა) ფასიანი სავალდებულო ეგზემპლარის მიღებით;

ბ) ადგილობრივი სავალდებულო ეგზემპლარის მიღებით;

გ)ადგილობრივ დაწესებულებებთან ან ორგანიზაციებთან ხელშეკრულების თანახმად ლიტერატურის მიღებით;

დ) ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერით;

ე) ლიტერატურის შეძენით საოლქო საბიბლიოთეკო კოლექტორში და წიგნის მაღაზიებში;

ვ) საჩუქრის წესით ლიტერატურის მიღებით;

ზ) წიგნების გაცვლის ოპერაციებით და მუზეუმებისაგან, არქივებისა და სხვა დაწესებულებებისაგან, გადაცემის წესით, ლიტერატურის მიღებით;

თ) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის (რომელიც ბიბლიოთეკაში არ არის და ადგილობრივი პერიოდული გამოცემების მიკროფილმირებით;

2. მხარეთმცოდნეობის ფონდების შენახვა და ორგანიზაცია ადგილობრივი პირობების მიხედვით ხორციელდება ორი გზით:

ა) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურა ინახება საერთო ფონდში;

ბ) მხარეთმცოდნეობის ფონდი გამოიყოფა საერთო ფონდიდან და მასში შეაქვთ მხარეთმცოდნეობის მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც მთლიანად მხარეს ეძღვნება;

გ) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ფონდისათვის შემოღებულია პირობითი ნიშანი, რომელიც უერთდება ინდექსს. მხარეთმცოდნეობის ფონდის გამოყოფისას ეს ნიშანი ემატება ინდექსს წიგნზე და ბარათზე. თუკი მხარეთმცოდნეობის ლიტერატურა საერთო ფონდში ინახება, ნიშანი მხოლოდ ბარათზე დაისმება.

II. ბიბლიოთეკების საბიბლიოგრაფიო მუშაობა მხარეთმცოდნეობის დარგში

1. საბიბლიოგრაფიო მუშაობა მხარეთმცოდნეობის დარგში შეიცავს:

ა) საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაციას;

ბ) სამხარეთმცოდნეო ხასიათის ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების შექმნას;

გ) საცნობო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო მუშაობას;

დ) ბიბლიოთეკის ყველა განყოფილებისათვის დახმარებას მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში;

2. საოლქო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი შემდეგი ნაწილებისაგან შესდგება:

ა) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრები კატალოგი, რომელიც შეიცავს წიგნების, კრებულებისა და ჟურნალ-გაზეთების აღწერილობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ფონდში არსებული მხარეთმცოდნეობის ლიტერატურა აისახება აგრეთვე სისტემატურ და ანბანურ კატალოგებში.

2. კატალოგით მოხერხებული სარგებლობისათვის საგაზეთო წერილების დაჯგუფება სასურველია გაიმიჯნოს განსაკუთრებული გამყოფი ნიშნებით.

ბ) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის სარეკომენდაციო კარ-
ტოთეკა;

გ) ადგილობრივი პერიოდული და სხვა გამოცემების კარტო-
თეკა;

დ) ადგილობრივი გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნე-
ბის ქრონოლოგიური კატალოგი;

ე) სამხარეთმცოდნეო ხასიათის საცნობარო და ბიბლიოგრაფი-
ული სახელმძღვანელოების ფონდი;

ვ) სამხარეთმცოდნეო თემატიკის შესრულებული ცნობების
ფონდი;

ზ) სამხარეთმცოდნეო შინაარსის საგაზეთო ცნობების თემა-
ტური ალბომები და საქაღალდეები;

მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრები კატალოგი ასა-
ხავს ბეჭდვით სიტყვის ყველა ნაწარმოებს მხარის შესახებ, მიუხე-
დავად იმისა, მოიპოვება თუ არა ისინი ამ საოლქო ბიბლიოთეკის
ფონდში. ბიბლიოთეკაში არსებული მხარეთმცოდმეობის ლიტერა-
ტურის ნაკრებ კატალოგში შეიძლება იყოს შემდეგი ნაწილები:
ასსრ) სხვა ბიბლიოთეკებში, და აგრეთვე ცენტრალურ ბიბლიოთე-
კებში არსებული ლიტერატურის აღწერილობას თან ერთვის ნიშნები
მათი ადგილსამყოფელის შესახებ. მხარის შესახებ ლიტერატურის
ნაკრები კატალოგის შედგენისას აწარმოებენ გამოყენებული წყა-
როების საკონტროლო კარტოთეკას. მხარეთმცოდნეობის ლიტერა-
ტურის ნაკრებ კატალოგში შეიძლება იყოს შემდეგი ნაწილები:

1. სისტემატური.
2. ტოპოგრაფიული (მხარის ქალაქები და რაიონები).
3. ბიბლიოგრაფიული (პერსონალიები)

კატალოგის სისტემატური ნაწილი აიგება მხარეთმცოდნეობის
ლიტერატურის კლასიფიკაციისათვის მიღებული სქემის მიხედვით.

კატალოგის ტოპოგრაფიულ ნაწილში ლიტერატურა ჯგუფდება
ანბანური წესით რაიონების მიხედვით, საოლქო ცენტრის გამოყო-
ფით; რაიონის შიგნით მასალა ლაგდება იმავე წესით, როგორც სი-
სტემატურ ნაწილში.

იმ შემთხვევაში თუ საოლქო ბიბლიოთეკას არა აქვს საშუა-
ლება გამოჰყოს კატალოგში ტოპოგრაფიული ნაწილი, ლიტერატუ-
რა მხარის ცალკეული ქალაქების, რაიონებისა და დასახლებული

პუნქტების შესახებ შეიძლება აისახოს ტოპოგრაფიული დაყოფის საშუალებით ნაკრები კატალოგის სისტემატური ნაწილის ძირითად განყოფილებათა შიგნით.

კატალოგის ბიბლიოგრაფიული ნაწილი ასახავს ადგილობრივ მოღვაწეთა ნაწარმოებებს და ლიტერატურას მათ შესახებ. მასალა ლაგდება ანბანური წესით გვარების მიხედვით ან ჯგუფდება სისტემატური წესით. თუ ბიბლიოგრაფიული ნაწილის გამოყოფის საშუალება არ არის, ლიტერატურა ადგილობრივი მოღვაწეების შესახებ შეიძლება აისახოს კატალოგის სისტემატური ნაწილის შესაბამისად დარგობრივ განყოფილებებში.

ადგილობრივ გამოცემათა კატალოგში მასალა ლაგდება ქრონოლოგიური წესით; ერთი წლის ფარგლებში — ანბანური წესით ავტორებისა და წიგნების სახელწოდების მიხედვით.

3. ბიბლიოთეკები ადგენენ და გამოსცემენ მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს:

ა) ზოგადი ხასიათის ლიტერატურის საძიებლებს მხარის შესახებ („რა წავიკითხოთ... მხარის (ოლქის) შესახებ");

ბ) თემატურ სახელმძღვანელოების მხარის ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ, აგრეთვე მხარის სახალხო მეურნეობის, კულტურის, ისტორიის აქტუალური საკითხების შესახებ;

გ) ადგილობრივი სამახსოვრო თარიღების კალენდრებს;

დ) ბიბლიოგრაფიულ პლაკატებს;

ე) მხარის შესახებ ცალკეული ღირსშესანიშნავი წიგნებისადმი მიძღვნილ ფურცლებს;

ვ) ცნობებს ადგილობრივ მოღვაწეთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ;

4. მხარის ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და ათვისების საქმეში მისი ეკონომიკის, ისტორიისა და კულტურის საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში პარტიული, სამეურნეო და სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საოლქო ბიბლიოთეკები ადგენენ და გამოსცემენ მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის სამეცნიერო-საინფორმაციო ბიბლიოგრაფიას:

ა) მიმდინარე ლიტერატურის საძიებლებს მხარის შესახებ (ყოველკვარტალურს, ნახევარწლიურს, წლიურს);

ბ) მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ზოგად დარგობრივ და თემატურ რეტროსპექტულ საძიებლებს.

გ) პერსონალურ საძიებლებს და ბიბლიოგრაფიულ სამხარეთმცოდნეო ლექსიკონებს („... მხარის მწერლები", მხარის რევოლუციური მოღვაწენი" და სხვ);

დ) ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) სამეცნიერო დაწესებულებათა შრომებისა და ადგილობრივი პერიოდული გამოცემების საძიებლებს;

ე) ადგილობრივი პერიოდული და სხვა, მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემების შინაარსის საძიებლებს.

5. საოლქო ბიბლიოთეკები ადგენენ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს მხარის შესახებ ოლქის (მხარის, ასსრ) თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ფარგლებში.

დიდ ეკონომიურ-გეოგრაფიულ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებზე (ურალი, ციმბირი, ვოლგისპირეთი და სხვ.) ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენა ხორციელდება ამ ზონის ან რაიონის ბიბლიოთეკების მუშაობის კოოპერირებისა და კოორდინაციის გზით.

6. ბიბლიოთეკების მიერ მომზადებული მხარეთმცოდნეობის ხასიათის ბიბლიოგრაფიული მასალები ქვეყნდება აგრეთვე ადგილობრივ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებში ბიბლიოგრაფიის სახით.

III. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობა

საოლქო ბიბლიოთეკები ეწევიან ადგილობრივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, ბიბლიოთეკების, მკითხველების საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას: აწარმოებენ შიმდინარე ინფორმაციას მხარეთმცოდნეობის ახალ ლიტერატურაზე, რისთვისაც იყენებენ ახლადმიღებული ლიტერატურის ბიულეტენებს, ახალი წიგნების კარტოთეკებს, გამოფენებს და მიმოხილვებს როგორც ბიბლიოთეკაში, ისე მისი ფარგლების გარეთ. პრესას, რადიოს, ტელეხედვას და სხვ.; ატარებენ მკითხველების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისა და და-

წესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკების, მრეწველობის ნოვატორებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინფორმაციას.

მხარის შესახებ საუკეთესო ლიტერატურის მკითხველებისათვის გასაცნობად საოლქო ბიბლიოთეკა აწყობს წიგნის გამოფენებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, ლექციებს, თემატურ და ლიტერატურულ საღამოებს, მხარეთმცოდნეობის წრეებს და სხვ.

IV. სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა

საოლქო ბიბლიოთეკები დახმარებას უწევენ თავის ოლქის (მხარის, ასსრ) ბიბლიოთეკებს და კულტურის სხვა დაწესებულებებს მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაზე მუშაობის მოწესრიგებაში:

ა) ამუშავებენ მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის თეორიისა და მეთოდიკის საკითხებს;

ბ) ოლქის ბიბლიოთეკებისათვის ადგენენ მხარეთმცოდნეობის ხასიათის მეთოდურ და ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს;

გ) ატარებენ მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის მიმოხილვებს და მეცადინეობას ამ ლიტერატურაზე მუშაობის მეთოდიკაში, აგრეთვე მხარის ბიბლიოთეკების სამხარეოთმცოდნეო მუშაობის მიმოხილვებს;

დ) იძლევიან ზეპირ და წერილობით კონსულტაციებს და ინსტრუქციებს მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაზე მუშაობის საკითხებზე;

ე) შეისწავლიან და განაზოგადებენ ოლქის (მხარის, ასსრ) ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილებას მხარეთმცოდნეობის ლიტერატურაზე მუშაობის დარგში.

V. სამხარეოთმცოდნეო მუშაობის ორგანიზაცია და დაგეგმვა საოლქო ბიბლიოთეკებში

1. საოლქო ბიბლიოთეკები ეწევიან სამხარეოთმცოდნეო მუშაობას ოლქის (მხარის, ასსრ) ტერიტორიაზე მყოფ ყველა უწყებისა და სისტემის სამეცნიერო და სპეციალურ ბიბლიოთეკებთან, აგრეთვე მხარეთმცოდნეობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზა-

ციებთან და დაწესებულებებთან (მხარეთმცოდნეობის მუზეუმები და საზოგადოებანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალები და განყოფილებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად — საკავშირო საზოგადოების განყოფილებანი, სრულიად — საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილებანი და სხვ. შეთანხმებით.

2. საოლქო ბიბლიოთეკები, როგორც ამა თუ იმ ოლქის (მხარის. ასსრ) ტერიტორიაზე მყოფ ყველა უწყებისა და ტიპის ბიბლიოთეკების სამხარეოთმცოდნეო მუშაობის ცენტრები, ადგენენ ოლქის (მხარის, ასსრ) ბიბლიოთეკების სამხარეოთმცოდნეო მუშაობის პერსპექტიულ და წლიურ საერთო გეგმებს პერსპექტიული სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად და კონტროლს უწევენ მათ შესრულებას.

3. საოლქო ბიბლიოთეკებში, რომელთაც ეკისრებათ ბიბლიოთეკების ზონალურ გაერთიანებათა მუშაობის ხელმძღვანელობა, ეწყობა ზონალური სამხარეოთმცოდნეო ბიბლიოგრაფიის სექტორი, რომელიც ანხორციელებს სამხარეოთმცოდნეო ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინაციას ზონის ფარგლებში, ხელმძღვანელობს ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების შედგენას, რედაქციას უწევს და დასაბეჭდად ამზადებს ამ სახელმძღვანელოებს.

4. საოლქო ბიბლიოთეკები ეწევიან ყველა ღონისძიებათა აღრიცხვას სამხარეოთმცოდნეო მუშაობის დარგში იმ წესებისა და ფორმების მიხედვით ,რომელიც დაწესებულია სხვა სახის საბიბლიოთეკო მუშაობის აღრიცხვისათვის.

✓ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებით (ამონაბეჭდი)

23. საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭებათ ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, აგრეთვე საბიბლიოთეკო დარგის მუშაკებს, რომლებმაც სპეცია-

ლობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

33. საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭებათ კულტურის სახლებისა და სასახლეების, არქივების, კლუბების, პარკების, მუზეუმების, ხალხური შემოქმედების სახლების, მეთოდური კაბინეტების, კინოთეატრების, კინოდანადგარების, კინოფილმების გაქირავების კანტორების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების, პოლიგრაფიის მუშაკებს, საზოგადოება „ცოდნის" და სხვა ორგანიზაციების ლექტორებს, რომელთაც კულტურის დარგში იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მასობრივი ბიბლიოთეკების ერთიანი ქსელის ორგანიზაციის ძირითადი

დებულება

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით

(შეთანხმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან)

1. უნივერსალური ფონდების მქონე ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა, რომლებიც აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას ლიტერატურაზე, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა, შეადგენს მასობრივი ბიბლიოთეკების ერთიან ქსელს.

2. ერთიანი საბიბლიოთეკო ქსელი იქმნება მასობრივი ბიბლიოთეკების განლაგების, მათი მატერიალური რესურსებისა და ძალე-

ბის კოორდინაციისა და კოოპერირების ზოგადი პრინციპების საფუძველზე.

3. ბიბლიოთეკების ერთიანი ქსელის ორგანიზაციის მიზანია ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტურად გამოყენებით შექმნას საუკეთესო პირობები მუშა-მოსამსახურეების, კოლმეურნეობებისა და მოზარდი თაობის სრულყოფილი საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის, მაქსიმალურად მიუახლოვოს წიგნი მშრომელებს მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით.

4. ამ ძირითად დებულებათა შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, ყველა სარაიონო და საქალაქო აღმასკომების კულტურის განყოფილებები პროფკავშირთა საბჭოებთან, პროფკავშირის რაიკომებთან და ქალაქკომებთან ერთად დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ადგენენ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, რაიონში და ქალაქში მასობრივი ბიბლიოთეკების ერთიანი ქსელ...ს ორგანიზაციის გეგმას და ერთობლივად შეაქვთ ის დასამტკიცებლად ასსრ მინისტრთა საბჭოში, შესაბამის საოლქო, სარაიონო და საქალაქო აღმასკომში და უზრუნველყოფენ მათ შესრულებას.

მასობრივი ბიბლიოთეკების ორგანიზაცია სოფლად

5. თითოეული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, როგორც მინიმუმი ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო სასოფლო ბიბლიოთეკა მაინც უნდა იყოს. სასოფლო საბჭოში მოსახლეობის რიცხვის,მასში შემავალი დასახლებული პუნქტების რაოდენობის, სიდიდისა და მათი ურთიერთ დაშორების შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს რამოდენიმე მასობრივი ბიბლიოთეკა, იმ ანგარიშით, რომ თითოეული ბიბლიოთეკა მოდიოდეს არა ნაკლებ 800—1000 მცხოვრებზე, ხოლო ბიბლიოთეკებს შორის მანძილი არ იქნეს 1 კმ-ზე ნაკლები.

მთის ზონის რაიონების სასოფლო საბჭოებში, აგრეთვე სხვა პირობებში, როცა მახლობელ დასახლებულ პუნქტებს შორის მიმოსვლა გაძნელებულია, ერთ მასობრივ ბიბლოიოთეკაზე მოსახლეობის რაოდენობის ნორმა შეიძლება შემცირდეს საქართველოს

სსრ კულტურის სამინისტროს და პროფსაბჭოს ნებართვით, ხოლო ბიბლიოთეკებს შორის მანძილი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სასოფლო ბიბლიოთეკის მომსახურების რაიონში შეიძლება შეტანილი იქნას მეზობელი სასოფლო საბჭოს დასახლებული პუნქტები ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

6. თუ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის რამოდენიმე ბიბლიოთეკა, მაშინ ერთ-ერთს დაეკისრება ცენტრალური სასოფლო ბიბლიოთეკის ფუნქცია, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს მოზრდილი მოსახლეობისა და ბავშვთა წიგნით მომსახურებას, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ბიბლიოთეკის მუშაობის კოორდინაციას და მეთოდურ დახმარებას უწევს მათ.

7. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო ბიბლიოთეკის მიკრორაიონში ცხოვრობს 1—8 კლასის მოსწავლე და სკოლამდელი ასაკის 300-მდე ბავშვი მათი მომსახურების მიზნით სასოფლო ბიბლიოთეკასთან ეწყობა საბავშვო განყოფილება საზოგადოებრივ საწყისებზე.

8. იმ შემთხვევაში თუ სასოფლო საბჭოს ერთ ან რამოდენიმე დასახლებულ პუნქტში, 3 კილომეტრის რადიუსზე, ცხოვრობს 1—8 კლასის და სკოლამდელი ასაკის არა ნაკლები 1000 ბავშვისა, მათი მომსახურებისათვის შეიძლება გაიხსნას დამოუკიდებელი სახელმწიფო ან პროფკავშირული საბავშვო ბიბლიოთეკა.

9. სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნდა განისაზღვროს იმ ანგარიშით, რომ მისი მომსახურების რაიონში ერთ მცხოვრებზე მოდიოდეს 5 წიგნი, მათ შორის საბავშვო ლიტერატურა თითოეული ბავშვზე 14 წლამდე 3 წიგნი, ცენტრალური სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნდა განისაზღვროს 5 წიგნის ვარაუდით მომსახურების ზონის ერთ მცხოვრებზე და ამას გარდა 0,5 წიგნით სასოფლო საბჭოს თითოეულ მცხოვრებზე.

10. რაიონისა და ქალაქის ადმინისტრაციული ცენტრის მოზრდილ მოსახლეობას მომსახურებას უწევს რაიონული (საქალაქო) ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს მეთოდური და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრს, ანხორციელებს, მეთოდურ

ხელმძღვანელობასა და დახმარებას რაიონის (ოლქის) ყველა ბიბ-ლიოთეკაზე და ახდენს მათი საქმიანობის კოორდინაციას.

ადმინისტრაციულ ცენტრში, მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიის სიდიდის მიხედვით, შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა უწყების რამოდენიმე ბიბლიოთეკა.

11. რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში მცხოვრებ ბავშვთა მომსახურებას, როგორც წესი, რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა ანხორციელებს, იგი რაიონის დასახლებულ პუნქტებში აწყობს მოძრავ ბიბლიოთეკებს, მეთოდურ დახმარებას უწევს მათ და წარმართავს რაიონის ყველა იმ ბიბლიოთეკის საქმიანობას, რომლებიც ბავშვებს ემსახურებიან.

მასობრივი ბიბლიოთეკების ორგანიზაცია ქალაქებსა და მუშათა დაბებში.

12.თითოეულ ქალაქში, ქალაქის ადმინისტრაციულ რაიონში, მუშათა დაბაში ერთი სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკა მაინც უნდა იყოს.

რამოდენიმე ბიბლიოთეკა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ თითოეული მათგანი, საწარმოოს ტერიტორიაზე განლაგებული ბიბლიოთეკების ჩაუთვლელად, მოემსახურება ქალაქის ისეთ უბანს, რომლის მოსახლეობა 6000-ზე ნაკლები არაა, ხოლო ბიბლიოთეკებს შორის მანძილი 1,5 კმ-ზე ნაკლები არ იქნება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ქ. თბილისისათვის მოსახლეობის რაოდენობა თითოეულ ბიბლიოთეკაზე განისაზღვროს 10.000 მცხოვრებით. 2. განსაკუთრებულ შემთხვევაში ზოგიერთი მასობრივი ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ქალაქის ტერიტორიის განცალკევებულ უბნებში და პატარა ქალაქებში იმყოფებიან. მოსახლეობის ნორმა თითოეულ ბიბლიოთეკაზე შეიძლება შემცირებულ იქნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს პროფსაბჭოს მიერ

დამოუკიდებელი პროფკავშირული ბიბლიოთეკები ეწყობა საწარმოებსა და დაწესებულებებში. რომელთა კოლექტივშიც სულ მცირე 500 მომუშავე ითვლება.

3. უფრო პატარა საწარმოებსა და დაწესებულებებს მომსახურებას უწევენ მოძრავი ბიბლიოთეკები, წიგნის გაცემის პუნქტები, მახლობელი მასობრივი ბიბლიოთეკების ფილიალები.

13. იმ ქალაქებში, სადაც რამდენიმე მასობრივი ბიბლიოთეკა არსებობს, ერთ-ერთი მათგანი, როგორც წესი, სახელმწიფო ბიბლიოთეკა გამოიყოფა ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკად, ის წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტითა და ბიბლიოგრაფიული ცნობებით მომსახურების ცენტრს, მეთოდურ-ორგანიზაციულ დახმარებას უწევს ქალაქის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკას და აწყობს მათი მუშაობის კოორდინაციას განურჩევლად უწყებრივი კუთვნილებისა.

პატარა ქალაქებში, რომლებიც რაიონულ ცენტრებს წარმოადგენენ, სადაც არსებობს რაიონული და ამასთან რამდენიმე საქალაქო ბიბლიოთეკა, ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის ფუნქციას, როგორც წესი, რაიონული ბიბლიოთეკა ასრულებს.

14. ქალაქის ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც არის ყველა სახის რამდენიმე მასობრივი ბიბლიოთეკა, შეიძლება გამოიყოს ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკა.

15. საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა ქალაქებსა და მუშათა დაბებში იმ ანგარიშით უნდა დაარსდეს, რომ თითოეული მათგანი მოემსახუროს უბანს, რომელშიც ცხოვრობს 1—8 კლასის და სკოლამდელი ასაკის 1000—1500 ბავშვი, ხოლო ბიბლიოთეკებს შორის მანძილი ერთ-ერთნახევარ კილომეტრს მაინც უნდა შეადგენდეს.

თუ მუშათა დაბაში, ამ საბავშვო ბიბლიოთეკიდან დაშორებულ უბანში, ბავშვთა რაოდენობა, 1000-ზე ნაკლებია, მაშინ მათი მომსახურება ეწყობა მოზრდილთა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების საშუალებით.

16. იმ ქალაქში, სადაც რამდენიმე საბავშვო ბიბლიოთეკა არსებობს, ერთ-ერთ სახელმწიფო ბიბლიოთეკას ცენტრალური ბიბლიოთეკის ფუნქცია ეკისრება. ის წარმოადგენს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტისა და ბიბლიოგრაფიული მომსახურების ცენტრს, მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარებისა და ყველა იმ ბიბლიოთეკის საქმიანობის კოორდინაციის ცენტრს, რომლებიც მომსახურებას უწევენ 1—8 კლასის მოსწავლეებს და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს.

17. მასობრივი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ქალაქში განისაზღვრება ერთი მცხოვრების წიგნით უზრუნველყოფის შემდე-

გი ანგარიშით: მასობრივ ბიბლიოთეკაში —5 წიგნი მიკრორაიონის თვითეულ მცხოვრებზე, ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკაში —5 წიგნი და გარდა ამისა, 0,5 წიგნი რაიონის თვითეულ მცხოვრებზე.

ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში 5 წიგნი მომსახურების ზონის 1 მცხოვრებზე და ამის გარდა 0,5 წიგნი ქალაქის თითოეულ მცხოვრებზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. რესპუბლიკური და საოლქო ცენტრების ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი განისაზღვრება 6—7 წიგნით მიკრორაიონის თვითოეულ მცხოვრებზე და გარდა ამისა 0,2 წიგნით ქალაქის თითოეულ მცხოვრებზე.

2. პროფკავშირულ ბიბლიოთეკაში, რომელიც მომსახურებას უწევს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივს წიგნადი ფონდი იანგარიშება იმ ვარაუდით, რომ თითოეულ მკითხველზე მოდიოდეს 7—11 ცალი წიგნი.

მასობრივი ბიბლიოთეკების გახსნის წესი

18. მასობრივი ბიბლიოთეკები იხსნება: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო რ ა ი ო ნ უ ლ ი და ს ა ქ ა ლ ა ქ ო — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად;

ს ა ს ო ფ ლ ო — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად;

პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ უ ლ ი — საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციები;

ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო — კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

19. უწყებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მასობრივ ბიბლიოთეკას მხოლოდ მაშინ ხსნიან, თუ მათ მოეპოვებათ წიგნადი ფონდის განსაზღვრული რაოდენობა, ბიბლიოთეკის დაფინანსების მტკიცე წყარო, სპეციალური შენობა საბიბლიოთეკო ინვენტარით და მუშაკთა შტატი.

20. ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო ბიბლიოთეკა, მათ შორის საბავშვო ბიბლიოთეკა მკითხველთათვის იმ შემთხვევაში გაიხსნება, თუ მას აქვს საინვენტარო წიგნში გატარებული წიგნადი ფონდი 3 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

სოფლად დამოუკიდებელი მასობრივი ბიბლიოთეკა მკითხველთათვის მაშინ შეიძლება გაიხსნას, როცა მას ექნება საინვენტარო წიგნში გატარებული წიგნადი ფონდი არა ნაკლებ 1500 ეგზემპლარის რაოდენობით.

21. პროფკავშირული ბიბლიოთეკის გახსნის წესი დადგენილია „პროფკავშირული ბიბლიოთეკის დებულებით", რომელიც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ.

რეგისტრაციის წესი

22. დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, რომელთაც აქვთ ან ახლად ხსნიან ბიბლიოთეკებს, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ ისინი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის შესაბამის განყოფილებაში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1969 წლის 25 აპრილის № 185 ბრძანებით.

1. საბიბლიოთეკო საკითხებზე მუშაობის საბჭო წარმოადგენს სათათბირო ორგანოს.

2. საბჭოს ამოცანას შეადგენს:

ა) წინადადებების შემუშავება მოსახლეობის წიგნით მომსახუ-

რეობის დარგში ყველა უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების, მუშაობის კოორდინაციის შესახებ.

ბ) რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის დარგში ღონისძიებებისა და წინადადებების შემუშავება, საბიბლიოთეკო ქსელის განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების განხილვა.

გ) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის მეთოდური, შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხების განხილვა.

დ) მოკავშირე რესპუბლიკებთან კულტურული ურთიერთობის გაფართოების ხელისშეწყობა.

ე) ბიბლიოთეკების მუშაობის ახალი ფორმებისა და მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განზოგადოება.

3. საბჭოს შემადგენლობაში იქმნება სექციები, საჭიროების შემთხვევაში აგრეთვე იქმნება კომისიები, საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის ცალკეული საკითხების შესწავლისა და შემუშავებისათვის.

სექციისა ან კომისიების მუშაობაში შესაძლებელია ჩაბმულ იქნან სპეციალისტები, რომლებიც არ შედიან საბჭოს შემადგენლობაში.

4. საბჭოს წევრები მონაწილეობენ საბიბლიოთეკო მუშაობის კონკრეტული საკითხების დამუშავებაში, ეცნობიან საბიბლიოთეკო საქმეს, ასრულებენ საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების დავალებებს.

5. საბჭო ატარებს თათბირებს, კონფერენციებსა და სემინარებს მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. საბჭოს საქმიანობა შუქდება პერიოდულ პრესაში.

6. საბჭოს გადაწყვეტილებანი, როგორც რეკომენდაციები, ეგზავნება ყველა უწყებებსა და ორგანიზაციებს.

7. საბჭოს პლენარული სხდომები ტარდება არანაკლებ 3 თვეში 1-ჯერ.

8. ოპერატიული მუშაობის წარმართვისათვის პლენარულ სხდომებს შორის საბჭო ირჩევს ბიუროს.

დებულება

ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ

1. ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭო ყალიბდება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებთან, კულტურის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებებთან. საბჭოს შემადგენლობაში შედიან იმ უწყებების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ საბიბლიოთეკო ქსელი და სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის ბიბლიოთეკების მუშაკები.

საბჭოს შემადგენლობის რაოდენობა განისაზღვრება ოლქის, ქალაქის და რაიონის საბიბლიოთეკო მუშაობის მოცულობის შესაბამისად შვიდიდან ცამეტ კაცამდე.

2. ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი, სამმართველოს უფროსი, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე.

3. საბჭო წარმოადგეს სათათბირო ორგანოს და მუშაობს კულტურის სამინისტროს, სამმართველოს, კულტურის განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით, თავის საქმიანობას ახორციელებს იმ უწყებებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში, რომელთაც აქვთ ბიბლიოთეკების ქსელი.

4. საბჭო დახმარებას უწევს კულტურის ორგანოებს უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ ბიბლიოთეკების ქსელი, ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებაში, მონაწილეობს მათ მიერ ჩატარებულ თათბირებში, სხდომებზე რომლებზედაც განიხილება საბიბლიოთეკო საკითხები.

5. ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს ამოცანას შეადგენს:

— ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია

— ღონისძიებებისა და წინადადებების დამუშავება საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ რესპუბლიკაში, ოლქში და რაიონში.

განხილვა საბიბლიოთეკო ქსელისა ან მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გეგმების, სხვადასხვა უწყებებისა და ბიბ-

ლიოთეკების წვრილი ბიბლიოთეკების გაერთიანების, აგრეთვე წიგნობრივი ფონდების მდგომარეობის, მათი დაკომპლექტების და საბიბლიოთეკო კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ.

— ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის მეთოდური და ორგანიზაციული საკითხების განხილვა.

— შესწავლა და გავრცელება ბიბლიოთეკების მუშაობის მოწინავე გამოცდილების და ახალი ფორმებისა.

6 საბჭო განიხილავს საგამომცემლო გეგმებს მომავალი წლისათვის, აგროვებს გამომცემლობისათვის ბიბლიოთეკების სურვილებს წიგნების გამოცემისა და ხელახლა გამოცემის შესახებ.

7. საბჭო ისმენს ბიბლიოთეკების ანგარიშებსა და ინფორმაციებს, უწყებებისა და ორგანიზაციის ბიბლიოთეკების მუშაობის მდგომარეობას.

ბიბლიოთეკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და საბიბლიოთეკო საქმისადმი ხელმძღვანელობაში სერიოზული ნაკლოვანებების შემთხვევაში საბჭოს შეუძლია დასვას საკითხი სათანადო ორგანიზაციების წინაშე, მათი აღმოფხვრის შესახებ ზომების მისაღებად.

8. საბჭო მიიზიდავს საზოგადოებას ბიბლიოთეკების მუშაობაში, მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდის, ბიბლიოთეკების კეთილმოწყობისა და მშენებლობის საქმეში.

9. საბჭო რეკომენდირებას უკეთებს საუკეთესო საბიბლიოთეკო მუშაკთა წახალისებას.

10. საბჭოს შემადგენლობაში იქმნება სექციები და საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისიები. (მაგ. დაკომპლექტების სექცია, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების სექცია, მასობრივი და საუწყებო სექცია და სხვა) სექციების ან კომისიების მუშაობაში შეიძლება ჩაბმულ იქნან სპეციალისტები, რომლებიც საბჭოს შემადგენლობაში არ შედიან.

11. საბჭოს წევრები მონაწილეობენ საბიბლიოთეკო მუშაობის კონკრეტული საკითხების დამუშავებაში, ბიბლიოთეკებში საქმის დაყენების გაცნობაში, ასრულებენ საბჭოს თავმჯდომარის დავალებებს.

12. საბჭო მუშაობის ცალკეულ საკითხებზე იწვევს თათბი-

რებს. კონფერენციებსა და სემინარებს, საბჭოს საქმიანობა შუქდება პერიოდულ პრესაში.

13. საბჭოს გადაწყვეტილებანი ეგზავნება ყველა უწყებასა და ორგანიზაციას, როგორც რეკომენდაციები.

14. საბჭოს სხდომა იწვევა 2 თვეში ერთჯერ.

15. საბჭოს პლენარულ სხდომებს შორის ოპერატიული მუშაობისათვის აირჩევა ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს ბიურო. ბიურო აირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების

დებულება

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ „30“ ივლისი 1970 წელი.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბშა-ს განყოფილების მუშაობას საფუძვლად უდევს სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის დებულება, რომელიც აგებულია ტერიტორიულ დარგობრივი პრინციპით.

ბშა-ს განყოფილების ამოცანას შეადგენს:

1. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდებით აბონემენტთა მომსახურება ბიბლიოთეკათაშორისო, საერთაშორისო, პერსონალური და დაუსწრებელი აბონემენტების საშუალებით.

ა) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით მოემსახუროს საბჭოთა კავშირის ყველა ბიბლიოთეკას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

ბ) საერთაშორისო აბონემენტით საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებს, პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების ბიბლიოთეკებს.

გ) პერსონალური აბონემენტით პარტიული, საბჭოთა, პროფ-

კავშირულ და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, მეცნიერებს, კულტურის, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოწინავეებს (პერსონალური აბონემენტის დებულების შესაბამისად).

დ) დაუსწრებელ აბონემენტით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს, სოფლის მეურნეობისა და წარმოების მოწინავეებს.

2. ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნილებისამებრ ფონდების შევსების მიზნით ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებიდან იმ ლიტერატურის გამოწერა, რომელიც არ მოიპოვება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდებში.

3. განყოფილება ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევს რესპუბლიკის ყველა ტიპის და უწყების ბიბლიოთეკებს, ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ატარებს სემინარებს და კონსულტაციებს, მონაწილეობს ბიბლიოთეკათაშორისო დაუსწრებელ და საერთაშორისო აბონემენტების თეორიისა და პრაქტიკის დამუშავებაში და სხვა.

ბშა-ს განყოფილების მუშაობის შინაარსი:

1. ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით ლიტერატურის გაცემა წარმოებს ერთიანი შეკვეთის ბლანკის საფუძველზე, რომელიც დამოწმებული იქნება დაწესებულების ბეჭდით (შტამპით) და პასუხისმგებელ პირის ხელისმოწერით. შეკვეთის ბლანკი წარმოადგენს იურიდიულ საბუთს, რომელიც იძლევა გამოცემის დაცვის გარანტიას.

2. ღებულობს აბონენტთა შეკვეთებს ლიტერატურაზე და მათ საფუძველზე უგზავნის მოთხოვნილ ლიტერატურას. ბიბლიოთეკის როგორც ძირითად, ასევე დამხმარე ფონდებიდან.

3. შეკვეთების მიღება და გადაგზავნა ხდება სსრ კავშირის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის დებულების შესაბამისად, დამტკიცებული ბშა-ს უნივერსალური და დარგობრივი რეგიონალური საკორდინაციო ცენტრების სიების მიხედვით.

4. აბონემენტის შეკვეთას გადაგზავნის სხვა რეგიონის ბიბ-ლიოთეკაში იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი გამოცემა არ მოიპოვება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდებში.

5. ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებიდან გამოიწეროს ლიტერატურა მთხოვნელთა მოთხოვნით და ბიბლიოთეკის ფონდების შევსების მიზნით.

6. ანხორციელებს კონტროლს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ლიტერატურით სარგებლობაზე. დაგვიანების შემთხვევაში აბონენტს უგზავნის შეხსენებებს ლიტერატურის დაბრუნების შესახებ.

7. თემატური მოთხოვნილების შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართავს საცნობო ბიბლიოგრაფიულ, მხარეთმცოდნეობისა, ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის განყოფილებებს.

8. განყოფილება ჩატარებულ მუშაობას აღრიცხავს ბიბლიოთეკაში მიღებული სააღრიცხვო ფორმების მიხედვით.

9. აღრიცხავს, სწავლობს და აზუსტებს უარებს და იღებს ზომებს მათი საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

10. ბშა-ს პოპულარიზაციისათვის განყოფილება იყენებს პრესას, რადიოს, ტელევიზიასა და სპეციალურ პლაკატებს.

განყოფილების სტრუქტურა და ხელმძღვანელობა:

ბშა-ს განყოფილება შედის ბიბლიოთეკის სტრუქტურაში, როგორც დამოუკიდებელი ერთეული.

განყოფილებაში იქმნება ჯგუფები:

ა) ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ჯგუფი, რომელიც მოემსახურება საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკებს და პირველ რიგში საქართველოს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო დაწესებულებებს.

ბ) დაუსწრებელი და პერსონალური აბონემენტის ჯგუფი, რომელიც მოემსახურება პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, გარდა ამისა პროფესორებს და მეცნიერ მუშაკებს, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მომუშავეებს, როგორც თბილისში ისე რესპუბლიკის მაშტაბით.

გ) საერთაშორისო აბონემენტის ჯგუფი, რომელიც მოემსახურება მსოფლიოს ყველა ქვეყნის და პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების ბიბლიოთეკებს.

განყოფილების მუშაობას ხელმძღვანელობს განყოფილების გამგე, რომელიც ინიშნება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგენით.

განყოფილების გამგე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის დირექციის წინაშე განყოფილების მთელი მუშაობისათვის.

განყოფილების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სამუშაო ინსტრუქციით ,რომელსაც ამტკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბიბლიოთეკის საბჭოს შესახებ

1. ბიბლიოთეკის საბჭო წარმოადგენს ბიბლიოთეკის მთლიანი საქმიანობის კოლექტიური ხელმძღვანელობის საზოგადოებრივ ორგანოს და მშრომელთა მიერ მის მუშაობაზე კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას.

2. ბიბლიოთეკის საბჭო ხელს უწყობს კომუნისტური პარტიის მითითებათა ცხოვრებაში გატარებას ბიბლიოთეკების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, თითოეული ბიბლიოთეკის პოლიტიკურ, ზოგადსაგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და პროფესიონალურ ცოდნათა მასობრივი პროპაგანდის ნამდვილ ცენტრად და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პარტიულ ორგანიზაციათა დასაყრდენ პუნქტად გადაქცევას; წარმართავს ბიბლიოთეკების მუშაობას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამის აქტიური პროპაგანდის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა ღრმა განმარტების ყველა საბჭოთა ადამიანში კომუნისტური თვისებების აღზრდის საქმეში წიგნის ფართო გამოყენებისათვის.

3. ბიბლიოთეკის საბჭო ახორციელებს თავის საქმიანობას პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზა-

ციებთან მჭიდრო კავშირში, იზიდავს რა თავის მუშაობაში საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივს, მასწავლებლებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომელთაც შესწევთ უნარი წარმართონ ბიბლიოთეკების მუშაობა სამეურნეო კულტურული მშენებლობის და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, ეკონომიური რაიონების და წარმოება დაწესებულებების საწარმოო და სამეცნიერო გეგმების შესაბამისად.

4. ბიბლიოთეკის საბჭო:

შეიმუშავებს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ბიბლიოთეკის წიგნის თვითეულ ოჯახამდე დაყვანის გეგმებს.

იზიდავს საზოგადოებრიობას ბიბლიოთეკების საქმიანობისა და მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, ხელს უწყობს საბიბლიოთეკო ფილიალების, მოძრავი ბიბლიოთეკების და გაცემის პუნქტების ორგანიზაციას;

ამტკიცებს ბიბლიოთეკის წიგნების საზოგადოებრივ გამავრცელებლებს, მკითხველთა აქტივისაგან ქმნის სექციებს, ჯგუფებს საბიბლიოთეკო მუშაობის სახეობათა მიხედვით;

ისმენს ჯგუფების, სექციების, მოძრავი ბიბლიოთეკებისა და წიგნდამტარებლების ხელმძღვანელთა ანგარიშებს, აგრეთვე საბჭოს წევრებისა და ბიბლიოთეკის დირექტორების, გამგეების) ანგარიშებს დასახული გეგმების შესრულების შესახებ;

იხილავს ბიბლიოთეკის გეგმებს და ანგარიშებს;

ხელს უწყობს წიგნობრივი ფონდის გაუმჯობესებას, იხილავს საგამომცემლო გეგმებს, დაკომპლექტების გეგმას, თემატიკას, ბიბლიოთეკის დაკვეთებს ლიტერატურაზე, ეხმარება ბიბლიოთეკას მოძველებული ლიტერატურისაგან წიგნობრივი ფონდის გაწმენდაში;

ღებულობს ზომებს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესებაში, შეაქვს სათანადო წინადადებანი საზოგადოების ან ზემდგომ ორგანიზაციების განსახილველად, ბიბლიოთეკის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში აყენებს საკითხს სათანადო ორგანიზა-

ციების წინაშე ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობის განმტკიცების შესახებ;

ხელს უწყობს ბიბლიოთეკის მუშაკებს საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში, იღებს რა მონაწილეობას ტექმინიმუმის ხაზით, კონსულტაციების, ლექციების და კურსების ჩატარებაში;

რეკომენდაციას აძლევს წიგნის საუკეთესო პროპაგანდისტებს, რათა ისინი წახალისებული იქნან.

უშვებს მკითხველთა კედლის გაზეთს.

ორგანიზაციას უკეთებს საბჭოს წევრთა მორიგეობას ბიბლიოთეკაში.

5. ბიბლიოთეკის **საბჭო აირჩევა აქტივისა და** ყველაზე მეტი ინიციატივის მქონე მკითხველებიდან ღია კენჭის ყრით, ერთი წლის ვადით, მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის ყოველწლიურ საანგარიშო კრებებზე (კონფერენციაზე).

ბიბლიოთეკის საბჭოს რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება ბიბლიოთეკის მოცულობითა და ამოცანებით.

6. ბიბლიოთეკის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს:

ა) ბიბლიოთეკის საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მთლიან საქმიანობას, ატარებს სხდომებს, კონტროლს უწევს სექციათა, ჯგუფთა და ცალკეულ წევრთა მუშაობას;

ბ) მდივანი აღრიცხავს ბიბლიოთეკის საბჭოს მთლიან მუშაობას, აცნობებს მის წევრებს სხდომების შესახებ, აწარმოებს სხდომათა ოქმებს და თვალყურს ადევნებს გადაწყვეტილებათა შესრულებას.

7. ბიბლიოთეკის საბჭო ყოველწლიურად აკეთებს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ მკითხველთა და ადგილობრივი მოსახლეობის კრებებზე (კონფერენციებზე).

8. ბიბლიოთეკის საბჭო იკრიბება საჭიროების მიხედვით, არა ნაკლებ ერთხელ თვეში.

(გაზ. „სოვეტსკაია კულტურა“, 1959, 22 დეკემბერი, № 153).

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ბიბლიოთეკების მუშაკთათვის „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდების მინიჭების შესახებ

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ კულტურის
სამინისტროს კოლეგიის 1959
წლის 22 დეკემბრის № 22/286
დადგენილებით.

1. საქართველოს სსრ „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდებას ანიჭებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო;

2. „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება მიენიჭებათ საბიბლიოთეკო დაწესებულებათა (რესპუბლიკური, საოლქო, საჯარო, საქალაქო, სარაიონო, საბავშვო, სასოფლო, საკლუბო დაწესებულებებთან არსებული და ყველა უწყების ბიბლიოთეკების) იმ მუშაკებს, რომლებმაც ბიბლიოთეკებში იმუშავეს არა ნაკლებ ათი წლისა და თავი გამოიჩინეს წიგნის პროპაგანდისა, წიგნობრივი ფონდის მოვლა-პატრონობისა და მკითხველთა მომსახურების საქმეში, წარჩინებით შეასრულეს მკითხველთა მოზიდვისა და წიგნის გაცემის ნორმატივები, უზრუნველჰყვეს მკითხველთა ინტერესების შესაბამისად ფონდების დაკომპლექტება, შეადგინეს მკითხველთა კატალოგები და ამით ხელი შეუწყვეს მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისა და სახალხო მშენებლობის ამოცანების განხორციელებას;

„რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება მიენიჭებათ აგრეთვე საბიბლიოთეკო დარგის იმ მუშაკებს, რომლებმაც თავიანთი მეთოდური, ბიბლიოგრაფიული და გამოცდილების ამსახველი შრომებით, რაციონალიზატორული წინადადებებით, გამოგონებით, ახალი მეთოდების გამოყენებით ხელი შეუწყვეს ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებას; თავი გამოიჩინეს საბიბლიოთეკო დარგის მუშაკთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დარგში;

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდების მინიჭება ხდება კულტურის საოლქო, საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეების,

ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის წარდგენით;

4. იმ პირებს, რომელთაც მიენიჭათ „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება“ გადაეცემათ სათანადო სამკერდე ნიშანი (დაწესებული გამოსახულებით), რომელსაც ატარებენ მარცხენა მხარეზე და სიგელი წოდების მინიჭების შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო ბიბლიოთეკასთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული საბავშვო განყოფილების შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს მიერ. 1966 წლის 5 ნოემბერი

1. საბავშვო განყოფილება სასოფლო ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაწილია: ამ განყოფილების მთელი მუშაობა სრულდება საზოგადოებრიობის ძალებით.

2. საბავშვო განყოფილება იხსნება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აკმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე, კულტურის რიონულ განყოფილებასთან შეთანხმებით.

3. საბავშვო განყოფილება ხელს უწყობს მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას, მოსწავლეებს ეხმარება მეცნიერებათა საფუძვლების შეთვისებაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ჩვევების ჩამოყალიბებაში და ცდილობს ჩააბას თითოეული მოსწავლე წიგნის სისტემატურ კითხვაში.

4. საბავშვო განყოფილება მომსახურებას უწევს 15 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს.

5. ბიბლიოთეკის საბჭო სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით საბავშვო განყოფილების გამგებლობას ავა-

ლებს საზოგადოებრივ მუშაკს, პედაგოგს ან ისეთ პირს, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა შორის მუშაობასთან.

6. სასოფლო ბიბლიოთეკის გამგესთან ერთად საბავშვო განყოფილების გამგე პასუხისმგებელია ბავშვებთან მუშაობისათვის

7. ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განხორციელებისათვის საბავშვო განყოფილებაში:

ა) ბავშვთა საკითხავი წიგნების ფონდი ეწყობა „სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტების ძირითადი დებულების" მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს მიერ 1965 წლის 5 ნოემბერს.

ბ) მკითხველ ბავშვებზე ლიტერატურის გაცემა წარმოებს დიფერენცირებულად (კლასების მიხედვით) სპეციალურ დღეებსა და საათებში (კვირაში სამჯერ მაინც).

გ) ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობა ხორციელდება მათი ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით; მოსწავლეთა შორის აქტიურად ვრცელდება საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო ცოდნის საფუძვლები, წიგნის პროპაგანდისათვის ტარდება ხმაძაღალი კითხვა-საუბრები, წიგნების განხილვა და მკითხველთა კონფერენციები, ზეპირი ლიტერატურული ჟურნალები, გასართობი საღამოები, აგრეთვე წიგნის გამოფენები, საბიბლიოთეკო პლაკატები და სხვა.

დ) სისტემატურად წარმოებს მუშაობა მკითხველ ბავშვთა აქტივთან, ტარდება ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვების ჩაბმას ბიბლიოთეკის მუშაობაში.

ე) წარმოებს ცალკე აღრიცხვა და ანგარიშგება.

8. საბავშვო განყოფილების გამგე სასოფლო ბიბლიოთეკის გამგესთან ერთად უნდა იღწვოდეს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებს (საბჭოთა მეურნეობების მუშათა კომიტეტებს) გააღებინოს დამატებითი სახსრები ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისა და მოწყობისათვის.

ა) დააკომპლექტოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი I—VIII კლასების მოსწავლეთათვის;

ბ) ჩააბას ყველა ბავშვი სისტემატურ კითხვაში;

გ) უხელმძღვანელოს მოსწავლეთა კითხვას;

დ) მოახდინოს სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაცია მოსწავლეთა მომსახურების მხრივ (დაკომპლექტება, სამუშაო საათები, ერთობლივი მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი გეგმა და სხვა). კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან.

ე) ყოველწლიურად შეადგინოს ანგარიში ბავშვებთან მუშაობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სასოფლო ბიბლიოთეკის წლიური ანგარიშის ნაწილს.

9. საბავშვო განყოფილების გამგე მონაწილეობს საბავშვო სარაიონო ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ ტაიონულ სემინარებში.

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის დებულება

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ. ბრძანება № 362 13 IV. 1969 წ.

§ 1

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა არის უნივერსალური პროფილის ბიბლიოთეკა, განკუთვნილი 15-დან 22 წლის ასაკის მკითხველის წიგნით მომსახურებისათვის. იგი წარმოადგენს ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის მეთოდურ ცენტრს, კითხვის ინტერესების შესწავლის შემოქმედებით ლაბორატორიას ქალაქში.

§ 2

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი ახალგაზრდობაში კომუნისტური შეგნების, შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობის გრძნობების აღზრდას. აღმოუჩინოს ახალგაზრდობას დახმარება სწავლასა

და შრომაში. კულტურული და ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებასა და ყოველმხრივ განვითარებაში. ამ მიზნით ბიბლიოთეკა:

ა) აკომპლექტებს თავის წიგნად ფონდს მეცნიერების ყველა დარგის ამსახველი ლიტერატურით მკითხველების ასაკის, განათლების და ახალგაზრდობის ჯგუფების საწარმოო თავისებურებების შესაბამისად, მეთოდური და ბიბლიოგრაფიული გამოცემებით აღზრდის საკითხებზე, ნოტებით, გრაფიკული და აუდიოვიზუალური მასალებით (გრამფირფიტების, მაგნიტოფონის ჩანაწერებით და სხვა). დაკომპლექტების წყაროებია: რესპუბლიკური საბიბლიოთეკო კოლექტორი, პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერა, წიგნის მაღაზიები და სხვა.

ბ) სისტემაში მოჰყავს შემოსული ბეჭდვითი ნაწარმოებები და აუდიოვიზუალური მასალები, ადგენს მკითხველთა და სამსახურებრივ კატალოგებს, ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს, აწესრიგებს წიგნადი და სხვა ფონდების დაცვას და უზრუნველყოფს არსებული ფონდების ყოველმხრივ გახსნას.

გ) აწარმოებს წიგნების, ნოტების, გრამფირფიტების და სხვა აუდიოვიზუალური მასალების სახლში და დარბაზში გაცემას, რისთვისაც იყენებს როგორც თავის ფონდებს, ისევე შემოაქვს ბშა-თი მოთხოვნილი ლიტერატურა სხვა ბიბლიოთეკებიდან.

დ) ახორციელებს მკითხველთა დიფერენციალურ მომსახურებას, ეხმარება მათ წიგნის შერჩევაში, კითხვის ორგანიზაციაში და საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული განათლების დონის ამაღლებაში.

ე) რეგულარულად აწვდის ინფორმაციებს ბიბლიოთეკაში შემოსული ახალი ლიტერატურის შესახებ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ახალგაზრდობაში, გასცემს მათი თხოვნით სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

§ 3

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა, როგორც მეთოდური ცენტრი ატარებს შემდეგ სამუშაოებს:

ა) შეისწავლის ახალგაზრდობის კითხვის ინტერესებს და ქა-

ლაქის ბიბლიოთეკებში ახალგაზრდა მკითხველის მომსახურების მდგომარეობას, შეიმუშავებს ამ საკითხებზე სარეკომენდაციო და მეთოდურ მითითებებს.

ბ) აღმოაჩენს ,განაზოგადებს და ავრცელებს ბიბლიოთეკებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის მოწინავე გამოცდილებებს.

გ) აწარმოებს მთელ რიგ სამუშაოებს საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქალაქის იმ მასობრივი ბიბლიოთეკების თანამშრომელთა შორის, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდა მკითხველთა ჯგუფებს. უზრუნველყოფს მეთოდური მასალებით იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ახალგაზრდობის აღმზრდელობით სამუშაოებთან.

დ) ახორციელებს ქალაქის ბიბლიოთეკებში ახალგაზრდობის ერთიანი საბიბლიოთეკო- ბიბლიოგრაფიული მომსახურების სისტემის დანერგვას. შეაქვს წინადადებები კულტურის სამინისტროში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა სამმართველოში და საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებაში მოზარდი თაობის საბიბლიოთეკო მომსახურების მეთოდების გაუმჯობესების შესახებ. ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ახალგაზრდობის საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული მომსახურების პერსპექტივების გაუმჯობესების მასალების დამუშავებასა და ორგანიზაციაში.

§ 4

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად გამოსცემს ფასიან ან უფასო მეთოდურ და ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს, კატალოგებს, პლაკატებს, სამახსოვროებს და სხვა.

კულტურის სამინისტროსთან, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოსთან, ქალაქის კულტურის განყოფილებასთან შეთანხმებით ატარებს სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებს, ბიბლიოთეკის მუშაკების პრაქტიკუმებს და სემინარებს ახალგაზრდა მკითხველებთან მუშაობის პრობლემების შესახებ.

§ 5

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების განმგებლობაში იმყოფება. მისი სამუშაო და საწარმოო გეგმები მტკიცდება ქალაქის კულტურის განყოფილების, კულტურის სამინისტროს და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ.

§ 6

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელია დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მუშაობის შინაარსზე და ორგანიზაციაზე. იგი ანაწილებს ასათვისებელ თანხებს, უთანხმებს ქალაქის კულტურის განყოფილებას საბიბლიოთეკო მუშაკების დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხებს. კულტურის სამინისტროსა და ქალაქის კულტურის განყოფილებასთან ერთად ამტკიცებს არსებული წესის მიხედვით თანამდებობრივ ინსტრუქციებს. იგი გამოდის ბიბლიოთეკის სახელით ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

§ 7

ბიბლიოთეკის მუშაობაში ხელისშეწყობის მიზნით იქმნება მკითხველთა საზოგადოებრივი საბჭო (ბიბსაბჭო).

§ 8

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა იმყოფება ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ბიუჯეტზე.

ბიბლიოთეკის სახსრები შედგება:

ა) საბიუჯეტო თანხებისაგან,

ბ) სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული სპეციალური თანხებისაგან.

§ 9

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა სამუშაო გეგმებს და სტატისტიკურ ანგარიშებს დადგენილ ვადებში წარუდგენს ქალაქის საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას.

§ 10

ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა არის იურიდიულად დაკანონებული დაწესებულება, აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი სახელწოდების სრული აღნიშვნით.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სარაიონო ბიბლიოთეკის შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის მიერ. 1961 წელი 2 აგვისტო

I. საერთო დებულებანი

1. სარაიონო ბიბლიოთეკა წარმოადგენს რაიონის ცენტრალურ სახელმწიფო ბიბლიოთეკას და იმყოფება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეობაში.

2. სარაიონო ბიბლიოთეკა იხსნება რესპუბლიკაში დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მკითხველთა მომსახურების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული (1960 წ.) „მასობრივი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით“.

II. სარაიონო ბიბლიოთეკის ამოცანები

1. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების პროპაგანდა წიგნებისა და პერიოდული გამოცემების საშუალებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებე-

ბის განმარტება, პარტიისა და მთავრობისადმი აქტიური დახმარების გაწევა საბჭოთა ხალხის .კომუნისტურ აღზრდაში. მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისა და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში.

2. ხელის შეწყობა რაიონის წინაშე მდგარი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების შესრულებასა და მასალების მობილიზაციაში კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილებასა და პრაქტიკაში მათი დანერგვის საქმეში ყოველმხრივ ხელის შეწყობა.

3. საბიბლიოთეკო — ბიბლიოგრაფიულ ცნობათა პროპაგანდა, კითხვის კულტურის ამაღლება და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარების გაწევა.

4. დახმარების აღმოჩენა კულტურის განყოფილებებისადმი საბიბლიოთეკო დაწესებულების ხელმძღვანელობაში, რაიონის ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინირებაში წიგნის თვითეულ ოჯახამდე დაყვანის მიზნით მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი საუწყებათაშორისო გეგმის შედგენა, რაიონის ბიბლიოთეკებისადმი მეთოდური დახმარება.

III. მუშაობის შინაარსი

1. წიგნობრივი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაცია:

ა) სარაიონო ბიბლიოთეკა თავის წიგნობრივ ფონდს აკომპლექტებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითადი დარგებიდან მკითხველთა ფართო წრისათვის, რაიონის სამეურნეო პროფილისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით. ლიტერატურას იძენს საბიბლიოთეკო კოლექტორში და წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებში (მაღაზიებში, კიოსკებში და ა. შ.) აწარმოებს პერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერას და სხვა ბიბლიოთეკებთან წიგნთაგაცვლას.

ბ) ორგანიზაციას უკეთებს კატალოგებს, კარტოთეკებს და და სხვა საცნობო ბიბლიოგრაფიულ მასალებს, რომლებიც ხელს უწყობენ წიგნობრივი ფონდის გახსნას.

გ) წიგნობრივი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციას, დამუშავებას, აღრიცხვასა და დაცვას აწარმოებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის შესაბამისად.

2. მკითხველთა მომსახურება და მუშაობა წიგნის პროპაგანდის საქმეში:

ა) აწარმოებს წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გაცემას რაიონული ცენტრისა და მთელი რაიონის მკითხველებზე აბონენტის, სამკითხველო დარბაზის, ბიბლიოთეკათაშორისო და დაუსწრებელი აბონენტისა და აგრეთვე ფილიალების, გაცემის პუნქტებისა და მოძრავების ორგანიზაციის საშუალებებით.

ბ) მკითხველებთან ეწევა ინდივიდუალურ მუშაობას; ეხმარება მათ წიგნის არჩევაში. ახორციელებს დიფერენცირებულ მომსახურებას და მკითხველთა ინტერესების შესწავლას; ეხმარება მათ საბიბლიოთეკო — ბიბლოგრაფიული ცოდნის საფუძვლების დაუფლებაში.

გ) ატარებს მასობრივ მუშაობას წიგნის პროპაგანდის საქმეში: ორგანიზაციას უკეთებს წიგნის გამოფენებს, ხმამაღალ კითხვას, მკითხველთა კონფერენციებს, წიგნის კოლექტიურ განხილვებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, ლიტერატურულ საღამოებს, ლიტერატურულ წრეებს „წიგნის მეგობართა“ წრეებს, „მკითხველთა დღეებს“ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ წიგნის პროპაგანდასა და მკითხველთა მოზიდვას ბიბლიოთეკაში.

3. ბიბლიოგრაფიული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

ა) ორგანიზაციას უკეთებს საცნობო ბიბლიოგრაფიულ და საკონსულტაციო მუშაობას, ბიბლიოგრაფიული ცნობებითა და ინფორმაციებით მომსახურებას უწევს რაიონის მკითხველებს, დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ბ) თავისი რაიონის შემსწავლელ მკითხველთა დასახმარებლად აწარმოებს მხარეთმცოდნეობით მუშაობას.

4. მეთოდური მუშაობა:

სარაიონო ბიბლიოთეკა მეთოდურ დახმარებას უწევს რაიონის ყველა ბიბლიოთეკას წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტებაში, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციაში, წიგნობრივ ფონდებთან თავისუფალი დაშვების დანერგვაში, წიგნის პროპაგანდისა და კითხვის კულტურის საქმეში, მასობრივი მუშაობის ჩატარებაში. სარაიონო ბიბლიოთეკა ატარებს კულტურის მუშაკთა სარაიონო სემინარების საბიბლიოთეკო სექციის მეცადინეობას, აწყობს სასოფლო-საკოლმეურნეო და სხვა ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის პრაქტიკუმს, აგრეთვე ეწევა საუკეთესო ბიბლიოთეკების გამოცდილების პროპაგანდას, ადგილებზე პრაქტიკულ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკებს.

5. დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება.

ა) ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს კულტურის რაიონული განყოფილების მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური მუშაობის გეგმები.

ბ) ბიბლიოთეკის მთელი მუშაობის აღრიცხვა და ორგანიზაცია ხორციელდება „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ შესაბამისად.

გ) სარაიონო ბიბლიოთეკა ყოველწლიურად თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენს მშრომელთა დეპუტატების რიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას.

IV. საზოგადოებრიობის მიზიდვა და ბიბლიოთეკის საბჭო

1. ბიბლიოთეკა მუშაობს რაიონის წარმოება-დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში, ფართოდ იზიდავს აქტივს და საზოგადოებრიობას საცნობო-საკონსულტაციო მუშაობაში, მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაციასა და ჩატარებაში და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებაში მონაწილეობისათვის.

2. ბიბლიოთეკა იკრებს აქტივს რაიონის ინტელიგენციის, წარმოების მოწინავეების, მუშების, კოლმეურნეების, მოსწავლეების, აქტივი მკითხველებისაგან, მუშაობს პარტიულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

ბიბლიოთეკასთან ყალიბდება საბჭო, რომელიც მუშაობს „ბიბლიოთეკის საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

სარაიონო ბიბლიოთეკა ყოველწლიურად თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშგებას ახდენს რაიონული ცენტრის მოსახლეობის, მკითხველთა კრებაზე (კონფერენციაზე).

V. სტრუქტურა, ბიუჯეტი, შტატი

1. სარაიონო ბიბლიოთეკას აქვს:
   ა) აბონემენტი
   ბ) სამკითხველო დარბაზი
   გ) მოძრავი ფონდი

2. ბიბლიოთეკის შტატი დგინდება დამტკიცებული ტიპიური შტატების შესაბამისად.

3. ბიბლიოთეკის გამგე, განყოფილების გამგეები და ბიბლიოთეკარები ინიშნებიან და მტკიცდებიან რესპუბლიკაში არსებული წესის შესაბამისად, ეს დანიშვნა უნდა პასუხობდეს ბიბლიოთეკის მუშაკებისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნილებებს.

4. სარაიონო ბიბლიოთეკა იმყოფება რაიონის ბიუჯეტზე და მისი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია ხელფასის, წიგნებისა და მოწყობილობის შეძენის, თვალსაჩინო აგიტაციის გაფორმების, მასობრივი ღონისძიების ჩატარების, სამეურნეო ხარჯებისა და მივლინების სახსრები.

5. სარაიონო ბიბლიოთეკა საბიუჯეტო ასიგნობათა გარდა მოიზიდავს სახსრებს, პროფკავშირების სამომხმარებლო კოოპერაციისა და აგრეთვე სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან. ამ სახსრებს ბიბლიოთეკა იყენებს წიგნებისა და მოწყობილობების შესაძენად, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისათვის (დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით).

6. ბიბლიოთეკის გამგე მონაწილეობს რაიონული კულტურის განყოფილების მიერ ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში და ახორციელებს მის შესრულებას.

რაიონული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების

დებულება

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მიერ 1967 წლის 28 ნოემბერს (კოლეგიის დადგენილება № 9)

1. რაიონული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნივერსალურია თავისი შინაარსით და განკუთვნილია რაიონული ცენტრის მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და საწარმოო მოთხოვნილების და მთელი რაიონის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი — მთელი მისი მუშაობის საფუძველია მკითხველთა მომსახურების საქმეში. ამიტომ წიგნადი ფონდის დაკომპლექტება რაიონული ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია.

2. რაიონული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისას ითვალისწინებენ:

— მკითხველთა რაოდენობას და შემადგენლობას, მათ ინტერესებს და მოთხოვნებს.

— რაიონის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროფილს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონეს, რაიონის კულტურულ ცხოვრებას, რაიონის განვითარების ამოცანებს და პერსპექტივებს.

ამას გარდა, მხედველობაში იღებენ:

— ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შედგენილობას და მის გამოყენებას;

— რაიონულ ცენტრში და რაიონში სხვა ბიბლიოთეკების არსებობას, მათი ფონდების შედგენილობას და ამ ფონდების გამოყენების შესაძლებლობას;

— მკითხველთა იშვიათი მოთხოვნების (ლიტერატურაზე) დაკმაყოფილების შესაძლებლობას საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკური) ბიბლიოთეკის ან საოლქო თუ რესპუბლიკური ცენტრის სხვა

სპეციალური ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საშუალებით.

3. რაიონული ბიბლიოთეკა კომპლექტდება:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სსრ კავშირისა და თავისი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიების მასალებით და გადაწყვეტილებებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შრომებისა და მოხსენებების გამოცემებით, ფილოსოფიის, მეცნიერული ათეიზმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტეკონომიის დარგში გამოცემული წიგნებით, ლიტერატურით სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, კომუნიზმის მშენებლობაზე სსრ კავშირში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობაზე, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, ლიტერატურით ისტორიისა და აგრეთვე სხვა აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ბიბლიოთეკა ფართოდ იძენს ლიტერატურას პროპაგანდისტების, აგიტატორებისა და პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელთა დასახმარებლად, აგრეთვე ლექსიკონებს, რომლებიც გამოცემულია მასობრივი ტირაჟით და გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრეებისათვის;

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში ბიბლიოთეკა იძენს გამოჩენილ ბუნებისმეტყველთა პოპულარულ შრომებს, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, ცნობარებს და სახელმძღვანელოებს თვითგანვითარებისათვის;

გ) ბიბლიოთეკა ფონდს აკომპლექტებს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით მკითხველისათვის საინტერესო ყველა საკითხზე.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა პროფილის შესაბამისად ბიბლიოთეკა შეიძენს საწარმოო-ტექნიკურ ლიტერატურას მუშებისა და საშუალო ტექნიკური პერსონალისათვის. ცნობარებს და სასწავლო ლიტერატურას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის, აგრეთვე ლიტერატურას სამრეწველო წარმოების ეკონომიკის საკითხებზე.

დ) რაიონის სოფლის მეურნეობის პროფილისა და სპეციალიზაციის შესაბამისად ბიბლიოთეკა შეიძენს სასოფლო-სამეურნეო

ლიტერატურას და ლიტერატურას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის საკითხებზე.

ამ ლიტერატურის დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საწარმოო ინტერესებს.

ლიტერატურას წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროფესიების კადრებისათვის ბიბლიოთეკა იძენს იმ უწყებრივი ბიბლიოთეკების ფონდების გათვალისწინებით, რომლებიც მომსახურებას უწევენ რაიონის მეურნეობებს;

ე) გეოგრაფიული და სამედიცინო ლიტერატურის, ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ არსებული ლიტერატურის დაკომპლექტებისას ბიბლიოთეკა შეიძენს უმთავრესად სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებს, რომლებიც გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის;

ვ) რაიონული ბიბლიოთეკა კომპლექტდება მხატვრული ლიტერატურით, პოპულარული გამოცემებით ხელოვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში;

ზ) ბიბლიოთეკის ფონდი შეძლებისამებრ სრულად კომპლექტდება სამხარეთმცოდნეო ლიტერატურით რაიონის ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ და შერჩევით ადგილობრივი გამოცემებით და სამხარეთმცოდნეო ლიტერატურით თავისი ოლქის, რესპუბლიკის შესახებ,

თ) ბიბლიოთეკა შეიძენს სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის გამოცემებს, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი ბიბლიოთეკების მკითხველებისა და მუშაკებისათვის;

ი) როგორც საბიბლიოთეკო მუშაობის ცენტრი რაიონში, რაიონული ბიბლიოთეკა იძენს ლიტერატურას ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილების შესახებ.

4. რაიონული ბიბლიოთეკა არ იძენს ვიწრო-სპეციალურ ლიტერატურას და იშვიათ გამოცემებს, ასეთ გამოცემებზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება საოლქო ბიბლიოთეკისა და საოლქო ცენტრის სპეციალური ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საშუალებით.

5. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებულ ლიტერატურას რაი-

ონული ბიბლიოთეკები იძენენ რაიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად და ამ ლიტერატურის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

6. პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერისას ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს ჟურნალ-გაზეთების სარეკომენდაციო სიებით, რომელთაც კულტურის სამინისტრო აგზავნის, და ამასთან ითვალისწინებს რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების პროფილს.

7. თავის ფონდის დაკომპლექტებისას, რაიონული ბიბლიოთეკა ითვალისწინებს რაიონულ ცენტრში და რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ბიბლიოთეკებს და მათ ფონდებს და მათთან შეთანხმებით (რაიონულ საავადმყოფოსთან არსებულ სამედიცინო ბიბლიოთეკასთან, რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტთან არსებულ ბიბლიოთეკასთან, ფაბრიკა-ქარხნების პროფკავშირულ და ტექნიკურ ბიბლოთეკებთან, სასწავლებლების ბიბლიოთეკებთან, სკკპ რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკასთან და სხვ.) საკოორდინაციო გეგმის საფუძველზე აწარმოებს ლიტერატურის შეძენას და პერიოდიკაზე ხელის მოწერას.

8. რაიონული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ძირითადი წყაროა საბიბლიოთეკო კოლექტორი და ხელის მოწერა პერიოდულ გამოცემებზე. დაკომპლექტების დამატებით წყაროებად ბიბლიოთეკა სარგებლობს რაიონულ და სხვა წიგნის მაღაზიებით, „სოიუზპეჩატის“ კიოსკებით, აგრეთვე წიგნების გაცვლით რაიონისა და ოლქის სხვა ბიბლიოთეკებთან.

9. რაიონული ბიბლიოთეკა გულდასმით ადევნებს თვალყურს თავის ფონდის იდეურ და მეცნიერულ სრულფასოვნებას და პრაქტიკულ მიზანშეწონილებას, ამ მიზნით ბიბლიოთეკა რეგულარულად წმენდს თავის ფონდს მოძველებული გამოცემებისაგან არსებული ინსტრუქციის თანახმად. გამოუყენებელი და არაპროფილური ლიტერატურა გამოიყოფა სხვა ბიბლიოთეკების წიგნებზე გასაცვლელად.

10. ბიბლიოთეკის მთელი მუშაობა ხელს უწყობს წიგნადი ფონდის უკეთ გამოყენებას. ამ მიზნით ბიბლიოთეკის კოლექტივი სისტემატურად სწავლობს წიგნად ფონდს და მის გამოყენებას და

სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის დახმარებით ლიტერატურის აქტიურ პროპაგანდას ეწევა მკითხველთა შორის.

11. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისათვის პასუხს აგებს ბიბლიოთეკის გამგე. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ ბიბლიოთეკის აბონემენტის, სამკითხველო დარბაზისა და მოძრავი ფონდის გამგეები და ბიბლიოთეკის სხვა მუშაკები.

12. დადგენილია რაიონული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტების შემდეგი წესი:

ა) რაიონული ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდის შესავსებად მიღებულ ასიგნობათა არა ნაკლებ 50—60% ანაღდებს საბიბლიოთეკო კოლექტორის მეშვეობით და კოლექტორში იძენს ცოდნის ყველა დარგის ლიტერატურას;

ბ) ბიბლიოთეკა, კულტურის საოლქო სამმართველოს ან კულტურის რაიონული განყოფილება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ბიუჯეტზე ირიცხება ბიბლიოთეკის სახსრები, ყოველწლიურად დებენ ხელშეკრულებას კოლექტორთან წიგნადი ფონდის დაკომპლექტებაზე;

გ) რაიონის პროფილის, მკითხველთა შემადგენლობის, მათი ინტერესებისა და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესწავლის საფუძველზე, რაიონის სხვა ბიბლიოთეკებისა და მათი ფონდების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკა ამუშავებს დაკომპლექტების თემატურ გეგმას, რომელიც ბიბლიოთეკის დაკომპლექტების პროგრამას წარმოადგენს. თემატურ გეგმაში გათვალისწინებულია ლიტერატურის თემატიკა, შესაძენი გამოცემების ტიპები და მათი რაოდენობა.

თემატური გეგმის ერთი ეგზემპლარი რჩება ბიბლიოთეკაში, მეორე იგზავნება კოლექტორში;

დ) წიგნადი ფონდის დაკომპლექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები და აგრეთვე ფონდის დაკომპლექტების საორგანიზაციო და მეთოდური მუშაობა გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის წლიური გეგმის სპეციალურ ნაწილში;

ე) ყოველი წლის მეორე ნახევარში რაიონული ბიბლიოთეკა განიხილავს ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ზონალურ გამომცემლობათა თემატურ გეგმებს, მათი მიხედვით ადგენს განაცხადებს (შეკვეთებს) და დადგენილ ვადებში უგზავნის მათ კოლექტორს;

ვ) მთელი წლის განმავლობაში, „შეკვეთის ბლანკების“ გამოსვლისთანავე, ბიბლიოთეკა ათვალიერებს მათ (რაიონული წიგნის მაღაზიაში) და აგზავნის კოლექტორში (ან წიგნის მაღაზიაში) შეკვეთებს საჭირო ლიტერატურაზე;

ზ) ბიბლიოთეკას შეუძლია გაგზავნოს კოლექტორში (ან წიგნის მაღაზიაში) დამატებითი შეკვეთები ჟურნალ-გაზეთების, ბიბლიოგრაფიის, ექსპრეს-ინფორმაციის („წიგნი ყველასათვის“), ანოტირებული ბარათებისა და სხვა ბიბლიოგრაფიული წყაროების მიხედვით, და აგრეთვე თემატური შეკვეთები;

თ) ლიტერატურაზე შეკვეთების შედგენისას ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის დაკომპლექტების თემატური გეგმით და დამატებითი დაკომპლექტების კარტოთეკით, რომელშიც ასახულია წიგნად ფონდში არსებული ხარვეზები;

ი) იმ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელიც დასწრებულ დაკომპლექტებაზე იმყოფება, კოლექტორში ეცნობიან დაკომპლექტების შესაბამის ჯგუფებს, სადაც მათ შეუძლიათ მიმოხილვის მოსმენის შემდეგ კოლექტორთან შეთანხმებით შეცვალონ ან შეავსონ თავიანთი შეკვეთები;

კ) იმ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელიც დაუსწრებლად კომპლექტდება კოლექტორში, კვარტალში ერთხელ მაინც ეწვევიან კოლექტორს ლიტერატურის შესარჩევად და დაკომპლექტების თემატიკის დასაზუსტებლად;

ლ) დაკომპლექტების დასახმარებლად ბიბლიოთეკას შემოღებული აქვს კარტოთეკები; მიმდინარე დაკომპლექტებისა და დამატებითი დაკომპლექტების კარტოთეკა, პერიოდული და ხელმოწერითი გამოცემების კარტოთეკა, კარტოთეკა მკითხველთა პროფესიების მიხედვით.

13. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტების საქმეში და, უპირველეს ყოვლისა, ფონდის შესწავლისა და გამომცემლობათა თემატური გეგმებისა და „შეკვეთის ბლანკების“ მიხედვით ახალ ლიტერატურაზე შეკვეთების შედგენის საქმეში მოიზიდება ბიბლიოთეკის საბჭოს წევრები და სპეციალისტები ბიბლიოთეკის მკითხველთა წრიდან.

სასოფლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების

დებულება

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ 1967 წლის 28 ნოემბერს (კოლეგიის დადგენილება № 9)

1. სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უნივერსალურია თავის შინაარსით და განკუთვნილია სოფლის მოსახლეობის (უფროსებისა და ბავშვების) ზოგადსაგანმანათლებლო,, კულტურული და საწარმოო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

2. წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისას სასოფლო ბიბლიოთეკა ითვალისწინებს:

— მომსახურების ზონის მოსახლეობას (უფროსებს და ბავშვებს) მათ ინტერესებს და მოთხოვნებს;

— მიმართულებას და სპეციალიზაციას იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, ფერმებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა, რომელთაც ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს; მათ ამოცანებს და განვითარების პერსპექტივებს.

ამას გარდა მხედველობაში მიიღება:

— ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შედგენილობა და მისი გამოყენება;

— სოფლის საბჭოს სხვა ბიბლიოთეკები და მათი ფონდები, აგრეთვე კულტურის სხვა დაწესებულებების (კლუბები, კულტურის სახლები, მუსიკალური სკოლები და სხვ.) ბიბლიოთეკები და წიგნადი ფონდები;

— მოსახლეობის ცალკეული პროფესიები და ზოგად კულტურული მოთხოვნების (წიგნზე) დაკმაყოფილების შესაძლებლობა რაიონული და სხვა ბიბლიოთეკის მეშვეობით.

3. სასოფლო ბიბლიოთეკა კომპლექტდება:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებით: ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული; კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რჩეული ნაწარმოებები; მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებთა ცალკეული გამოცემები; საბჭოთა კავშირის კომუნის-

ტური პარტიის ყრილობების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირისა და თავის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიების მასალებით და გადაწყვეტილებებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შრომებისა და მოხსენებების გამოცემებით, სახელმძღვანელოებით და ცნობარებით პოლიტიკური განათლების ქსელისათვის, პოპულარული წიგნებით და ბროშურებით ფილოსოფიის, მეცნიერული ათეიზმის, პარტიის ისტორიის, პოლიტეკონომიის, ისტორიის დარგში, პოპულარული ლიტერატურით საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობაზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობაზე, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, საკოლმეურნეო მშენებლობაზე და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკაზე, ლიტერატურით სხვა აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე;

ბ) ბიბლიოთეკა შეიძენს სამეცნიერო-პოპულარულ ტექნიკურ ლიტერატურას, ტექნიკური პროგრესის საკითხებზე სსრ კავშირში და საზღვარგარეთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, ტექნიკის ისტორიის, ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის დარგში, ტელევიზორების აგებულებასა და ექსპლუატაციაზე და მკითხველთათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

პროფესიის საფუძვლების დაუფლებას და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში მუშებისათვის დახმარების გასაწევად ბიბლიოთეკა შეიძენს საწარმოო-ტექნიკურ ლიტერატურას მკითხველთა შემადგენლობის შესაბამისად;

გ) ბიბლიოთეკა შეიძენს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას (მათ შორის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში) იმ მეურნეობის მიმართულებისა და სპეციალიზაციის შესაბამისად, რომელსაც იგი მომსახურებას უწევს. ეს ლიტერატურა განკუთვნილია უპირველეს ყოვლისა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროფესიების მუშაკებისა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელი კადრების საწარმოო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისათვის ბიბლიოთეკა შეიძენს მხოლოდ ისეთ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ მკითხველთა ფართო წრეებმა.

გამოცემათა სახეობის მიხედვით სასოფლო ბიბლიოთეკა შეიძენს, უპირველეს ყოვლისა: საწარმოო, საცნობარო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, ლიტერატურას მოწინავე გამოცდილების შესახებ, აგრეთვე სახელმძღვანელოებს აგროზოოტექნიკური და აგროქიმიური კურსებისათვის; საყოველთაო მექანიზატორული სწავლებისა და საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის;

დ) საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, გეოგრაფიული სამედიცინო ლიტერატურის, ფიზკულტურისა და სპორტის შესახებ არსებული ლიტერატურის დაკმოპლექტებისას ბიბლიოთეკა იძენს მხოლოდ მეცნიერულ-პოპულარულ გამოცემებს, რომლებიც გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის, უფროსების და ბავშვებისათვის;

ე) მხატვრული ლიტერატურა შეადგენს სასოფლო ბიბლიოთეკის მთელი წიგნადი ფონდის დაახლოებით მესამედ ნაწილს, ბიბლიოთეკა იძენს რუსული ლიტერატურისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ლიტერატურის კლასიკოსთა, საბჭოთა მწერლების, საზღვარგარეთული ლიტერატურის კლასიკოსების, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მწერალთა და კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული მწერლების ნაწარმოებებს. მხატვრული ლიტერატურის დაკომპლექტებისას ითვალისწინებენ საშუალო სკოლის პროგრამის რეკომენდაციებს.

გამოცემათა სახეობის მიხედვით სასოფლო ბიბლიოთეკა უპირატესობას აძლევს „რჩეულ ნაწარმოებთა" ტიპის ცალკეული წიგნებისა და კრებულების გამოცემებს. ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნების დარგში ბიბლიოთეკა იძენს მხოლოდ პოპულარულ გამოცემებს, რომლებიც მასობრივი ტირაჟით გამოდის.

ვ) სასოფლო ბიბლიოთეკა იძენს ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს (წიგნების მაჩვენებლები, სამახსოვროები, საუბრები წიგნებზე, კითხვის გეგმები, ფურცლები), რომლებიც განკუთვნილია მკითხველთა იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც იგი ემსახურება, იძენს აგრეთვე მეთოდურ და ბიბლიოგრაფიულ სახელმძღვანელოებს ბიბლიოთეკარის დასახმარებლად სოფლად და გამოცემებს სასოფლო ბიბლიოთეკების მუშობის გამოცდილების შესახებ;

ზ) წიგნადი ფონდის დაკომპლექტება თავისი რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის შესახებ არსებული სამხარეთმცოდნეო ლიტე-

რატურით და ადგილობრივი გამოცემებით ხორციელდება შერჩევით, იმ მეურნეობის პროფილისა და მკითხველთა შემადგენლობის შესაბამისად, რომელსაც ბიბლიოთეკა ემსახურება.

თ) სასკოლო ასაკის ბავშვთა (1—8 კლასის მოსწავლენი) მომსახურებისათვის სასოფლო ბიბლიოთეკა იძენს ლიტერატურას ცოდნის ყველა დარგში „სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდების საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტების ძირითადი დებულებების“ შესაბამისად.

4. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებულ ლიტერატურას ბიბლიოთეკა იძენს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად და ამ ლიტერატურის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

5. პერიოდულ გამოცემებზე ხელის მოწერისას სასოფლო ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს ჟურნალ-გაზეთების სარეკომენდაციო სიებით, რომელთაც კულტურის სამინისტრო აგზავნის, და ითვალისწინებს იმ მეურნეობის პროფილს, რომელსაც იგი ემსახურება.

6. თავის ფონდის დაკომპლექტებისას სასოფლო ბიბლიოთეკა ითვალისწინებს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა ბიბლიოთეკებს (საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების, სასკოლო) და ლიტერატურის შეძენას და პერიოდიკაზე ხელის მოწერას აწარმოებს მათთან შეთანხმებით. ითვალისწინებენ აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობისა და სოფლის კლუბის მიერ გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს.

წიგნებზე და პერიოდიკაზე მკითხველთა ცალკეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბიბლიოთეკას შეუძლია ისარგებლოს სოფლის ინტელიგენციისა და კოლმეურნეობის პირადი ბიბლიოთეკებით, მათ მფლობელებთან შეთანხმებით.

7. სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდის დაკომპლექტების ძირითადი წყაროა საბიბლიოთეკო კოლექტორი, ხელისმოწერა პერიოდულ გამოცემებზე. დაკომპლექტების დამატებით წყაროებად ბიბლიოთეკა სარგებლობს რაიონული წიგნის მაღაზიით, „სოიუზპეჩატის“ კიოსკებით და რაიონის სხვა ბიბლიოთეკებთან წიგნების გაცვლით.

8. სასოფლო ბიბლიოთეკა გულდასმით ადევნებს თვალყურს თავის ფონდის იდეურ და მეცნიერულ სრულფასოვნებას და პრაქ-

ტიკულ მიზანშეწონილებას. ამ მიზნით, ბიბლიოთეკა რეგულარულად წმენდს თავის ფონდს მოძველებული გამოცემებისაგან არსებული ინსტრუქციის თანახმად.

ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამება ბიბლიოთეკის პროფილს და ტიპს, გადაეცემა რაიონულ ბიბლიოთეკას სხვა ბიბლიოთეკების წიგნებზე გადასაცვლელად.

9. სასოფლო ბიბლიოთეკის მთელი მუშაობა ხელს უწყობს წიგნადი ფონდის უკეთ გამოყენებას. ამ მიზნით ბიბლიოთეკარი სისტემატურად სწავლობს წიგნად ფონდს და მის გამოყენებას და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის დახმარებით ეწევა ლიტერატურის აქტიურ პროპაგანდას მკითხველთა შორის.

10. დადგენილია სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტების შემდეგი წესი;

ა) სასოფლო ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდის შესავსებად მიღებულ ასიგნობათა არა ნაკლებ 60% ანაღდებს საბიბლიოთეკო კოლექტორის მეშვეობით და კოლექტორში იძენს ლიტერატურას ცოდნის ყველა დარგში; სახსრების 20—25% იხარჯება მაღაზიებსა და კიოსკებში აქტუალური პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა და სხვა წიგნების შეძენაზე, რომელთაც დიდი მოთხოვნილება აქვს მკითხველთა შორის.

ბიბლიოთეკის ფონდების შესავსებად და, უპირველეს ყოვლისა, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა და პერიოდიკის შესაძენად, მათ შორის სახელმძღვანელოებისა და აგროზოოტექნიკური და აგროქიმიური კურსებისა და საყოველთაო მექანიზატორული სწავლებისათვის, აგრეთვე წიგნებისა და ბროშურებისა მოწინავე გამოცდილების შესახებ, რომელიც უნდა დაინერგოს იმ მეურნეობაში, რომელთაც ბიბლიოთეკა უწევს მომსახურებას, მიზანშეწონილია მოზიდულ იქნას კოლმეურნეობების სახსრები;

ბ) კულტურის რაიონული განყოფილება, კულტურის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) სამმართველო (იმისდა მიხედვით თუ ვის ბიუჯეტზე ირიცხება სასოფლო ბიბლიოთეკების სახსრები) ყოველწლიურად დებენ ხელშეკრულებას კოლექტორთან სასოფლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტებაზე;

გ) საბიბლიოთეკო კოლექტორთან ხელშეკრულებას სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტებაზე უშუალოდ

დებს რაიონის კულტურის განყოფილება და აწარმოებს სათანადო ანგარიშსწორებას ბიბლიოთეკების მიერ მიღებულ ლიტერატურისათვის;

დ) სასოფლო ბიბლიოთეკა ყოველწლიურად აცნობებს რაიონულ ბიბლიოთეკას — თუ რა საკითხებზე და თემებზე ჭირდება მას განსაკუთრებით წიგნები. უგზავნის საჭირო წიგნების სიას, აქტიურად მონაწილეობს წინასწარი შეკვეთების შედგენაში „სასოფლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საინფორმაციო სიისა და გამომცემლობის თემატური გეგმის მიხედვით;

ე) წინასწარ შეკვეთებს ლიტერატურაზე ადგენენ რაიონული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობით, რაიონული ბიბლიოთეკა განაზოგადოებს სასოფლო ბიბლიოთეკების შეკვეთებს და დადგენილ ვადებში აგზავნის მათ საბიბლიოთეკო კოლექტორში;

ვ) იმ ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომლებიც დაუსწრებლად კომპლექტდებიან საბიბლიოთეკო კოლექტორში, უნდა ეწვიონ კოლექტორს არანაკლებ, ვიდრე 1—2-ჯერ წელიწადში, დაკომპლექტების თემატიკის დასაზუსტებლად და ლიტერატურის შესარჩევად;

ზ) იმ ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომლებიც დასწრებულ დაკომპლექტებაზე იმყოფებიან, ეცნობიან დაკომპლექტების ჯგუფებს დადგენილი განრიგის მიხედვით და კოლექტორის კონსულტანტების დახმარებით შეარჩევენ წიგნებს თავის ბიბლიოთეკისათვის;

საბიბლიოთეკო კოლექტორიდან ბიბლიოთეკაში ლიტერატურა უნდა მოდიოდეს სულ მცირე თვეში ერთხელ მაინც.

კოლექტორიდან გამოგზავნილი ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამება ბიბლიოთეკის პროფილს ან მისი მკითხველების შემადგენლობას, უკანვე უბრუნდება კოლექტორს. ასეთ შემთხვევაში კოლექტორი ვალდებულია აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას დაბრუნებული წიგნებისა და მათი გადაგზავნის ღირებულება.

11. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისა და თვითეული წიგნის შეძენისათვის პასუხს აგებს სასოფლო-ბიბლიოთეკის გამგე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დასაკომპლექტებლად ამ ფონდის შესწავლისა და მოძველებულ ლიტერატურიდან მის გა-

საწმენდად, სოფლის ბიბლიოთეკარები მოიზიდავენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მასწავლებლებს, ექიმებს, ბიბლიოთეკის საბჭოს წევრებს.

ძირითადი დებულება

სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნად ფონდების საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტების შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს მიერ 1965 წლის 5 ნოემბერი

სასოფლო ბიბლიოთეკა წიგნით მომსახურებას უწევს ბიბლიოთეკის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფი I—VIII კლასების ყველა მოსწავლეს და სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან.

სასოფლო ბიბლიოთეკა დახმარებას უწევს სკოლას ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის ამოცანების გადაწყვეტაში. ხელს უწყობს მკითხველთა მსოფლმხედველობის გაფართოებას, მათ მიერ მეცნიერების საფუძვლების ღრმად დაუფლებას, შრომისა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო შრომის სიყვარულის აღზრდას, ამზადებს მათ საზოგადოებრივ-სასარგებლო მოღვაწეობისათვის, უნერგავს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევას.

ბავშვთა კომუნისტური აზღრდის ამოცანები, სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა მრავალმხრივი მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობა განსაზღვრავს სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნად ფონდში არსებული საბავშვო ლიტერატურის შინაარსს.

ბავშვებისათვის საჭირო წიგნად ფონდში შედის:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა: წიგნები ვ. ი. ლენინზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე, გამოჩენილ კომუნისტებზე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირებზე, ჩვენს ქვე-

ყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხალხის საგმირო შრომით საქმეებზე, კომკავშირლებსა და პიონერებზე, პიონერული რაზმებისა და ოქტომბრელთა ხელმძღვანელობის დასახმარებლად და სხვა.

— საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ლიტერატურა: წიგნები სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ, რელიგიის წინააღმდეგ მეცნიერების ბრძოლაზე, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში. ეს ლიტერატურა დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს სასკოლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალების ღრმად დაუფლებასა და მათი მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფორმირებაში.

პოპულარული ტექნიკური ლიტერატურა: წიგნები ტექნიკის ისტორიაზე, ტექნიკის დარგში თანამედროვე მიღწევებზე, გამომგონებლების, მეცნიერების, სწავლული ადამიანების ბიოგრაფიები და სხვა.

— სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა: წიგნები აგროტექნიკისა და აგროქიმიის საფუძვლებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავეების შესახებ, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობაზე, სოფლის მეურნეობაზე. ეს ლიტერატურა უმთავრესად კომპლექტდება სასოფლო წარმოების შესწავლაზე დაყრდნობით.

— საუკეთესო მხატვრული ლიტერატურა: ზეპირსიტყვიერი ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ქართული, რუსული, საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერტურა, საბჭოთა ხალხის ლიტერატურა, პოპულარული წიგნები ქართული და რუსული ენების შესახებ, მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

— პოპულარული წიგნები ხელოვნებაზე: ფერწერა, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა; რეპერტუარი, კრებულები ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედებისათვის.

— მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა ბავშვთა კითხვისა და საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე.

სასოფლო ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის იწერს ჟურნალ-გაზეთებს: „პიონერს“, „დილას“, ნორჩ ლენინელს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“.

საბავშვო ლიტერატურის შერჩევის დროს საჭიროა გათვალის-

წინებულ იქნეს თითოეული ნაწარმოების მხატვრული და იდეური ღირსება. აგრეთვე არის თუ არა ანალოგიური წიგნები ბიბლიოთეკის ფონდში.

სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტების კოორდინაციისათვის დგება ამ ბიბლიოთეკების საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტების ერთობლივი გეგმა. ამ გეგმის თანახმად სასკოლო ბიბლიოთეკა პირველ რიგში იძენს ისეთ ლიტერატურას, რომელიც მოსწავლეებს დახმარებას გაუწევს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალების ათვისებაში კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიის მიხედვით, სასოფლო ბიბლიოთეკა კი იძენს ისეთ ლიტერატურას, რომელიც მეტ ზემოქმედებას მოახდენს ბავშვების მსოფლმხედველობის გაფართოებასა და მათი მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების ფორმირებაზე.

გარდა ამისა, შეიძლება კორდინაციის მიზნით სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკები შეთანხმდნენ იმაზე, თუ რომელ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერს თითოეული მათგანი, რათა უფრო მიზნობრივად იქნეს გამოყენებული დაკომპლექტების თანხები და ბავშვებისათვის საჭირო ჟურნალ-გაზეთებიც მეტი რაოდენობით იყოს სოფელში.

დაკომპლექტების ერთიანი გეგმის შედგენისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სასოფლო ბიბლიოთეკას.

წიგნის შერჩევისა და ეგზემპლარობის განსაზღვრისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს გარკვეული ასაკის ჯგუფების ბავშვთა რაოდენობა და მათი ეროვნული შემადგენლობა.

სასოფლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ძირითადი წყაროა საბიბლიოთეკო კოლექტორი.

იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნადი ფონდების ცალკეული განყოფილებები ვერ უზრუნველყოფს სასოფლო ბიბლიოთეკის მიერ ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობისა და ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი ცალკეული მასობრივი ღონისძიებების გატარებას, სასოფლო ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ფართოდ გამოიყენონ მოძრავი ბიბლიოთეკები და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკებიდან და ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტი სარაიონო საბავშვო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის საბავშვო და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკებიდან.

საბავშვო ლიტერატურით სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ საბავშვო ბიბლიოთეკებს, აგრეთვე კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკას, რომლებმაც თანახმად არსებული ინსტრუქციისა სასოფლო ბიბლიოთეკებს უნდა გადასცენ თავიანთ ფონდში არსებული საბავშვო წიგნების ზედმეტი ეგზემპლარები.

სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდის შემადგენლობა საბავშვო ლიტერატურით შეიძლება აგრეთვე შეივსოს მოსახლეობაში შეკრებილი და საჩუქრად გადაცემული წიგნებით. ამ გზით შეკრებილი ყველა წიგნი გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული. ბავშვებისათვის გამოსაყენებლად შეიძლება შეირჩეს მხოლოდ იდეურად და მეცნიერულად სრულფასოვანი წიგნები.

წიგნები ბავშვებისათვის შეიძლება აგრეთვე შეძენილ იქნეს საქწიგნის მაღაზიაში და „სოიუზპეჩატის" კიოსკებში.

სასოფლო ბიბლიოთეკებს შეუძლიათ საბავშვო ლიტერატურის შესაძენად დახარჯონ დაკომპლექტებისათვის გამოყოფილი თანხის 20%-მდე (ამის შესახებ აღნიშნულია სსრ კავშირის კულტურის მინისტრის 1964 წლის 22 იანვრის №17 ბრძანებაში „კულტურის ორგანოების მონაწილეობის შესახებ ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში").

საბავშვო ლიტერატურის შეძენისათვის შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს თანხები, რომლებსაც სასოფლო ბიბლიოთეკა ღებულობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან.

წიგნადი ფონდის დაკომპლექტების წესი

სასოფლო ბიბლიოთეკებმა საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტებისათვის უნდა გამოიყენონ გამომცემლობების: „ნაკადულის", „განათლების" (ყოფილი „ცოდნის"), „საბჭოთა საქართველოს" და„ ლიტერატურა და ხელოვნების" თემატური საგამომცემლო გეგმები.

სარაიონო ბიბლიოთეკამ სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკასთან ერთად სემინარული მუშაობის დროს ან სპეციალურად მოწყობილ

ლითი ფონდისათვის ქმნიან შეერთებულ ანბანურ კატალოგს, ამისათვის იყენებენ სხვა ბიბლიოთეკებიდან მიღებულ საცნობო საკატალოგო ბარათებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის საოლქო ბიბლიოთეკების წიგნთგაცვლითი ფონდები, უგზავნიან თავიანთ საცნობო ბარათებს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდს, ხოლო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდი, თავის მხრივ უგზავნის ცენტრალურ წიგნთგაცვლით ფონდს. თავის ფონდში არსებულ სადუბლეტო ცალების საცნობო ბარათებს, მხოლოდ რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურაზე.

ბ) წარმოებს დუბლეტური ლიტერატურის მიღება, დამუშავება, შენახვა და აგრეთვე მიღებული და გაცემული ლიტერატურის აღრიცხვა.

ლიტერატურის მიღება წარმოებს მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

1. როდესაც წიგნები უყურადღებოდაა და დაემუქრება განადგურების საფრთხე.

2. დაწესებულებების გაერთიანების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში;

3. კერძო პირებისაგან ღირსშესანიშნავი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადმოცემების შემთხვევაში.

გ) ბიბლიოთეკებისა და გაცვლითი ფონდების მოთხოვნილების საფუძველზე, აკმაყოფილებენ მათ შეკვეთებს ლიტერატურაზე.

ამ მიზნით აწარმოებენ ბიბლიოთეკების მოთხოვნილებათა შეერთებულ კატალოგს, ახდენენ ლიტერატურის შერჩევას და გადაცემას, ან ბიბლიოთეკებს ატყობინებენ თუ რესპუბლიკის რომელ ბიბლიოთეკაშია დაცული მოთხოვნილი ლიტერატურა.

დ) ინფორმაციას აწვდის სხვა ბიბლიოთეკებს იმ ლიტერატურის შესახებ, რომელიც დაცულია კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიური ოლქის საოლქო ბიბლიოთეკების გაცვლითი ფონდებში .ამისათვის ადგენს და აგზავნის ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენს ან თემატურ სიებს.

ე) აწარმოებს მოძველებული ლიტერატურისაგან სადუბლეტო ცალების სისტემატურ გაწმენდას.

ვ) მეთოდურ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის და ოლქის ბიბლიოთეკებს და ასრულებენ ცენტრალურ წიგნთგაცვლით ფონდის დავალებებს, ორგანიზაციულ მეთოდურ საკითხებში.

ზ) კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ადგილებზე მისვლით ამოწმებს და ავლენს გამოუყენებელ და აუთვისებელ წიგნად ფონდებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე (გარდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის, ტექნიკურ და სამედიცინო ბიბლიოთეკების ფონდებისა) და უზრუნველყოფს მათ დაცვასა და სწორ გამოყენებას.

წიგნთგაცვლითი ფონდის ხელმძღვანელობა

ა) წიგნთგაცვლით ფონდს განაგებს სექტორის (განყოფილების) გამგე, რომელსაც ნიშნავს და ამტკიცებს რესპუბლიკის და საოლქო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ბ) რესპუბლიკური და საოლქო გაცვლითი ფონდები იმყოფებიან ამავე ბიბლიოთეკის დირექტორების ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში, და ხელმძღვანელობენ ცენტრალური წიგნთგაცვლითი ფონდის მეთოდური მითითებებით.

თვითეული რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკის წიგნთგაცვლითი ფონდის შტატი განიხილება და მტკიცდება რესპუბლიკაში დადგენილი წესის სტრუქტურებისა და გაცვლითი ფონდების მოცულობის მიხედვით.

ინსტრუქცია ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვის შესახებ

დამტკიცებულია

ᲡᲡᲠ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1962 წ. 11 მაისი

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს დადგენილებით 1962 წ. 11 მაისი ოქმის № 12, პ. 9.

1. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების* დაცვის შესახებ

1. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დაცვისათვის პასუხისმგებელი არიან იმ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთა უშუალო გამგებლობაშიც იმყოფებიან ბიბლიოთეკები, და აგრეთვე ბიბლიოთეკების დირექტორები (გამგეები).

2. სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სასწავლებლების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ თავიანთ გამგებლობაში ბიბლიოთეკები, ვალდებული არიან შექმნან პირობები, რომელიც უზრუნველყოფს წიგნობრივი ფონდის სწორ აღრიცხვასა და დაცვას, აგრეთვე წიგნების აკინძვას და ფონდის სანიტარულ-ჰიგიენურ დამუშავებას; ბიბლიოთეკებს მისცენ იზოლირებული, წიგნების შესანახად გამოსაღეგი სადგომები და უზრუნველყონ სპეციალური მოწყობილობებით და საბიბლიოთეკო ტექნიკის საგნებით.

---

* ამ ინსტრუქციაში პირობითად იხმარება ტერმინი „წიგნობრივი ფონდი", იმ ბეჭღური პროდუქციისა და სხვა მასალის მთლიანად აღნიშვნისათვის, რომელიც შემოსულია ბიბლიოთეკაში მკითხველთა მომსახურებისათვის წიგნები, ჟურნალები, მიკროფილმები და ა. შ.).

ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე) უზრუნველყოფს წიგნობრივი ფონდის სწორი აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციას მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

3. კატეგორიულად აკრძალულია ბიბლიოთეკის წიგნების გაყიდვა. ის პირნი, რომელნიც ბიბლიოთეკის წიგნებს გაყიდიან პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული, ხოლო მათგან ჩამორთმეული წიგნები უნდა გადაეცეს ბიბლიოთეკას.

4. ბიბლიოთეკებს ნებადართული აქვთ მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერა. მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერა წარმოებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ინსტრუქციის (1960 წ.) „სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის ამოღების წესის შესახებ“ საფუძველზე.

5. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემა. წიგნების გადაცემა სხვა ბიბლიოთეკებზე წარმოებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ინსტრუქციის (1959 წ., „სამინისტროების უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ — შესაბამისად.

მოძრავი ბიბლიოთეკების გადაცემა სწარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდება ბიბლიოთეკასა და მოძრავი ბიბლიოთეკის მიმღებ ორგანიზაციას შორის, რომელიც კისრულობს წიგნების დაცვის პასუხისმგებლობას.

II წიგნობრივი ფონდის აღრიცხვა

6. თითოეულ ბიბლიოთეკაში უნდა აღირიცხოს ჯამობრივად და ინდივიდუალურად ყველა ბეჭდური ნაწარმოები, აგრეთვე მკითხველთა მომსახურებისათვის შეძენილი და სხვა მასალები (მიკროფილმები, დიაპოზიტივები და ა. შ.) აღრიცხვა წარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში და საინკენტარო დავთარში ან სარეგისტრაციო კარტოთეკებში სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკის სათანადო საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის შესაბამისად.

7. თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია ყოველკვარტალურად შეადაროს საინვენტარო დავთარში ჩაწერილი წიგნების რაოდენობა და ღირებულება ბუხჰალტერიის მონაცემებთან.

8. ბიბლიოთეკის ფონდის ხელახალი ინვენტარიზაცია და აგრეთვე საინვენტარო დავთრების გადაწერა, როგორც წესი, აკრძალულია. ცალკეულ გამონაკლის შემთხვევაში ფონდის ხელახალი ინვენტარიზაცია ან საინვენტარო დავთრების გადაწერა შეიძლება ჩატარდეს იმ ზემდგომი ორგანიზაციების განსაკუთრებული ნებართვით, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა.

9. ბიბლიოთეკაში შემოსულ თითოეულ ბეჭდურ ნაწარმოებს აუცილებლად უნდა დაესვას თეგი (შტემპელი).

10. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის გადაცემა ერთი დირექტორისაგან (გამგისაგან) მეორეზე ხდება მიღება-გადაცემის აქტით, რომელსაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის დირექტორის (გამგის) შეცვლის დროს, რომელსაც არა აქვს განყოფილებები, ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის აუცილებლად შემოწმების საკითხს წყვეტს ზემდგომი ორგანიზაცია, ხოლო განყოფილებების გამგეების შეცვლის შემთხვევაში ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე).

III. წიგნობრივი ფონდის შენახვა

11. წიგნების ნაადრევად გაცვეთის, დაზიანებისა და დაკარგვის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით თითოეული ბიბლიოთეკა ვალდებულია დაიცვას წიგნების შენახვისა და მათდამი მოპყრობის შემდეგი წესები:

ბიბლიოთეკის სადგომი იზოლირებული უნდა იყოს: თუ წიგნთსაცავისათვის ცალკე ოთახის გამოყოფა შეუძლებელია, წიგნები უნდა ინახებოდეს კარადებში, რომლებიც იკეტება;

გარეშე პირები წიგნობრივ ფონდებთან არ დაიშვებიან.

ფონდთან ღია დაშვების სისტემის შემთხვევაში ფონდის დახურულ ნაწილში გარეშე პირები არ დაიშვებიან; ღია დაშვებისათვის გამოყოფილ ფონდთან მკითხველები დაიშვებიან მხოლოდ წიგნის შერჩევის დროს და ბიბლიოთეკარის თანდასწრებით;

ბიბლიოთეკაში დაწესებული უნდა იყოს სათანადო კონტროლი მკითხველების მიერ წიგნების გატანაზე.

ბიბლიოთეკა სისტემატურად უნდა ატარებდეს წიგნების წვრილ მიმდინარე რემონტს (დახეული ან ამოვარდნილი გვერდების, სატიტულო ფურცლების დაწებება და ა. შ.).

12. ბიბლიოთეკის სადგომში რაიმე ისეთი ქონების შენახვა, რომელიც მის საკუთრებას არ შეადგენს, — აკრძალულია.

13. ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში კრებებისა და თათბირების ჩატარება აკრძალულია. ნებადართული არ არის აგრეთვე, ბიბლიოთეკის სადგომში ისეთი ღონისძიების ჩატარება, რომელიც ბიბლიოთეკის საქმიანობასთან არაა დაკავშირებული.

14. ბიბლიოთეკის ფონდის შესანახი სადგომი უნდა იყოს ნათელი, მშრალი, ჰაერი ყოველდღე უნდა გაიწმინდოს და სადგომი დალაგდეს.

თუ ბიბლიოთეკის სადგომი მდებარეობს საწარმოო კორპუსებში (საამქროებში, სახელოსნოებში და ა. შ.) ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნან ვენტილაციით.

15. ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესები, კერძოდ, აუცილებლად უნდა იქონიონ ცეცხლმქრობები. ბიბლიოთეკის სადგომში ხანძრის თავიდან ასაცილებლად წიგნობრივი ფონდი მოთავსებული უნდა იყოს ღუმელიდან არა უახლოეს ერთი მეტრისა. ბიბლიოთეკის სადგომებში თამბაქოს მოწევა ნებადართულია მხოლოდ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილებში.

IV. წიგნების დაცვის უზრუნველყოფა მკითხველებზე გაცემის დროს

16. ბიბლიოთეკების წიგნებით სარგებლობა შეუძლია ყველა მოქალაქეს უფასოდ. მკითხველებზე წიგნების გაცემა წარმოებს **სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს მიერ დამტკიცებული ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესების შესაბამისად.**

17. ბიბლიოთეკარი ვალდებულია რეგულარულად ადევნოს თვალყური მკითხველებზე გაცემული წიგნების ვადაზე დაბრუნებას

და მიიღოს ზომები დავალიანებათა წინააღმდეგ მკითხველებზე უწყებების გაგზავნისა და დაგვიანებული წიგნების აქტივისტების საშუალებით შეკრების გზით.

18. მკითხველებზე არ გაიცემა სახლში:

ა) წიგნები სამკითხველო დარბაზიდან;

ბ) ცნობარების, სიტყვარების, ენციკლოპედიების ერთადერთი ეგზემპლარი და სხვ.

გ) ბიბილოთეკურად დაუმუშავებელი წიგნები.

V. მკითხველთა პასუხისმგებლობა

19. თითოეულ მკითხველს ეკისრება პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მიერ მისდამი მიწოდებული ბეჭდური ნაწარმოებებისა და სხვა მასალების დაცვისა და ვადაზე დაბრუნებისათვის.

20. წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დაუბრუნოს ბიბლიოთეკას ზუსტად ისეთივე წიგნი ან შეცვალოს იგი სხვა წიგნით, რომელსაც ბიბლიოთეკა სცნობს თანაბარღირებულების მქონედ.

21. თუ მკილხველი უარს იტყვის წიგნის დაბრუნებაზე ან ტოლფასიანი წიგნით მის შეცვლაზე ბიბლიოლეკას აქვს უფლება გადაახდევინოს მას წიგნის ფაქტიური ღირებულება სანოტარო კანტორის სააღმასრულებლო წარწერის მიხედვით.

22. იმ მატერიალური ზარალისათვის, რომელიც ბიბლიოთეკას მიაყენა არასრულწლოვანმა მკითხველმა, პასუხს აგებენ მშობლები ან ის პირნი, რომელთა კმაყოფაზეც მკითხველი იმყოფება.

23. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამრღვევი მკითხველების მიმართ ბიბლიოთეკის საბჭოს შეუძლია მიიღოს საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები.

VI. ბიბლიოთეკის მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა

24. თანამდებობის პირები, რომლებმაც თავიანთი არასწორი ქოქმედებით (ან უმოქმედობით) ბიბლიოთეკას მიაყენეს მატერიალური ზარალი (წიგნების დაზიანება ან დაკარგვა, წიგნების უკა-

ნონოდ ამოღება ან ჩამოწერა, აგრეთვე ზარალი, მიყენებული ბიბლიოთეკის შეუფერებელ სადგომში გადატანით ან სადგომის არადანიშნულებისამებრ გამოყენებით) მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში საქმის ვითარების მიხედვით.

25. ბიბლიოთეკის ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ყველა მუშაკი, რომელიც დაშვებულია წიგნებთან:

ა) წიგნობრივი ფონდის აღრიცხვისა და დაცვის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკის ფონდის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალურად ბიბლიოთეკის დირექტორს (გამგეს), ხოლო ბიბლიოთეკის განყოფილების (ქვეყანყოფილების) დამოუკიდებელი და სახელდახელო ფონდების დაცვა — ამ განყოფილებების (ქვეგანყოფილებების) გამგეებს;

ბ) წიგნების დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის მუშაკებს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით ბუშაობაში ან დადგენილი წესების დარღვევით, ე. ი. ბიბლიოთეკის მუშაკების მიზეზით. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკის მუშაკები მატერიალურ ზარალს აანაზღაურებენ არა უმეტეს თავისი სატარიფო განაკვეთის 1/3-სა.

ბიბლიოთეკის მუშაკებს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წიგნების დანაკლისი გამოწვეულია მოქმედებით, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით;

დანაკლისის ანაზღაურება პირველ შემთხვევაში ხდება მუშაკის ხელფასიდან სათანადო თანხის დაკავების გზით, რომელიც ნაჩვენებია რსფსრ შრომის კანონთა კოდექსში და სხვა რესპუბლიკების სათანადო შკკ-ში, ხოლო მეორე შემთხვევაში დანაკლისის ანაზღაურება ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

წიგნების დანაკლისის ანაზღაურების ყველა შემთხვევა განიხილება შრომის საკონფლიქტო კომისიაში.

ინსტრუქცია საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1959 წ. 24 მარტს.

საბჭოთა ბიბლიოთეკების კატალოგები და კარტოთეკები წარმოადგენენ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების გახსნისა და არსებული ლიტერატურის შესახებ მკითხველთა ინფორმაციის ძირითად საშუალებას, აგრეთვე ბიბლიოთეკის მკითხველთა ფართო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის აქტიური პროპაგანდის საშუალებას.

საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკის კატალოგები და კარტოთეკები წაომოადგენენ ძირითად საცნობო და ბიბლიოგრაფიულ აპარატს, რომლის საშუალებითაც ბიბლიოთეკა აქტიურად უწყობს ხელს ოლქის, მხარის, ასსრ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას ,ინფორმაციას აწვდის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, საწარმოებს, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებს ბიბლიოთეკის ფონდებში არსებულ და ახლად მიღებულ ლიტერატურაზე და ბიბლიოგრაფიულ დახმარებას უწევს მათ.

კატალოგების და კარტოთეკების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათში სამხარეთმცოდნეო ლიტერატურის, ადგილობრივი პრესის, ტექნიკის, აგროტექნიკისა და ეკონომიკის საკითხებზე არსებული ლიტერატურის ასახვას ოლქის, მხარის, რესპუბლიკის სამეურნეო პროფილის შესაბამისად.

I. საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკის კატალოგებისა და კარტოთეკების ჩამოთვლა.

A. ძირითადი კატალოგები და კარტოთეკები

1. გენერალური სისტემატური კატალოგი, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგება:

ა) მკითხველთა სისტემატური კატალოგი;

ბ) სისტემატური კატალოგის სამსახურებრივი ნაწილი.

2. გენერალური სამსახურებრივი ანბანური კატალოგი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება:

ა) რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურის კატალოგი;

ბ) სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის კატალოგი;

გ) უცხო ენებზე არსებული ლიტერატურის კატალოგი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში ამა თუ იმ რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე (ან ენებზე) არსებული წიგნები გამოიყოფა ცალკე ანბანურ მწკრივში (ან მწკრივებში).

2. თუ ბიბლიოთეკაში არის ლიტერატურა სსრ კავშირის იმ ხალხთა ენებზე, რომლებიც რუსული გრაფიკით არ სარგებლობენ (ებრაულ, სომხურ, ქართულ ენებზე), ეს ლიტერატურა ცალკე ანბანურ მწკრივებში გამოიყოფა. წიგნები საბჭოთა კავშირის იმ ხალხთა ენებზე, რომლებიც ლათინური გრაფიკით სარგებლობენ (ლიტვურ, ლატვიურ, ესტონურ ენებზე) აგრეთვე დამოუკიდებელ ანბანურ მწკრივში გამოიყოფა.

3. თუ ბიბლიოთეკაში არის ლიტერატურა უცხო ენებზე, რომლებიც რუსული გრაფიკით სარგებლობენ (ბულგარულ, მაკედონური, სერბიულ-ხორვატული), აგრეთვე ლიტერატურა საზღვარგარეთელი აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე (ჩინური, კორეული და სხვ. ენებზე), ეს ლიტერატურა გამოიყოფა დამოუკიდებელ ანბანურ მწკრივში.

3. მკითხველთა ანბანური კატალოგი, რომელიც შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

ა) რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურის კატალოგი;

ბ) სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის (ცალცალკე თვითეულ ენაზე) კატალოგები;

გ) უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურის კატალოგი (ცალცალკე თვითეულ ენაზე).

4. ჟურნალ-გაზეთების სტატიების სისტემატური კართოტეკა.

B. ცალკეული ფონდებისა და ფონდების ნაწილების კატალოგები:

1. აბონემენტის დამხმარე ფონდის სისტემატური კატალოგი.

2. ბიბლიოგრაფიული და საცნობარო გამოცემების სისტემატური კატალოგი, რომელიც შეიცავს როგორც ცალკე გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ მასალებს, აგრეთვე წიგნებზე და სტატიებზე

დართულ ბიბლიოგრაფიას, როტატორზე გამრავლებულ და მანქანაზე ნაბეჭდ სიებს, აგრეთვე ცნობარებს, ლექსიკონებს და სხვ.

3. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ლიტერატურის სისტემატური კატალოგი, რომელიც შეიცავს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთების სტატიებს, მანქანაზე ნაბეჭდ და როტატორზე გამრავლებულ მასალებს.

4. გაცვლითი ფონდის ანბანური კატალოგი.

Г. სხვადასხვა სახის გამოცემათა კატალოგები და კართოთეკები:

1. პერიოდულ გამოცემათა სამუშაო ანბანური კატალოგი.

2. მიმდინარე პერიოდიკის მკითხველთა ანბანური კარტოთეკები მომსახურების განყოფილებაში.

3. რუკების კატალოგი.

4. ნოტების ანბანური კატალოგი.

5. ნოტების სისტემატური კატალოგი.

6. სტანდარტების საგნობრივი კატალოგი.

7. სტანდარტების სანუმერაციო კატალოგი

8. საპატენტო აღწერილობათა სანუმერაციო კატალოგი.

9. მხარეთმცოდნეობის კატალოგები და კართოტეკები:

1. ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში და მხარეთმცოდნეობის დაწესებულებებში არსებული მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრები სისტემატური კატალოგი, რომელიც შეიცავს წიგნების, სტატიებისა და სხვა მასალების აღწერილობას.

2. ადგილობრივ გამოცემათა ანბანური კატალოგი.

3. ადგილობრივი გაზეთების კარტოთეკა (რაიონის დასახელებათა ანბანური წესით).

4. მხარის, ოლქის, რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში არსებული უცხოური ლიტერატურის წიგნებისა და პერიოდიკის ნაკრები ანბანური კატალოგი.

II. კატალოგების ორგანიზაცია

1. წიგნების აღწერილობა ყველა კატალოგისათვის ხდება „საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების“ ინსტრუქციის საფუძველზე. ნ. 1, გამ. 1.

წიგნების აღწერა. გამ. მე-2, შესწორ. და შევს., მ. 1960. ცალკეული გამოცემების აღწერილობა ხდება „საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების“ ინსტრუქციის საფუძველზე.

2. კატალოგები ერთობლივად სისრულით უნდა ასახავდნენ ყველა ფონდებს. გენერალურ კატალოგებში აისახება ბიბლიოთეკის ყველა ფონდი, გაცვლითი ფონდის გამოკლებით. გენერალურ ანბანურ კატალოგში თავსდება ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული ყველა წიგნის ყველა გამოცემა. გენერალურ სისტემატურ კატალოგში (როგორც მკითხველთა, ისე სამსახურებრივ ნაწილში) თავსდება თვითეული სახელწოდების მხოლოდ უკანასკნელი ან საუკეთესო გამოცემა. ამ გამოცემის აღწერილობის ბარათზე დაისმება შტამპი — „ბიბლიოთეკაში არის ამ წიგნის სხვა გამოცემები“. მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემები, რომელთაც ერთვის ძვირფასი ილუსტრაციები, შესავალი სტატიები, შენიშვნები, აისახება კატალოგში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ბიბლიოთეკაში ამ ნაწარმოების უფრო გვიანი გამოცემები.

3. მკითხველთა ანბანურ კატალოგებში, ისევე როგორც გენერალურ სისტემატურ კატალოგში, თავსდება თვითეული სახელწოდების მხოლოდ უკანასკნელი ან საუკეთესო გამოცემა. ამ გამოცემის აღწერილობის ბარათზე დაისმება შესაბამისი შტამპი.

4. მკითხველთა კატალოგებში აისახება ბიბლიოთეკის ყველა ფონდი, გაცვლითი ფონდისა და აგრეთვე ანტიმეცნიერული ხასიათის ლიტერატურის (თეოლოგია, თეოსოფია, ეგრეთწოდებული ოკულტისტური მეცნიერებანი, რასისტული თეორიები და სხვ.), მოძველებული სააგიტაციო-საპროპაგანდო და მასობრივი მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის, საშუალო სკოლის მოძველებული სახელმძღვანელოებისა და სხვ. გამოკლებით.

5. პერიოდული გამოცემების სრული აღწერილობა, თვითეული ცალკეული გამოცემის შესახებ ცნობების აღნიშვნით, თავსდება მხოლოდ პერიოდიკის სამსახურებრივ ანბანურ კატალოგში. გენერალურ სისტემატურ კატალოგში თავსდება ბარათები პერიოდული გამოცემების მოკლე აღწერილობით; წიგნების ანბანურ კატალოგებში — მანიშნებელი ბარათები, რომლებიც პერიოდიკის ანბანურ კატალოგზე მიუთითებენ.

6. სისტემატურ კატალოგებში უმნიშვნელოვანესი მასალების უფრო სისრულით ასახვის მიზნით რეკომენდებულია ანალიზური აღწერილობა შემდეგი მასალებისა:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, რომლებიც შეტანილია პოლიტიკური განათლების ქსელისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში, ფონდში კი ცალკე გამოცემებად არ არის წარმოდგენილი;

ბ) პარტიისა და მთავრობის ცენტრალური ორგანოების დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ პერიოდულ პრესაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღნიშნული მასალების ცალკეული გამოცემების გამოქვეყნებისა და ბიბლიოთეკის მიერ მათი შეძენის კვალობაზე, ანალიზური აღწერილობა შეიცვლება წიგნებისა და ბროშურების აღწერილობით.

7. სისტემატურ კატალოგში ყოველი გამყოფის შემდეგ ბარათები განლაგდება შემდეგი წესით:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებები;

ბ) პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი პირუკუქრონოლოგიური წესით;

გ) მთელი დანარჩენი ლიტერატურა განლაგდება ავტორების გვარებისა და წიგნების სახელწოდების ანბანის რიგით .

8. სისტემატური კატალოგების ინდექსები და რუბრიკების ფორმულირებანი უნდა შეესაბამებოდნენ საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების უკანასკნელ გამოცემას. თვითეულ ბიბლიოთეკაში იქმნება საკლასიფიკაციო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის კატალოგებში ამა თუ იმ ინდექსის გამოყენებისა და კატალოგის ამა თუ იმ განყოფილების შემდგომი დეტალიზაციის საჭიროებას, ამტკიცებს ინდექსებს, რომლებიც იქმნება დეტალიზაციის პროცესში, ეთათბირება ცალკეულ საკითხებზე სპეციალისტებს ბიბლიოთეკის მკითხველთა წრიდან.

9. სამსახურებრივი კატალოგები ინახება წიგნების დამუშავების განყოფილებაში; მკითხველთა კატალოგები, მათ შორის ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკებიც — სპეციალურ ოთახში, რომელიც სამკითხველო დარბაზის მახლობლად მდებარეობს; დამ-

ჩმარე და სპეციალური ფონდების კატალოგები იმყოფება შესაბამის განყოფილებებში (უცხოური ლიტერატურის განყოფილება, მუსიკალურ-სანოტო ლიტერატურის განყოფილება და სხვ.); მხარეთმცოდნეობის კატალოგები — საბიბლიოგრაფიო განყოფილებაში.

10. კატალოგები უნდა იქმნებოდეს ნაბეჭდი ბარათების ბაზაზე. ძირითადი ფონდების კატალოგებისათვის რეკომენდებულია სრულიად საკავშირო წიგნის პალატის ნაბეჭდი ბარათების შემცირებული კომპლექტი, რომელიც უნდა შეივსოს ცალკეული სერიებით სრული კომპლექტიდან; აბონემენტის დამხმარე ფონდის სისტემატური კატალოგისათვის — ანოტირებული ბარათების კომპლექტი საქალაქო ბიბლიოთეკებისათვის. უცხოური ლიტერატურის ცალკეული გამოცემების კატალოგებისა და ნაკრები კატალოგისათვის რეკომენდებულია იმ ბარათებისა და ბიულეტენების სათანადო კომპლექტების გამოწერა, რომელთაც ვ .ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკა აქვეყნებს (ნოტების, რუკების, უცხოური ლიტერატურის შესახებ).

1. კატალოგები და კარტოთეკები რეგულარულად რედაქტირებული უნდა იქნეს; უნდა შემოწმდეს წიგნების აღწერილობის, რუბრიკების ფორმულირების, განყოფილებათა შევსებისა და ბარათების განლაგების სისწორე და სხვ.

III. სსრ კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურის ასახვა კატალოგებში

12. ყველა ენაზე არსებული წიგნები თავსდება ერთიან სისტემატურ კატალოგებში და ბარათებში თვითეულ განყოფილებაში ბარათების 3 სავალდებულო ჯგუფად დაყოფით: „წიგნები რუსულ ენაზე“, „წიგნები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე“, „წიგნები უცხოურ ენებზე“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. რესპუბლიკის (ასსრ) ბიბლიოთეკებში ლიტერატურა რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე (ან ენებზე) ბიბლიოთეკის თვითეულ განყოფილებაში გამოიყოფა დამოუკიდებელ ჯგუფად. იმ ბიბლიოთეკებში, რომელთაც ეროვნული ლიტერატურის დიდი ფონდი აქვთ ,შეიძლება შეიქმნას ეროვნულ ენაზე არსებული ლიტერატურის ცალკე სისტემატური კატალოგი.

2. უცხოურ ენებზე გამოცემული ადაპტირებული ტექსტები უცხო ენების

შემსწავლელთა დასახმარებლად აისახება სისტემატურ კატალოგში — ენათმეცნიერების განყოფილებაში, აგრეთვე რუსული წიგნების ანბანურ კატალოგში.

13. ანბანური კატალოგები იქმნება ცალკე რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურისათვის, სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურისა და უცხოურ ენებზე არსებული ლიტერატურისათვის (დაწვრილებით იხ. I განყოფილება). რესპუბლიკურ (ასსრ) ბიბლიოთეკებში იქმნება ამ რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე (ენებზე) არსებული ლიტერატურის გენერალური ანბანური კატალოგი.

მკითხველთა ანბანური კატალოგები იქმნება ცალკე თვითეული ენისათვის.

IV. ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკა

14. ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკაში, როგორც წესი, უნდა ჩაირთოს ბარათები იმ ჟურნალ-გაზეთების სტატიებზე, რომლებიც გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკური, აგროტექნიკური და ეკონომიური ლიტერატურის ასახვას ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ეკონომიური პროფილის შესაბამისად.

15. ჟურნალ-გაზეთების სტატიების სისტემატური კარტოთეკა, როგორც წესი, იმავე სქემით აიგება, როგორც სისტემატური კატალოგი. კარტოთეკის თვითეულ რუბრიკაში ბარათები განლაგდება პირუკუქრონოლოგიური წესით.

რეცენზიების აღწერილობის ბარათები გამოიყოფა ცალკე კარტოთეკად ან განლაგდება ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკის ბოლოში „რეცენზიების“ გამყოფის შემდეგ, რეცენზირებული წიგნების სათაურებისა და ავტორების გვარების ანბანზე.

16. კარტოთეკისათვის გამოიყენება სრულიად საკავშირო წიგნის პალატის ნაბეჭდი ბარათები ჟურნალ-გაზეთების სტატიებისა (შემცირებული ან სრული ტექსტი). მხარის, ოლქის, რესპუბლიკის სამეურნეო-ეკონომიური პროფილის მიხედვით შემცირებული კომპლექტი უნდა შეივსოს ცალკე სერიებით სრული კომპლექტიდან.

17. ჟურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკა სისტემატურად უნდა იწმინდებოდეს მოძველებული მასალისაგან, რომელმაც თავისი აქტუალობა დაკარგა.

V. მხარეთმცოდნეობის კატალოგები

18. ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული სამხარეთმცოდნეო ხასიათის მთელი ლიტერატურა თავსდება გენერალურ-ანბანურ და სისტემატურ კატალოგებში.

19. სისტემატური კატალოგის ყველა განყოფილებაში, სადაც შემოღებულია დაყოფა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, გამოიყოფა ლიტერატურა ამა თუ იმ ოლქზე, მხარეზე, რესპუბლიკაზე (ისტორიის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ფიზიკური გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის განყოფილებებში, აგრეთვე ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის და სხვ. განყოფილებებში).

20. მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის საერთო კატალოგებსა და კარტოთეკებში ასახვის გარდა, თვითეულ საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში იქმნება მხარეთმცოდნეობის კატალოგები, რომლებშიც მაქსიმალური სისრულით აისახება ლიტერატურა ამ ოლქის, მხარის, რესპუბლიკის შესახებ:

ა) საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ბიბლიოთეკებსა და მხარეთმცოდნეობის დაწესებულებებში არსებული ლიტერატურის ნაკრები სისტემატური კატალოგი.

ბ) ადგილობრივი გამოცემების ანბანური ქრონოლოგიური კატალოგი.

21. მხარეთმცოდნეობის ნაკრებ კატალოგში თავსდება ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ბიბლიოთეკებსა და მხარეთმცოდნეობის დაწესებულებებში არსებული სამხარეთმცოდნეო ხასიათის წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, სტატიების, მანქანაზე ნაბეჭდი, როტატორზე გამრავლებული და ხელნაწერი მასალების აღწერილობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრებ კატალოგში თავსდება აგრეთვე ცნობები იმ წიგნებზე და ჟურნალ-გაზეთების სტატიებზე, რომლებიც შეიცავენ ცნობებს მოცემული ოლქის, მხარის, რესპუბლიკის შესახებ, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მასალები არ არის ნაკრებ კატალოგში ასახულ ფონდებში. ამ შემთხვევაში საკატალოგო ბარათზე კეთდება სათანადო აღნიშვნა.

2. ჟურნალ-გაზეთების სტატიების სისტემატური კარტოთეკისაგან განსხვავებით, მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრებ კატალოგში ჩართული მასალები არ შეიძლება გამოირიცხოს როგორც მოძველებული.

22. მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრები კატალოგი აიგება სპეციალური სქემის მიხედვით.

23. მხარეთმცოდნეობის ლიტერატურის ნაკრებ კატალოგს აწარმოებს ბიბლიოგრაფიის განყოფილება წიგნების დამუშავებისა და წიგნსაცავის განყოფილებათა მუშაკების მონაწილეობით.

VI. კატალოგების გამოყენება და პროპაგანდა

24. მკითხველთა თვითეული კატალოგის მახლობლად უნდა გამოიკრას პლაკატი, რომელიც განმარტავს კატალოგის აგებულებასა და ,იმით სარგებლობის წესებს. ამისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ბეჭდური პლაკატები, რომელთაც უშვებენ ცენტრალური გამომცემლობები ან ცენტრალური ბიბლიოთეკები. მაგრამ ამ პლაკატების ტექსტი უნდა შევუსაბამოთ არსებული კატალოგების სტრუქტურასა და შინაარსს.

25. ყველა კატალოგს უნდა ჰქონდეს ახსნა-განმარტებითი წარწერები. წარწერები უჯრებზე უნდა ასახავდეს მათში მოთავსებული კატალოგების განყოფილებათა შინაარსს. უჯრები დანომრილი უნდა იყოს და ლითონის ღერო უნდა ჰქონდეთ.

26. სისტემატურ კატალოგებსა და კარტოთეკებზე დგება ანბანურ-საგნობრივი საძიებელი (გასაღები).

27. რეკომენდებულია თვითეულმა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ სტამბური წესით გამოსცეს სამახსოვრო „როგორ ვისარგებლოთ კატალოგებით“ და ფართოდ გაავრცელოს იგი ბიბლიოთეკის მკითხველთა შორის აბონემენტზე და სამკითხველო დარბაზში. ცნობები ბიბლიოთეკის კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ შეიძლება ჩართულ იქნას ბიბლიოთეკის სამახსოვრო წიგნაკში.

28. როცა ბიბლიოთეკაში ჩაწერისას მკითხველებს ეაცნობთ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, საჭიროა მივაწოდოთ მათ ინფორმაცია არსებული კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ.

29. კატალოგებზე და კარტოთეკებზე მუშაობისა და მკითხველთა შორის მათი პროპაგანდის ღონისძიებანი შეტანილ უნდა იქნას ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში.

ინსტრუქცია

მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1960 წ. 4 აგვისტოს.

მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგები და კარტოთეკები წარმოადგენენ ლიტერატურის პროპაგანდისა და კითხვის ხელშეძღვანელობის საუკეთესო საშუალებას. კატალოგებისა და კარტოთეკების საშუალებით ხდება წიგნადი ფონდის გახსნა და მკითხველთა ინფორმირება ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებისა და საჟურნალო და საგაზეთო სტატიების შესახებ.

თითოეულ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ორი სახის კატალოგი: სისტემატური და ანბანური. ორივე სახის კატალოგი გამოიყენება როგორც ბიბლიოთეკის შიდა მუშაობაში, ისე უეშუალოდ მკითხველების მიერ წიგნის შერჩევის მიზნით. განსაკუთრებით იზრდება კატალოგის როლი წიგნად ფონდთან თავისუფალი დაშვების პირობებში. სისტემატური კატალოგი ძირითადად განკუთვნილია მკითხველთათვის და უნდა იმყოფებოდეს წიგნის გაცემის ადგილთან ახლოს. ბიბლიოთეკარი სისტემატურ კატალოგს აგრეთვე იყენებს მასობრივ, საცნობო-ბიბლიოგრაფიულ და ინდივიდუალურ მუშაობაში.

სისტემატური კატალოგის დამატებას წარმოადგენს საჟურნალო და საგაზეთო სტატიების კარტოთეკა. ანბანური კატალოგი პირველ რიგში გამოიყენება ბიბლიოთეკის შიდა მუშაობაში. მას აუცილებლად იყენებენ აგრეთვე მკითხველები.

1. კატალოგებისა და კარტოთეკების სავალდებულო მინიმუმი მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის

1. საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკები, პროფკავშირულ ბიბლიოთეკები (რომელთაც ჰყავთ არა ნაკლებ სამი მუშაკისა):

ა) საერთო სისტემატური კატალოგი აბონემენტისა და სამკითხველო დარბაზის ფონდებზე (ანდა კატალოგები ცალ-ცალკე, ამ ფონდებისათვის, თუ აბონემენტისა და სამკითხველო დარბაზის სადგომები ტერიტორიულად განცალკევებით იმყოფებიან);

ბ) ანბანური კატალოგი ბიბლიოთეკის ყველა განყოფილების ფონდებზე;

გ) მოძრავი ფონდის სისტემატური კატალოგი;

დ) საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებში რეკომენდებულია აგრეთვე მთლიანად თავის რაიონის (ქალაქის) ოლქის შესახებ არსებულ ლიტერატურაზე მხარეთმცოდნეობითი კატოთეკის შექმნა. ასევე სარეკომენდაციო თემატური კართოტეკის შედგენა 2-3 აქტუალურ საკითხებზე.

2. მსხვილ ბიბლიოთეკებში რეკომენდებულია ორი ანბანური კატალოგის შექმნა: ერთი — მკითხველთათვის, მეორე — სამსახურებრივი მიზნით.

2. სასოფლო, საკოლმეურნეო, პროფკავშირული, სამრეწველო კოოპერაციის ბიბლიოთეკები (რომელთაც ჰყავთ 1-2 მუშაკი):

ა) სისტემატური კატალოგი;

ბ) ანბანური კატალოგი;

გ) თემატური კარტოთეკა 2-3 აქტუალურ თემასა და საკითხზე.

3. საბავშვო ბიბლიოთეკები და მოზრდილთა ბიბლიოთეკების საბავშვო განყოფილებები.

ა) სისტემატური კატალოგი V—VIII კლასების მოსწავლეთათვის;

ბ) თემატური კატალოგი III—IV კლასების მოსწავლეთათვის;

გ) თემატური კარტოთეკები I—II კლასების მოსწავლეთათვის;

დ)ანბანური კატალოგი მთლიან წიგნობრივ ფონდზე (დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკაში).

ე) საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა V—VIII კლასების მოსწავლეთათვის (დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ვ) ლიტერატურის სისტემატური კარტოთეკა პედაგოგების, პიონერხელმძღვანელებისა და ბიბლიოთეკართათვის ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობის მეთოდიკის საკითხებზე.

4. სასკოლო ბიბლიოთეკების, რომელთაც ჰყავთ შტატიანი მუშაკი:

ა) სისტემატური კატალოგი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან;

1) სისტემატური კატალოგი V—VIII კლასების მოსწავლეთათვის;

2) სისტემატური კატალოგი IX—X კლასების მოსწავლეთათვის;

ვ) პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის სისტემატური კატალოგი მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელთათვის;

ბ) საგნობრივ-თემატური კარტოთეკები II—IV კლასების მოსწავლეთათვის სასწავლო პროგრამის შესაბამისად;

გ) ანბანური კატალოგი მთელ ფონდზე.

II. კატალოგების ორგანიზაცია

1. წიგნების აღწერილობა ყველა კატალოგისათვის დგება ბეჭდვით ნაწარმოებთა აღწერილობის ერთიანი წესების (საშუალო მოცულობის ბიბლიოთეკების კატალოგებისათვის) უკანასკნელი გამოცემის საფუძველზე.

2. კატალოგებში სისრულით უნდა იყოს ასახული მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი. ანბანურ კატალოგში შეიტანება ბიბლიოთეკის ფონდებში არსებული ყველა წიგნის ყველა გამოცემის აღწერილობა.

სისტემატურ კატალოგში თავსდება ბიბლიოთეკაში არსებული ყველა საუკეთესო წიგნის აღწერილობა მეტწილად უკანასკნელი გამოცემის მიხედვით. რეკომენდებულია ამ გამოცემების აღწერილობათა ბარათზე დაისვას შტამპი, ანდა გაუკეთდეს წარწერა — „ბიბლიოთეკაში არის ამ წიგნის სხვა გამოცემებიც“.

3. კატალოგების, განსაკუთრებით სისტემატური კატალოგების ორგანიზაციისას გამოყენებულ უნდა იქნეს ქართული ბარათული

შატიანეები და რუსულ ენაზე გამოცემული ანოტირებული ბარათების შესატყვისი კომპლექტები.

4. სასოფლო, საკოლმეურნეო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ყველა დანარჩენ ბიბლიოთეკაში, რომლებსაც აქვთ საბავშვო განყოფილება, საბავშვო ლიტერატურის აღწერილობის ბარათები ჩაერთვება საერთო ანბანურ კატალოგში; სისტემატურ კატალოგში საბავშვო ლიტერატურა გამოიყოფა დამოუკიდებელ განყოფილებად.

5. სისტემატურ კატალოგში უმნიშვნელოვანესი მასალების უფრო სისრულით ასახვის მიზნით რეკომენდებულია ანალიტიკური აღწერილობანი შემდეგი მასალებისა:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ნაწარმოებები, რომლებიც შეტანილია პოლიტიკური განათლების ქსელის პროგრამაში, ხოლო ფონდში წარმოდგენილი არ არის ცალკე გამოცემის სახით:*)

ბ) პარტიისა და მთავრობის ცენტრალური ორგანოების დადგენილებანი, რომლებც გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ პერიოდულ პრესაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. აღნიშნული მასალების ცალკეული გამოცემის პუბლიკაციისა და ბიბლიოთეკის მიერ მათი შეძენის კვალობაზე ანალიტიკური აღწერილობანი შეიცვლებიან წიგნებისა და ბროშურების აღწერილობით.

2. კონტროლისა და ანალიტიკური აღწერილობათა ბარათების მოძებნის გაადვილებისათვის ბარათების ზემო ნაწილში შეიძლება გავავლოთ ფერადი ზოლი.

6. სისტემატურ კატალოგში რეკომენდებულია ჟურნალების გამარტივებული აღწერილობის ბარათების ჩართვა, ცალკეული ნომრის შესახებ ცნობების მითითების გარეშე.

7. სისტემატურ კატალოგში ყოველი გამყოფის შემდეგ ბარათები განლაგდება შემდეგი წესით:

ა) მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებები;

ბ) პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დადგენილებანი უკუქრონოლოგიური წესით;

---

* საქალაქო, სარაიონო და მსხვილ პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში.

ბ) მთელი დანარჩენი ლიტერატურა განლაგდება ავტორების გვარებისა და წიგნების სახელწოდებათა ანბანის რიგის მიხედვით.

8. სისტემატური კატალოგის ინდექსები და რუბრიკების ფორმულირებანი უნდა შეესატყვისებოდეს მოცემული ტიპის ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების უკანასკნელ გამოცემებს და ამ ცხრილების გამო გამოქვეყნებულ დამატებებსა და ცვლილებებს.

9. ანბანური კატალოგის გაფორმებისას გამყოფებით უნდა გამოიყოს პირველ რიგში იმ ავტორების გვარები, კოლექტივების სახელწოდებები, წიგნების სათაურები, რომლებსაც განსაკუთრებული პოლიტიკური, მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ.

10. აუცილებელია კატალოგებისა და კარტოთეკების რეგულარულად რედაქტირება. უნდა მოწმდებოდეს რუბრიკების ფორმულირების, განყოფილებების შევსებისა და ბარათების განლაგების სისწორე და ! ხვ.

III საჟურნალო და საგაზეთო სტატიების კარტოთეკა

11. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში უნდა ჩაირთოს იმ ჟურნალებისა და გაზეთების სტატიების ბარათები, რომლებსაც იწერს მოცემული ბიბლიოთეკა. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს თავისი რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის ეკონომიური პროფილი.

კარტოთეკაში ჩართულ უნდა იქნეს აგრეთვე ადგილობრივი გაზეთისა და ჟურნალის სტატიების აღწერილობათა ბარათები მხარეთმცოდნეობის თემებზე.

12. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა უნდა აიგოს იმავე სქემით, როგორც სისტემატური კატალოგი. ყოველი რუბრიკის შიგნით ბარათები ლაგდება უკუქრონოლოგიური წესით. ბარათები პარტიისა და მთავრობის დადგენილებებზე მოთავსდება პირველ ადგილზე.

რეცენზიების აღწერილობის ბარათები მოთავსდება რეცენზიების ცალკე კარტოთეკაში რეცენზირებული წიგნების ავტორთა გვარების ანბანზე.

13. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარ-

მატიანეები და რუსულ ენაზე გამოცემული ანოტირებული ბარათების შესატყვისი კომპლექტები.

4. სასოფლო, საკოლმეურნეო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ყველა დანარჩენ ბიბლიოთეკაში, რომლებსაც აქვთ საბავშვო განყოფილება, საბავშვო ლიტერატურის აღწერილობის ბარათები ჩაერთვება საერთო ანბანურ კატალოგში; სისტემატურ კატალოგში საბავშვო ლიტერატურა გამოიყოფა დამოუკიდებელ განყოფილებად.

5. სისტემატურ კატალოგში უმნიშვნელოვანესი მასალების უფრო სისრულით ასახვის მიზნით რეკომენდებულია ანალიტიკური აღწერილობანი შემდეგი მასალებისა:

ა) მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ძირითადი ნაწარმოებები, რომლებიც შეტანილია პოლიტიკური განათლების ქსელის პროგრამაში, ხოლო ფონდში წარმოდგენილი არ არის ცალკე გამოცემის სახით;*)

ბ) პარტიისა და მთავრობის ცენტრალური ორგანოების დადგენილებანი, რომლებც გამოქვეყნებულია პერიოდულ პრესაში;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებანი, რომლებიც გამოქვეყნებულია ადგილობრივ პერიოდულ პრესაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. აღნიშნული მასალების ცალკეული გამოცემის პუბლიკაციისა და ბიბლიოთეკის მიერ მათი შეძენის კვალობაზე ანალიტიკური აღწერილობანი შეიცვლებიან წიგნებისა და ბროშურების აღწერილობით.

2. კონტროლისა და ანალიტიკური აღწერილობათა ბარათების მოძებნის გაადვილებისათვის ბარათების ზემო ნაწილში შეიძლება გავავლოთ ფერადი ზოლი.

6. სისტემატურ კატალოგში რეკომენდებულია ჟურნალების გამარტივებული აღწერილობის ბარათების ჩართვა, ცალკეული ნომრის შესახებ ცნობების მითითების გარეშე.

7. სისტემატურ კატალოგში ყოველი გამყოფის შემდეგ ბარათები განლაგდება შემდეგი წესით:

ა) მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებები;

ბ) პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დადგენილებანი უკუქრონოლოგიური წესით;

---

* საქალაქო, სარაიონო და მსხვილ პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში.

ბ) მთელი დანარჩენი ლიტერატურა განლაგდება ავტორების გვარებისა და წიგნების სახელწოდებათა ანბანის რიგის მიხედვით.

8. სისტემატური კატალოგის ინდექსები და რუბრიკების ფორმულირებანი უნდა შეესატყვისებოდეს მოცემული ტიპის ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილების უკანასკნელ გამოცემებს და ამ ცხრილების გაჰო გამოქვეყნებულ დამატებებსა და ცვლილებებს.

9. ანბანური კატალოგის გაფორმებისას გამყოფებით უნდა გამოიყოს პირველ რიგში იმ ავტორების გვარები, კოლექტივების სახელწოდებები, წიგნების სათაურები, რომლებსაც განსაკუთრებული პოლიტიკური, მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობა აქვთ.

10. აუცილებელია კატალოგებისა და კარტოთეკების რეგულარულად რედაქტირება. უნდა მოწმდებოდეს რუბრიკების ფორმულირების, განყოფილებების შევსებისა და ბარათების განლაგების სისწორე და ! ხვ.

III საჟურნალო და საგაზეთო სტატიების კარტოთეკა

11. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში უნდა ჩაირთოს იმ ჟურნალებისა და გაზეთების სტატიების ბარათები, რომლებსაც იწერს მოცემული ბიბლიოთეკა. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს თავისი რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის ეკონომიური პროფილი.

კარტოთეკაში ჩართულ უნდა იქნეს აგრეთვე ადგილობრივი გაზეთისა და ჟურნალის სტატიების აღწერილობათა ბარათები მხარეთმცოდნეობის თემებზე.

12. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა უნდა აიგოს იმავე სქემით, როგორც სისტემატური კატალოგი. ყოველი რუბრიკის შიგნით ბარათები ლაგდება უკუქრონოლოგიური წესით. ბარათები პარტიისა და მთავრობის დადგენილებებზე მოთავსდება პირველ ადგილზე.

რეცენზიების აღწერილობის ბარათები მოთავსდება რეცენზიების ცალკე კარტოთეკაში რეცენზირებული წიგნების ავტორთა გვარების ანბანზე.

13. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარ-

ტოთეკა რეგულარულად უნდა იწმინდებოდეს იმ მოძველებული მასალისაგან, რომელმაც თავისი აქტუალობა უკვე დაკარგა.

14. კარტოთეკების წარმოებისათვის რეკომენდებულია საკავშირო და რესპუბლიკური წიგნის პალატების საჟურნალო (შემოკლებული კომპლექტი) და საგაზეთო სტატიების ბეჭდური ბარათების გამოყენება.

15. სასოფლო, საკოლმეურნეო და მცირე მოცულობის პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში, საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა სავალდებულო არ არის. მის მაგივრად იქმნება მცირე კარტოთეკები ცალკეულ აქტუალურ თემებსა და საკითხებზე, აგრეთვე მხარეთმცოდნეობის ხასიათის საკითხებზეც. ასეთ თემატურ კარტოთეკებში ჩაირთვება როგორც წიგნების, ისე საჟურნალო და საგაზეთო სტატიების აღწერილობის ბარათები.

IV ლიტერატურის ასახვა კატალოგებში სსრ კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე

16. მასობრივ ბიბლიოთეკებში სისტემატური კატალოგი დგება ენების მიხედვით ცალ-ცალკე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ბიბლიოთეკებს შეუძლიათ შეადგინონ ყველა ენისათვის საერთო სისტემატური კატალოგი, რომელშიც ბარათები გამყოფების შიგნით პირველ რიგში გაიწყობა ძირითადი მოსახლეობის ენაზე, ხოლო შემდეგ დანარჩენ ენებზე.

2. ადაპტირებული ტექსტები, რომლებიც გამოცემულია უცხოურ ენებზე ამ ენების შემსწავლელთა დასახმარებლად, აღიწერება რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ენაზე (წიგნში მოცემული ცნობების შესაბამისად) და აისახება სისტემატურ კატალოგში ენათმეცნიერების განყოფილებაში, აგრეთვე შესაბამის ანბანურ კატალოგში.

17. საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატურ კარტოთეკაში ბარათები გაიწყობა ერთად ყველა ენისათვის. გამყოფის შიგნით პირველ რიგში გაიწყობა ბარათები ძირითადი მოსახლეობის ენაზე.

18. ანბანური კატალოგი თითოეული ენისათვის დგება ცალ-ცალკე: ქართულ, რუსულ ,აფხაზურ, ოსურ და სხვ. ენებზე.

V. მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის ასახვა კატალოგებსა და კარტოთეკებში.

19. სისტემატური კატალოგისა და საჟურნალო და საგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკის შესატყვის გამყოფებში უნდა გაძოიყოს რუბრიკები მხარეთმცოდნეობის ლიტერატურისათვის.

20. თუ ბიბლიოთეკაში ცალკე იქმნება მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა, მასში შეიტანება როგორც წიგნები, ისე სტატიები ჟურნალ-გაზეთებიდან მოცემული რაიონისა და მთლიანად რესპუბლიკის შესახებ. ყველაზე სრულად უნდა აისახოს მასალა თავისი რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის შესახებ.

VI. კატალოგების გამოყენება და პროპაგანდა

21. სისტემატური კატალოგისა და საჟურნალო და საგაზეთო სტატიების კარტოთეკისათვის დგება საერთო ანბანურ-საგნობრივი საძიებელი („გასაღები"). იგი შედგენილ უნდა იქნეს მოცემული ტიპის ბიბლიოთეკის საკლასიფიკაციო ცხრილის უკანასკნელი გამოცემის საგნობრივ-ანბანური საძიებლის ბაზაზე.

22. ბიბლიოთეკაში უნდა იყოს გამოკრული პლაკატი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ბიბლიოთეკაში არსებული კატალოგები და კარტოთეკები თითოეული კატალოგის მოკლე დახასიათებით, გარდა ამისა, მკითხველთა თითოეული კატალოგის მახლობლად უნდა გამოიკრას პლაკატი, რომელშიც ასახული იქნება კატალოგის აგებულებისა და სარგებლობის წესები. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბეჭდური პლაკატები, რომლებსაც უშვებენ ცენტრალური გამომცემლობები, რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო ბიბლიოთეკები.

23. მკითხველების ბიბლიოთეკაში ჩაწერის დროს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების გაცნობისას აუცილებელია მათი ინფორმირება იქ არსებული კატალოგების შესახებ.

24. კატალოგებზე მუშაობისა და მკითხველთა შორის კატალოგების პროპაგანდის შესახებ ღონისძიებანი შეტანილ უნდა იქნეს ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში.

ინსტრუქცია

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსი, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის წესების შესახებ.
(გამოცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით).

დამტკიცებულია
სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ. 1960 წ.
2 თებერვალი

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდი უნდა შეიცავდეს იდეურ-პოლიტიკურად, მეცნიერულად, საწარმოო და მხატვრული თვალსაზრისით სრულფასოვან ლიტერატურას, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას და მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას. წიგნობრივი ფონდის სისტემატური შემოწმება და მოძველებული ლიტერატურისაგან მისი გაწმენდა წარმოადგენს ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის შემადგენლობის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

მოძველებული ლიტერატურის გარიცხვაზე მუშაობა წარმოებს როგორც წიგნობრივი ფონდების უშუალო გასინჯვითა და მოძველებული გამოცემების გამოვლინებით, ისე მთავლიტის ბრძანებებით მათი შემოწმებით, აგრეთვე „მოძველებული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების“ და „ნაკრები სიების“ მიხედვით.

1. ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვა წარმოებს პერიოდულად, ასეთი ლიტერატურის დაგროვების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში ერთჯერ.

2. რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) დაქვემდებარების ბიბლიოთეკების, ცენტრალური დარგობრივი და აკადემიური ბიბლიოთეკების (გარდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებისა) ხელმძღვანელებს (დირექტორებს, გამგეებს) აქვთ უფლება დამოუკიდებლად აწარმოონ მოძველებული ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების გარიცხვა ამ ინსტრუქციის ძირითადი დებულებების შესაბამისად, აგრეთვე დაიცვან ბიბლიოთეკე-

ბის ფონდებში, მისი პროფილის შესაბამისად, მთლიანი მოძველებული ლიტერატურის ან ნაწილის 1-2 ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო ფაქტიურ, ისტორიულ და სხვა მასალებს.

3. სახალხო მეურნეობის საბჭოების, წარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს (დირექტორებს, გამგეებს) შეუძლიათ მოძველებული ლიტერატურის გარიცხვა აწარმოონ სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების ნებართვით, ხოლო საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს — კულტურის შესაბამისი ორგანოების ნებართვით.

ამ ბიბლიოთეკებში მოძველებული ლიტერატურის შესარჩევად იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც დამტკიცებულია სარაიონო და საქალაქო კულტურის განყოფილებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწრმოების ხელმძღვანელების, დაწესებულებების, სასწავლებლების და ორგანიზაციების მიერ კომისიაში ბიბლიოთეკების მუშაკების, ბიბლიოთეკის საბჭოების წევრების აუცილებელი მონაწილეობით.

კომისიები თავიანთ მუშაობაში აბამენ ცოდნის ცალკეული დარგის სპეციალისტებს. საჭიროების შემთხვევაში კომისია კონსულტაციისათვის მიმართავს ცენტრალურ დარგობრივ, რესპუბლიკურ, საოლქო (სამხარეო) ბიბლიოთეკებს.

4. სახალხო-სამეურნეო საბჭოების სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებს, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს უფლება ეძლევათ. სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების ნებართვით საცნობარო მიზნით დატოვონ ფონდში მოძველებული ლიტერატურის 1-2 ცალი ბიბლიოთეკის პროფილის მიხედვით.

5. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდიდან მოძველებული ლიტერატურის დროულად და ხარისხიანად ჩამოწერის ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ეკისრებათ კულტურის ორგანოებს, სახალხო

მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომელთა უშუალო გამგებლობაში იმყოფებიან ბიბლიოთეკები და აგრეთვე ბიბლიოთეკების დირექტორებს (გამგეებს).

6. გასარიცხი ლიტერატურის შერჩევის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. თითოეული წიგნი განხილულ უნდა იქნეს შინაარსის მიხედვით. ბიბლიოთეკებიდან უნდა გაირიცხოს იდეურ-პოლიტიკურად, მეცნიერულად და საწარმოო თვალსაზრისით აშკარად მოძველებული წიგნები, ბროშურები და სხვა გამოცემები, ასე მაგალითად:

ა) სხვადასხვა პოლიტიკურ, სამეურნეო კომპანიებთან, აგრეთვე, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით, წინა წლებში გამოცემული და ამჟამად მოძველებული სააგიტაციო მასობრივი ლიტერატურა.

ბ) სკკპ მე-20 ყრილობამდე გამოცემული მასობრივი პოპულარული ბროშურები, რომლებშიაც რევოლუციური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის საკითხები დოგმატურადაა გაშუქებული.

გ) პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელისათვის სკკპ მე-20 ყრილობამდე გამოცემული მოძველებული სასწავლო სახელმძღვანელოები, კონსულტაციები, მეთოდური მასალები და პროგრამები.

დ) სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების დირექტივების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციების წესდების პროექტები, თუ არსებობს დამტკიცებული დირექტივები და წესდებები.

ე) მასობრივი საწარმოო-ტექნიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სასწავლო ლიტერატურა, რომლებიც მოძველებულია ტექნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით და უვარგისია პრაქტიკული სარგებლობისათვის (სამახსოვროები, მეთოდური მასალები, პროგრამები, სახელმძღვანელოები გაუქმებული „გოსტები "და „ოსტები", ტექმინიმუმები, ნორმები, ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, საწარმოო ინსტრუქციები, ფასების ნუსხები, პრეისკურანტები და ა. შ.).

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ლიტერატურის ახალ გამოცემებში გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ცნობები (სქემები, ნახაზები, ცხრილები, ილუსტრაციები და ა. შ.). რომლებიც მოცემულია ძველ გამოცემებში და მასზე არის მკითხველთა მოთხოვნილებები, რეკომენდებულია ასეთი გამოცემების ბიბლიოთეკის ფონდში დატოვება.

ვ) მასობრივი სასოფლო-სამეურნეო და აგროტექნიკური ლიტერატურა, რომელშიც გადმოცემულია სოფლის მეურნეობის წარმოების მოძველებული ან მცდარი დებულებანი, ფორმები და მეთოდები და აღარ უპასუხებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს.

ზ) განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც სამინისტროების მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელოების სიებში არ არის შესული.

თ) თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გაუქმებული სამხედრო წესდებები და განაწესები, სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები, დებულებები, სამახსოვროები, სასწავლო სახელმძღვანელოები, სასწავლო მეთოდური მასალები და სხვა სამხედრო მასობრივი ლიტერატურა, რომელმაც დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ი) მასობრივი საცნობო-იურიდიული ლიტერატურა, რომელიც შეიცავს გაუქმებულ კანონებს, დებულებებს, ინსტრუქციებს, განმარტებებს.

კ) სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ლათინური, არაბული და სხვა ხმარებიდან გამოსული შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, ჟურნალები და გაზეთები, გარდა იმ გამოცემებისა, რომლებსაც მეცნიერული და ისტორიული ღირებულება აქვთ.

ლ) ჟურნალებისა და გაზეთების არასრული კომპლექტები, იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკაში სრული კომპლექტი არსებობს.

გაზეთების წლიური კომპლექტები სავალდებული წესით ინახება:

საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებში — სარაიონო (საქალაქო) გაზეთების წლიური კომპლექტები ყველა წლების, გაზეთ „პრავდის", რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების კომპლექტები 5 წლის განმავლობაში. სხვა გაზეთების კომპლექტები 2 წლის განმავლობაში.

სასოფლო,საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებში გაზეთების წლიური კომპლექტები ინახება 2 წლის განმავლობაში.

პროფკავშირების, სხვა ორგანიზაციებისა და უწყებების მასობრივ ბიბლიოთეკებში და აგრეთვე საწარმოების ტექნიკურ ბიბლიოთეკებში „პრავდისა" და დარგობრივი თემატიკის გაზეთის კომპლექტები ინახება ხუთი წლის განმავლობაში, საწარმოების მრავალტირაჟიანი გაზეთების კომპლექტები ინახება ყველა წლის, სხვა გაზეთების წლიური კომპლექტები ინახება 2 წლის განმავლობაში.

ამ ინსტრუქციის მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილი ბიბლიოთეკების გარდა, სხვა ბიბლიოთეკებში პერიოდული გამოცემების შენახვის ვადები დგინდება შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ.

7. ბიბლიოთეკების ფონდებიდან აკრძალულია მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების ნაწარმოებების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოხსენებებისა და სიტყვების, სკკპ, საკ. ალკკ ყრილობების ,სკკპ საკ. ალკ სპცს ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიების, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობების სტენოგრაფიული ანგარიშების, სსრ კავშირის მუშურ-გლეხური მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულების სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებების კრებულების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების, კანონთა კრებულების, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებებისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, დიდი, მცირე და სხვა ენციკლოპედიების ძველი გამოცემებისა და აგრეთვე ბიბლიოთეკაში გამოუყენებელი მეცნიერული ღირებულების მქონე სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გარიცხვა.

ჩამოთვლილი ლიტერატურის მრავალეგზემპლარობის შემთხვევაში, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1949 წლის 7 აპრილის ინსტრუქციის — „სამინისტროების,უწყებებისა და ორგანი-

ზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდიდან გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ შესაბამისად ზედმეტი ცალები უნდა გადაეცეს სხვა ბიბლიოთეკას.

ამ გამოცემების 1-2 ეგზემპლარი ინახება ყველა ბიბლიოთეკაში (გარდა საბავშვოების).

8. კომისიის მიერ შერჩეული მოძველებული გამოცემების გარიცხვაზე დგება აქტი ორ ცალად. საქალაქო სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკები აქტს უდგენენ კულტურის სარაიონო (საქალაქო) განყოფილებას. კულტურის სარაიონო (საქალაქო) განყოფილება განხილვის შემდეგ აქტს დასამტკიცებლად აგზავნის კულტურის საოლქო (სამხარეო) სამმართველოში, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებში (სადაც ოლქებად დაყოფა არაა); სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, ორგანიზაციების უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკები აქტს დასამტკიცებლად უდგენენ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

დამტკიცების შემდეგ აქტის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება უშუალოდ ბიბლიოთეკას, ხოლო აქტის მეორე ცალი რჩება კულტურის სარაიონო (საქალაქო) განყოფილებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოების, სასწავლებლების და ორგანიზაციების საქმეებში.

ამ ინსტრუქციის მეორე პარაგრაფში ჩამოთვლილი ბიბლიოთეკები, რომლებსაც უფლება აქვთ დამოუკიდებლად აწარმოონ მოძველებული ლიტერატურის გარიცხვა, გარიცხვის აქტს ამტკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე).

გასარიცხ წიგნებზე აქტი დგება თანდართული ნიმუშის მიხედვით, რეკომენდებულია მოძველებული ლიტერატურის სია შედგეს განყოფილებების მიხედვით, ხოლო განყოფილებებში — ანბანური რიგით.

9. გასარიცხად გათვალისწინებული მოძველებული წიგნები ინვენტარიდან არ გაირიცხება და არ ნადგურდება. მათ გარიცხვაზე დამტკიცებული აქტის მიღებამდე.

დამტკიცებული აქტები მოძველებული ლიტერატურის თანდართულ სიებთან ერთად წარმოადგენს ბიბლიოთეკების საინვენ-

ტარო წიგნებიდან ლიტერატურის გარიცხვისა და ამ ლიტერატურაზე კატალოგებიდან საკატალოგო ბარათების ამოღების, გარიცხული ლიტერატურის ღირებულების ბიბლიოთეკების ბალანსიდან ჩამოწერისა და ამ წიგნების მაკულატურაში გადაცემის საფუძველს.

10. ბიბლიოთეკებში ლიტერატურის გარიცხვა მთავლიტის ბრძანებების, „მოძველებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების“ და „ნაკრები სიების“ მიხედვით წარმოებს მათი მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

შერჩეულ ლიტერატურაზე აქტი დგება ერთ ცალად, ამ ინსტრუქციის მერვე პარაგრაფის შესაბამისად. აქტი ინახება ბიბლიოთეკაში, ბუღალტერიისათვის, აქტის საფუძველზე დგება ცნობა, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს ამოღებული ლიტერატურის რაოდენობა და ღირებულება — ლიტერატურის სიის გარეშე.

თუ შემოწმების შედეგად არ აღმოჩნდება ამოსაღები ლიტერატურა, ბიბლიოთეკა ადგენს აქტს შემდეგი ფორმის მიხედვით: (წელი, თვე, რიცხვი, ბიბლიოთეკის დასახელება, ჩატარებულია შემოწმება მთავლიტის ბრძანების მიხედვით (მაჩვენებლით, სიით) №—ამოსაღები წიგნები არ აღმოჩნდა.

——————(ხელმოწერა)

11. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო და ჯამობრივი აღრიცხვის წიგნებში მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის შესახებ კეთდება შესაბამისი აღნიშვნები.

12. ჩამოსაწერად განკუთვნილი ლიტერატურა მოყვანილი უნდა იქნას ხმარებისათვის უვარგის მდგომარეობაში, რომელსაც ბიბლიოთეკა აბარებს მაკულატურის დამამზადებელ ადგილობრივ დაწესებულებას. მაკულატურის ჩაბარების ქვითარი აუცილებლად თან ერთვის აქტს.

გარიცხული ლიტერატურის გადაცემა სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე (მაღაზიებზე, ბუფეტებზე და ა .შ.), ან თვითნებურად განადგურება (დაწვა და ა. შ.) კატეგორიულად აკრძალულია.

13. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდიდან მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერის უშუალო კონტროლს ახორციელებენ

სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ბიბლიოთეკების ქსელი.

ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

ა ქ ტ ი

197 წლის _____ შედგენილია ესე აქტი

(გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა აქტის შედგენაში მონაწილე პირებისა)

_____

მიერ მასზე, რომ _____ ბიბლიოთეკიდან

გარიცხულია წიგნი _____ ეგზემპლარი, ჟურნალი _____

ეგზემპლარი, საერთო თანხით _____ მანეთისა და

_____ კაპ. _____ მიზეზით.

№№ რიგ.	გარიცხული გამოცემების საინვ. №—№	ავტორი და წიგნის სათაური	გამოცემა			ფასი		მანკიერების	რომელი დოკუმენტის საფუძველზე მოხდა გარიცხვა
			ადგილი	გამომცემლობა	წელი	მან.	კაპ.		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

ხელმოწერა

აქტს ვამტკიცებ _____

(აქტის დამამტკიცებელი პირის ხელმოწერა)

თარიღი და დაწესებულების ბეჭედი

ინსტრუქცია

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსი, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდიდან გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

(გამოშვებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 იანვრის № 11 დადგენილების საფუძველზე „ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის გამოყენების შესახებ", დამუშავებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პრესაში სამხედრო და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მონაწილეობით).

დამტკიცებულია
სსრ კავშირის კულტურის
სამინისტროს მიერ
1959 წ. 7 აპრილი

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 იანვრის № 11 დადგენილების „ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის გამოყენების შესახებ" შესაბამისად, სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ თავისი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდიდან გამოუყენებელი ლიტერატურა უსასყიდლოდ გადასცენ სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ბიბლიოთეკებს.

2. რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო დაქვემდებარების, აკადემიური, ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს (დირექტორებს, გამგეებს) აქვთ უფლება დამოუკიდებლად აწარმოონ გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემა სხვა ბიბლიოთეკებზე.

საწარმოებზე, დაწესებულებებზე, სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებზე დაქვემდებარებული ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები (დირექტორები, გამგეები) გამოუყენებელი ლიტერატურის სხვა ბიბლიოთეკებზე უსასყიდლოდ გადაცემას აწარმოებენ დაწესებულებების, საწარმოების, სასწავლებლებისა და სხვა ორგანიზა-

ციების ხელმძღვანელების ნებართვით; საქალაქო, სარაიონო, საბავშვო, სასოფლო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები — შესაბამისი კულტურის განყოფილების ნებართვით.

3. ერთი ბიბლიოთეკიდან მეორეში უსასყიდლოდ გადაიცემა ლიტერატურა: ზედმეტი, პროფილის შეუსაბამო და გამოუყენებელი ამ ბიბლიოთეკაში, მაგრამ საჭირო სხვა ბიბლიოთეკებისათვის.

ძირითადი ფონდიდან ამოსაღები გამოცემების სხვა ბიბლიოთეკებზე უსასყიდლოდ გადაცემისათვის გაცვლით ფონდში გადაჯგუფებას განსაზღვრავენ თვით ბიბლიოთეკები. სსრ კავშირის მთავლიტის დოკუმენტების საფუძველზე ამოსაღები ლიტერატურის სხვა ბიბლიოთეკებზე გადაცემა კატეგორიულად აკრძალულია.

4. გამოუყენებელი ლიტერატურის მქონე ბიბლიოთეკები პერიოდულად ადგენენ და ინფორმაციისათვის უგზავნიან ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას და აგრეთვე სხვა ბიბლიოთეკებს:

1. გამოუყენებელი გამოცემების სიას;

2. ლიტერატურის სიას, რომელსაც ბიბლიოთეკა ეძებს შესაძენად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სიაში არ უნდა იქნან შეტანილი ის გამომცემები, რომლებიც ამოსაღებია სსრ კავშირის მთავლიტის დოკუმენტებით.

5. სხვა ბიბლიოთეკებზე უსასყიდლოდ გადასაცემად ლიტერატურის შერჩევა ხდება ამ ბიბლიოთეკებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, ანდა ლიტერატურის გადამცემი ბიბლიოთეკების მუშაკების მიერ, მიღებული სიებისა ან კართოტეკის საფუძველზე, მიმღები ბიბლიოთეკის პროფილისა და მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ლიტერატურის შერჩევა ხდება ოფიციალური განცხადებისა და ლიტერატურის გადამცემი ბიბლიოთეკის დირექტორის წერილობითი ნებართვით.

6. სხვა ბიბლიოთეკებზე გადასაცემ ლიტერატურას წინასწარ ამოწმებს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მოძველებული გამოცემების ამოღების თვალსაზრისით.

7. გადაცემა გაფორმდება მიღება-გადაცემის აქტით თანდართული ფორმა № 1-ის მიხედვით.

აქტში სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული, რომ გადასაცემ

ლიტერატურაში სსრ კავშირის მთავლიტის დოკუმენტების მიხედვით ამოსაღები გამოცემები არ არის.

8. აქტს გადასაცემი ლიტერატურის სიასთან ერთად ამტკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

9. აქტისა და სიის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ლიტერატურის მიმღებ ბიბლიოთეკას და წარმოადგენს მისთვის საშემოსავლო დოკუმენტს, მეორე ცალი მინდობილობითა და სიით რჩება ლიტერატურის გადამცემი ბიბლიოთეკის საქმეებში და ინახება მუდმივად, როგორც გასამართლებელი დოკუმენტი ლიტერატურის გადაცემაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ შემთხვევაში, როდესაც ადრესატს ლიტერატურა ეგზავნება ფოსტით ან ტრანსპორტის რომელიმე სახით, გასამართლებელ დოკუმენტს წარმოადგენს საფოსტო ქვითარი ან ზედნადები. აქტისა და სიის ერთი ეგზემპლარი მიმღებს ეგზავნება ლიტერატურასთან ერთად.

10. მიმღები ბიბლიოთეკის წარმომადგენლის მიერ ლიტერატურის უშუალოდ მიღების შემთხვევაში საჭიროა ოფიციალური მინდობილობის წარდგენა. აქტში უნდა იყოს ნაჩვენები მინდობილობის ნომერი და თარიღი.

11. გადაცემული და მიღებული ლიტერატურა სათანადოდ გაირიცხება და შემოსავალში გატარდება საარრიცხვო დოკუმენტებით და კატალოგებით ამ კატეგორიის ბიბლიოთეკებისათვის არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

12. ლიტერატურის გაგზავნა ხდება მიმღები ბიბლიოთეკის ხარჯზე (გაგზავნის ღირებულების გადახდა).

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო

1950 წ. 7 აპრილი № 20—27 ქ. მოსკოვი

ფორმა № 1

ვამტკიცებ

_____

_____ დირექტორი

„_____"_____19 წ.

აქტი №_____

19____ წ._____ „_____"

ესე აქტი შედგენილია მასზე, რომ_____

_____

(გადამცემი ბიბლიოთეკის დასახელება)

გადასცა ხოლო _____

(მიმღები ბიბლიოთეკის დასახელება)

მიიღო გადარჩეული ლიტერატურა წარმომადგენლის ამხ:

_____მინდობილობა №_____

საფუძველზე_____რაოდენობით:

წიგნები რუსული_____ეგზ., ქართული_____ეგზ., სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებზე_____ეგზ., უცხო ენებზე_____ეგზემპლ., ჟურნალები რუსული _____ №№, ქართული _____ №№, სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებზე_____№№, უცხო ენებზე _____№№, გაზეთები რუსული_____№№, ქართული_____ №№, სსრ კავშირის სხვა ხალხთა ენებზე _____ №№, უცხო ენებზე _____ №№, რუკები_____ეგზ. ნოტები _____ ეგზ.

ს უ ლ _____

(სიტყვებით)

მათ შორის ღირებულება წიგნების, რომლებიც ირიცხება ბალანსზე _____

(სიტყვებით)

თანდართული სიის თანახმად

ლიტერატურა ჩავაბარე

მივიღე

ფორმა № 3

თან ერთვის №_____აქტს

ს ი ა

ლიტერატურისა, რომელიც გადაეცა _____

_____ ბიბლიოთეკიდან _____

_____ ბიბლიოთეკას _____

(მიმღები ბიბლიოთეკის მისამართი)

№—№ რიგ.	აეტორი და სახელწოდება	გამოცემის ადგილი და წელი	ეგზემპლართა რაოდენობა	ფასი	ჯამი

ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ

წერილი მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, პროფკავშირის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ საბჭოებს.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საკავშირო პროფკავშირთა.საბჭოში მრავალი სიგნალი შემოდის იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში მთელ რიგ ადგილებზე კულტურისა და პროფკავშირის ორგანოებმა შეანელეს ყურადღება და კონტროლი მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვის უზრუნველყოფისადმი. ამის შედეგად ბიბლიოთეკის ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება ,ნადგურდება და ზიანდება.

მკითხველთა მხრივ „მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესების" დარღვევა, მათ მიერ ძვირფასი ლიტერატურის დიდი ხნის განმავლობაში დაუბრუნებლობა (ზოგჯერ ერთ წელზე მეტი), საზოგადოებრიობის მხედველობის გარეშე არის და დაუსჯელი რჩება. ეს კი იწვევს უპასუხისმგებლობას და უყურადღებო დამოკიდებულებას ბიბლიოთეკების ფონდებისადმი, რაც ხშირად აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის წიგნების საგანძურს და მილიონობით საბჭოთა ადამიანების კითხვის ინტერესებს.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და საკავშირო პროფ-საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებისა და პროფკავშირების ყურადღებას მიაქცევენ ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე, განიხილონ ეს საკითხი სამინისტროთა კოლეგიისა და პროფკავშირების საბჭოების პრეზიდიუმის სხდომებზე, მოითხოვონ კულტურის ორგანოების, პროფკავშირული ორგანოებისა და ბიბლიოთეკების მუშაკებისაგან მკაცრად შეასრულონ და დაიცვან „მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესები". საჭიროა ჩატარდეს მკითხველთა აქტივის კრებები, მოეწყოს საუბრები ბავშვების, ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეებსა და პენსიონერებს შორის. ბიბლიოთეკების წიგნით მოსარგებლე თითოეულ მოქალაქეს გასაგებად აუხსნან და განუმარტონ მკითხველთა უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა. წიგნობრივი ფონდებისადმი დაუდევარი და-

მოკიდებულების, „მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესების“ დარღვევის ყოველი ფაქტი გახადონ საჯარო მსჯელობის საგნად. ამის შესახებ აცნობონ მათი მუშაობის, სწავლისა და ხაცხოვრებელ დგილზე. პროფკავშირის კომიტეტებმა ყურადღებით გაარჩიონ და განიხილონ ბიბლიოთეკის სიგნალები, დაუდევარი მკითხველების შესახებ წიგნებისადმი პატივისცემის აღზრდის მიზნით აქტიურად გამოიყენონ მუშათა კრებები, ადგილობრივი რადიო, მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთები, აგიტბრიგადები და სხვა.

რეკომენდაცია მიეცეთ ბიბლიოთეკების დირექტორებს (გამგეებს) და ბიბლიოთეკის საბჭოებს საქმე იმ პირების შესახებ, რომლებიც ექვსი თვის განმავლობაში ერთი-ორი წერილობითი ან სიტყვიერი შეხსენების შემდეგ არ დააბრუნებენ წიგნს, მათი საქმე განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართლოებს.

ამასთან ერთად, იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი დანაშაული, რაც არ არის გათვალისწინებული „მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესებში“ (მაგალითად წიგნის გატაცება ან ბოროტი განზრახვით გაფუჭება) პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ რესპუბლიკაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

წიგნობრივი ფონდების დაცვის უზრუნველყოფა, თითოეულ ადამიანში წიგნებისადმი, როგორც უდიდესი სულიერი საგანძურისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით ყოველდღიური და გულმოდგინე აღზრდა — არის საბიბლიოთეკო კადრების, პროფკავშირული აქტივის, კულტურის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნო

23 ივნისი 1966

წიგნადი ფონდებისათვის ბიბლიოთეკის მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის ოდენობის შესახებ

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წერილი მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრებს

1961 წ. 20 ივლისი.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში ადგილებიდან შემოდის მრავალი შეკითხვა წიგნადი ფონდებისათვის ბიბლიოთეკის მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის ოდენობის შესახებ.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო განმარტავს, რომ ბიბლიოთეკის მუშაკებს, თუკი მათ აღმოაჩნდებათ წიგნების დანაკლისი, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა ნამდვილი ზარალის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს თავისი სატარიფო განაკვეთის ერთი მესამედისა, თუ ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით ან კანონის დარღვევით, ე. ი. ბიბლიოთეკის მუშაკების მიზეზით.

სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მუშაკებს ეკისრებათ მხოლოდ მაშინ, როცა წიგნების დანაკლისი გამოწვეულია ისეთი მოქმედებით, რომელიც სისხლის სამართლის წესით ისჯება.

ზარალის ანაზღაურება პირველ შემთხვევაში წარმოებს მუშაკის ხელფასიდან სათანადო თანხის დაკავებით, რსფსრ-ის შრომის კანონთა კოდექსის 83-2 მუხლში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შკკ-ის შესაბამის მუხლებში აღნიშნული წესის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში (სადავო შემთხვევაში) — მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების მუშაკთა შრომითი შინაგანაწესი

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ, 1957 წლის 12 აპრილს და შეთანხმებულია სსრ კავშირის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან

I საერთო დებულება

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 130 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა.

საბჭოთა კავშირში შრომითი დისციპლინა ემყარება შრომისადმი მოქალაქეთა შეგნებულ დამოკიდებულებას.

2. შრომითი შინაგანაწესი მიზნად ისახავს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, მუშაობის სწორ ორგანიზაციას, სამუშაო დღის სწორ და რაციონალურ გამოყენებას, შრომითი წარმოების აღმავლობას, გეგმის შესრულებასა და მკითხველთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

II სამუშაოზე დანიშვნა-განთავისუფლების წესები

3. სამუშაოზე დანიშვნისას ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე) ვალდებულია მოსთხოვოს მისაღებ პირს, რომ მან წარმოადგინოს:

ა) შრომის წიგნაკი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველად იწყებს სამსახურს, — ცნობა სახლმმართველობიდან ან სასოფლო-საბჭოდან უკანასკნელი საქმიანობის შესახებ;

ბ) პასპორტი საპასპორტო კანონმდებლობის მიხედვით;

გ) იმ პირებს, რომლებიც ინიშნებიან ბიბლიოთეკის მუშაკებად, „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული საბუთების გარდა საჭიროა მოეთხოვოს ცნობა განათლების (დიპლომის, ატესტატის ასლი), აგ-

რეთვე საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟის შესახებ ,თუ ეს საბუთები არ არის ასახული შრომის წიგნაკში, ის პირები, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, წარადგენენ შესაბამის საბუთებს ხარისხის ან წოდების მინიჭების შესახებ. ჩამოთვლილი საბუთების გარეშე პიროვნების სამუშაოზე მიღება დაუშვებელია.

ბიბლიოთეკაში თანამდებობაზე დანიშვნა ხდება ბიბლიოთეკების მუშაკთა იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნილებების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს 1955 წლის 16 აგვისტოს № 526 ბრძანებით.

4. ყველა ახლადმიღებული მუშაკისათვის ინიშნება გამოსაცდელი ვადა:

ა) ბიბლიოთეკის მუშაკებისათვის 1 თვე;

ბ) მომსახურე პერსონალისათვის 2 კვირა.

გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ სამუშაოზე დანიშვნა ხდება ბიბლიოთეკის გამგის (დირექტორის) ბრძანებით.

5. მუშაკის თანამდებობაზე დანიშვნის ან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია განუმარტოს მუშაკს მისი უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, გააცნოს მუშაობის არსი, წიგნადი ფონდის დაცვის ინსტრუქცია, საბიბლიოთეკო ტექნიკა და ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესები.

ბ) გააცნოს მუშაკს შრომის შინაგანაწესი, გაუწიოს ინსტრუქცია უშიშროების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის შესახებ.

6. ახლად დანიშნულთათვის, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას, ივსება შრომის წიგნაკი არა უგვიანეს ხუთი დღისა მათი სამუშაოზე დანიშვნიდან.

7. სამუშაოდან განთავისუფლება ფორმდება ბიბლიოთეკის გამგისა (დირექტორისა) კულტურის განყოფილების გამგის ბრძანებით (განკარგულებით), ბიბლიოთეკის მოქმედი დებულებისა და წესდების შესაბამისად.

შენიშვნა: სარაიონო და საქალაქო ბიბლიოთეკების გამგეები, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ბიბლიოთეკების დირექტორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კულტურის სამმართვე-

ლოსა (განყოფილების) და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების ბრძანებით.

8. ბიბლიოთეკის მუშაკები, რომლებიც თავიანთი სურვილით თავისუფლდებიან სამუშაოდან, ვალდებულნი არიან გააფრთხილონ ადმინისტრაცია ორი კვირით ადრე. ორი კვირის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციას არა აქვს უფლება შეაჩეროს თავისი სურვილით მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება.

9. სამუშაოდან განთავისუფლების დღეს ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მუშაკს სათანადოდ გაფორმებული შრომის წიგნაკი, მასში განთავისუფლების შესახებ ჩანაწერით და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. ამასთან ერთად, განთავისუფლების მიზეზი წიგნაკში ნაჩვენები უნდა იყოს არსებული შრომითი საკანონმდებლო ფორმულირების ან არსებული საკანონმდებლო მუხლის (პუნქტის) ზუსტი შესაბამისობით.

III ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისა და მუშაკთა ძირითადი ვალდებულებები

10. ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) ისე ორგანიზებულად მოაწყოს ბიბლიოთეკის მუშაკთა შრომა,რომ ყოველი მათგანი მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

ა) ბიბლიოთეკის თვითეულ მუშაკს გამოუყოს განსაზღვრული სამუშაო ადგილი, მოამარაგოს საჭირო მასალებით, ინვენტარითა და საბიბლიოთეკო ტექნიკის საგნებით;

გ) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის მუშაკთა საწარმოო და საქმიანი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.

დ) შექმნას ყველა პირობა შრომის წარმოების ამაღლების, მოწინავე მუშაკთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და პროფესიის შერწყმისათვის, დანერგოს შრომის მოწინავე მეთოდები, მექანიზებული გახადოს მძიმე და შრომატევადი პროცესები; გაატაროს ღონისძიებები საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაციის მიზნით, საწარმოო თათბირებისა და ცალკეულ მუშაკთა წინადადებების დანერგვით.

ე) განამტკიცოს შრომითი და საწარმოო დისციპლინა.

ვ) უზრუნველყოს ინვენტარისა და მოწყობილობის სწორი მოვლა-პატრონობა.

ზ) განამტკიცოს შრომის დაცვის წესები და კანონები და დადგენილი სამუშაო დღის განაწესის ზუსტი შესრულება. განახორციელოს ღონისძიებები უშიშროების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მიზნით, (ინსტრუქტაჟი გაუწიოს მუშაკებს შორის უშიშროების ხერხების გამომუშავებაში, უზრუნველყოს სასმელი წყლით, მოაწყოს პირსაბანები, საგარდერობოები და სხვ.), სსრკ კულტურის სამინისტროს 1955 წლის 28 მარტის № 154 ბრძანებით დამტკიცებული ნორმების მიხედვით. დროულად უზრუნველყოს მომსახურე პერსონალი სპეცტანსაცმლით.

თ) დადგენილ ვადებში გასცეს ხელფასები;

ი) იზრუნოს ბიბლიოთეკის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, გულისხმიერად მოეკიდოს მათ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

11. ბიბლიოთეკის მუშაკი ვალდებულია:

ა) იმუშაოს ბეჯითად და წესიერად;

ბ) დაიცვას შრომის დისციპლინა და შრომითი შინაგანაწესი; დროზე გამოცხადდეს სამუშაოზე; ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე დაიცვას სამუშაო დღის დადგენილი ხანგრძლივობა; გამოიყენოს მთელი სამუშაო დრო მხოლოდ საწარმოო შრომისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის; დროულად და ზუსტად შეასრულოს ადმინისტრაციის განკარგულებები;

გ) თავის დროზე და გულდასმით შეასრულოს სამუშაო გეგმა და ცალკეული დავალებები. არ დაუშვას წუნი და მიაღწიოს მაღალხარისხოვან მაჩვენებლებს მუშაობაში;

დ) გაუფრთხილდეს სოციალისტურ საკუთრებას — წიგნად ფონდს, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ ღირებულებას, არ გაატანოს ბიბლიოთეკიდან წიგნები მკითხველის საკუთარ ფორმულიარში ჩაწერის გარეშე.

ე) ინფექციური ავადმყოფებისაგან დაბრუნებული წიგნები დაუყოვნებლივ გაგზავნოს სადეზინფექციოდ.

ვ) დაიცვას უშიშროების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის წესები, რომლებიც გათვალისწინე-

ბულია სათანადო ინსტრუქციით. დაიცვას ბიბლიოთეკებში წიგნისა და სხვა ბეჭდვითი მასალების შენახვის დადგენილი წესები;

ზ) წესრიგში და სისუფთავეში იქონიოს თავისი სამუშაო ადგილი და სრულ წესრიგში ჩააბაროს ახალ ცვლას; დაიცვას სისუფთავე აგრეთვე ბიბლიოთეკის შენობასა და ტერიტორიაზე.

12. წიგნსაცავში შესვლა უცხო პირთათვის, აგრეთვე ბიბლიოთეკის იმ მუშაკთათვის, რომელთაც თავისი მუშაობის მიხედვით დამოკიდებულება არა აქვთ მასთან, სასტიკად აკრძალულია.

13. თამბაქოს მოწევა აკრძალულია ბიბლიოთეკის ყველა შენობაში, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა.

14. სტიქიური უბედურების შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკის შენობას ან ქონებას ემუქრება საშიშროება, ბიბლიოთეკის ყველა მუშაკი ვალდებულია, უვნებელყოს ბიბლიოთეკა მომავალი საშიშროებისაგან. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის დროს ბიბლიოთეკის მუშაკთა განლაგების ოპერატიული და ბიბლიოთეკის ქონების ევაკუაციის გეგმები, სინათლის ავარიული გამორთვის შემთხვევისათვის საკმაო რაოდენობით უნდა იყოს ელექტრონათურები და განათების სხვა უსაფრთხო საშუალებანი.

IV სამუშაო დრო და მისი გამოყენება

15. ბიბლიოთეკის მუშაკთათვის მუშაობისა და შესვენების დაწყება და დამთავრება ჩვეულებრივ დღეებში დგინდება განსაკუთრებული განრიგით, რომელიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ყოველი განყოფილების მუშაობას.

შაბათობითა და წინასადღესასწაულო დღეებში ბიბლიოთეკები მუშაობას ამთავრებენ ორი საათით ადრე, — უკანასკნელი საათების ხარჯზე.

დღესასწაულების დღეებში: 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს, 5 დეკემბერსა და 1 იანვარს ბიბლიოთეკები არ მუშაობენ. ბიბლიოთეკისათვის დასვენების დღე წესდება მოსახლეობისათვის მოსახერხებელ დღეებში.

16. ცვლებით მუშაობისას თანამშრომლები მორიგეობენ ცვლაში თანაბრად. ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ერთი კვირის შემდეგ.

ცვლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მუშაკი ვალდებულია არ დატოვოს პოსტი და აცნობოს ამის შესახებ უფროსს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია, — დაუყოვნებლივი ზომები მიიღოს მუშაკის შესაცვლელად.

17. განყოფილების (სამკითხველო დარბაზი, საბონემენტო) ბიბლიოთეკარები მკითხველზე წიგნის გაცემაზე მუშაობენ არა უმეტეს 6 საათისა დღეში, დანარჩენ დროს კი ახმარენ განყოფილების შინაგან და მასობრივ საქმიანობას (წიგნის მომზადება გასაცემად, მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაცია და ჩატარდება, წიგნადი ფონდის შესწავლა, კატალოგის ორგანიზაცია და შესწავლა, სტატისტიკის წარმოება და სხვა).

18. სამუშაოს დაწყებამდე ყოველი მუშაკი ვალდებულია აღრიცხოს სამსახურში გამოცხადება, ხოლო სამუშაო დღის დამთავრებისას — წასვლა, მოცემულ ბიბლიოთეკაში დადგენილი წესების შესაბამისად.

19. სატაბელო დაფები და აღრიცხვის სხვა საშუალებანი ღია უნდა იყოს სამუშაოს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე და სამუშაო დღის დამთავრებისთანავე. ადმინისტრაცია ვლდებულია უზრუნველყოს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვის სისწორის კანტროლი.

გამოცხადება—აღრიცხვის ადგილზე უნდა იყოს საათი, რომელიც უჩვენებს ზუსტ დროს.

20. სამუშაო საათებში აკრძალულია:

ა) მუშებისა და მოსამსახურეების მოცდენა მათი სამუშაო ადგილებიდან, სამუშაოდან გამოძახება ან განთვისუფლება საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

ბ) საზოგადოებრივი საქმიანობის — კრებების, სხდომებისა და ყველა ტიპის თათბირების მოწვევა.

V წახალისების ღონისძიებები

21. ადმინისტრაცია წაახალისებს მუშაკს მოვალეობის სამაგალითო და ბეჯითი შესრულებისათვის, შრომაში ინიციატივისა და ნოვატორობისათვის, რაციონალური წინადადებებისათვის, ერთ

ბიბლიოთეკაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის და სხვა წარმატებებისათვის მუშაობაში.

22. არსებობს წახალისების შემდეგი სახეები:

მადლობა;

საპატიო დაფაზე, წიგნში შეტანა;

საუკეთესო მუშაკის წოდების მინიჭება;

ფულადი პრემია;

ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;

წახალისება ხდება ბიბლიოთეკის გამგის (დირექტორის) მიერ პროფკავშირების ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

წახალისება გამოქვეყნდება ბრძანებით ან განკარგულებით. დირექცია და ადგილკომი წარადგენენ ბიბლიოთეკის მოწინავე მუშაკებს ზემდგომ ორგანოებში ნიშნით „საუკეთესო შრომისათვის" და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების სიგელით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური და რესპუბლიკური კომიტეტების სიგელებით დასაჯილდოებლად. წახალისება შეტანილ იქნება შრომის წიგნაკში თანახმად მისი წარმოებისა.

VI. ზემოქმედების სახეები შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევებში

23. შრომითი დისციპლინის დარღვევა განაპირობებს დისციპლინარულ სასჯელს.

24. დისციპლინარული სასჯელებიდან ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მიერ მუშაკს დაედება შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის შემდეგი სასჯელი:

ა) შენიშვნა (გაფრთხილება);

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) ნაკლებ ხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანა 3 თვემდე ვადით ან ნაკლებ თანამდებობაზე ჩამოქვეითება იმავე ვადით.

ყველა სასჯელი ცხადდება ბრძანებით და ეცნობება მუშაკს ხელისმოწერით.

25. თანამშრომლის მიერ არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაც-

დენისათვის ბიბლიოთეკის გამგე (დირექტორი) გამოიყენებს სასჯელის შემდეგ ფორმებს:

ა) 24-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ დისციპლინარულ სასჯელს.

ბ) სამსახურიდან განთავისუფლებას შრომის წიგნაკში ჩვენებით, რომ მუშაკი განთავისუფლებულია არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის.

გაცდენად ითვლება მუშაკის სამსახურში გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით.

სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება მუშაკს ეთვლება გაცდენად.

26. ბიბლიოთეკის გამგეს (დირექტორს) უფლება აქვს თავისი შეხედულების მიხედვით, ნაცვლად 24 და 25 პუნქტებში აღნიშნული დისციპლინარული სასჯელისა, მასალები შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის გადასცეს განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს.

27. ადმინისტრაციის მიერ სასჯელი ედება მუშაკს დანაშაულის ჩადენის აღმოჩენისთანავე.

სასჯელის დადებამდე დისციპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-განმარტება.

დისციპლინარული სასჯელის დადება დაუშვებელია დანაშაულის ჩადენის აღმოჩენიდან ერთი თვის შემდეგ.

დისციპლინარული სასჯელით დასჯა არ შეიძლება დანაშაულის ჩადენიდან 6 თვის შემდეგ.

28. შრომითი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის მიმართ შეიძლება დაიდოს მხოლოდ ერთი დისციპლინარული სასჯელი.

29. სასჯელის მიღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში თუ ბიბლიოთეკის მუშაკს ახალი სასჯელი არ მიუღია, მაშინ მას წინანდელი სასჯელი ეხსნება.

თუ თანამშრომელს არ მიუღია ახალი სასჯელი და თავი გამოიჩინა, როგორც ბეჯითმა და პატიოსანმა მუშაკმა, ბიბლიოთეკის გამგეს (დირექტორს) შეუძლია მოხსნას დადებული სასჯელი ერთ წელზე ადრე.

შრომითი წინაგანაწესი უნდა იყოს გამოკრული ბიბლიოთეკის განყოფილებებში თვალსაჩინო ადგილზე.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წესდება

§ 1.

კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს ნაციონალურ უნივერსალური ტიპის ბიბლიოთეკას; ბეჭდვითი პროდუქციის რესპუბლიკურ წიგნსაცავს, რესპუბლიკის სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდურ დაწესებულებას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში; რესპუბლიკის, ასს რესპუბლიკური, საოლქო და ყველა სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკისადმი მეთოდური ხელმძღვანელობისა და სხვა უწყების ბიბლიოთეკებისადმი მეთოდური დახმარების ცენტრს.

ბიბლიოთეკა ეხმარება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყველა უწყების ბიბლიოთეკების საქმიანობის კოორდინაციისა და კოოპერირების განხორციელებაში.

§ 2

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მთელ თავის საქმიანობას უქვემდებარებს კომუნისტურ მშენებლობის ამოცანების განხორციელებას, რისთვისაც ფართოდ იყენებს წიგნად ფონდს, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის მიზნით ყოველმხრივ ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას და მათი მიღწევების წარმოებაში დანერგვას.

§ 3

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ასრულებს ბეჭდვითი ნაწარმოებებისა და ხელნაწერის სახელმწიფო საცავის, ნაციონალურ და სსრ კავშირის ხალხთა ბეჭდვითი ნაწარმოებების პროპაგანდის ცენტრის ფუნქციებს, ემსახურება სსრ კავშირის ხალხთა ბეჭდვითი ნაწარმოების პროპაგანდის ცენტრის ფუნქციებს. ემსახურება სსრ კავშირის ხალხთა კულტურის ურთიერთ გამდიდრებასა და საზღვარგარეთის ქვე-

ყნების პროგრესული კულტურის მიღწევათა გაცნობას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდას.

§ 4

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს ყველა მოქალაქეს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, პარტიული და საბჭოთა აქტივის მომსახურებას.

უნივერსალური პროფილის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკისა და ბეჭდური ნაწარმოებების სახელმწიფო საცავის ამოცანების განხორციელების მიზნით რესპუბლიკური ბიბლიოთეკა:

ა) წიგნობრივ ფონდს აკომპლექტებს ცოდნის ყველა დარგის ლიტერატურით, ყველა სახის ბეჭდვითი ნაწარმოებით, ხელნაწერებთ, მიკროფილმებით და ხმის ჩანაწერი (აუდიოვიზიალური) მასალებით.

ბ) ადგენს ბიბლიოთეკაში შემოსული ბეჭდვითი ნაწარმოებების, ხელნაწერების, მიკროფილმების, ხმის ჩანაწერების მასალის კატალოგებს.

გ) მკითხველთათვის ფართოდ ხსნის თავის წიგნად ფონდს, ინფორმაციას აწვდის მათ რესპუბლიკის მსხვილი ბიბლიოთეკების ფონდის შემადგენლობის შესახებ, ადგენს სამამულო და უცხო ლიტერატურის შეერთებულ კატალოგებს.

დ) აწარმოებს საინფორმაციო მუშაობას მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა დასახმარებლად. როგორც ბიბლიოთეკაში, ისე მის გარეთ, რესპუბლიკაში წარმოადგენს საინფორმაციო მუშაობის კოორდინაციის ცენტრს.

ე) ახორციელებს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მკითხველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას.

ვ) აწარმოებს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდას.

ზ) ახორციელებს მკითხველთა დიფერენცირებულ მომსახურებას, აწვდის მათ სამკითხველო დარბაზებში ბეჭდვით ნაწარმოებებს, ხელნაწერებს, მიკროფილმებს, ხმის ჩანაწერ მასალებს, კარტოთეკებსა და კატალოგებს, უწევს ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას, აწყობს ლიტერატურის გამოფენებს, მკითხველთა კონფერენციებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებსა და სემინარებს.

აბონემენტის საშუალებით ცალკეულ შემთხვევაში აწარმოებს მკითხველებზე ლიტერატურის სახლში გაცემას და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტების წიგნით მომსახურების არსებითად გაუმჯობესებაზე.

თ) რესპუბლიკაში წარმოადგენს ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის ცენტრს — ბიბლიოთეკათაშორისო, დაუსწრებელი და საერთაშორისო აბონემენტის საშუალებით მომსახურებას უწევს, როგორც თავისი ბიბლიოთეკის, ისე სხვა ბიბლიოთეკების მკითხველებს სხვა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის აქტიური გამოყენებით.

§ 5

როგორც რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო საცავი ბიბლიოთეკა:

ა) მკითხველთა მომსახურებისათვის აგროვებს, იცავს და ორგანიზაციას უკეთებს საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოცემულ ბეჭდურ ნაწარმოებებს, ხელნაწერ წიგნებს, მიკროფილმებს, ხმის ჩანაწერ მასალებს და ლიტერატურას რესპუბლიკის შესახებ და ამ რესპუბლიკის ხალხთა ენებზე.

ბ) დადგენილი წესის შესაბამისად, იღებს საქართველოს სს რესპუბლიკის ბეჭდური ნაწარმოებების სრულ უფასო სავალდებულო ცალებს;

გ) კომპლექტდება საკავშირო მნიშვნელობის და სხვა რესპუბლიკების უმნიშვნელოვანესი გამოცემებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცემებით, იღებს ფასიან სავალდებულო ცალებს რუსულ ენაზე (შერჩევით).

დ) ქმნის რესპუბლიკურ სარეზერვო გაცვლით ფონდს და ახორციელებს წიგნების ურთიერთ გადანაწილებას.

ე) დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოებს წიგნგაცვლას საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ბიბლიოთეკებსა და სხვა დაწესებულებებთან.

ვ) ახორციელებს ღონისძიებებს წიგნადი ფონდის დაცვაზე.

§ 6

როგორც სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში, კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა სხვა ბიბლიოთეკებთან და ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებებთან თანამშრომლობით:

ა) დამოუკიდებლად ან რესპუბლიკის წიგნის პალატასა და სხვა დაწესებულებებთან ერთად აწარმოებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესპუბლიკის შესახებ და რესპუბლიკის ხალხთა ენებზე გამოცემული ლიტერატურის რეტროსპექტულ და სამეცნიერო-ინფორმაციულ ბიბლიოგრაფიას.

ბ) პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერ მუშაკთა და სპეციალისტებისადმი დახმარების მიზნით სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით აწარმოებს მიმდინარე ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას.

გ) ადგენს საქ. სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოსულ რესპუბლიკის შესახებ და რესპუბლიკის ხალხთა ენაზე ლიტერატურის სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე მნიშვნელოვანი ლიტერატურის მაჩვენებლებს რუსულ ენაზე.

დ) სარგებლობს სსრ კავშირის სხვა ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოებით და საჭიროების შემთხვევაში ავსებს მათ რესპუბლიკის ხალხთა ენაზე არსებული ლიტერატურით.

§ 7

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს მეთოდურ ცენტრს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ბიბლიოთეკებისათვის.

ამ ფუნქციების შესრულების მიზნით რესპუბლიკური ბიბლიოთეკა:

ა) ახორციელებს მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის სახელმწიფო მასობრივ ბიბლიოთეკებზე ასს რესპუბლიკურ, საოლქო ცენტრალურ საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებზე დაყრდნობით. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში უცხოურ ლიტერატურაზე მუშაობის მეთოდურ ცენტრს.

ბ) ანალიზს უკეთებს რესპუბლიკის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობას, ამუშავებს მოსახლეობის ერთიანი მომსახურების სისტემის გეგმებსა და ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის წინადადებებსა და მეცნიერულ რეკომენდაციებს.

გ) ავლენს, ანზოგადებს, პროპაგანდას უწევს და პრაქტიკაში ნერგავს ბიბლიოთეკების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

დ) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და რესპუბლიკის სხვა უწყებებთან შეთანხმებით, იწვევს რესპუბლიკურ და სარაიონთაშორისო მეთოდურ თათბირებს, სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებს.

ე) ადგენს მეთოდურ წერილებსა და სახელმძღვანელოებს, კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს, ამზადებს სტატიების კრებულებს ბიბლიოთეკების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

ვ) მეთოდურ დახმარებას უწევს რესპუბლიკის ყველა უწყების ბიბლიოთეკას.

ზ) ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით იყენებს სსრ კავშირის ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკების მეთოდურ მასალებს;

თ) სწავლობს საბიბლიოთეკო მუშაობაში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს მათ დანერგვას რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში.

ი) ჩამოაყალიბებს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

§ 8

რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური დაწესებულება ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა:

ა) ამუშავებს საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიული მუშაობის თეორიის, ისტორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს:

ბ) ამზადებს და აქვეყნებს შრომებს, მეცნიერულ ჩანაწერებს, ბიბლიოგრაფიებს, სტატიათა კრებულებს და სხვა მეცნიერულ შრომებს ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში, ატარებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებს.

§ 9

რესპუბლიკის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი სისტემის განხორციელების მიზნით კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა:

ა) დახმარებას უწევს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს ყველა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობას.

ბ) ამუშავებს და განსახილველად შეაქვს სათანადო ორგანიზაციებში წინადადებანი საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი სისტემის პრაქტიკულად განხორციელების, დაკომპლექტების კოორდინაციისა და წიგნადი ფონდის კოოპერირების, შიდა საკავშირო და საერთაშორისო წიგნგაცვლის, ცენტრალიზებული კატალოგიზაციის, რესპუბლიკური მნიშვნელობის ბიბლიოთეკების მიერ მკითხველთა მომსახურების, ბიბლიოთეკათაშორისო და საერთაშორისო აბონემენტის, საცნობო ინფორმაციებისა და ბიბლიოგრაფიული მომსახურების, სამეცნიერო-საინფორმაციო და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და სხვადასხვა უწყების საბიბლიოთეკო მეთოდური ცენტრის მუშაობის შესახებ.

გ) რესპუბლიკაში ახდენს ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის საკითხებზე სამეცნიერო მუშაობასა და კოოპერირებას.

დ) ამუშავებს რესპუბლიკის საბიბლიოთეკო დაწესებულებების სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ნაკრებ გეგმებს.

ე) ორგანიზაციას უკეთებს საუწყებათაშორისო საკატალოგიზაციო კომისიის მუშაობას.

§ 10

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ფინანსიურ საქმიანობას, ამაზე საგანგებო მინდობილობის გარეშე ბიბლიოთეკას წარმომადგენლობს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და სრული პასუხისმგებელია მის მუშაობაზე. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ხორციელდება დირექტორის მიერ ერთმმართველობის საფუძველზე.

ბიბლიოთეკის დირექტორი ინიშნება და თავისუფლდება საქართველო სსსრ კულტურის სამინისტროს მიერ.

დირექტორი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო და საწარმოო პერსონალის შტატს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. დირექტორს ჰყავს მოადგილეები და სწავლული მდივანი.

§ 11

დირექტორის მოადგილეები მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, წარმომადგენლობენ ბიბლიოთეკას სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სრული პასუხისმგებელნი არიან ბიბლიოთეკის მუშაობის მათდამი რწმუნებულ უბნებზე. მოადგილეებისა და ბიბლიოთეკის სხვა მუშაკების კომპეტენციას აწესებს ბიბლიოთეკის დირექტორი. ბიბლიოთეკის ღირექტორის მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი, განყოფილების გამგეები, მთავარი ბიბლიოთეკარები და ბიბლიოგრაფები მეთოდისტები, დარბაზის, სექტორის გამგეები ინიშნებიან და თავისუფლდებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგენით.

§ 12

დანარჩენ საბიბლიოთეკო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო მუშაკებს ნიშნავს და აოავისუფლებს ბიბლიოთეკის დირექტორი.

ბიბლიოთეკაში სამუშაოზე მიღება ხდება სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ. კულტურის სამინისტროს მიერ.

თანამშრომელთა უფლება და მოვალეობა განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით, რომლებიც დამტკიცებულია შინაგანაწესით.

§ 13

ბიბლიოთეკის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები მოქმედებენ დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებისა და წესების შესაბამისად.

§ 14

საწარმოო საკითხების გადაწყვეტაში ბიბლიოთეკის თანამშრომლების ფართოდ ჩაბმის მიზნით განყოფილებებში პერიოდულად ეწყობა მეთოდური და საწარმოო თათბირები.

§ 15

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორთან მისივე თავმჯდომარეობით, სათათბირო ორგანოს უფლებებით მუშაობს სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით.

§ 16

მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ბიბლიოთეკა დამოუკიდებლად და აგრეთვე სხვა სამეცნიერო სპეციალურ ბიბლიოთეკებთან ერთად აწყობს კურსებს და სემინარებს.

§ 17

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა იმყოფება რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ბიბლიოთეკის სახსრებს შეადგენს:

ა) ბიუჯეტით დაშვებული თანხა

ბ) სპეციალური სახსრები, შესაბამისად არსებული კანონმდებლობისა დაწესებულების სპეციალური სახსრების შესახებ, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

§ 18

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, როგორც ნაციონალური საყოველთაოდ ხელმისაწვდომი რესპუბლიკური მნიშვნელობის საბიბლიოთეკო დაწესებულება, სარგებლობს შემდეგი უფლებით.

ა) შეავსოს თავისი ფონდი ძვირფასი ბეჭდური ნაწარმოებისა და ხელნაწერების უშუალოდ შესყიდვით.

ბ) საგამომცემლო გეგმით და შეკვეთის წესით დაიბეჭდოს და გაავრცელოს(როგორც ფასიანი, ისე უფასო) საინფორმაციო მასალები ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ, მეგზურები, სამახსოვროები, პლაკატები, სამეცნიერო-საინფორმაციო, სარეკომენდაციო — ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-მეთოდური მასალები.

გ) დადგენილი წესით უშუალოდ აწარმოოს წიგნგაცვლა და საერთაშორისო აბონემენტი საზღვარგარეთის, პირველ რიგში სოციალისტური ქვეყნების ბიბლიოთეკებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

დ) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დავალებით წარმომადგენლობს რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს საერთაშორისო საბიბლიოთეკო — ბიბლიოგრაფიულ და სამეცნიერო ორგანიზაციებში.

§ 19

კ. მარქსის სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა დადგენილ ვადებში უდგენს სათანადო ორგანიზაცი-

ებს სტატისტიკურ და ტექნიკურ ანგარიშებსა და გეგმებს თავისი სამეცნიერო ოპერაციული, ფინანსური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

§ 20

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ღერბიანი ბეჭედი.

სანიმუშო წესდება
საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის შესახებ

დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1961 წლის 14 ნოემბერს.

1. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედით ფორმას საზოგადოებრიობის მონაწილეობისას საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში, მოსახლეობის წიგნით მომსახურებაში.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის მთელი მუშაობა ტარდება საზოგადოებრიობის აქტივობის, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი ინიციატივის საფუძველზე.

2. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ ხელისშეწყობა საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის მაღალი შეგნებულობის სულისკვეთებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

ამ მიზნით საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა:

ა) სისტემატურად ავსებს თავის წიგნობრივ ფონდს მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწარმოებებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საწარმოო-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული, საბავშვო და მკითხველებისათვის აუცილებელი ლიტერატურით, მკითხველთა შემადგენლობისა და თავისი რაიონის, ქალაქის, სოფლის ეკონომიური პროფილის გათვალისწინებით.

ბ) მთელ მუშაობას წარმართავს წიგნის მკითხველამდე მაქსიმალურად მიახლოებისა და წიგნის თვითეულ ოჯახამდე მიტანისათვის.

გ) აწარმოებს წიგნების გაცემას სახლში და სამკითხველო დარბაზებში გამგეობის მიერ დადგენილ დღეებსა და საათებში. ეხმარება მკითხველებს ლიტერატურის შერჩევაში.

დ) აწყობს წიგნების გამოფენებს, ატარებს საუბრებს წიგნების შესახებ, წიგნების განხილვას, ლექციებს, ლიტერატურულ და თემატურ საღამოებს და სხვა მასობრივ მუშაობას.

ვ) საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი იქმნება უმთავრესად მოქალაქეების მიერ პირადი წიგნების ნებაყოფლობით გადაცემით საზოგადოებრივი ბიბლიოთეკისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან წიგნების გადაცემით, ბიბლიოთეკებიდან ზედმეტი დუბლეტური ლიტერატურის გამოყოფით, რომელსაც აქვს მეცნიერული და მხატვრული ღირებულება, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ფულადი სახსრების მიზიდვით (პროფკავშირები, კოლმეურნეობები, სამომხმარებლო კოოპერაცია და სხვ.).

მკითხველთა უკეთესი მომსახურებისათვის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ფართოდ იყენებს ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტს და მოძრავებს სახელმწიფო, პროფკავშირულ და სხვა ბიბლიოთეკებიდან.

4. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა იხსნება ისეთ ადგილებში, სადაც არ არის ახლოს სახელმწიფო, პროფკავშირული და სხვა ბიბლიოთეკები (სახლმმართველობებთან, საერთო საცხოვრებლებში, მუშათა დასახლებებში, სოფლებში, საკოლმეურნეო ბრიგადებში, — დასახლებული პუნქტების განაპირას, საწარმოებში და ა. შ.).

5. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა იხსნება, თუ გვაქვს 300—500 ცალი წიგნი, აუცილებელი შენობა და ინვენტარი.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის გახსნა ფორმდება დამაარსებელთა საერთო კრების ოქმით.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა რეგისტრაციაში ტარდება კულტურის ადგილობრივ ორგანიზაციებში.

6. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ანგარიშს აბარებს ბიბლიოთეკის მკითხველთა საერთო კრებას.

7. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მუშაობას ხელმძღვანელობს გამგეობა, რომელიც აირჩევა მკითხველთა საერთო კრებაზე.

გამგეობა თავის შემადგენლობიდან შეარჩევს თავმჯდომარეს, მდივანს, ბიბლიოთეკის გამგეს და მის მოადგილეს და ასევე ამტკიცებს ბიბლიოთეკის სხვა მუშაკებს.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის გამგეობა ყოველწლიურად თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენს მკითხველებს.

8. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით სარგებლობენ უფასოდ მოზრდილები და პავშვები.

9. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა მუშაობს მჭიდრო კონტაქტში კულტურის ორგანოებთან, ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკებთან. მეთოდურ დახმარებას საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებს უწევს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელი.

10. საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი წიგნობრივი ფონდი და ყველა ქონება ბიბლიოთეკის მკითხველთა საერთო კრების შეხედულებით გადაეცემა ერთ ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მასობრივი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

დამტკიცებულია:

სსრ კავშირის კულტურის მინისტრის 1969 წლის 4 აპრილის № 105 ბრძანებით

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 4 აპრილის დადგენილებით ოქმი №—8 § 7

მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი წარმოადგენს საერთო-სახალხო საკუთრებას, რომლითაც სარგებლობა შეუძლია ყველა მოქალაქეს უფასოდ.

1. ბიბლიოთეკაში ჩასაწერად მოქალაქე ადგენს პასპორტს (ან მის შემცვლელ დოკუმენტს, რომელიც უჩვენებს მის საცხოვრებელ ადგილს).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) 16 წლამდე ასაკის მკითხველები ბიბლიოთეკაში ჩაიწერებიან მათი მშობლების ან სასწავლებლის წერილობითი თხოვნით.

2) სასოფლო ადგილებში ბიბლიოთეკაში ჩასაწერად დოკუმენტებს ადგენენ მხოლოდ ამ სოფელში დროებით მცხოვრები პირები.

3) 1-8 კლასების მოსწავლეები, აგრეთვე სკოლამდელი 6 წლის ასაკიდან ბავშვები სარგებლობენ საბავშვო ბიბლიოთეკებით (მოზრდილთა ბიბლიოთეკების საბავშვო განყოფილებების). დასახლებული პუნქტის ან ქალაქის მიკრორაიონში საბავშვო ბიბლიოთეკის (განყოფილების) უქონლობის შემთხვევაში, მოსწავლეები სარგებლობენ მოზრდილთა ბიბლიოთეკებით.

4) ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც მიაღწიეს 15 წლის ასაკს, უფლება აქვთ ისარგებლონ მოზრდილთა ბიბლიოთეკებით.

2. საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოს ან გვარის შეცვლის შემთხვევაში მკითხველი აცნობებს ბიბლიოთეკას.

3. მკითხველს უფლება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით და საცნობო—ბიბლიოგრაფიული აპარატით, მიიღოს წიგნი ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით.

4. მკითხველს შეუძლია სახლში წასაღებად მიიღოს ხუთი წიგნი და ჟურნალი 15 დღის ვადით. ჟურნალების ახალი ნომრები გაიცემა 5 დღით. იშვიათი წიგნები, ალბომები, საცნობარო გამოცემების ერთადერთი ცალები სახლში წასაღებად არ გაიცემა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. თუ დარბაზის მქონე ბიბლიოთეკაში ჟურნალები თითო ცალადაა გამოწერილი, მათი უკანასკნელი ნომერი სახლში არ გაიცემა, მომდევნო ნომრის მიღებამდე.

2. ჟურნალები სახლში წასაღებად გაიცემა მხოლოდ სააბონემენტოდან.

5. მკითხველი ხელს აწერს ყოველ მიღებულ წიგნზე მკითხველის ფორმულარში. წიგნის დაბრუნების დროს მკითხველის ხელის მოწერა უნდა წაიშალოს.

6. მკითხველი ვალდებულია:

ა) მზრუნველობით მოეპყრას წიგნებს; მიღების დროს შეამოწმოს დაზიანების თვალსაზრისით და დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ბიბლიოთეკარს;

ბ) წიგნად ფონდებთან თავისუფალი დაშვების მქონე ბიბლიოთეკებში არ დაარღვიოს თაროებზე წიგნების განლაგების წესი;

გ) დააბრუნოს წიგნი არაუგვიანეს დადგენილი ვადისა. ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ წიგნზე არ არის სხვა მკითხველთა მხრივ მოთხოვნილებები;

დ) წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში დაუბრუნოს ბიბლიოთეკას ისეთივე წიგნი ან შეცვალოს ის სხვა წიგნით, რომელსაც ბიბლიოთეკა ცნობს შინაარსითა და ღირებულებით სწორფასოვნად.

7. მკითხველთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, მიღებული იქნება საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები.

8. თუ მკითხველი არ შეასრულებს მოთხოვნას წიგნის დაბრუნების შესახებ, ბიბლიოთეკა ახდევინებს მას წიგნის ხუთმაგ ღირებულებას სანოტარო კანტორის აღმასრულებელი წარწერით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) მოსწავლეთა მიერ წიგნის დაუბრუნებლობისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს.

2. მკითხველებისაგან მიღებულ ფულზე გაიცემა ქვითარი.

3) მკითხველთა მატერიალური პასუხისმგებლობის წესებში შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესები ვრცელდება საბავშვო და ახალგაზრდობის ბიბლიოთეკებზე.

საბიბლიოთეკო მუშაობის ძირითადი პროცესების ნორმები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის

დამტკიცებულია:

სსრკ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცკ პრეზიდიუმის მიერ

ბრძანება № 442, 10 დეკემბერი, 1965 წ.

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრკ სახელმწიფო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მიერ დამუშავებული ნორმები რეკომენდებულია საქალაქო, სარაიონო, პროფკავშირული მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის შტატით 2-დან 20 კაცამდე. ნორმები დამუშავებულია ბიბლიოთეკებში ჩატარებული სამუშაო დღის ფოტოგრაფიის, ქრონომეტრაჟისა და თვითაღრიცხვის საფუძველზე.

ნორმები (ცალკეული ოპერაციების მიხედვით და კომპლექსური) მოცემულია საბიბლიოთეკო მუშაობის შემდეგ ძირითად პროცესებზე:

1. დაკომპლექტება
2. ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა
3. წიგნების კლასიფიკაცია და საავტორო ნიშნების განსაზღვრა
4. წიგნების საკატალოგო აღწერილობა და კატალოგებთან მუშაობა
5. წიგნების ბიბლიოთეკური დამუშავება
6. ფონდთან მუშაობა
7. მკითხველების მომსახურება და გაცემისათვის მოსამზადებელი მუშაობა
8. ბიბლიოგრაფიული მუშაობა
9. მასობრივი მუშაობა

ნორმები დამუშავებულია ბიბლიოთეკებში არსებული შრომის ტექნოლოგიასთან შედარებით.

საბიბლიოთეკო მუშაობის პროცესების დასახელება	აღრიცხვის ერთეული	დროის ნორმა	გამოშუშავებ. ნორმა საათში
1	2	3	4
I — დაკომპლექტება			
1. „შეკვეთის ბლანკთან" მუშაობა (გადათვალიერება, შეკვეთის დაწესება ბარათზე)	სახელწოდება	2 წუთი	30
2. შეკვეთების ბარათების გაწყობა მიმდინარე დაკომპლექტების კარტოთეკაში	ბარათი	30 წამი	120
3. შეკვეთების გაფორმება „წიგნი-ფოსტით"	შეკვეთა	5 წუთი	12
II — ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა. შემოსულ გამოცემათა მიღება			
4. ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურის მიღება, შემოწმება თანდართული საბუთის მიხედვით (ანგარიში, ზედნადები, აქტი).	წიგნი	30 წამი	120
5. წიგნების დათვლა	წიგნი	20 წამი	180
6. წიგნების გატარება საინვენტარო წიგნში: ჩაწერა საინვენტარო წიგნში და საინვენტარო ნომრის დაწერა სატიტულო ფურცელზე და მე-17 გვერდზე	წიგნი	1 წუთი 15 წამი	48
7. ჯამობრივი აღრიცხვა: წიგნების ახალი პარტიის ჩაწერა ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში			
8. ახლად მიღებული ჟურნალებისა და გაზეთების რეგისტრაცია	წიგნი	—	400
	გაზეთი, ჟურნ.		60
ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება			
9. წიგნებზე საკონტროლო ტალონების დაწერა	ტალონი	1 წუთი	60
10. საკონტროლო ტალონების დაწყობა საინვენტარო ნომრების რიგის მიხედვით	ტალონი	1 წუთი	277
11. საკონტროლო ტალონების შედარება საინვენტარო წიგნთან	ტალონი	1 წამი	240

1	2	3	4
გარიცხული წიგნების აღრიცხვა			
12. მკითხველების მიერ დაკარგულის ნაცვლად მიღებული წიგნების ჩაწერა აღრიცხვის რვეულში	წიგნი	15 წამი	72
13. გარიცხულ წიგნებზე აქტის შედგენა	წიგნი	50 წამი	60
14. წიგნების ამოღება ინვენტარიდან აქტის მიხედვით, აღნიშვნა საინვენტარო წიგნში	წიგნი	1 წუთი 10 წუთი	51
III — წიგნების კლასიფიკაცია და საავტორო ნიშნების განსაზღვრა.			
15. წიგნების კლასიფიკაცია ბეჭდური ბარათის გარეშე	სახელწოდება	30 წუთი	20
16. იგივე—ბეჭდური ბარათის ინდექსისა და საავტორო ნიშნის ან წიგნზე აღნიშნული შიფრის გამოყენებით	სახელწოდება	2 წუთი	30
17. საავტორო ნიშნის განსაზღვრა	სახელწოდება	40 წამი	90
18. რთული შინაარსის წიგნების კლასიფიკაცია	სახელწოდება	15 წუთი	4
IV—წიგნების საკატალოგო აღწერილობა და კატალოგებთან მუშაობა			
ბეჭდურ ბარათებთან მუშაობა			
19. ანოტირებული ბარათების გადათვალიერება	ბარათი	15 წამი	240
20. ანოტირებული ბარათების შერჩევა სამსახურებრივი კარტოთეკისათვის	ბარათი	20 წამი	180
21. ბარათების გაწყობა სამსახურებრივ კარტოთეკაში	ბარათი	30 წამი	120
22. წიგნების შემოწმება დუბლეტობაზე	წიგნი	2 წუთი	80
23. წიგნებისათვის ბეჭდური ბარათების შერჩევა	ბარათი	1 წუთი	60
24. ანბანური კატალოგის ბარათზე საინვენტარო ნომრის აღნიშვნა და შიფრის გადატანა	ბარათი	26 წამი	138

1	2	3	4
25. წიგნების საკატალოგო აღწერილობა ბიბლიოთეკური ხელით	წიგნი	4 წუთი	15
26. იგივე საწერ მანქანაზე	ბარათი	3 წუთი	20
27. საკატალოგო ბარათების დუბლირება ხელით.	ბარათი	2 წუთი	30
28 .საკატალოგო ბარათების დუბლირება საწერ მანქანაზე	ბარათი	1 წუთი	60
კატალოგებთან მუშაობა			
29. ბარათების შერჩევა ზუსტი ანბანის მიხედვით ანბანურ კატალოგში ჩასართავად	ბარათი	20 წამი	180
30. წინასწარ შერჩეული ბარათების ჩართვა ანბანურ კატალოგში	ბარათი	40 წამი	80
31. ბარათების შერჩევა ინდექსებით (დანაყოფებში — ანბანის მიხედვით) სისტემატურ კატალოგში ჩასართავად	ბარათი	25 წამი	144
32. წინასწარ შერჩეული ბარათების ჩართვა სისტემატურ კატალოგში	ბარათი	50 წამი	72
33. სისტემატური კატალოგის რედაქტირება	ბარათი	1 წუთი 30 წამი	40
34. ანბანური კატალოგის რედაქტირება	ბარათი	50 წამი	72
35. განმეორებითი გამოცემების საინვენტარო ნომრების აღნიშვნა ანბანური კატალოგის ბარათებზე	ბარათი	26 წამი	138
36. ამორიცხული წიგნების ბარათების ამოღება ანბანური კატალოგიდან	ბარათი	50 წამი	72
37. იგივე — სისტემატური კატალოგიდან	ბარათი	1 წუთი 10 წამი	51
38. ანბანური კატალოგისათვის გამყოფების დაწერა	გამყ.	1 წუთი	60
39. სისტემატური კატალოგისათვის გამყოფების დაწერა	გამყ.	5 წუთი	12
V — წიგნების ბიბლიოთეკური დამუშავება			
40. დაბრუნების ვადის ფურცლის დაწებება წიგნზე	დაბრ. ვადის ფურც.	20 წამი	180

1	2	3	4
41. ჯიბაკის დაწებება წიგნზე	ჯიბაკი	25 წამი	144
42. იარლიყის დაწებება წიგნზე	იარლიყი	30 წამი	120
43. შიფრის დაწერა წიგნის იარლიყზე	იარლიყი	30 წამი	120
44. შიფრის დაწერა სატიტულო ფურცელზე	1 ფ.	26 წამი	138
54. წიგნის ფორმულარის შევსება	წიგნ. ფორმ.	1 წუთი	60
46. წიგნების გადაცემა ბიბლიოთეკის განყოფილებებზე	წიგნი	15 წამი	240
47. ბიბლიოთეკის განყოფილებებზე გადასაცემი წიგნების ჩაწერა აღრიცხვის რვეულში	წიგნების წყება	3 წუთი	—
VI ფონდთან მუშაობა			
48. წიგნების დაწყობა განყოფილებების მიხედვით	წიგნი	25 წამი	144
49. ჟურნალების დაწყობა სახელწოდებების მიხედვით	ჟურ.	10 წამი	—
50. წიგნების გაწყობა	წიგნი	1 წუთი	60
51. ჟურნალების გაწყობა	ჟურნ.	1 წუთი	60
52. ფონდის განლაგების შემოწმება	წიგნი	15 წამი	240
53. გაზეთების ჩაკერება	გაზ.	25 წამი	144
54. თაროების გამყოფების დაწერა	გამყ.	5 წუთი	12
55 გადათვალიერება და შინაარსობრივად მოძველებული წიგნების თაროებიდან ჩამოღება	წიგნი	2 წუთი 25 წამი	25
56. გადათვალიერება და დაზიანებული წიგნების თაროებიდან ჩამოღება	წიგნი	1 წუთი	60
VII — მკითხველთა მომსახურება და გაცემისათვის მოსამზადებელი მუშაობა			
მუშაობის აღრიცხვა			
57. განვლილი დღის შედეგების შეჯამება (დღიურში ჩაწერა)	ყოველ. დღე	20 წუთი	—
58. ახალი მკითხველების ჩაწერა დღიურში	მკითხ.	1 წუთი	60
59. განვლილი თვის მუშაობის შედეგების შეჯამება (დღიურის მიხედვით)	ყოველ თვე	2 საათი	—

1	2	3	4
მუშაობა მკითხველის ფორმულართან			
60. მკითხველთა ფორმულარების გადათვალიერება	ფორმ.	20 წამი	180
61. მკითხველთა ფორმულარების ანალიზი	ფორმ.	8 წუთი	7
62. იარლიყების დაწებება ფორმულარებზე (მკითხველთა ჯგუფების გამოსაყოფად)	ფორმ.	25 წამი	144
63. მკითხველთა ფორმულარების გაწყობა	ფორმ.	10 წამი	360
64. მკითხველთა ფორმულარების კარტოთეკისათვის გამყოფების დაწერა	გამყ.	1 წუთი	60
65. ღია ბარათების დაწერა იმ მკითხველებისადმი, რომლებმაც წიგნები ვადაზე არ დააბრუნეს	ღია ბარათი	3 წუთი	20
მოსამზადებელი მუშაობა გაცემისათვის			
66. სამუშაო ადგილის მომზადება	ყოველ დღე	5 წუთი	—
67. გაზეთების გადათვალიერება	გაზ.	3 წუთი	20
68. ჟურნალების გადათვალიერება	ჟურნ.	5 წუთი	12
69. წიგნების გადათვალიერება	წიგნი	5 წუთი	12
70. გადათვალიერება და შევსება წიგნების გამოფენებისა, წიგნების თავისუფალი ამორჩევის ყუთებისა და თემატური თაროებისა	გამოფ. ყუთი	7 წუთი	8
მკითხველთა მომსახურება			
71. მკითხველის ჩაწერა ბიბლიოთეკაში (მკითხველის ფორმულარის შევსება, ბარათის შევსება ანბანური კარტოთეკებისათვის ან ჩაწერა საანბანო წიგნში, საუბარი მკითხველთან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებზე)	მკითხველი	5 წუთი	12
72. მკითხველების ჩაწერა მკითხველთა პროფილის კარტოთეკაში	ბარათი	30 წამი	120
მკითხველთა მომსახურება აბონემენტზე			
73. მკითხველთა მომსახურება აბონემენტზე (მკითხველის მიერ დაბრუნებული ლიტერატურის მიღება, მკითხველის ფორმუ-			

1	2	3	4
ლარში აღნიშვნა, ლიტერატურის გაცემა, მკითხველის ფორმულარში ჩაწერა, საკონტროლო ფურცელზე დაბრუნების ვადის დაწერა, საუბარი მკითხველთან)	მკითხ.	5 წუთი	12
74. იგივე — ღია დაშვების დროს	მკითხ.	3 წუთი	20
75. მკითხველებთან კონსულტაცია წიგნის თაროებთან (აბონემენტზე).	მკითხ.	4 წუთი	15
მკითხველთა მომსახურება სამკითხველო დარბაზში			
76. ლიტერატურის მიღება და გაცემა სამკითხველო დარბაზში	მკითხ.	3 წუთი	20
77. იგივე — ღია დაშვების დროს	მკითხ.	2 წუთი	30
78. კონსულტაცია წიგნების თაროებთან (სამკითხველო დარბაზში).	მკითხ.	3 წუთი	20
მოძრავ ბიბლიოთეკებთან მუშაობა			
79. ახალი მოძრავი ბიბლიოთეკის საბუთების გაფორმება	მოძრ. ბიბლ.	20 წუთი	—
80. წიგნების შერჩევა მოძრავი ბიბლიოთეკისათვის	წიგნი	1 წუთი 30 წამი	4 0
81. წიგნების მიღება მოძრავი ბიბლიოთეკიდან (წიგნების მიღებაზე ხელმოწერა, ფორმულარების ჩაწყობა წიგნებში)	წიგნი	2 წუთი	30
82. გაცემული წიგნების ჩაწერა	წიგნი	50 წამი	72
83. წიგნების ფორმულარების გაწყობა	ფორმ.	10 წამი	—
ბშა-ს მუშაობა			
84. შეკვეთის გაფორმება, ბლანკების შევსება, შეკვეთის ჩაწერა აღრიცხვის რვეულში	შეკვ.	5 წუთი	12
85. ბშა-თი მიღებული წიგნების ჩაწერა, მკითხველთა ინფორმაცია ტელეფონით ან წერილობით	წიგნი	3 წუთი	20

1	2	3	4
86. ამანათებისა და ბანდეროლების შეფუთვა	ბანდ.	6 წუთი	10
87. ბანდეროლების გახსნა	ბანდ.	1 წუთი 30 წამი	40
88. ამორიცხული წიგნების აღნიშვნა, გაფორმება	წიგნი	3 წუთი	20
VIII ბიბლიოგრაფიული მუშაობა			
89. ახალი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების, ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების, წიგნის მატიანის გაცნობა	ბიბლ. მაჩვ., სახელმძღვანელო	15 წუთი	4
90. ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შესრულება (ზეპირი).	ცნ.	5—15 წუთი	—
91. საგაზეთო და საჟურნალო სტატიების აღწერილობა	ბარათი	3 წუთი	20
92. საგაზეთო და საჟურნალო ბარათების გარჩევა	ბარათი	15 წამი	240
93. ბარათების გაწყობა საგაზეთო-საჟურნალო სტატიების კარტოთეკაში	ბარათი	30 წამი	120
94. „ახალი წიგნების“ კარტოთეკის შედგენა ანოტირებული ბარათებიდან	ბარათი	30 წამი	—
95. საინფორმაციო სიების შედგენა	წიგნი	2 წუთი	—
96. კითხვის გეგმების შედგენა	წიგნი	5 წუთი	—
97. მიმოხილვისათვის ლიტერატურის შერჩევა, მიმოხილვის მომზადება და ჩატარება	3—6 წიგნი	3—6 საათი	—
IX მასობრივი მუშაობა			
98. მკითხველთა კონფერენცია (თემის შერჩევა, გეგმის შედგენა, ფონდის შევსება, მკითხველებთან საუბარი, გამოფენის, ბიულეტენის გაფორმება, ბილეთების შეკვეთა, განცხადების დაწერა, წაკითხულის გამო მკითხველთა აზრის შეგროვება, შენობის მომზადება, ხმამაღალი კითხვები, საბიბლიოთეკო პლაკატის გაფორმება, კონფერენციის ჩატარება).	1 კონფ.	60—100 საათი	
99. წიგნის საღამო: ლიტერატურულ-მხატვ-			

1	2	3	4
რული საღამო, სამეცნიერო-პოპულარული წიგნის საღამო, კითხვა-პასუხების საღამო (თემის შერჩევა, გეგმის შედგენა, მკითხველებთან საუბარი, გამოფენების გაფორმება, შეფასებების შეგროვება, წაკითხულ წიგნებზე მკითხველთა ჩანაწერების გაფორმება ალბომში ან ბიულეტენში, განცხადებების დაწერა, ბილეთების შეკვეთა და ა. შ.)	ღონისძიება	50—70 საათი	
100. წიგნის გამოფენის ორგანიზაცია და გაფორმება (გამოფენის გეგმის შედგენით).	გამოფენა	7—21 საათი	
101. წიგნის გამოფენის ორგანიზაცია და გაფორმება (შედგენილი გეგმის მიხედვით)	გამოფენა	2—7 საათი	
102. ოპერატიული გამოფენები სადღეისო თემაზე	გამოფენა	2—3 საათი	
103. საბიბლიოთეკო პლაკატის გაფორმება (თემის შერჩევა, პლაკატის სქემის დამუშავება, ლიტერატურისა და ილუსტრაციების შერჩევა, პლაკატის მხატვრული გაფორმება).	1 პლაკატი	14—18 საათი	
104. საბიბლიოთეკო პლაკატის გაფორმება შემუშავებული სქემის მიხედვით		5—7 საათი	
105. თემატური თაროს გაფორმება	თარო	1 საათი	
კომპლექსური ნორმები			
1. მკითხველის ჩაწერა, მკითხველის ფორმულარის შევსება, ბარათის შევსება ანბანური კარტოთეკისათვის ან ჩაწერა საანბანო წიგნში, საუბარი მკითხველთან	მკითხველი	5 წუთი	12
2. მკითხველთა მომსახურება აბონემენტზე (ღია დაშვება). დაბრუნებული ლიტერატურის მიღება, მკითხველის ფორმულარში აღნიშვნა, ლიტერატურის გაცემა, მკითხველის ფორმულარში ჩაწერა, საკონტროლო ფურცელზე ან მკითხველის ბილეთზე და-			

1	2	3	4
ბრუნების ვადის აღნიშვნა, საუბარი მკითხველთან, კონსულტაცია წიგნის თაროებთან, კატალოგებთან	მკითხველი	73 წუთი	8
3. იგივე—კონსულტაციის ჩატარების გარეშე	მკითხველი		20
4. მკითხველთა მომსახურება აბონემენტზე (წიგნის ფონდებთან ღია დაშვების გარეშე), მკითხველის მიერ დაბრუნებული ლიტერატურის მიღება, მკითხველის ფორმულარში აღნიშვნა, ლიტერატურის გაცემა, მკითხველის ფორმულარში ჩაწერა, დაბრუნების ვადის აღნიშვნა საკონტროლო ფურცელზე ან მკითხველის ბილეთზე, საუბარი მკითხველთან	მკითხველი	5 წუთი	12
5. მკითხველთა მომსახურება სამკითხველო დარბაზში (წიგნების ფონდებთან ღია დაშვებით). ლიტერატურის მიღება და გაცემა, მკითხველებთან კონსულტაცია წიგნის თაროებთან, ლიტერატურის შერჩევა	მკითხველი	5 წუთი	12
6. იგივე — კონსულტაციის ჩატარების გარეშე.	მკითხველი	2 წუთი	30
7. მკითხველთა მომსახურება სამკითხველო დარბაზში. (წიგნის ფონდებთან ღია დაშვების გარეშე), ლიტერატურის მიღება და გაცემა	მკითხველი	3 წუთი	
წიგნების სრული დამუშავება ბეჭდური ბარათის გამოყენებით			
8. ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურის მიღება, გასინჯვა თანდართული საბუთის (ანგარიში, ზედნადები, აქტი) მიხედვით, წიგნების დათვლა, წიგნების ჩაწერა საინვენტარო წიგნში და საინვენტარო ნომრის დაწერა სატიტულო ფურცელზე და მე-17 გვერდზე. ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ჩაწერა, ბარათების შერჩევა წიგნებისა-			

1	2	3	4
თვის, კარტოთეკაში სათანადო ბარათების მოძებნა, ბარათების ჩაწყობა წიგნებში, ბეჭდური ბარათის გაფორმება, ბარათების შერჩევა ზუსტი ანბანის მიხედვით ანბანურ კატალოგში გაწყობისათვის, წინასწარ შერჩეული ბარათების ჩართვა ანბანურ კატალოგში, ბარათების შერჩევა ინდექსებით (დანაყოფში — ანბანის მიხედვით) სისტემატურ კატალოგში გაწყობისათვის, წინასწარ შერჩეული ბარათების სისტემატურ კატალოგში ჩართვა. წიგნის ფორმულარის შევსება, ჯიბაკის, დაბრუნების ფურცლის, იარლიყის დაწებება წიგნზე. წიგნის იარლიყზე და სატიტულო ფურცელზე შიფრის დაწერა. წიგნების გაწყობა	წიგნი	12 წუთი 6 წამი	ნ
წიგნების სრული დამუშავება ბეჭდური ბარათის გარეშე			
9. ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურის მიღება, თანდართული საბუთის (ანგარიში, ზედნადები, აქტი) მიხედვით გასინჯვა. წიგნების დათვგვა, წიგნების ჩაწერა საინვენტარო წიგნში და საინვენტარო ნომრის დაწერა სატიტულო ფურცლებზე და მე-17 გვერდზე. ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ჩაწერა. წიგნების კლასიფიკაცია და საავტორო ნიშნის განსაზღვრა. წიგნების საკატალოგო აღწერილობა ბიბლიოთეკური ხელით. საკატალოგო ბარათების დუბლირება (ხელით). ბარათების შერჩევა ზუსტი ანბანის მიხედვით ანბანურ კატალოგში ჩასართავად, წინასწარ შერჩეული ბარათების ჩართვა ანბანურ კატალოგში. ბარათების შერჩევა ინდექსებით (დანაყოფში — ანბანის მიხედვით). სისტემატურ კატალოგში ჩასართავად. წინასწარ შერჩეული ბარა-			

1	2	3	4
თების ჩართვა სისტემატურ კატალოგში. წიგნის ფორმულარის შევსება, ჯიბაკის, იარლიყის, დაბრუნების ვადის ფურცლის დაწებება წიგნზე. შიფრის დაწერა წიგნის იარლიყზე და სატიტულო ფურცელზე. წიგნების გაწყობა.	წიგნი	18 წუთი 20 წამი	3
წიგნის სრული დამუშავება წიგნზე აღნიშნული შიფრის გამოყენებით.			
10. ბიბლიოთეკაში შემოსული ლიტერატურის მიღება, გასინჯვა თანდართული საბუთის (ანგარიში, ზედნადები, აქტი) მიხედვით. წიგნის დათვგვა. წიგნების ინვენტარიზაცია, საინვენტარო წიგნში ჩაწერა, საინვენტარო ნომრის დაწერა სატიტულო ფურცელზე და მე-17 გვერდზე, ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ჩაწერა. წიგნების კლასიფიკაცია და საავტორო ნიშნების განსაზღვრა წიგნზე აღნიშნული შიფრის გამოყენებით, წიგნების საკატალოგო აღწერილობა ბიბლიოთეკური ხელით. საკატალოგო ბარათების დუბლირება (ხელით). ბარათების შერჩევა ზუსტი ანბანის მიხედვით ანბანურ კატალოგში გაწყობისათვის. წინასწარ შერჩეული ბარათების ანბანური კატალოგში ჩართვა. ბარათების შერჩევა ინდექსებით (დანაყოფში ანბანის მიხედვით) სისტემატურ კატალოგში ჩასართავად. წინასწარ შერჩეული ბარათების სისტემატურ კატალოგში ჩართვა. წიგნის ფორმულარის შევსება, ჯიბაკის, დაბრუნების ვადის ფურცლის, იარლიყის დაწებება წიგნზე. შიფრის დაწერა წიგნის იარლიყზე, წიგნების გაწყობა	წიგნი	16 წუთი 40 წამი	4

1	2	3	4
დაზიანებული წიგნების ამორიცხვა ფონდიდან და კატალოგებიდან.			
11. თაროებზე წიგნების გადათვალიერება და დაზიანებული წიგნების ჩამოღება. წიგნების შედარება ფორმულარებთან. ამოსარიცხავ წიგნებზე აქტის შედგენა. წიგნების ამორიცხვა ინვენტარიდან აქტის მიხედვით. აღნიშვნა საინვენტარო წიგნში. ამორიცხული წიგნების ბარათების ამოღება ანბანური კატალოგიდან. ამორიცხული წიგნების ბარათების ამოღება სისტემატური კატალოგიდან	წიგნი	5 წუთი 40 წამი	11
შინაარსობრივად მოძველებული წიგნების ამორიცხვა ფონდიდან და კატალოგებიდან.			
თაროებზე წიგნების გადათვალიერება და შინაარსობრივად მოძველებული წიგნების ჩამოღება. წიგნების შედარება ფორმულარებთან. აქტის შედგენა ამოსარიცხავ წიგნებზე. წიგნების ამორიცხვა ინვენტარიდან აქტის მიხედვით. აღნიშვნა საინვენტარო წიგნში. ამორიცხული წიგნების ბარათების ამოღება ანბანური კატალოგიდან. ამორიცხული წიგნების ბარათების ამოღება სისტემატური კატალოგიდან	წიგნი	7 წუთი 5 წამი	8

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კლასიფიკაცია

დამტკიცებულია

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1963 წლის 25 ოქტომბერს.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტკური სამმართველოების მონაწილეობით დაამუშავა და 1962 წელს დაამტკიცა კლუბების, მასობრივი ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, კინოდანადგარებისა და საკონცერტო ორგანიზაციების სტატისტიკური აღრიცხვის ერთიანი ფორმები.

იმისათვის, რომ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ერთნაირად გადაწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, თუ სტატისტიკური აღრიცხვის დროს კულტურის ესა თუ ის დაწესებულება რომელ სახეობას მიეკუთვნება, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, მიიღო რა მხედველობაში სსრ კავშირის საგეგმო კომისიის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების შენიშვნები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქვემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია დაამუშავა.

აღნიშნული კლასიფიკაცია იმ ძირითად დებულებებს შეიცავს, რომელნიც კულტურულ-საგანმაწათლებლო დაწესებულებებს ახასიათებენ და რომელთაც სტატისტიკის ორგანოები სამინისტროებსა და უწყებებში აღრიცხავენ.

აღრიცხვის ერთეულად მიღებულია კულტურის თითოეული დაწესებულება, რომელსაც აქვს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1. ბიბლიოთეკები

ბიბლიოთეკა ბეჭდვით ნაწარმოებთა კოლექტიურ და ინდივიდუალურ უფასო სარგებლობის. წიგნების, ბროშურების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა გამოცემების აქტიური პროპაგანდის მაორგანიზებელ დაწესებულებას წარმოადგენს, რომელიც გასცემს ამ ნაწარმოებებს დროებითი სარგებლობისათვის როგორც ბიბლიოთეკის შენობაში, ისე ბინაზე.

ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მუდმივი წყარო ახალი ლიტერატურით საკუთარი ფონდის შესავსებად (წიგნებით, პერიოდული გამოცემებით), ჰყავდეს ბიბლიოთეკის მუშაკები (მიუხედავად იმისა, ღებულობენ თუ არა ისინი ხელფასს გაწეული შრომისათვის). აღრიცხვის ერთეულად არ ჩაითვლება ის პატარა ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 300 ეგზემპლარს არ აღემატება.

ბიბლიოთეკები იმყოფებიან სახელმწიფო ორგანოების (სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკების სისტემა, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ბიბლიოთეკები, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სასწავლებლების), პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების გამგებლობაში.

ბიბლიოთეკა დამოუკიდებელ დაწესებულებად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის არის საკუთარ ბალანსზე და იურიდიული პიროვნების უფლებით სარგებლობს, ანდა შედის რომელიმე დაწესებულების, წარმოების, ორგანიზაციის, სასწავლო დაწესებულების სტრუქტურის შემადგენლობაში, რომლის ბიუჯეტზედაც ის იმყოფება.

ბიბლიოთეკათა შორის აღირიცხებიან დამოუკიდებელი მოძრავი ფონდები და ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მოძრავი ბიბლიოთეკა — ავტომანქანები, ბიბლიოთეკა-ვაგონები და ა. შ.

ამას გარდა აღირიცხებიან ისეთი საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. ბიბლიოთეკის საზოგადოებრივ დაწესებულებად ჩათვლის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სანიმუშო წესდებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ 1961 წელს, 14 ნოემბერს.

იმისათვის, რომ მოსახლეობას უკეთ მოვემსახუროთ წიგნით, ბიბლიოთეკის შემადგენლობაში იქმნება ფილიალები, აბონემენტი, სამკითხველო დარბაზი, მოძრავი ფონდი, საბავშვო (ახალგაზრდობის) განყოფილება და სხვა ქვეგანაყოფები, აგრეთვე იქნება წიგნების გაცემის პუნქტები და მოძრავი ბიბლიოთეკები.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ფ ი ლ ი ა ლ ი — ტერიტორიულად განცალკევებული ბიბლიოთეკის განყოფილებაა, რომელსაც მუდმივი ან ცვალებადი წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკის მუშაკები ჰყავს (საშტატო ან საზოგადოებრივ საწყისებზე).

ფილიალი მოემსახურება მოსახლეობის წიგნს გაცემით შინ, როგორც ფილიალის შენობაში, ისე დამტარებლების მეშვეობით.

ა ბ ო ნ ე მ ე ნ ტ ი — ბიბლიოთეკის განყოფილებაა, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება წიგნების გაცემით ბიბლიოთეკის შენობის გარეშე. აბონემენტს უნდა ჰქონდეს სპეციალურად გამოყოფილი წიგნადი ფონდი და ჰყავდეს ბიბლიოთეკის მუშაკები (შტატით ან საზოგადოებრივ საწყისებზე).

ს ა მ კ ი თ ხ ვ ე ლ ო დ ა რ ბ ა ზ ი — ბიბლიოთეკის განყოფილებაა, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბიბლიოთეკის შენობაში წასაკითხავი ლიტერატურის გაცემით. სამკითხველო დარბაზს უნდა ჰქონდეს სათანადოდ მოწყობილი შენობა, ცალკე გამოყოფილი წიგნადი ფონდი და ჰყავდეს ბიბლიოთეკის მუშაკები (შტატით ან საზოგადოებრივ საწყისებზე).

მ ო ძ რ ა ვ ი ფ ო ნ დ ი — ბიბლიოთეკის განყოფილებაა, რომელიც მოემსახურება მოსახლეობას მოძრავი ბიბლიოთეკებით, გაცემის პუნქტებით და აგრეთვე წიგნების დამტარებელთა ორგანიზაციით.

მოძრავ ფონდს უნდა ჰქონდეს სპეციალურად გამოყოფილი წიგნადი ფონდი და ჰყავდეს ბიბლიოთეკის მუშაკი, რომლის მოვალეობაშიც შედის ლიტერატურის გაცემა მოძრადებში, წიგნების გაცემის პუნქტებში და წიგნების დამტარებლებისათვის, წიგნების რეგულარული გაცვლა და დახმარების გაწევა საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ბიბლიოთეკარებისათვის მათი კვალიფიკაციის

ამაღლებისა და წიგნის პროპაგანდის მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში.

მ ო ძ რ ა ვ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა — არის წიგნების კომპლექტი, რომელსაც გამოყოფს სტაციონარული ბიბლიოთეკა დასახლებული პუნქტისათვის, წარმოების ან კოლმეურნეობისათვის და უნდა მოემსახუროს კოლმეურნეობას ან საწარმოო უბნის მუშაკებს იქ, სადაც ბიბლიოთეკა-სტაციონარი არ არის. აქ წიგნების გაცემას საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირი აწარმოებს.

წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა ც ე მ ი ს პ უ ნ ქ ტ ი — სპეციალურად გამოყოფილი ადგილია წარმოებაში, დაწესებულებაში ან საცხოვრებელ სახლში — წიგნების გასაცემად. აქ რეგულარულად მიაქვთ წიგნები უახლოესი ბიბლიოთეკიდან. წიგნების გაცემის პუნქტი იქმნება ბიბლიოთეკის მიერ, რათა მოემსახუროს ცალკე საწარმოო უბნებს, მუშაკებს ან მის მოსახლეობას, რომელსაც არა აქვს საშუალება ისარგებლოს სტაციონარული ბიბლიოთეკით. წიგნების გაცემა წარმოებს დანიშნულ დღეებში სპეციალურად გამოყოფილი საშტატო მუშაკის ან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პირის მეშვეობით.

ს ა ბ ა ვ შ ვ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა — ბიბლიოთეკის ის განყოფილებაა, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს მოემსახუროს სასკოლო ასაკის ბავშვებს. საბავშვო განყოფილებას უნდა ჰქონდეს საბავშვო ლიტერატურის სპეციალური ფონდი, სპეციალურად გამოყოფილი ბიბლიოთეკის მუშაკი და სათანადოდ მოწყობილი შენობა, სადაც ხდება მკითხველებზე ლიტერატურის გაცემა შინ წასაღებად, აგრეთვე ბიბლიოთეკის შენობაში წასაკითხავად.

ფილიალები, წიგნების გაცემის პუნქტები, მოძრავი ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები, აბონემენტი, საბავშვო განყოფილებები და ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებები აღრიცხვის ერთეულად, როგორც ცალკე საბიბლიოთეკო-დაწესებულება, არ ჩაითვლება, — რამდენადაც ისინი ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ქვეგანაყოფს წარმოადგენენ.

თავიანთი დანიშნულებით, საქმიანობის ხასიათით, წიგნადი ფონდის შემადგენლობით ბიბლიოთეკები იყოფიან: მასობრივ, სასწავლო, სამეცნიერო, ტექნიკურ და სხვა სპეციალურ ბიბლიოთეკებად.

1. მასობრივი ბიბლიოთეკები

მასობრივი ბიბლიოთეკები ისეთი ბიბლიოთეკებია, რომელთაც უნივერსალური წიგნადი ფონდი აქვთ და აკმაყოფილებენ მოსახლეობის მასობრივ მოთხოვნილებას ლიტერატურაზე. ეს ბიბლიოთეკები შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელნი ე. ი. იმყოფებოდნენ საკუთარ ბიუჯეტზე, ანდა პროფკავშირული ორგანიზაციის, წარმოება-დაწესებულებების და ამის მაგვარი ორგანიზაციების ბიუჯეტზე.

მასობრივი ბიბლიოთეკები სახელმწიფოებრივი, საზოგადობრივი ორგანიზაციების და კოლმეურნეობების ბიუჯეტზე არიან.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემაში შედის შემდეგი ბიბლიოთეკები:

ა) რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, სამხარეო ბიბლიოთეკები, რომლებიც ვალდებულნი არიან ლიტერატურით მოემსახურონ რესპუბლიკის, ოლქის, მხარის ცენტრების მოსახლეობას, აგრეთვე ოლქისა და მხარის ბიბლიოთეკებს საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით. ისინი წარმოადგენენ სამხარეო, საოლქო მმართველობის ან კულტურის სამინისტროს მთელი საბიბლიოთეკო ქსელის საქმიანობაში მეთოდური დახმარების ძირითად საფუძველს.

ოლქისა, მხარისა და ასსრ-სათვის ისინი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ცენტრს წარმოადგენენ.

ბ) რაიონული, საოლქო ბიბლიოთეკები მოწოდებული არიან მოემსახურონ ლიტერატურით როგორც რაიონის მოსახლეობას, ისე აგრეთვე ადგილობრივი დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაკებს; უნდა უხელმძღვანელონ რაიონის მოძრავ და სტაციონარულ საბიბლიოთეკო ქსელს და განახორციელონ სასოფლო ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელობა.

გ) საქალაქო ბიბლიოთეკები — წიგნით მოემსახურებიან ქალაქის მოსახლეობას ტერიტორიული ნიშნების მიხედვით (ქალაქი მთლიანად, ქალაქის რაიონი).

დ) სასოფლო ბიბლიოთეკები — მომსახურებას უწე-

ვენ დასახლებული პუნქტის მოსახლეობას მიუხედავად მათი ტერიტორიული განლაგებისა (საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, საკლუბო დაწესებულება და ა. შ.). ეს ბიბლიოთეკები სასოფლო საბჭოს ბიუჯეტზე იმყოფებიან. სასოფლო ბიბლიოთეკების რიცხვში არ შედის ის ბიბლიოთეკები, რომელთაც კოლმეურნეობა ან პროფკავშირული ორგანიზაციები ინახავენ, აგრეთვე ის რაიონული ბიბლიოთეკები, რომელნიც სასოფლო ადგილებში არსებობენ.

ე) ს ა ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი — რაიონული (საქალაქო) კულტურის განყოფილების ბიუჯეტზე იმყოფებიან და მთელი ან მიკრორაიონის ბავშვებს მოემსახურებიან, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფება ბიბლიოთეკა (მაგალითად, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკა მოთავსებულია სკოლის შენობაში, მაგრამ მოემსახურება თავისი რაიონის ყველა ბავშვს და ითვლება არა სასკოლო ბიბლიოთეკად, არამედ მთელი რაიონის საბავშვო ბიბლიოთეკად). მოზრდილთა ბიბლიოთეკაში არსებული საბავშვო განყოფილება ცალკე ბიბლიოთეკად არ ითვლება; მისი საქმიანობა აღირიცხება და ნაჩვენები იქნება იმ ბიბლიოთეკის ანგარიშში, რომელთანაც ის არსებობს.

ვ) ს ა კ ლ უ ბ ო დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი ის ბიბლიოთეკებია, რომელნიც საკლუბო დაწესებულებების ბიუჯეტზე არიან და მათი ხელმძღვანელობით მუშაობენ.

პ რ ო ფ კ ა ვ შ ი რ უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი. პროფკავშირული ორგანიზაციები ქმნიან ბიბლიოთეკებს სამრეწველო წარმოება-დაწესებულებებში, მშენებლობებთან, ტრანსპროტსა და საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან. ყველა პროფკავშირული ბიბლიოთეკა ინახება პროფკავშირული ორგანიზაციის ხარჯზე, მათ მოემსახურებიან დაქირავებული მუშაკები ან საზოგადოებრივი დატვირთვით მომუშავენი.

პატარა წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მომსახურების მიზნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქვთ დამოუკიდებელი მოძრავი საბიბლიოთეკო ფონდი. ისინი აღირიცხებიან როგორც დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო დაწესებულებანი და ჩაითვლებიან ბიბლიოთეკათა რიცხვში.

ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი. ამ ბიბლიოთეკებს კოლმეურნეობები ქმნიან და კოლმეურნეობის ბალანსზე ირიცხებიან. მათ თავისი ხარჯით ინახავენ კოლმეურნეობანი. ეს ბიბლიოთეკები დასახლებული პუნქტების კოლმეურნეებს, მათი ოჯახის წევრებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოსახლეობას მოემსახურებიან, რომელთაც ეს კოლმეურნეობა აერთიანებს.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი გარემოება: თუ ბიბლიოთეკა არსდება სოფლის საბჭოს გადაწყვეტილებით და შენობა, რომელშიც ის თავსდება, კოლმეურნეობის ბალანსზე ითვლება, ხოლო თვით ბიბლიოთეკა სახელმწიფო ხარჯზე ინახება, ასეთი ბიბლიოთეკა, საკოლმეურნეო ბიბლიოთეკათა რიცხვში არ უნდა იქნეს აღრიცხული: ის ნაჩვენები უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებელი სასოფლო ბიბლიოთეკა.

ს ხ ვ ა უ წ ყ ე ბ ა თ ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი. ამათ რიცხვს ეკუთვნიან:

ბიბლიოთეკები, რომელნიც მოემსახურებიან სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დამსვენებლებს მხატვრული და სხვა ლიტერატურით; ეს ბიბლიოთეკები სხვადასხვა უწყებების გამგებლობაში იმყოფებიან;

პიონერთა სასახლეებისა და სახლების ბიბლიოთეკები;

საავადმყოფოების ბიბლიოთეკები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ავადმყოფების მასობრივი ლიტერატურით მომარაგება;

ოფიცერთა სახლების ბიბლიოთეკები და სხვა.

ყველა ეს ბიბლიოთეკები აღნიშნულ უწყებათა ბალანსზე ირიცხებიან.

2. სასწავლო ბიბლიოთეკები

სასწავლო ბიბლიოთეკების ძირითად მიზანს წარმოადგენს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოსწავლეთა (სტუდენტების) სწავლისა და აღზრდის პროცესს, დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზაციაში.

სასწავლო ბიბლიოთეკები თავიანთი ფონდების თავისებურების მიხედვით იყოფიან შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკები;

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ,სამთო-სამრეწველო სკოლების, საქარხნო-საფაბრიკო სკოლებისა და სხვა პროფესიულ-ტექნიკური ხასიათის სასწავლებლების ბიბლიოთეკები;

ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების ბიბლიოთეკები;

უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები;

კვალიფიკაციის ამაღლების, საკურსო სისტემის ინსტიტუტების ბიბლიოთეკები.

3. ტექნიკური და სხვა სპეციალური ბიბლიოთეკები.

ეს ის ბიბლიოთეკებია, რომელთა წიგნადი ფონდი შეიცავს საწარმოო ხასიათის ლიტერატურას, რომელიც სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკებს დახმარებას უწევს კონკრეტული საწარმოო ამოცანების გადაწყვეტასა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ამ ჯგუფის ბიბლიოთეკებში შედიან წარმოებების ტექნიკური და საცნობარო ბიბლიოთეკები, სამეცნიერო დაწესებულებების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკები; დარგობრივი ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები სამინისტროებისა, უწყებებისა და სახალხო მეურნეობების საბჭოებისა; ბიბლიოთეკები გამომცემლობებისა, რედაქციებისა, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტებისა: თეატრალური, მუსიკალური და სპორტული ორგანიზაციების ბიბლიოთეკები; სანიტარული განათლების სახლების, სამხედრო ნაწილების და მათი ქვეგანაყოფებისა და სხვა ორგანიზაციების ბიბლიოთეკები; აგრეთვე სპეციალური ბიბლიოთეკები ყრუმუნჯთა და ბრმებისათვის.

ბიბლიოთეკები, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწევიან ამ ჯგუფში არ ჩაირიცხებიან, მათი აღრიცხვა ცალკე ხდება (იხ. პუნქტი 4 ამ განაყოფისა).

4. სამეცნიერო ბიბლიოთეკებ

სამეცნიერო ბიბლიოთეკები მოწოდებულნი არიან მოემსახურონ მეცნიერების, წარმოების, კულტურის მოთხოვნილებებს; აქ-

ტიურად შეუწყონ ხელი სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაწყვეტას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში; ყოველნაირად შეუწყონ ხელი სპეციალისტებს სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ეს ბიბლიოთეკები განკუთვნილნი არიან მოემსახურონ უმთავრესად მეცნიერების მუშაკებს, ასპირანტებს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივს, გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს და სხვა მუშაკებს. სამეცნიერო ბიბლიოთეკებს მიეკუთვნებიან როგორც დამოუკიდებელი ბიბლიოთეკები: საჯარო, დარგობრივი (სამინისტროების, უწყებების), აგრეთვე დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, ცენტრალური, საპროექტო, საკონსტრუქტორო ბიუროებისა, რომელნიც ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული თემატური გეგმით სამეცნიერო მუშაობას ეწევიან შემდეგი მიმართულებით:

სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, რაც დაბეჭდილ შრომის სახით ფორმდება; წიგნების და ხელნაწერი ფონდების მეცნიერულ დამუშავებას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, წიგნის ბიბლიოგრაფიასა და ისტორიაში;

საბიბლიოთეკო მუშაობის მოწინავე გამოცდილებას სწავლობენ და მეცნიერულად განაზოგადებენ, ხოლო შემდეგ მასობრივი, სასწავლო და სპეციალური ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარებით ქვეყნის ბიბლიოთეკების პრაქტიკულ საქმიანობაში ნერგავენ.

განმარტებანი ბიბლიოთეკების მუშაკთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ

სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასების დამტკიცების შესახებ თვიური ხელფასის მინიმალური ოდენობის 60 მანეთამდე გადიდებასთან და ცალკეული კატეგორიების მუშაკების სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს 1967 წ. 2 ნოემბრის № 11/11—28 დადგენილება.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრის 1964 წ. 1 დეკემბრის № 572 ბრძანების დანართი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი და საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მუშა-მოსამსახურეთათვის თვიური სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასების არა ნაკლებ 60 მან. ოდენობით დაწესებასთან და ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის თვიური სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასების 70 მანეთამდე გადიდებასთან დაკავშირებით დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთები და ხელფასები, შეთანხმებული სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, თანახმად დანართებისა.

აღნიშნული სატარიფო განაკვეთები შემოღებულ უნდა იქნას 1968 წლის 1 იანვრიდან.

2. იმ შემთხვევაში, თუ მუშა-მოსამსახურეებმა არასრული თვე იმუშავეს, მათი ხელფასის ოდენობა განისაზღვრება ამ თვეში ნამუშევარი დროის პროპორციულად.

3. ცალკეული პროფესიებისა და თანამდებობებისათვის, რომლებიც ამ დადგენილებით გათვალისწინებული არ არის, სატარიფო

განაკვეთები და ხელფასები დიდდება თვეში 60 მანეთამდე და 70 მანეთის ფარგლებში სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ, საერთანადო პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით, იმ განაკვეთებთან და ხელფასებთან შეფარდებით, რომლებიც დაწესებულია დანართებში ჩამოთვლილი ანალოგიური პროფესიებისა და თანამდებობებისათვის.

კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების მუშაკთა ხელფასები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1967 წ. 20 ნოემბრის № 511/11-28 დადგენილების 31 დანართი.

ა მ ო ნ ა კ რ ე ბ ი

ბიბლოთეკები და წიგნის პალატები	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი (მან.)
ბიბლიოგრაფები, ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების ბიბლიოთეკარები, რომლებიც მიკუთვნებული არიან იმ მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი, რომელთაც აქვთ საშუალო ზოგადი განათლება და საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟი	
5 წლამდე	65
5-დან 10 წლამდე	67,5
უძველესი ბიბლიოთეკარები	62,5
ბიბლიოგრაფები, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები, რომლებიც მიკუთვნებული არ არიან მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი საშუალო საბიბლიოთეკო ან დაუმთავრებელი უმაღლესი გა-	

	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი (მან.)
ნათლებით საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟისას	
5 წლამდე	65 მ.
5-დან 10 წლამდე	67,5
საშუალო ზოგადი განათლებით საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟისას	
5 წლამდე	62,5
5-დან 10 წლამდე	67,5
უმცროსი ბიბლიოთეკარები	62,5
მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ნ ი	
ბუღალტერი, საქონელმცოდნე, მეურნეობის გამგე, საწყობის გამგე, ინსპექტორი, თეატრებისა და I ჯგუფის კულტურისა და დასვენების პარკების დირექტორი, ფონოტეკის გამგე, პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე, უფროსი მოლარე, უფროსი ინკასატორი, საკოსტუმოს გამგე კლუბის ტიპის დაწესებულებაში, ექსპედიციის გამგე, ადმინისტრატორი (გარდა თეატრალურ სანახაობითი საწარმოებისა, კინოსტუდიებისა და ცენტრალური ტელეხედვის გენერალური დირექტორისა) არქივის გამგე, კანცელარიის გამგე, ფილმოტეკის გამგე, რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის მთარგმნელი	62,5—70
სამანქანო ბიუროს გამგე (უფროსი მემანქანე	62,5—67—5.
მდივანი — მემანქანე, მემანქანე (ქალი)	62,5—65
მოლარე, ინკასატორი, უფროსი მოანგარიშე, უფროსი სტატისტიკოსი, საშვების ბიუროს გამგე, აგენტი—ექსპედიტორი, ქრონიკის მეტრაჟისტი, კომენდანტი, მდივანი—სტენოგრაფისტი (ქალი) ფოტოლაბორატორიის გამგე, მოანგარიშე-მოლა-	

	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მან.)
რე, უფროსი საქმის მწარმოებელი, უფროსი არქივარიუსი, დაკვეთების მიმღები	62, 5; 65
საქმის მწარმოებელი, სტატისტიკოსი, მხაზველი, არქივარიუსი, მოანგარიშე, ძეკუჭნავე, პასპორტისტი, აღმრიცხველი, უფროსი მეტაბელე, ფოტოგრაფი, დიქტორი-ინფორმატორი, უფროსი ექსპედიტორი	62,5
ძეტაბელე, ექსპედიტორი, სტენოგრაფისტი, შუქგადამღები, მეროტატორე, პირის გადამღები, გამწყობი, მებილეთე-კონტროლიორი	60, 62,5
უმცროსი მომსახურე პერსონალი	
მეგარდერობე, დამლაგებელი, მეეზოვე, მექვაბე, მეჯინიბე, საყოფაცხოვრებო სათბობი ღუმელების ცეცხლფარეში, მეეტლე, მელიფტე ,მეკარე, ვახტიორი, დარაჯი, შიკრიში, სატურატორი	60
შენიშვნა. თეატრალურ-სანახაობითი საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და I II ჯგუფების კინოსტუდიების უფროს მეგარდერობეს, უფროს მებილეთე-კონტროლიორს, უფრო დამლაგებელს, ენიშნებათ თანამდებობრივი განაკვეთი თვეში 65 მანეთის ოდენობით –	

დანართი № 1

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1964 წლის 12 სექტემბრის № 421/25 დადგენილებისა

ინსტრუქცია

ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრის წესის შესახებ

(ამონაბეჭდი)

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება, რომელიც ქვეყნდება შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებისა „განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას“, გამოიყენება შემდეგი მუშაკების ხელფასის განსაზღვრისას:

ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების მუშაკების;

მუზეუმების მუშაკების;

კულტურის სასახლეებისა და სახლების, შემოქმედებითი ინტელიგენციის სახლების, ტექნიკის სახლების, ხალხური შემოქმედების სახლების, კლუბების, საბავშვო კლუბების, წითელი კარვების, იარანგებისა და კლუბის ტიპის სხვა დაწესებულებების მუშაკების;

კულტურისა და დასვენების პარკების, ქალაქის ბაღების, პლანეტარიუმების მუშაკების;

საექსკურსიო ბიუროების მუშაკების;

ზოოლოგიური პარკების მუშაკების;

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სპეციალისტების;

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოსამსახურეების, უმცროსი მომსახურე პერსონალის;

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცალკეული პროფესიების მუშების.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშებს იმის მიუხედავად, თუ რომელ უწყებას ექვემდებარებიან ეს დაწესებულებანი, არიან დამოუკიდებელი თუ შედიან სხვა დაწესებულების, საწარმოსა ან ორგანიზაციის შემადგენლობაში.

3. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრა წარმოებს:

ა) ბიბლიოთეკების, წიგნის პალატების, ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის, მუზეუმების, კლუბის ტიპის დაწესებულებების, კულტურისა და დასვენების პარკების (ბაღების), საექსკურსიო ბიუროების, ზოოლოგიური პარკების მუშაკებისათვის — დაკავებული თანამდებობისა და მუშაკთა შრომის ანაზღაურების იმ ჯგუფების მიხედვით, რომელსაც ეს დაწესებულება მიეკუთვნა;

ბ) უფროსი ბიბლიოგრაფებისათვის, უფროსი ბიბლიოთეკარებისათვის, ბიბლიოგრაფ-ბიბლიოთეკარებისათვის—განათლებისა და ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟის მიხედვით;

გ) წრეების ხელმძღვანელებისათვის, აკომპანიატორ-კონცერტმაისტრებისათვის — განათლების მიხედვით;

დ) რეჟისორებს, დირიჟორებს, ბალეტმაისტერებს, ლოტბარებს, მასებში მომუშავეებს და კულტორგანიზატორებს, ექსკურსიამძღოლებს, ლექტორებს — მათთვის დადგენილი სატარიფო კატეგორიის შესაბამისად;

ე) ყველა სხვა მუშაკს — დაკავებული თანამდებობის მიხედვით მოცემული თანამდებობისათვის დადგენილი განაკვეთების ფარგლებში.

მუშაკების ხელფასის ოდენობის განსაზღვრა წარმოებს შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. თანამდებობრივი განაკვეთებისა და ამ განაკვეთისათვის გათვალისწინებული დამატების დამტკიცება წარმოებს შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესით.

5. უფროს ბიბლიოგრაფებს, უფროს ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, ბიბლიოთეკარებს, წრეების ხელმძღვანელებს, აკომპანიატორ-კონცერტმაისტერებს თანამდებობრივი განაკვეთების ოდენობა ენიშნებათ ჩატარებული ტარიფიკაციის საფუძველზე.

დაწესებულების დირექტორი (გამგე) მთავარ (ან მთავარი ბუღალტრის უფლებით აღჭურვილ უფროს) ბუღალტერთან ერთად ამოწმებს იმ მუშაკების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს განათლებისა და სტაჟის შესახებ, რომლებმაც ტარიფიკაცია უნდა გაიარონ, ამ დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრავენ თითოეული მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობას და ადგენენ სატარიფიკაციო სიებს დართული ფორმების შესაბამისად (დანართები № 1 და № 2).

დირექტორის (გამგის) და მთავარი (ან მთავარი ბუღალტრის უფლებებით აღჭურვილი უფროსი) ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი სატარიფიკაციო სიები დასამტკიცებლად ეგზავნება შესაბამის ორგანიზაციას (სამმართველო, კულტურის განყოფილება, სამინისტრო, უწყება და სხვ.).

სატარიფიკაციო სიებს დართული უნდა ჰქონდეს განათლებისა და სტაჟის შესახებ დოკუმენტების შემოწმებული ასლები, რომელთა საფუძველზე მოეწყო ტარიფიკაცია.

აღნიშნული მუშაკების ტარიფიკაცია წარმოებს შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დღისათვის, შემდგომში კი ყოველწლიურად 1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით.

6. სამმართველოები და კულტურის განყოფილებები, სამინისტროები, უწყებები და სხვა ორგანიზაციები მიღებული სატარიფიკაციო სიების შემოწმებისა და დამტკიცების შემდეგ 1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით ადგენენ ტარიფიკაციის კრებსით უწყისებს (დანართი № 3). ეს უწყისები ყოველწლიურად არაუგვიანეს 15 აგვისტოსი უნდა წარუდგინონ კულტურის სამხარეო, საოლქო სამმართველოებს, ავტონომიური სსრ და მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროებს, სამინისტროებს, უწყებებს და სხვა ზემდგომ ორგანიზაციებს დაქვემდებარების მიხედვით.

კრებსითი უწყისების ასლები ამავე დროს ეგზავნებათ შესაბამის საფინანსო ორგანოებს.

9. არასრული სამუშაო დღით სამუშაოზე მიღებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების შრომის ანაზღაურება წარმოებს ფაქტიურად ნამუშევარი დროისა და დადგენილი ხელფასის გათვალისწინებით.

10. იმ დამოუკიდებელი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საშტატო ნუსხის დამტკიცებისას, რომელთა მუშაკებისათვის თანამდებობრივი განაკვეთები გათვალისწინებულია მინიმალური და მაქსიმალური ოდენობით, განაკვეთები ინიშნება ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებულია მოცემული დაწესებულების თანამდებობრივი განაკვეთების საშუალო განაკვეთების მიხედვით.

11. წლის განმავლობაში მუშაკებისათვის თანამდებობრივი განაკვეთების შეცვლა წარმოებს:

ა) ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟის გაზრდისას — შესაბამისი სტაჟის მიღწევის დღიდან, თუ დოკუმენტი დაწესებულებაშია, ან სტაჟის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენის დღიდან, რომელიც თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობის გადიდების უფლებას იძლევა;

ბ) განათლების მიღებისა და განათლების შესახებ დოკუმენტის აღდგენის დროს — შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის დღიდან;

12. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების ხელფასის დროული და სწორი დანიშვნისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების დირექტორს (გამგეს) და შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.

II. განათლებისა და მუშაობის სტაჟის განსაზღვრის წესი

13. უფროსი ბიბლიოგრაფების, უფროსი ბიბლიოთეკარების, ბიბლიოგრაფების, ბიბლიოთეკარების, წრეების ხელმძღვანელების, აკომპანიატორ-კონცერტმაისტერების განათლების დადგენა ხდება შესაბამისი სასწავლებლის დამთავრების შესახებ დიპლომების, წოწმობების, ატესტატების საფუძველზე.

იმ სასწავლებლების სია, რომელთა დამთავრება აღნიშნული მუშაკებისათვის განათლების მიხედვით თანამდებობრივი განაკვეთის დადგენის უფლებას იძლევა, მოყვანილია დანართში № 5.

ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟის დადგენა ხდება შრომის წიგნაკების, შრომის სიისა და ნამსახურობის ნუსხის, მუშაობის ადგილიდან მოწმობისა ან ცნობის საფუძველზე.

14. მუშაკებმა, რომლებმაც დაკარგეს დოკუმენტები განათლებისა ან ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟის შესახებ, შეუძლიათ აღადგინონ ეს დოკუმენტები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ცალკეულ შემთხვევებში, თუ მუშაკს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ შეუძლია განათლებისა ან ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟის შესახებ დოკუმენტების წარმოდგენა, მისი ტარიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვა დოკუმენტების საფუძველზე (საარქივო აღწერები, სარეგისტრაციო ჩანაწერები და სხვ.).

თუ მუშაკებს შეუძლიათ წარმოადგინონ დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ ადასტურებენ მის მიერ მიღებულ განათლებას (ნამსახურობის ნუსხები, ყოფილი სასწავლებლების, სასწავლო ოკრუგების სიები და სხვ), მუშაკის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვრება ამ დოკუმენტებით.

მუშაკებს, რომლებმაც განათლებისა ან სპეციალობაში მუშაობის სტაჟის შესახებ დოკუმენტები დაკარგეს ტერიტორიის დროებითი ოკუპაციის გამო, ევაკუაციისა ან სტიქიური უბედურების გამო, თანამდებობრივი განაკვეთები უნდა დაენიშნოთ მუშაობის ძველი ადგილიდან ცნობის საფუძველზე ან ორი მოწმის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელთა ხელმოწერა უნდა დადასტურებული იყოს ნოტარული წესით. ამასთანავე საჭიროა, რომ მოწმეები მუშაკს იცნობდნენ ერთად მუშაობის შედეგად.

15. ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ითვლება:

ა) საბიბლიოთეკო მუშაობა (მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე) ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ბიბლიოთეკებსა და წიგნის პალატებში;

ბ) საბიბლიოთეკო კოლექტორებში მუშაობა დირექტორის, კონსულტანტის, ბიბლიოგრაფის, ბიბლიოთეკარის, კატალოგიზატორის თანამდებობაზე;

გ) ერთი წლის სწავლა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში;

დ) საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფო საგნის შტატიან მასწავლებლად მუშაობა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და სასწავლო კურსების ქსელში;

ე) საბიბლიოთეკო ტექნიკუმებში მუშაობა ბიბლიოთეკის კაბინეტის გამგედ და ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის კაბინეტებში და ბავშვებთან საბიბლიოთეკო მუშაობის კაბინეტებში საბიბლიოთეკო ინსტიტუტებსა და კულტურის ინსტიტუტების საბიბლიოთეკო ფაკულტეტებზე;

ვ) მასწავლებლის პედაგოგიური მუშაობა, თუ მასწავლებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამუშაოდ გაიგზავნა სკოლის ბიბლიოთეკაში ან სპეციალურ საბავშვ ობიბლიოთეკაში (მოზრდილთა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება).

გარდა ამისა ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ითვლება:

ზ) განთავისუფლებული პარტ-ული და კომკავშირული მუშაობის დრო პარტიული და კომკავშირულ ორგანოებში;

სამამულო ომის პერიოდში სამხედრო მოსამსახურის ტყვედ ყოფნის დრო ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ითვლება, როგორც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დრო, თუ არის ცნობა სამხედრო კომისარიატისაგან იმის შესახებ, რომ ეს დრო მუშაკს ჩაეთვალა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურად.

სამამულო ომის პერიოდად ითვლება დრო 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 9 მაისამდე, ხოლო იაპონიასთან ომის მონაწილეთათვის — 1945 წლის 3 სექტემბრამდე:

ი) სახალხო განათლების ორგანოებში, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებებში. კულტურის ორგანოებში, მეთოდურ კაბინეტებში, სამინისტროებში, უწყებებში ბიბლიოთეკების ხელმძღვანელების, ინსპექტორების, ინსტრუქტორების, ამ ბიბლიოთეკების მუშაობის ხელმძღვანელობის მეთოდურ თანამდებობებზე მუშაობის დრო; საბჭოთა პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არჩევითს თანამდებობებზე მუშაობის დრო; კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნის დრო; სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში (გარდა სამამულო ომისა) ყოფნის

დრო (მათ შორის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შოკავშირე რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ჯარებში ყოფნა); სწავლების დრო (წარმოებას მოწყვეტით) ასპირანტურაში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რომლებიც საშუალო ან უმაღლეს საბიბლიოთეკო განათლებას იძლევიან, თუ აღნიშნულ პერიოდებს უშუალოდ უძღოდა წინ და უშუალოდ მოსდევდა საბიბლიოთეკო მუშაობა.

აღნიშნული პერიოდები ითვლება ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად (იმ პირობით, რომ ეს პერიოდები და, გარდა ამისა, პერიოდები, რომლებიც გათვალისწინებულია „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში, უშუალოდ მოსდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ყველა მათგანს უშუალოდ უძღოდა წინ და უშუალოდ მოსდევდა საბიბლიოთეკო მუშაობა).

მაგალითი 1. ბიბლიოთეკარი სამუშაოზე გაიგზავნა სკკპ რუსეთის კომიტეტში, შემდეგ კი სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს. დემობილიზაციის შემდეგ ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა ბიბლიოთეკის გამგედ. ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ითვლება მაგალითში მოყვანილი ყველა პერიოდი.

მაგალითი 2. სკოლის კურსდამთავრებული 1946 წელს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს, 1949 წელს დემობილიზაციის შემდეგ ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაობდა კომკავშირის რაიკომში, ხოლო 1957 წელს ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ჩაითვლება კომკავშირის რაიკომში მუშაობის დრო და საბიბლიოთეკო მუშაობის დრო.

მაგალითი 3. ბიბლიოთეკარი სასწავლებლად შევიდა საბიბლიოთეკო ტექნიკუმში, რომლის შემდეგ აღმზრდელად იყო სკოლაში და კვლავ ბიბლიოთეკარის მუშაობას დაუბრუნდა. ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟად ჩაითვლება მხოლოდ ბიბლიოთეკარად მუშაობა.

III. თანამდებობრივი განაკვეთებისა და ხელფასის განაკვეთების ოდენობა

16. ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების მუშაკებს ენიშნებათ შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები:

1. უნივერსალური და სპეციალიზებული პროფილის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, წიგნის პალატებში, მასობრივ ბიბლიოთეკებში, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 100.000 ეგზემპლარს, სპეციალურ ბიბლიოთეკებში, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 50.000 ეგზემპლარს:

ა) ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები

თანამდებობის დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების ჯგუფების მიხედვით (მანეთი)				
	I	II	III	IV	V
დირექტორი (გამგე)	180—200	160—180	140—160	120—140	100—120
ფილიალის განყოფილების გამგე,	140—160	120—140	100—120	100—120	90—100
მთავარი ბიბლიოთეკარი,	140—160	120—140	100—120	—	—
მთავარი ბიბლიოგრაფი	120—140	100—120	—	—	—
სწავლული მდივანი					
მთავარი ბუღალტერი (მთავარის უფლებით აღჭურვილი უფროსი ბუღალტერი)	120—140	90—100	80—90	—	—
სექტორის გამგე	120—140	100—120	90—100	—	—
უფროსი რედაქტორი	120—140	100—120	—	—	—
რედაქტორი	100—120	90—100	90—100	—	—
განყოფილების გამგეები, კადრების, მომარაგების, სამეურნეო, სპეცნაწილის უფროსი, ბიბლიოთეკის არქივის გამგე	100—120	90—100	80—90	—	—

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: დირექტორის (გამგის) მოადგილის თანამდებობრივი განაკვეთი ენიშნება დირექტორის (გამგის) თანამდებობრივ განაკვეთზე 10—20 პროცენტით ნაკლები.

დირექტორის (გამგის) მოადგილის თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს იმ ბიბლიოთეკებსა და წიგნის პალატებში, რომლებიც მიკუთვნებულია I, II, III და IV ჯგუფებისადმი.

ბ) ბიბლიოგრაფები და ბიბლიოთეკარები

თანამდებობის დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მან.) საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟისას			
	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10-დან 25 წლამდე	25 წელი და მეტი
უფროსი ბიბლიოგრაფი, უფროსი ბიბლიოთეკარი				
აქვს: უმაღლესი განათლება .	90	100	105	115
საშუალო საბიბლიოთეკო ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება .	80	85	90	100
ბიბლიოგრაფები, ბიბლიოთეკარები				
აქვს: უმაღლესი განათლება .	80	85	90	100
საშუალო საბიბლიოთეკო ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება . .	70	75	80	85
საშუალო ზოგადი განათლება	60	65	70	75
უმცროსი ბიბლიოთეკარები	55	55	65	55

II. მასობრივი, სასწავლო და სპეციალური ბიბლიოთეკები, რომლებით მიკუთვნებული არ არიან მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი

თანამდებობის დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მან.) საბიბლიოთეკო მუშაობის სტაჟისას			
	5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10-დან 25 წლამდე	25 წელი და მეტი
ბიბლიოგრაფები, ბიბლიოთეკარები				
აქვს: უმაღლესი განათლება .	70	75	80	85
საშუალო საბიბლიოთეკო ან დაუმთავრებელი უმ-ღლესი განათლება . .	60	65	70	75
საშუალო ზოგადი განათლება	55	60	65	70
უმცროსი ბიბლიოთეკარები .	50	50	50	50

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი: 1. მასობრივი ან სპეციალური ბიბლიოთეკის (იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც მიკუთვნებული არ არიან შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი) გამგეობისათვის ბიბლიოთეკარს დამატებით ეძლევა:

ბიბლიოთეკებში, რომელთა მუშაკების შტატი არის 1-დან 2 კაცამდე, — 10 მანეთი, 3-დან 5 კაცამდე — 15 მანეთი; 5 კაცზე მეტი — 20 მანეთი თვეში.

იმ შემთხვევებში, როცა ბიბლიოთეკაში შტატიანი ბიბლიოთეკარების მოვალეობას საზოგადოებრივი ბიბლიოთეკარები ასრულებენ, ზემოაღნიშნული დამატება შტატიან მუშაკს ბიბლიოთეკის გამგეობისათვის ეძლევა იმავე ოდენობით.

2. იმ ძასობრივი ან სპეციალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს, რომელიც მიკუთვნებული არ არის შრომის ანაზღაურების ჯგუფისადმი, სამკითხველო დარბაზის გამგეობისათვის დამატებით ეძლევა 5 მანეთი, აბონემენტის გამგეობისათვის 7 მანეთი, მოძრავი ფონდის განყოფილების, ფილიალის გამგეობისათვის 10 მანეთი, ან სამკითხველო დარბაზისა და აბონემენტის გამგეობისათვის 10 მანეთი თვეში.

3. ბიბლიოთეკის მუშაკს შეიძლება მიეცეს მხოლოდ ერთი დამატება, რომლებიც გათვალისწინებულია I და II შენიშვნებში.

4. თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია სამეცნიერო, სპეციალური, ტექნიკური და სასწავლო ბიბლიოთეკების საშუალო საბიბლიოთეკო განათლების მქონე უფროსი ბიბლიოთეკარებისათვის, უფროსი ბიბლიოგრაფებისათვის, ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფებისათვის, შეიძლება დაენიშნოთ აღნიშნული კატეგორიის მუშაკებს, რომლებსაც მოცემული ბიბლიოთეკის პროფილის შესაბამისი საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

ყველა სხვა შემთხვევაში ბიბლიოგრაფებსა და ბიბლიოთეკარებს, რომლებსაც საშუალო სპეციალური (არასაბიბლიოთეკო) განათლება აქვთ, თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ იმ ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია საშუალო ზოგადი განათლების მქონე ამ მუშაკებისათვის.

5. იმ შემთხვევებში, როცა ცალკეულ ბიბლიოგრაფებსა და ბიბლიოთეკარებს საშუალო ზოგადი განათლება არა აქვთ, მათ თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ იმ ოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია საშუალო ზოგადი განათლების მქონე ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოგრაფებისათვის.

1966 წლის 1 იანვრიდან ის პირები, რომლებსაც საშუალო ზოვადი განათლება არა აქვთ, ბიბლიოგრაფებად და ბიბლიოთეკარებად სამუშაოდ აღარ მიიღებიან.

IV. დამატებითი პირობები

26. იმ შემთხვევებში, როცა მუშაკებისათვის ახლად შემოღებული ხელფასის (განაკვეთის) განაკვეთები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით დაწესებული კოეფიციენტებისა და დამატებითი ანაზღაურების გათვალისწინებით მოქმედ განაკვეთებზე ნაკლებია კოეფიციენტების, ნამსახურობისათვის ანაზღაურების და სხვა დამატებითი ანაზღაურებისა და შეღავათების გათვალისწინებით, ამ მუშაკებს მოცემულ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და საწარმოში იმავე თანამდებობაზე მუ-

შაობის დროისათვის ეძლევათ ხელფასის შესაბამისი სხვაობა (შეღავათების გათვალისწინებით).

27. სოფლად და მუშათა დაბებში ბიბლიოთეკებისა და კლუბის მუშაკებისათვის გათბობისა და განათების მქონე უფასო ბინების მიცემის მოქმედი წესი უცვლელი რჩება.

29. უდიდესი მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების წამყვანი პროფესიების მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს, რომლის შესრულებას სპეციალური მოთხოვნები აქვს წაყენებული, თვიური განაკვეთი ენიშნებათ 100, 110, 120 მანეთის ოდენობით. ამ თანამდებობათა სია მოყვანილია წინამდებარე ინსტრუქციის № 6 დანართში.

30. ბიბლიოთეკების მუშაკებისა და ექსკურსიამძღოლებისათვის, რომლებმაც უცხო ენები იციან, დადგენილია თანამდებობრივი განაკვეთის დამატებითი ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: ერთი უცხო ენის ცოდნისათვის — 10 პროცენტი, ორი და მეტი უცხო ენის ცოდნისათვის — 15 პროცენტი.

დამატებითი ანაზღაურება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უცხო ენას თავისი საქმიანობის გამო ყოველდღიურად იყენებენ პრაქტიკულ მუშაობაში.

დამატებითს ანაზღაურებას უნიშნავს ბიბლიოთეკის, მუზეუმის, საექსკურსიო ბიუროს დირექტორი (გამგე) მუშაკის მიერ წარმოდგენილი დიპლომის, ატესტატის, მოწმობის საფუძველზე, რომლებიც გაცემულია შესაბამისი სასწავლებლის მიერ, რომლის დამთავრება უცხო ენის ცოდნას იძლევა.

ბიბლიოთეკის მუშაკებსა და ექსკურსიამძღოლებს, რომლებმაც უცხო ენები იციან, მაგრამ არა აქვთ შესაბამოისი დოკუმენტი განათლების შესახებ, დამატებითი ანაზღაურება ენიშნებათ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომლებსაც ქმნიან საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) შესაბამისი კულტურის სამმართველოები და მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროები ადგილობრივი სასწავლებლების უცხო ენების მასწავლებელთა შემადგენლობით.

31. იმ ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებსაც განსაკუთრებული რეჟიმი აქვთ, 15—25 პროცენტით იზრდება.

ამონაწერი იმ მუშაკთა სიიდან, რომლებსაც განაკვეთის ამ მოშატების უფლება აქვთ, დართულია (დანართი № 7).

ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებულებების ბიბლიოთეკებისა და კლუბების მუშაკებს, სადაც ჯანმრთელობისათვის საშიში შრომის პირობებია (ინფექციური საავადმყოფოები, ფსიქონევროლოგიური და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერები, ლეპროზორიუმები და სხვ.) თანამდებობრივი განაკვეთები უდიდდებათ ამ დაწესებულებათა მუშაკებისათვის დადგენილი ოდენობით.

33. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სპეციალისტების, მოსამსახურეებისა და უმცროსი მომსახურე პერსონალის თანამდებობრივ განაკვეთებში, აგრეთვე დროებითად მომუშავე მუშების თვიურ განაკვეთებში, როლებიც დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით, შესულია დამატებები ღამით მუშაობისათვის.

დასვენებისწინა და დღესასწაულისწინა დღეების სამუშაო დროის შემცირებისათვის მუშებს ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღების შემდეგ დამატებითი ანაზღაურება არ ეძლევათ.

დანართი № 1

ინსტრუქციისა ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების
თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრის
წესის შესახებ

სატარიფიკაციო სია

უფროსი ბიბლიოგრაფების, უფროსი ბიბლიოთეკარების, ბიბლიოგრაფების

196 წლის თვისათვის

1. ბიბლიოთეკის, წიგნის პალატის სრული დასახელება.
2. სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულების სახელწოდება, რომლის გამგებლობაშია ბიბლიოთეკა, წიგნის პალატა.
3. ბიბლიოთეკის, წიგნის პალატის უშუალო დაქვემდებარება.
4. ბიბლიოთეკის, წიგნის პალატის ადგილმდებარეობა და მისამართი.

№№ რიგზე	გვარი, სახელი და მამის სახელი	თანამდებობა	განათლება	განათლების შესახებ დოკუმენტის დასახელება, მისი № და გაცემის თარიღი	ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟი	ძირითადი თანამდებობრივი განაკვეთი	ძირითადი განაკვეთის დამატებითი ანაზღაურება (ბიბლიოთეკის, მოძრავი ფონდის, აბონემენტის და სხვა გამგებლობა)	სულ ხელფასი თვეში

ბიბლიოთეკის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი)

დანართი № 3

ინსტრუქციისა ბიბლიოთეკების და სხვა კულტურულ-
საგახმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების
თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრის
წესის შესახებ

კრებსითი უწყისი

უფროსი ბიბლიოგრაფების, უფროსი ბიბლიოთეკარების, ბიბლიოგრაფების, ბიბლიოთეკარების ტარიფიკაციისა 196 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით

მუშაკის კატეგორია	5 წლამდე			5-დან 10 წლამდე			10-დან 25 წლამდე			25 წელი და მეტი			ს უ ლ		
	განაკვეთების რიცხვი	განაკვეთი თვეში	ხელფასის ფონდი თვეში	განაკვეთების რიცხვი	განაკვეთი თვეში	ხელფასის ფონდი თვეში	განაკვეთების რიცხვი	განაკვეთი თვეში	ხელფასის ფონდი თვეში	განაკვეთების რიცხვი	განაკვეთი თვეში	ხელფასის ფონდი თვეში	განაკვეთების რიცხვი	განაკვეთი თვეში	ხელფასის ფონდი თვეში
1. აქვს უმაღლესი განათლება . . .															
2. აქვს საშუალო საბიბლიოთეკო ან დაუ-მთავრებელი უმაღლესი განათლება .															
3. აქვს საშუალო ზოგადი განათლება . .															
ს უ ლ:															

შენიშვნა: კრებსითი უწყისი ცალ-ცალკე უნდა შედგეს უფროს ბიბლიოგრაფებზე, უფროს ბიბლიოთეკარებზე, ბიბლიოგრაფებზე, ბიბლიოთეკარებზე.

უფროსი (გამგე)

მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი)

ინსტრუქციისა ბიბლიოთეკების და სხვა კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების
თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრის
წესის შესახებ

ს ი ა

სასწავლებლებისა, რომლის დამთავრება ხელფასის განაკვეთის დანიშვნის უფლებას აძლევს უფროს ბიბლიოგრაფებს, უფროს ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, წრეების ხელმძღვანელებს

I. უმაღლესი განათლება

რევოლუციისშემდგომი პერიოდი:

1. ყველა უმაღლესი სასწავლებელი (დღის, საღამოსა და დაუსწრებელი)
2. ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის კომუნისტური აღზრდის აკადემია
3. კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია
4. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სამეცნიერო-პედაგოგიური კურსები
5. წითელი პროფესურის ინსტიტუტები
6. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების აკადემია
7. საერთო საჯარისო მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლები
8. პირები, რომლებმაც ექსტერნად ჩააბარეს გამოცდები უმაღლესი სასწავლებლების კურსში.
9. უკრაინის სსრ სახალხო განათლების ინსტიტუტები
10. სახალხო განათლების ოთხწლიანი ინსტიტუტები
11. ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი.

II. სასწავლებლები, რომელთა დამთავრება დაუმთავრებელ უმაღლეს განათლებას ეთანაბრება

რევოლუციისშემდგომი პერიოდი:

1. სახალხო განათლების სამწლიანი ინსტიტუტები
2. სახალხო განათლების ინსტიტუტები
3. სახალხო განათლების პრაქტიკული ინსტიტუტები
4. კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლები
5. უმაღლესი სასწავლებლების სამი კურსი
6. სამასწავლებლო ინსტიტუტები სწავლის ვადის მიუხედავად
7. ორწლიანი უმაღლესი საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფო კურსები (ზოგადი საშუალო განათლების ბაზაზე)

III. საშუალო საბიბლიოთეკო განათლება

რევოლუციისშემდგომი პერიოდი:

1. საბიბლიოთეკო ტექნიკუმები (დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებები)

2. პედაგოგიური სასწავლებლების, პოლიტიკური განათლების სასწავლებლების, პოლიტიკური განათლების სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო სკოლების, კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლების, კულტ-საგანმანათლებლო კადრების მოსამზადებელი ტექნიკუმების საბიბლიოთეკო განყოფილებები.

3. ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან არსებული ორწლიანი კურსები საშუალო განათლების ბაზაზე (I და II ციკლი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს უფლება უძლევათ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით შეავსონ იმ სასწავლებლების სია, რომელთა დამთავრება განათლების მიხედვით მუშაკებისათვის ხელფასის განაკვეთის დანიშვნის უფლებას იძლევა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1964 წლის 9 სექტემბრის

მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების მიკუთვნების მაჩვენებლები

I ჯგუფი

საკავშირო მნიშვნელობის უნივერსალური და სპეციალიზებული პროფილის უდიდესი ბიბლიოთეკები, რომელთა საქმიანობას და ფონდებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის ამოცანებისათვის, მეთაურობენ სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკების მეცნიერულ-კვლევეთს მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში, მეცნიერულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევენ ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებს, აგრეთვე სრულიად საკავშირო წიგნის პალატა, დართული სიის თანახმად.

II ჯგუფი

1. ბიბლიოთეკები, რომლებიც სისტემატურად მეთოდურ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის, დარგების, ეკონომიური რაიონის ბიბლიოთეკებს, ეწევიან მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში, საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას თავისი პროფილით:

ა) მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკები, მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკები, სსრ კავშირის დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკები; მოკავშირე რესპუბლიკათა წიგნის პალატები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 1.000.000 ეგზ.;

ბ) ცენტრალური დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 300.000 ეგზემპლარს;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო კომიტეტების რესპუბლიკური საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლოთეკები და ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 300.000 ეგზემპლარს.

2. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები:

უნივერსალური პროფილისა — 1000.000 ეგზემპლარზე მეტი.

სპეციალიზებული პროფილისა — 500.000 ეგზემპლარზე მეტი.

3. ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 1.000.000 ეგზემპლარს, უნივერსალური პროფილის ბიბლიოთეკებისათვის, და 500.000 ეგზემპლარს—სპეციალიზებული პროფილის ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ეწევიან ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში.

4. რესპუბლიკური (ავტონომიური სსრ), სამხარეო, საოლქო, ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 1.000.000 ეგზემპლარს, უნიერსალური პროფილის ბიბლიოთეკებისათვის, და 500.000 ეგზემპლერს — სპეციალიზებული პროფილის ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას ასს რესპუბლიკების, სამხარეო და საოლქო ბიბლიოთეკებს.

III ჯგუფი

1. ბიბლიოთეკები, რომლებიც სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას ასს რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, დარგის, ეკონომიური რაიონის ბიბლიოთეკებს, ეწევიან საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას თავისი პროფილით:

ა) სახელმწიფო რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო, ბიბლიოთეკები (მათ შორის საბავშვო), მოკავშირე რესპუბლიკათა დანარჩენი წიგნის პალატები;

ბ) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების

ფილიალების, მოკავშირე რესპუბლიკათა დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 150.000 ეგზემპლარს:

გ) ცენტრალური დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 200.000 ეგზემპლარს;

დ) ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 200.000 ეგზემპლარს;

ე) მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების საკოორდინაციო კომიტეტების რესპუბლიკური საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, მოკავშირე რესპუბლიკათა რესპუბლიკური სამეცნიერო-სამედიცინო ბიბლიოთეკები, რესპუბლიკური სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკები.

2. რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო, სპეციალიზებული პროფილის ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 200.000 ეგზემპლარს.

3. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატებ_ 300.000 ეგზემპლარს.

4. ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 300.000 ეგზემპლარს და სისტემატურ მეთოდურ დახმარებას უწევენ სულ ცოტა 100 მასობრივ ბიბლიოთეკას.

5. დარგობრივ სამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 200.000 ეგზემპლარს, ეწევიან სისტემატურ საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას სამრეწველო გაერთიანების პროფილით და მეთოდურ დახმარებას უწევენ თავიანთი გაერთიანების ტექნიკურ ბიბლიოთეკებს.

6. დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 200.000 ეგზემპლარს, ეწევიან საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას თავიანთი დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს პროფილით.

IV ჯგუფი

1. ბიბლიოთეკები, რომლებიც სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას ავტონომიური ოლქის, დარგის ბიბლიოთეკებს, ეწევიან საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას თავიანთი პროფილით:

ა) ავტონომიური ოლქების საოლქო ბიბლიოთეკები (მათ შორის საბავშვო), ასს რესპუბლიკის წიგნის პალატები;

ბ) რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო სამედიცინო ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 75.000 ეგზემპლარს;

გ) ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დანარჩენი ცენტრალური დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები და ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები.

2. მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი არ აღემატება 150.000 ეგზემპლარს.

3. ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 150.000 ეგზემპლარს, სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას სულ ცოტა 50 სხვა მასობრივ ბიბლიოთეკებს.

4. ცენტრალური საქალაქო, საბავშვო ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 75.000 ეგზემპლარს, სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას სულ ცოტა 40 ბიბლიოთეკას, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ.

5. სამრეწველო გაერთიანებების (ფირმების) მთავარი ტექნიკური ბიბლიოთეკები, რომლებიც სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას ამ გაერთიანებაში (ფირმაში) შემავალ საწარმოთა ტექნიკურ ბიბლიოთეკებს.

6. დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, საწარმოთა სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 75.000 ეგზემპლარს, ეწევიან საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას თავიანთი დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს პროფილით.

7. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 150.000 ეგზემპლარს და ეწევიან საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას.

V ჯგუფი

1. ეროვნული ოკრუგების საოკრუგო ბიბლიოთეკები, რომელთა საქმიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ოკრუგის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, სისტემატურად უწევენ მეთოდურ დახმარებას ოკრუგის მასობრივ ბიბლიოთეკებს.

2. დანარჩენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები.

3. საშუალო სპეციალური სასწავლებლების ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 50.000 ეგზემპლარს.

4. დანარჩენი რესპუბლიკური (ასსრ) საოლქო და სამხარეო სამედიცინო ბიბლიოთეკები.

5. მასობრივი ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 100.000 ეგზემპლარს და სპეციალური ბიბლიოთეკები, რომელთა წიგნის ფონდი აღემატება 50.000 ეგზემპლარს.

ბიბლიოთეკების განაწილება მუშაობის პროფილის მიხედვით

(დაახლოებითი სია)

I. სამეცნიერო ბიბლიოთეკები

ა) უნივერსალური პროფილისა: სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა; მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკები, სამხარეო და საოლქო ბიბლიოთეკები, ავტონომიური ოლქების საოლ-

ქო ბიბლიოთეკები. საბჭოთა კავშირის უცხოური ლიტერატურის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, უსინათლოთა რესპუბლიკური ცენტრალური ბიბლიოთეკა.

საბჭოთა კავშირის წიგნის პალატა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა წიგნის პალატები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერებათა აკადემიების ცენტრალური ბიბლიოთეკები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ბიბლიოთეკები; უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები;

ბ) სპეციალიზებული პროფილისა: სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა; მოკავშირე რესპუბლიკათა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები: ბ. გორკის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (ბელორუსიის სსრ). ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები და მათი ფილიალები; საბჭოთა კავშირის პატენტურ-ტექნიკური ბიბლიოთეკა; სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" ცენტრალური პოლიტექნიკური ბიბლიოთეკა; ცენტრალური სამეცნიერო-ტექნიკური და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, დარგობრივი აკადემიების ბიბლიოთეკები;

რუსეთის სსრ სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკა; უკრაინის სსრ სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკა; სახელმწიფო ცენტრალური თეატრალური ბიბლიოთეკა; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს ძველი აქტების ცენტრალური არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვ.

საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა და მისი ლენინგრადის ფილიალი, მოკავშირე რესპუბლიკათა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა

აკადემიების ცენტრალური რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკები და სხვ.

ცენტრალური სამხედრო-საზღვაო ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო სამეცნიერო-სამედიცინო ბიბლიოთეკა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა რესპუბლიკური სამეცნიერო-სამედიცინო ბიბლიოთეკები, საოლქო, სამხარეო სამედიცინო ბიბლიოთეკები და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობს საბჭოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სრულიად საკავშირო გეოლოგიური ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალიზებული მუსიკალური ბიბლიოთეკა და სხვ.

სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების და სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები.

უმაღლესი სასწავლებლების სპეციალიზებული პროფილის სამეცნიერო ბიბლიოთეკები, უდიდეს სამრეწველო გაერთიანებათა მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკები და სხვ.

II. სპეციალური ბიბლიოთეკები

საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის დაწესებულებების, საპროექტო ორგანიზაციების, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საკონსტრუქტორო ბიუროების, ტექნიკის სახლების ტექნიკური ბიბლიოთეკები, სამრეწველო გაერთიანებების (ფირმების) ბიბლიოთეკები, საქალაქო ტექნიკური და სხვა სპეციალური ბიბლიოთეკები.

უსინათლოთა და ყრუთა ბიბლიოთეკები; ნოტებისა და მუსიკალური და თეატრალური ბიბლიოთეკები; სანიტარული განათლე-

ბის სახლების. საბავშვო და სკოლის ბიბლიოთეკები, სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები (პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების) და სხვ.

სამედიცინო ბიბლიოთეკები (საავადმყოფოების, სანეპიდსადგურების, დისპანსერებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების), სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკები (საცდელი სადგურების, საექსპერიმენტო ბაზების, საყრდენი პუნქტებისა და სხვ); მუზეუმების ბიბლიოთეკები; ობსერვატორიების ბიბლიოთეკები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს ბიბლიოთეკები; სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბიბლიოთეკები (საცნობარო ხასიათისა); გამომცემლობების, რედაქციების, რადიო და ტელეცენტრების და სხვ. ბიბლიოთეკები.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების, ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მასობრივი კადრების მოსამზადებელი კურსებისა და სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების ბიბლიოთეკები და სხვ.

III. მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი

სასოფლო, რაიონული, საქალაქო, საოკრუგო ბიბლიოთეკები, საკლუბო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები, კოლმეურნეობათა ბიბლიოთეკები, კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების ბიბლიოთეკები, ავადმყოფთა მომსახურების სამკურნალო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები, ტურისტული ბაზებისა და სპორტული ორგანიზაციების ბიბლიოთეკები, აგრეთვე ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ანალოგიური ბიბლიოთეკები და სხვ.

სსრ კავშირის უნივერსალური და სპეციალიზებული პროფილის I ჯგუფის უდიდესი სამეცნიერო ბიბლიოთეკების სია

1. სსრ კავშირის ვ .ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა.

2. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.

3. საბჭოთა კავშირის უცხოური ლიტერატური სსახელმწიფო ბიბლიოთეკა.

4. სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.

5. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა (ქ. ლენინგრადი).

6. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. პ. ეოლგინის სახელობის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა.

7. უკრაინი სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა.

8. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა.

9. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

10. საბჭოთა კავშირის წიგნის პალატა.

11. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" ცენტრალური პოლიტექნიკური ბიბლიოთეკა.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამომგონებლობისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის სრულიად საკავშირო პატენტურ-ტექნიკური ბიბლიოთეკა.

13. საბჭოთა კავშირის ვ .ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა.

14. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო ცენტრალური სამეცნიერო სამედიცინო ბიბლიოთეკა.

15. მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. მ. გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

16 ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. მ .გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

17. რუსეთის სფსრ სახელმწიფო საჯარო ისტორიული ბიბლიოთეკა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1964 წლის 9 სექტემბრის

მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიკუთვნების წესი

1. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის, მოცულობისა და შინაარსის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას ეწევიან, მიეკუთვნებიან მუშაკების შრომის ანაზღაურების შემდეგ ჯგუფებს: ბიბლიოთეკები, წიგნის პალატები და მუზეუმი — ხუთ ჯგუფს; კულტურის სასახლეები და სახლები, კლუბები, შემოქმედებითი ინტელიგენციის სახლები, ხალხური შემოქმედების სახლები და კლუბის ტიპის სხვა დაწესებულებები, კულტურისა და დასვენების პარკები, ქალაქის ბაღები, პლანეტარიუმები — ოთხ ჯგუფს; საექსკურსიო ბიუროები და ზოოლოგიური პარკები — ორ ჯგუფს.

2. ბიბლიოთეკებს, წიგნის პალატებს, მუზეუმებს, კულტურის სასახლეებსა და სახლებს, კლუბებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის სახლებს, ხალხური შემოქმედების სახლებსა და კლუბის ტიპის სხვა დაწესებულებებს, კულტურისა და დასვენების პარკებს, ქალაქის ბაღებსა და პლანეტარიუმებს I და II ჯგუფებს, ხოლო საექსკურსიო ბიუროებსა და ზოოლოგიურ პარკებს I ჯგუფს მიაკუთვნებენ:

ა) სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებს — სსრ კავშირის კულტურის სსამინისტრო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით;

ბ) სხვა სამინისტროებისა და უწყებების დაწესებულებებს — შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შე-

თანხმებით და შესაბამისი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მონაწილეობით, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნიკურ ბიბლიოთეკებს, გარდა ამისა, სსრ კავშირის მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით.

3. ბიბლიოთეკების, წიგნის პალატების, მუზეუმების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, შემოქმედებითი ინტელიგენციის სახლების, ხალხური შემოქმედების სახლებისა და კლუბის ტიპის სხვა დაწესებულებების, კულტურისა და დასვენების პარკების ქალაქის ბაღების, პლანეტარიუმების მიკუთვნებას III ჯგუფისადმი და საექსკურსიო ბიუროებისა და ზოოლოგიური პარკების მიკუთვნების II ჯგუფისადმი აწარმოებენ:

ა) სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებს — მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებით და შესაბამისი პროფკავშირების საბჭოების მონაწილეობით;

ბ) სხვა სამინისტროებისა და უწყებების დაწესებულებებს — შესაბამისი სამინისტროები და უწყებები მოკავშირე რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროებთან და კულტურის სამინისტროებთან შეთანხმებით და შესაბამისი პროფკავშირების საბჭოების მონაწილეობით, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკურ და ტექნიკურ ბიბლიოთეკებს, გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო კომიტეტების მონაწილეობით.

4. ყველა დანარჩენი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მიკუთვნებას IV და V ჯგუფებისადმი აწარმოებენ:

ა) სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებს — ავტონომიურ რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროები, კულტურის სამხარეო და საოლქო სამმართველოები (იქ, სადაც ოლქებად დაყოფა არ არის, მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურის სამინისტროები) შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით და შესაბამისი პროფკავშირის საბჭოს მონაწილეობით;

ბ) სხვა სამინისტროებისა და უწყებების დაწესებულებებს — სამინისტროები, უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (იმის მიხედვით, თუ ვის ექვემდებარება კულტურულ-საგანმანათ-

ლებლო დაწესებულება) შესაბამის საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით და შესაბამისი პროფკავშირის საბჭოს მონაწილეობით.

5. ბიბლიოთეკები და წიგნის პალატები მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებს მიეკუთვნებიან იმ მაჩვენებლების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 9 სექტემბრის № 401/24 დადგენილებით.

6. შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი მოცემული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მიკუთვნების წინადადების განხილვისათვის დაწესებულების ხელმძღვანელმა საამ ეგზემპლარად უნდა წარადგინოს:

ა) მოქმედი საშტატო ნუსხის ასლი, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს დადგენილი წესით;

ბ) დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა ან საწარმოო-საფინანსო გეგმის ასლი;

გ) ცნობა დაწესებულების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ (ბიბლიოთეკებისათვის — არსებული წიგნის ფონდისა და წიგნის გაცემის რაოდენობა, მკითხველთა რიცხვი, გამოცემული ბიბლიოგრაფიული და მეთოდური სახელმძღვანელოების რიცხვი, ცნობები ბიბლიოთეკების ქსელის შესახებ, რომლებსაც მეთოდურ დახმარებას უწევენ; მუზეუმებში — ექსპონატების, გამოცემული შრომების რაოდენობა, დამთვალიერებელთა რიცხვი და სხვ.).

7. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფის დადგენა ხდება წელიწადში მხოლოდ ერთხელ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლების მიხედვით.

8. მოქმედი და ახლად შექმნილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიკუთვნება მუშაკების შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი და მათი გადაყვანა ერთი ჯგუფიდან მეორეში დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად წარმოებს ზემოთ აღნიშნული წესით.

მასალები საქართველოს სსრ-ში ქალაქად და სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მოწონებულ იქნას ქ. ქუთაისის და მახარაძის რაიონის ინიციატივა, რჩევა მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო და ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე

ვ. სირაძე

1970 წლის 18 აგვისტი

ბ ნ ო ბ ა

საქართველოს სსრ ქალაქად და სოფლად მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი და ამაღლდა მათი მუშაობის შინაარსი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ბიბლიოთეკების რაოდენობა 1913 წელს იყო 25, ხოლო 1970 წლის პირველი იანვრისათვის დამოუკიდებელი ბიბლიოთეკების რაოდენობამ მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემაში 2000-მდე მიაღწია და ამავე პერიოდისათვის რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე წიგნების ეგზემპლიარობის რაოდენობა

4-3-მდე, ხოლო თითოეულ ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა 7000-მდე გაიზარდა.

ბიბილოთეკების ქსელის ზრდამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელ ხუთწლედში, რის შედეგად ამჟამად თითოეულ სასოფლო ბიბლიოთეკაზე ნაცვლად 1966 წლის 2600-სა, 1600-მდე მცხოვრები მოდის. ასევე გაუმჯობესდა ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების დონეც.

მიუხედავად ამისა და მთელი რიგი სხვა ღონისძიებებისა, რასაც ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებათა საფუძველზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ატარებს, ჩვენს რესპუბლიკაში ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ არის. ამასთან ნაკლოვანებებია ბიბლიოთეკების ქსელის განლაგების განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში, რაც აფერხებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წიგნით მომსახურების ამოცანის დროულად გადაჭრას.

ეს ნაკლოვანებები ძირითადად შემდეგში მდგომარეობს:

1. ჯერ კიდევ არასაკმაო რაოდენობით გვაქვს ბიბლიოთეკების ქსელი, რის შედეგადაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არა აქვს საშუალება სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეუფერხებლად ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ქ. თბილისში. დებულებით გათვალისწინებულია, რომ ქ. თბილისში ყოველ ათი ათას მცხოვრებზე იყოს ერთი მასობრივი ბიბლიოთეკა, ფაქტიურად კი ყოველ 20 ათას მცხოვრებზე მოდის ერთი ბიბლიოთეკა, ხოლო ქ. რუსთავში ყოველ 16—18 ათას მცხოვრებზე მოდის ერთი ბიბლიოთეკა და ა. შ. შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ქ. ქუთაისში, რაც ერთიმხრივ განაპირობა ამ ქალაქში კულტურის სამინისტროსა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების ღონისძიებების ჩატარებამ.

2. ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიაზე არათანაბრად არის განლაგებული ბიბლიოთეკები. ზოგჯერ ქალაქად ბიბლიოთეკები თავმოყრილია ცენტრში ეს იმ დროს, როცა ახლადდასახლებულ უბნებსა და მასივებში სრულებით არ არის ბიბლიოთეკა.

3. ხშირ შემთხვევაში ბიბლიოთეკებს ხსნიდნენ არა იქ, სადაც ის იყო საჭირო, არამედ იქ სადაც გამოძებნიდნენ ასე თუ ისე შე-

საფერის ბინას და არ ითვალისწინებდნენ მოსახლეობის რაოდენობას, რის შედეგადაც მთელ რიგ მცირედდასახლებულ პუნქტებში (ზოგჯერ 50—100 მცხოვრებით) გახსნილია სასოფლო ბიბლიოთეკა, ეს იმ დროს, როცა მთელი რიგი დიდი სოფლები 1000—2000 და მეტი მცხოვრებით დარჩენილია სტაციონალური საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საშუალება აქვს და გეგმავს კიდეც ქალაქებსა და სოფლებში ახალი საბიბილოთეკო ქსელის ზრდას, მაგრამ ადგილებზე ახლად გასახსნელი ბიბლიოთეკებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო ვერ ხსნიან დაგეგმილ ბიბლიოთეკებს. ასეთ ფაქტებს განსაკუთრებით ადგილი აქვს თბილისში, რუსთავში და სხვა ზოგიერთ ქალაქებსა და რაიონებში.

4. არათანაბრობა არსებობს თითოეული მცხოვრების საბიბლიოთეკო წიგნით უზრუნველყოფის საქმეში, რის შედეგადაც ზოგიერთ სოფელში თუ ქალაქში (სადაც რამდენიმე ბიბლიოთეკაა) თითოეულ მცხოვრებზე ბიბლიოთეკის 10—15 წიგნი მოდის. ხოლო ზოგიერთ მათგანში 1—2 წიგნს არ ეუმატება. სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების საქმეში, რადგან „საქწიგნი“ საბიბლიოთეკო კოლექტორს საჭირო რაოდენობით არ უყოფს ბიბლიოთეკებისათვის ახალ ლიტერატურას, რის გამოც ბიბლიოთეკებში ახალი ლიტერატურა მცირე რაოდენობით შემოდის, ხოლო წიგნის შესაძენად განკუთვნილი თანხები აუთვისებელი რჩება.

5. მოწოდების სიმაღლეზე არ დგას სხვადასხვა უწყებების ბიბლიოთეკებს შორის კავშირი და მუშაობის კოორდინაციის საქმე, რის გამოც ადგილი აქვს უწყებრივ გათიშულობას.

6. მიუხედავად ზემდგომი და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ არადამაკმაყოფილებელია ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განსაკუთრებით კი მთიანი ზონის რაიონებში. ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საქმეში ადგილებზე ნაკლებად იყენებენ კოლმეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციების კულტფონდებს და სხვა საშუალებებს. საგანგაშო მდგომარეობა არის ბიბლიოთეკების ბინებით უზრუნველყოფის საქმეში ქ. თბილისში და რუსთავში.

აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებისა და საშუალებების შემუშავების მიზნით, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების მხარდაჭერითა და დახმარებით საბიბლიოთეკო ქსელის მოწესრიგების, განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დიდი ორგანიზაციულ-პრაქტიკული მუშაობა ჩაატარა ქ. ქუთაისში და მახარაძის რაიონში.

მიღებული შედეგების განზოგადების მიზნით ქ. ქუთაისში ქალაქად და მახარაძის რაიონში სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებზე ჩატარდა სემინარ-პრაქტიკუმი, რომელსაც ესწრებოდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მუშაკები, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრები და რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორები, სამხრეთ ოსეთის საოლქო კულტურის განყოფილების, რესპუბლიკის ყველა საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკების გამგეები, საკავშირო და რესპუბლიკური პროფკავშირების წარმომადგენლები.

სემინარ-პრაქტიკუმის მიერ დაყენებულმა საკითხებმა და რეკომენდაციებმა დიდი მხარდაჭერა ჰპოვეს ქ. ქუთაისის და მახარაძის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, მსხვილ წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხრივ. ამის ნათელი დადასტურებაა ის რომ ქ. ქუთაისის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელებმა მიიღეს მიმართვა ქალაქის ყველა საწარმოო დაწესებულებებისადმი ბიბლიოთეკებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და წიგნადი ფონდების შევსების მიზნით,კულტფონდებიდან გარკვეული რაოდენობის თანხების გამოყოფის შესახებ. ამ მიმართვას მხარი დაუჭირა თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებამ და მათ შეფობა იკისრეს ქალაქის ბიბლიოთეკებისადმი.

მახარაძის რაიონში ჯერ კიდევ სემინარ-პრაქტიკუმის ჩასატარებლად მზადების პერიოდში კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მსხვილმა წარმოება-დაწესებულებებმა ბიბლიოთეკებისათვის მარტო ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად გამოჰყვეს 25.000 მანეთზე მეტი და ვალდებულება იკისრეს ახლად გასახსნელი ბიბლიოთეკებისათვის ააშენონ სპეციალური შენობები და უზრუნველჰყონ ისინი სათანადო ინვენტარით. მათ შეფობა იკისრეს ადგილობრივი ბიბლიოთეკებისადმი.

შემუშავებული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ქ. ქუთაისისა და მახარაძის რაიონის ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, არსებული ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, არსებული ბიბლიოთეკების რაციონალურად გამოყენების, ახალი ქსელის განვითარების, არასტაციონალური საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოების, ბავშვთა და ახალგაზრდობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, წიგნადი ფონდების სრულად და ეფექტურად გამოყენების და საბიბლიოთეკო მუშაობის სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

შემუშავებული გეგმის შესრულება ქ. ქუთაისში და მახარაძის რაიონში პრაქტიკულად ხორციელდება. მაგალითად ადგილობრივი სახრსებით ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის აიგო შვიდსართულიანი წიგნსაცავი მილიონ ნახევარ ფონდზე, რომელიც მიმდინარე წელს შევა ექსპლუატაციაში. დაიწყო საქალაქო ბიბლიოთეკის ახალი სპეციალური შენობის მშენებლობა, 5 საქალაქო ბიბლიოთეკას გადაეცა ახალი ბინა, ხოლო 9 ბიბლიოთეკას ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება. ასევე მახარაძის რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა (ნატანები, შრომა, ნაგომარი, ძიმითი, ჭალა და სხვა), სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის ააგეს სპეციალური შენობები და შეუძინეს საჭირო ინვენტარი. ეს პროცესი ქ. ქუთაისში და მახარაძის რაიონში გრძელდება და უახლოეს პერიოდში სასურველი შედეგები იქნება მიღწეული.

ქ. ქუთაისის და მახარაძის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს ამ ღონისძიებათა მიმართ. ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი მის ორგანიზებულად და მაღალ პრაქტიკულ დონეზე ჩატარებას. განიხილეს სე-

მინარ-პრაქტიკუმის შედეგები და სათანადო დადგენილებით დაავალეს შესაბამის წარმოება დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, ფართოდ განავითარონ ბიბლიოთეკებისადმი შეფობა და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და მოსახლეობის სრულყოფილი საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების საქმეს.

ქ. ქუთაისსა და მახარაძის რაიონში ჩატარებული ღონისძიებების გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგენილია და სტამბურად გამოიცა საინსტრუქციო მეთოდური სახელმძღვანელო, რაც დაეხმარება სხვა რაიონებსა და ქალაქებს ანალოგიურ სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

ამჟამად მთავრაია ქ. ქუთაისის და მახარაძის რაიონის გამოცდილების გავრცელება და დანერგვა რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში და ამ საქმისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ისეთივე ყურადღება, როგორც ეს ქუთაისში და მახარაძეში გამოიჩინეს.

ყოველივე ეს დიდ გავლენას მოახდენს რესპუბლიკის მოსახლეობის წიგნით მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეზე.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის
მოადგილე ა. დვალიშვილი

§ 4. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და ქუთაისის მშრ. დეპ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ოქმი № 27/582—19/XI—1969 წელი

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურო და საქალაქო საბჭოს აღმასკომი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება, გაფართოვდა ბიბლიოთეკების ქსელი. ქალაქის მოსახლეობის წიგნით მომსახურებას ამჟამად სხვადასხვა უწყების

107 ბიბლოთეკა ახორციელებს, რომლის წიგნადი ფონდი ერთ მილიონზე მეტია.

გაუმჯობესდა კვალიფიციური კადრებით ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმე.

ქალაქის ბიბლიოთეკებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში, ამჟამად ისინი ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დათვალიერებაში.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, სრულიად არ არის საკმარისი ბიბლიოთეკების არსებული ქსელი. ქალაქში არათანაბრადაა განლაგებული ბიბლიოთეკები, რის გამოც დაახლოებით 40 ათასამდე მცხოვრები მოკლებულია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბიბლიოთეკით სარგებლობის საშუალებას. ბიბლიოთეკების გარეშეა დარჩენილი ისეთი დიდი დასახლებანი, როგორიცაა ახალგაზრდობის პროსპექტი, საავტომობილო ქარხნის დასახლების თითქმის მესამედი გუმათის და სხვა. მცირე რაოდენობითაა ქალაქში საბავშვო ბიბლიოთეკები, ხოლო საქალაქო მასობრივ ბიბლიოთეკებთან არ არსებობს საბავშვო განყოფილებები.

არასათანადო სიმაღლეზე დგას მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა წიგნით მომსახურების საქმე.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში. არასახარბიელო მდგომარეობაშია აგრეთვე მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქალაქო ბიბლიოთეკებს საშტატო ერთეულების სიმცირის გამო უმნიშვნელო რაოდენობით აქვთ გახსნილი ფილიალები, წიგნის გაცემის პუნქტები და მოძრავი ბიბლიოთეკები.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ ბიბლიოთეკების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისას და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციაში.

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს ქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას, საფაბრიკო-საქარხნო პროფკავშირულ კომიტეტებს, საწარმოთა დირექტორებს: აღმოფხვრან მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, აამაღლონ მათი როლი მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში. აქტიურად ჩააბან მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა საბიბლიოთეკო კითხვაში და გადაჭრით გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდა.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიბლიოთეკების სწორად განლაგების საქმეს, რისთვისაც საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილ უბნებში გადატანილ იქნას №№ 8, 15, 19 საქალაქო და №№ 2,8 და 9 საბავშვო ბიბლიოთეკები.

3. დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გახსნას მოძრავი ბიბლიოთეკები, პუნქტები და ფილიალები. (წარმოებაში სადაც 100 კაცია გაიხსნას მოძრავი, სადაც 500-მდეა, გაცემის პუნქტი, ხოლო სადაც 500 კაცზე მეტია-ფილიალი). ფილიალების, წიგნის გაცემის პუნქტებისა და მოძრავი ბიბლიოთეკების რეგულარულად დაფინანსების მიზნით განყოფილებამ დადოს ხელშეკრულება დაინტერესებულ წარმოება-დაწესებულებებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

4. დაევალოს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და პროფკავშირის აგილობრივ კომიტეტებს, ფილიალები, პუნქტები და მოძრავი ბიბლიოთეკები უზრუნველყონ შენობებითა და აუცილებელი მოწყობილობებით.

5. მოწონებულ იქნას საავტომობილო ქარხნის დირექციის, პარტიულ, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების ინიციატივა, რომელმაც № 1 საქალაქო და № 7 საბავშვო ბიბლიოთეკას გადასცეს კეთილმოწყობილი ბინები და გაითვალისწინეს ქარხნის დასახლებაში ახლად გასახსნელი ბიბლიოთეკისათვის შენობის აგება და ინვენტარ მოწყობილობებით მისი უზრუნველყოფა.

6 დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებას გააძლიეროს მოსწავლეთა შორის წიგნის პროპაგანდა. ყველა სასკოლო ბიბლიოთეკას შეუქმნას მუშაობის ნორმალური პირობები, სასკოლო ბიბლიოთეკებში სამუშაოდ მიიღოს მხოლოდ უმაღლესი განათლების პირები, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ქალაქის მთელი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით:

ა) 1969—1973 წლებში გაითვალისწინოს ქ. ქუთაისში 4 საქალაქო და 3 საბავშვო ბიბლიოთეკის გახსნა.

ბ) ამავე პერიოდისათვის ამჟამად არსებული ბიბლიოთეკებისათვის დამატებით გაითვალისწინოს 6 ბიბლიოთეკარის, დარბაზის გამგის — 5, მოძრავი განყოფილების — 5, საბავშვო განყოფილების — 8 და მეთოდისტის 1 საშტატო ერთეული.

8. ეთხოვოს საქართველოს პროფსაბჭოს:

ა) გამოყოს ბიბილოთეკარის თითო საშტატო ერთეული ქალაქის 7 მსხვილ საწარმოში (პურკომბინატი, ავტოსარემონტო ქარხანა, № 2 პურის ქარხანა, ავეჯის ფაბრიკა წისქვილკომბინატი, № 8 სამკერვალო ფაბრიკა და ტრიკოტაჟის ფაბრიკა გახსნილი ფილიალებისათვის, ხოლო 1972—1973 წლებში გაითვალისწინოს ამ ფილიალების ბაზაზე დამოუკიდებელი პროფკავშირული ბიბლიოთეკების, გახსნა.

9. საბავშვო და საქალაქო ბიბილოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და წიგნადი ფონდის გაზრდის მიზნით დამტკიცდეს წარმოება-დაწესებულებების საშეფო მომსახურების გეგმა (თან ერთვის).

10. აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას.

ბიბლიოთეკების საშეფო მომსახურების გეგმა

ბიბლიოთეკების დასახელ.	შეფი საწარმოს, დაწესებულებების დასახელება
№ 1-ლი საქალაქო ბიბ-კა	საავტომობილო ქარხანა
№ 2 „	საყოფაცხ. ქიმიის ნაწარმის ქარხანა, აღმასკომის სამშენებლო სარემონტო სამმართველო
№ 3	საკონსერვო ქარხანა, № 5 სტამბა
№ 4	ლითოფონის ქარხანა, პურპროდუქტების ბაზა
№ 5	ავტოსარემონტო ქარხანა, № 4 ასკ
№ 6	საყოფაცხოვრებო მომსახ. სამმართველო
№ 7	მაუდის ფაბრიკა
№ 8	რეზინის ტექნიკ. ნაკეთ. ქარხანა, სასურსათო კომბინატი
№ 9	საკონდიტრო და საგალანტერიო ფაბრიკები
№ 10	ტრიკოტაჟის ფაბრიკა
№ 11	ტყავფეხსაც. კომბინატი, სატრაქტ. ქარხანა
№ 12	ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა, საბინაო სამმართ.
№ 13	№ 9 სამშენებლო სამმართველო
№ 14	მინისტარის ქარხანა, ტაქსმოტორული ასკ
№ 15	ავტოკოლონა 2653, № 4 სამშ. სამმართველო
№ 16	სასადილოების ტრესტი, წყალკანალტრესტი
№ 17	რძის ქარხანა, პურკომბინატი
№ 18	აბრეშუმის კომბინატი
№ 19	საშენმასალათა კომბინატი, ინდკერვის ფაბრიკა
№ 20	ელექტრო მექანიკ. ქარხანა
21-ე	ხის დამამუშ. კომბინატი, № 4 სამშენებლო ტრესტის საბინაო სამმართველო.
№ 1 საბავშვო ბიბლ.	მექანიზ. სამმართველო, მოპირკეთ. სამმართ.
№ 2 „	ალეჯის ფაბრიკა
№ 3 „	ღვინის და ხილეული წყლების ქარხნები
№ 4 „	№ 4 და № 8 სამკერვალო ფაბრიკები
№ 5 „	ელექტრომექანიკური ქარხანა
№ 6 „	მეორადი ნედლეულის დამამუშავებელი ქარხანა
№ 7	საავტომობილო ქარხანა
№ 8	აბრეშუმის კომბინატი
№ 9	ლუდისა და სარემონტო მექანიკური ქარხნები

§—1. მახარაძის რაიონის ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის ბიუროს და რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილება № 179

1970 წელი, 28 მაისი

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის ბიურო და რაისაბჭოს აღმასკომი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საქმე, გაფართოვდა ბიბლიოთეკების ქსელი, 1966—1969 წლებში გაიხსნა 11 ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა. ხოლო კლუბთან არსებულ 9 ბიბლიოთეკაში აღდგენილი იქნა ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეული.

გაუმჯობესდა მოსახლეობის წინგით უზრუნველყოფის საქმე. ყველა სისტემის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების მიხედვით თვითეულ მცხოვრებზე მოდის საშუალოდ 11,7 წიგნი. რაიონის 82 ათასიანი მოსახლეობის წიგნით მომსახურებას აწარმოებს კულტურის სამინისტროს სისტემის სარაიონო, 2. საქალაქო, 2 საბავშვო, 30 სასოფლო და 9 კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა (შტატიანი ბიბლიოთეკარით) რომლებიც ყოველწლიურად 30 ათასამდე მკითხველს ემსახურება.

გაუმჯობესდა წიგნადი ფონდის გამოყენების მაჩვენებლები, წიგნის ბრუნვამ 2,6 ხოლო კითხვადობამ 23-ს გადააჭარბა. გადაჭარბებით სრულდება ერთი ბიბილოთეკარის მიმართ წაყენებული მომსახურეობის სახელმწიფო ნორმები. თითოეული ბიბილოთეკარი საშუალოდ ემსახურება 550 მკითხველს და სცემს 12 ათასამდე წიგნს.

მიუხედავად მიღწეულისა რაიონის მოსახლეობის საბიბილოთეკო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში არის რიგი ნაკლოვანებანი: არასაკმარისია ბიბლიოთეკების არსებული ქსელი, რის გამოც

თვითეულ სასოფლო ბიბლოთეკაზე 2000-მდე მცხოვრები მოდის. სოფლის 60 ათასი მცხოვრებიდან 46 ათასი ცხოვრობს სასოფლო და საკლუბო ბიბლიოთეკების მომსახურების ზონაში, 14 ათასი მცხოვრები კი მოკლებულია წიგნით მომსახურეობას. არასაკმარისია ბიბლიოთეკების რაოდენობა რაიონულ ცენტრში. თითოეულ საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკაზე 7000-ზე მეტი მცხოვრები მოდის. ნაკლოვანებებია ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების საქმეში, რის გამოც დაბალია თითოეული მცხოვრების წიგნით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. რაიონის თითეულ მცხოვრებზე კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების 3 წიგნი მოდის, რაც საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე დაბალია. სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელიც მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრია რაიონის ბიბლიოთეკებისათვის, 4 მუშაკი მუშაობს, რაც არასაკმარისია, საბავშვო განყოფილების გამგის საშტატო ერთეულს მოითხოვს № 2—საქალაქო ბიბილიოთეკა, რომლის მომსახურეობის ზონა ცენტრიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. რაიონის სოფელ ადგილებში არსებული 5 პროფკავშირული ბიბლიოთეკა თავიანთი მცირე ძალოვნების გამო ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საბიბლიოთეკო მომსახურეობის მაღალ დონეზე დაყენებას, რის გამოც დაბალია ამ ბიბლიოთეკის მუშაობის მაჩვენებლები. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში, რაიონის 1—8 კლასელი 12 ათასი მოსწავლიდან სასკოლო ბიბლიოთეკებით მომსახურებულია 9 ათასი. გაცილებით მცირე რაოდენობითაა ჩაბმული კითხვაში 9—10 კლასების მოსწავლეები, რის გამოც დაბალია ამ ბიბლიოთეკების მუშაობის მაჩვენებლები. არარეგულარულად ხდება ფონდების შევსება, არ მიმდინარეობს ფონდების გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურისაგან, სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ბიბლიოთეკების ნაწილს არ აქვს მუშაობის ნორმალური პირობები, განსაკუთრებით აღსანიშნავია სარაიონო, № 1 საქალაქო, მელექედურის, მაკვანეთის, ძიმითის, თირის, კოხას, ორმეთის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის ცუდი პირობები.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურო და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ბიბლიოთეკების მომსახურების ზონები კომისიის მიერ შედგენილი გეგმა-რუკის შესაბამისად.

2. ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების მიზნით უახლოესი წლების განმავლობაში მოსახლეობისათვის ხელსაყრელ უბნებში გადატანილი იქნას სარაიონო და № 1 საქალაქო ბიბლიოთეკები.

3. დაევალოს რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას

ა) უზრუნველყოს რაიონის ყველა დასახლებული პუნქტის წიგნით მომსახურეობა, რისთვისაც გამოყენებული იქნას 33 წიგნის გაცემის პუნქტი, 20 მოძრავი ბიბლიოთეკა.

ბ) წიგნის გაცემის პუნქტებისა და მოძრავი ბიბლიოთეკების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროთ შესაბამისი მიკრორაიონების მასობრივ ბიბლიოთეკებს და უზრუნველყონ ისინი აუცილებელი წიგნადი ფონდით.

4. დაევალოს რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო და კულტურის განყოფილებებს ბიუჯეტის დამტკიცებისას ბიბლიოთეკებისათვის თანხის განაწილების დროს ყოველწლიურად გაითვალისწინონ მათი მუშაობის მოცულობა და 1971 წლიდან მოაწყონ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების თანხების ცენტრალიზაცია კულტურის გენყოფილებაში, კონტროლი დააწესონ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დროულად და მიზნობრივად ათვისებაზე.

5. მოწონებული იქნას კულტურის განყოფილების ინიციატივა რაიონში ბიბლიოთეკა-დეპოზიტორიუმის შექმნის შესახებ.

6. დაევალოს რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებას:

ა) მიაღწიოს იმას, რომ რაიონის სასკოლო ბიბლიოთეკებმა კითხვაში ჩააბან სკოლის ყველა მოსწავლე, გააძლიერონ კონტროლი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაზე.

ბ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა შორის წიგნის პროპაგანდა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან პედაგოგები, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, შეადგინონ და სისტემატურად შეავსონ ცალ-

კეულ კლასებისათვის საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები, აამაღლონ მოსწავლეთათვის ჩასატარებელი მასობრივი ღონისძიებების ხარისხი, რითაც მიაღწიონ კითხვადობისა და ფონდის ბრუნვის ნორმალურ მაჩვენებლებს.

გ) მიმდინარე წლის ბოლომდე ყველა ბიბლიოთეკაში დამთავრდეს წიგნადი ფონდის გაწმენდა შინაარსობრივად მოძველებული და გამოუყენებელი ლიტერატურისაგან, შექმნან სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის სავალდებულო ყველა სახის კატალოგი.

7. კულტურის განყოფილებამ, სარაიონო ბიბლიოთეკამ და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ გააძლიერონ ყველა უწყების ბიბლიოთეკებისადმი მეთოდური დახმარება ადგილზე ძისვლითა და საჭრო შემთხვევაში პრაქტიკული ხასიათის სემინარების ჩატარებით.

8. ეთხოვოს საქ. სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) 1970 — 75 წლებში მახარაძის რაიონში გაითვალისწინონ საქალაქო ბიბლიოთეკაში საბავშვო განყოფილებისა და 19 სასოფლო ბიბლიოთეკის გხსნა, 9 შტატიანი საკლუბო ბიბლიოთეკის გადაკეთება დამოუკიდებელ სასოფლო ბიბლიოთეკად.

ბ) ამავე პერიოდში გაითვალისწინოს ბიბლიოთეკებისათვის დამატებით 3 საშტატო ერთეულის დამატება, სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდისტი, № 2 საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების გამგე და ბიბლიოთეკა-დეპოზიტორიუმის გამგე.

9. ეთხოვოს საქართველოს პროფსაბჭოს:

ა) გააძლიეროს მეთოდური დახმარება და კონტროლი რაიონის პროფკავშირული ბიბლიოთეკებისადმი, პროფკავშირულ ბიბლიოთეკებში ნახევარი საშტატო ერთეულის ნაცვლად დაუშვას ბიბლიოთეკარის მთლიანი საშტატო ერთეული ან კულტურის ორგანოებში დააყენონ საკითხი მათი კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკებთან შეერთების შესახებ.

10. ეთხოვოს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს აამაღლოს საქართველოს ბიბკოლექტორის პასუხისმგებლობა რაიონის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ხარისხიანად დაკომპლექტების საქმეში. უზრუნველყოს ბიბლიოთეკები ყოველი ახალი გამოცემებით და საჭირო რაოდენობის ბიბტექნიკით.

11. დაევალოს რაიონში არსებულ საუწყებათაშორისო საბჭოს (თავ-რე გ. თავაძე) გააძლიეროს რაიონში არსებული ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობისადმი დახმარება და კონტროლი, სისტემატურად შეისწავლოს და განიხილონ ცალკეული ბიბლიოთეკების მუშაობის მაჩვენებლები, საჭიროების შემთხვევაში საკითხი დააყენო შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებში.

12. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას.

საქართველოს სსრ ქალაქების მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესები მიზნით ქ. ქუთაისში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება № 8

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 69 წ.

მიმდინარე წლის 24—28 სექტემბერს ქ. ქუთაისში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან ერთად ჩაატარა საქ. სსრ ქალაქების მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სემინარ-პრაქტიკუმი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საქ. სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრები, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის საქალაქო კულტურის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების დირექტორები და მეთოდურ განყოფილებათა მუშაკები, ცენტრალური და მსხვილი საქალაქო ბიბლიოთეკების გამგეები, ქ. ქუთაისის მასობრივი და პროფკავშირული ბიბლიოთეკების მუშაკები.

სემინარ-პრაქტიკუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს (ამხ. ე. სმირნოვა), საკავშირო პროფსაბჭოს (ამხ. გ. სერედინა) და ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის (ამხ. გ. სემიონოვა და ს. ბაბენკო) წარმომადგენლებმა.

სემინარ-პრაქტიკუმის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა საქ. კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კულტურულ-საგან-

მანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა სემინარ-პრაქტიკუმის ჩამტარებელმა და საორგანიზაციო კომისიამ (თავმჯ. დომარე ამხ. პ. კიკნაძე), ქუთაისის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილებან (გამგე ამხ. ა. ბარათაშვილი, ინსპექტორი ამხ. ლ. ნუცუბიძე) ქუთაისის საჯარო (დირექტორი ამხ. ნ. ფანცხავა, მეთოდური განყ. გამგე ამხ. მ. სამხარაძე) ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაკებმა.

აღსანიშნავია კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის (დირექტორი ამხ. კავკასიძე) და კერძოდ მისი სამეცნიერო — მეთოდური განყოფილების (გამგე გ. კიპაროიძე, მეთოდისტი ს. პულუზაშვილი) მიერ გაწეული დიდი მუშაობა სემინარ-პრაქტიკუმისათვის საინსტრუქციო მეთოდური სახელმძღვანელოს შედგენისა და სტამბური წესით გამოცემის, აგრეთვე სხვა საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მომზადების, დამუშავებისა და პრაქტიკულად გამოყენების საქმეში.

სემინარ-პრაქტიკუმის მიერ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკულად განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც ქ. ქუთაისში, ასევე მთელ რესპუბლიკაში საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის ორგანიზაციას, მათი მუშაობის შინაარსის შემდგომ ამაღლებას, ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

სემინარ-პრაქტიკუმის მიერ დაყენებულმა საკითხებმა და რეკომენდაციებმა დიდი მხარდაჭერა ჰპოვეს ქ. ქუთაისის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში და მსხვილ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა შორის. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოოს, ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელებმა მიიღეს მიმართვა ქალაქის ყველა საწარმოო დაწესებულებებისადმი რომ მათ კულტფონდებიდან გამოყონ გარკვეული თანხები ბიბლიოთეკებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და წიგნადი ფონდების საწარმოო ტექნიკური და სხვა დარგის ლიტერატურით შევსებისათვის. ამ მიმართვას გამოეხმაურა თითქმის ყველა მსხვილი წარმოება-დაწესებულება და მათ შეფობა იკისრეს ბიბლიოთეკებისადმი.

შემუშავებული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ბიბლიოთე-

კების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, არსებული ბიბლიოთეკების რაციონალურად გამოყენების, ახალი ქსელის განვითარებას, არასტაციონარული საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოების, ბავშვთა, ახალგაზრდობის, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა წიგნით მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების სრულად და ეფექტურად გამოყენების და საბიბლიოთეკო მუშაობის სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ქ. ქუთაისში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის დადებითი გამოცდილების გავრცელების, რესპუბლიკაში საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგება-განვითარებისა და ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისში მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა სემინარ-პრაქტიკუმი საქართველოს ქალაქების მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, მისი შემდგომი განვითარების და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე

2 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილ კომისიას (თავ-რე ამხ, პ. კიკნაძე), კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ამხ. ა. კავკასიძეს, მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. ა. ბარათაშვილს და ინსპექტორს ამხ. ლ. ნუცუბიძეს, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს ამხ. ნ. ფანცხავას და მეთოდური განყოფილების გამგეს ამხ. მ. სამხარაძეს, ქუთაისის ყველა საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილობისათვის გამოეცხადოს მადლობა.

საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარებისა და ქალაქის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე ქუთაისში სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობისათვის კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფი-

ლების გამგეს ამხ. გ. კიპაროიძესა და მეთოდისტს ს. პალუზაშვილს გამოეცხადოთ მადლობა და მიეცეთ ფულადი ჯილდო თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

ქ. ქუთაისში ქალაქის ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგებისათვის მოსამზადებელ სამუშაოების ჩატარებაში და სემინარ-პრაქტიკუმის მუშაობაში უშუალო მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვებულ იქნან:

სმირნოვა ევდოკია ვასილის ასული — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მთავარი საბიბლიოთეკო ინსპექციის სახელმწიფო ინსპექტორი, სემიონოვა გალინა ალექსანდრეს ასული ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე, ბაბენკო სერაფიმა ალექსის ასული ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების უფროსი რედაქტორი.

2. სემინარ-პრაქტიკუმის დადებითი გამოცდილების რესპუბლიკის ქალაქებში გავრცელებისა და პრაქტიკულად დანერგვის მიზნით:

ა) დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ამხ. ა. კალანდარიშვილი) კ. მარქსის სახელობის საქართველო სსსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ (ამხ. ა. კავკასიძე) და რესპუბლიკური საბავშვო (ამხ. გ. მუხაშავრია) ბიბლიოთეკებთან ერთად ა/წლის პირველ ნოემბრიდან შეუდგეს ანალოგიური ღონისძიების მომზადებას ქ. გორში, ქ. რუსთავში და თბილისის ლენინის სახელობის რაიონში, რომლის ჩატარება — უზრუნველყოს 1970 წლის აპრილისათვის.

ბ) დაევალოს მასვე საქართველოს სსრ-ში სოფლად საბიბლიოთეკო ქსელის მოწესრიგების, შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით ამავე პერიოდში მოამზადოს და ჩაატაროს საჩვენებელი სემინარ-პრაქტიკუმი მახარაძის რაიონში.

გ) დაევალოს აფხაზეთის (ამხ. კიუტი) და აჭარის (ამხ. ლ. ბოლქვაძე) ასსრ კულტურის მინისტრებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კულტურის განყოფილების გამგეს (ამხ. ი. კოკოევს) ანალოგიური მუშაობა ჩაატარონ ქ. ბათუმში,

ქ. სოხუმში, ქ. ტყვარჩელში და ქ. ცხინვალში 1970 წლის პირველ ივლისამდე.

დ) დაევალოს თბილისის საქალაქო კულტურის განყოფილებას (ქ. ოტიაშვილი), გორის კულტურის განყოფილებას (ა. ილარიშვილი), რუსთავის კულტურის განყოფილებას (რ. მორჩილაძე) და მახარაძის რაიონის კულტურის განყოფილებას (გ. თავაძე) 1970 წლის პირველ ნახევარში ჩაატარონ ქ. თბილისის ლენინის რაიონის, ქ. გორის რუსთავის და მახარაძის რაიონის ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგება.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ (ამხ. ე. ჯიმშელეიშვილი) 1970—73 წლებში სახალხო მეურნეობის გეგმით ქუთაისისათვის გაითვალისწინოს 4 საქალაქო და 3 საბავშვო ბიბლიოთეკების გახსნა.

ამავე პერიოდში არსებული ბიბლიოთეკებისათვის დამატებით გამოყოს აბონემენტის ბიბლიოთეკარის — 6, დარბაზის გამგის — 5. განყოფილების გამგის საშტატო ერთეული მოძრადებისათვის— 5, საბავშვო განყოფილების გაგმის — 8 და მეთოდისტის 1 საშტატო ერთეული. აქედან 1970 წლისათვის გაითვალისწინოს 6 საშტატო ერთეული.

4 დაევალოს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ამხ. ა. კავკასიძეს ქ. ქუთაისში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის განზოგადებული მასალები და საინსტრუქციო მეთოდური წერილი დაუგზავნოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროებს, სამხერთ ოსეთის საოლქო და რესპუბლიკის ყველა საქალაქო კულტურის განყოფილებებს პრაქტიკულ მუშაობაში გამოსაყენებლად და გაუწიოს მათ სათანადო მეთოდური დახმარება საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების საქმეში.

5. ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ამხ. ა. კალანდარიშვილი)

საქართველოს სსრ სოფლად მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მახარაძის რაიონში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება № 5/2

ქ. თბილისი 26 მაისი 1970 წ.

მიმდინარე წლის 27—29 აპრილს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, მახარაძის რაიონში ჩაატარა სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სემინარ-პრაქტიკუმი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: საქართველოს სსრ კულტურის და განათლების სამინისტროს, საქართველოს პროფსაბჭოს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის რაიონების კულტურის განყოფილებათა და სარაიონო ბიბლიოთეკების გამგეები, მახარაძის რაიონის ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაკები.

სემინარ-პრაქტიკუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქ. კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე, მდივანი ნ. მდინარაძე, მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. გობრონიძე, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს შთავარ საბიბლიოთეკო ინსპექციის სახელმწიფო ინსპექტორი ამხ. ე. ვ. სმირნოვა, ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის უფროსი რედაქტორი ამხ. ს. ა. ბაბენკო, თურქმენეთის სსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე ამხ. ორაკოვი და მახარაძის პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები.

სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, საქართ-

ველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა სემინარ-პრაქტიკუმის მოსამზადებელმა საორგანიზაციო კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. პ. კიკნაძე), მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ (გამგე ამხ. გ. თავაძე), ადგილზე შექმნილმა მუშაჯგუფმა (ხელმძღვანელი ბიბლიოთეკის გამგა ამხ. ლ. გოგუა),სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკებმა (გამგე მ. გორგოშიძე), ყველა საქალაქო, საბავშვო, სასოფლო და კლუბთან არსებული ბიბლიოთეკების მუშაკებმა.

აღსანიშნავია კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და მისი სამეცნიერო მეთოდური განყოფილების მიერ გაწეული დიდი მუშაობა სემინარ-პრაქტიკუმისათვის საინსტრუქციო-მეთოდური სახელმძღვანელოს შედგენისა და სტამბური წესით გამოცემის, აგრეთვე სხვა საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მომზადების, დამუშავებისა და პრაქტიკულად გამოყენების საქმეში.

სემინარ-პრაქტიკუმის მიერ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკულად განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც მახარაძის რაიონში, ასევე მთელ რესპუბლიკაში სოფლის ბიბლიოთეკების ქსელის ორგანიზაციას, მათი მუშაობის შინაარსის შემდგომ ამაღლებას და სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეს.

სემინარ-პრაქტიკუმის მიერ დაყენებულმა საკითხებმა და რეკომენდაციებმა დიდი მხარდაჭერა ჰპოვეს მახარაძის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და მსხვილ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა შორის. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჯერ კიდევ სემინარ-პრაქტიკუმის ჩატარების პერიოდში კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებმა ბიბლიოთეკებისათვის მარტო ინვენტარის შესაძენად გამოყო და კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატის ანგარიშზე ჩარიცხა 25 ათას მანეთზე მეტი და ვალდებულება იკისრა ახლად გასახსნელი ბიბლიოთეკებისათვის ააშენონ სპეციალური შენობები და უზრუნველყონ ისინი სათანადო ინვენტარით, მათ შეფობა იკისრეს თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკებისადმი.

შემუშავებული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ბიბლიოთე-

კების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, არსებული ბიბლიოთეკების რაციონალურად განლაგების, ახალი ქსელის განვითარების, კლუბებთან არსებული ბიბლიოთეკების (ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულით) დამოუკიდებელ სასოფლო ბიბლიოთეკებად გადაკეთების, არასტაციონარული საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოების, ბავშვთა, ახალგაზრდობის, კოლმეურნეების, სპეციალისტების მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების, ბიბილოთეკების წიგნადი ფონდის სრულად და ეფექტურად გამოყენების, რაიონში ბიბლიოთეკა დეპოზიტორიუმის შექმნის, ყოველი ოჯახისა და კითხვის უნარის მქონე ყოველი მცხოვრების ბიბლიოთეკების წიგნის კითხვაში ჩაბმის, ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის უკეთ დაყენებისა და საბიბლიოთეკო მუშეობის სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მახარაის რაიონში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის დადებითი გამოცდილების გავრცელების, რესპუბლიკაში ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგება-განვითარებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კ ო ლ ე გ ი ა ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, რომ მახარაძის რაიონში მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა სემინარ-პრაქტიკუმი სოფლის ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილ კომისიის შემადგენლობას (თავმჯდომარე ამხ. პ. კიკნაძე), კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექციას, სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებისათვის შექმნილი მუშა-ჯგუფის ხელმძღვანელს ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ლ. გოგუას, სარაიონო ბიბლიოთეკის გამგეს მ. გორგოშიძეს, მეთოდისტს ც. მოისწრაფიშვილს, საქალაქო ბიბილოთეკების გამგეებს ც. მენაბდესა და ზ. სალუქვაძეს, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს ც. ღლონტს, მახარაძის რაიონის ყველა სარაიონო, საბავშვო, საქალაქო, სასოფლო და კლუბთან არსებული ბიბლიოთეკების მუშაკებს სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის გამოეცხადოს მადლობა.

სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარე-

ბისა და სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე, მახარაძის რაიონის სემინარ-პრაქტიკუმის მომზადებასა და ჩატარებაში დიდი ორგანიზატორული და პრაქტიკული მუშაობისათვის მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. გ. თავაძეს და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების მეთოდისტ ს. პულუზაშვილს გამოეცხადოს მადლობა და მიეცეთ ჯილდოთ თითო თვის ხელფასი, ამასთან ამხ. თავაძე დაჯილდოვებული იქნას საქართველოს კულტურის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

3. მოწონებულ იქნას მახარაძის რაიონის კულტურის განყოფილების ინიციატივა რაიონში ბიბლიოთეკა-დეპოზიტორიუმის შექმნის შესახებ.

4 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საგეგმო საფინანსო განყოფილებამ (ამხ. ე. ჯიმშელეიშვილი) სახალხო მეურნეობის გეგმიდან გამომდინარე მახარაძის რაიონისათვის გაითვალისწინოს:

ა) 1971—1975 წლებში 20 ახალი სასოფლო და 1 საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნა:

ბ) 1971 წელში ბიბლიოთეკარის საშტატო ერთეულის მქონე 9 საკლუბო ბიბლიოთეკის დამოუკიდებელ სასოფლო ბიბილოთეკად გადაკეთება.

გ) 1971 წელში სამი საშტატო ერთეულის დამატება (სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდისტი, № 2 საქალაქო ბიბლიოთეკისათვის საბავშვო განყოფილების გამგე და ბიბლიოთეკა-დეპოზიტორიუმის გამგე).

5. კულტურის სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველომ 1971 წლის I კვარტალში გამოუყოს მახარაძის კულტურის განყოფილებას ერთი ავტომანქანა „უუბანეცი“ რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის.

6. ქ. ქუთაისსა და მახარაძის რაიონში ჩატარებული სემინარ პრაქტიკუმის დადებითი გამოცდილების რესპუბლიკის მასშტაბით გავრცელებისა და პრაქტიკულად დანერგვის მიზნით:

ა) დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრებს (ახმ. ნ. კიუტი, ლ. ბოლქვაძე) ს/ოსეთის საოლქო კულტურის განყოფილების გამგეს (ამხ. ლანოვი), რესპუბლიკის ყველა სარაიონო და საქალაქო კულტურის განყოფილებათა გამგეებს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ და მ/წ. 7 ნოემბრამდე დაამთავრონ სოფლად და ქალაქად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, შემდგომი განვითარების, განმტკიცებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების ჩატარებას.

ქსელის მოწესრიგების სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ წერილობით აცნობონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მ/წლის 1 სექტემბრისა და 1 ოქტომბრისათვის.

ბ) დაევალოს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორს ამხ. ა. კავკასიძეს მახარაძის რაიონში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის განზოგადოებული მასალები და საინსტრუქციო მეთოდური წერილი დაუგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროებს, სამხერთ ოსეთის საოლქო და რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის კულტურის განყოფილებებს, მათ შორის რუსულ რაიონებს რუსულ ენაზე პრაქტიკულ მუშაობაში გამოსაყენებლად და გაუწიოს მათ სათნადაო მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება სოფლად და ქალაქად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების საქმეში.

8. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ამხ. ა. კალანდარიშვილი); კ მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან ერთად (ამხ. კავკასიძე) მახარაძის რაიონში ბიბლიოთეკა-დეპოზიტორიუმის შექმნასთან დაკავშირებით შეისწავლოს რესპუბლიკაში მისი გავრცელების შესაძლებლობა და ორგანიზაციის საკითხი და წინადადებები წარმოუდგინოს კოლეგიას მ/წლის 15 ოქტომბრამდე.

9. რესპუბლიკაში მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობა და ამ დადგენილების შესრულება ზე კონტროლი დაეკისროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ამხ. ა. კალანდარიშვილს).

დამტკიცდეს
სამმართველოს უფროსი
ა. კალანდარიშვილი
8/X-1970 წ.

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის ავტობიბლიოთეკის შესახებ

1. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის ავტობიბლიოთეკა:

ა) წარმოადგენს სახელმწიფო დამოუკიდებელ საბიბლიოთეკო დაწესებულებას, რომელიც იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ბიბლიოთეკების ქსელის განვითარების სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად;

ბ) იმყოფება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგებლობაში და თავის საქმიანობას წარმართავს შესაბამისი განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმისა და გასვლითი მარშრუტების საფუძველზე.

2. ავტობიბლიოთეკის გახსნა მკითხველთათვის შეიძლება მაშინ, თუ სახეზე არსებობს წიგნობრივი ფონდი არანაკლები 1500 ეგზემპლარის რაოდენობით, მასზე გაპიროვნებული ავტომანქანა გათვალისწინებულ მარშრუტებზე გასასვლელად, ერთი ოთახი წიგნობრივი ფონდის დასაცავად, წიგნის თაროები, საწერი მაგიდა, საკატალოგო ყუთი და სხვა საჭირო ინვენტარი.

ბიბლიოთეკის გახსნა ფორმდება აქტით, რომელსაც ხელს აწერს კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის, კულტურის რაიონული (საქალაქო) განყოფილების წარმომადგენლები და ავტობიბლიოთეკის გამგე.

3. ავტობიბლიოთეკა მუშაობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით მტკიცე ურთიერთობას ამყარებს სარაიონო და საქალაქო ბიბლიო-

თეკებთან და რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

2. ავტობიბლიოთეკის ამოცანები და მუშაობის შინაარსი

4. ავტობიბლიოთეკის ძირითად ამოცანას შეადგენს: ა) წიგნითა და ჟურნალ-გაზეთებით ისეთი მაღალმთიანი სოფლებისა და მცირე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები მოსახლეობის, საკოლმეურნეო ფერმების, მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადების, საბჭოთა მეურნეობების უბნების, მინდვრად მომუშავე გეოლოგიური პარტიების და ექსპედიციების მუშაკთა მომსახურება, რომლებიც დიდი მანძილით არიან დაშორებული რაიონული (ქალაქის) ცენტრიდან და სტაციონარული ბიბლიოთეკა არ არის.

ბ) მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების პროპაგანდა, მშრომელთა აღზრდა კომუნისტური შეგნებისა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით, მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ყველა დარგში ცოდნის დაუფლების საქმეში, სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, რაიონის (ქალაქის) სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის ხელის შეწყობა.

5. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად ავტობიბლიოთეკა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ბიბკოლექტორისა და წიგნის მაღაზიების საშუალებით აკომპლექტებს თავის წიგნად ფონდს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო-ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და საბავშვო ლიტერატურით, ჟურნალებითა და გაზეთებით, რაიონის სამეურნეო პროფილისა და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით.

ავტობიბლიოთეკა წიგნადი ფონდის შესავსებად აგრეთვე ფართოდ იყენებს გაცვლით ფონდებს.

ბ) აწარმოებს წიგნის გაცემას მოზრდილებსა და ბავშვებზე. მკითხველებზე წიგნის გაცემის წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის

კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „მასობრივი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ავტობიბლიოთეკის მისვლა თვითეულ დასახლებულ პუნქტში განსაზღვრულია წინასწარ დამტკიცებული სამუშაო გეგმით;
2. თვითეულ დასახლებულ პუნქტში, რომელსაც ავტობიბლიოთეკა ემსახურება, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან (სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია) შეთანხმებით გამოიყოფა ავტობიბლიოთეკის რწმუნებული, რომელსაც საზოგადოებრივი დავალების წესით დაეკისრება მოსახლეობის ინფორმაცია ავტობიბლიოთეკის მოსვლის შესახებ, რეისის პერიოდში მოსახლეობის წიგნით მომსახურების ორგანიზაციის საქმეში მისდამი დახმარება, ავტობიბლიოთეკის რეისებს შორის პერიოდში მოსახლეობის მოთხოვნილების აღრიცხვა, მკითხველებზე წიგნების გაცემა და მათგან წიგნების მიღება.

გ) იწერს მკითხველებისათვის წიგნებს სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ბიბლიოთეკებიდან ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტით.

დ) ადგენს მთელ წიგნობრივ ფონდზე ანბანურ და სისტემატურ კატალოგებს.

ე) რეისის პერიოდში ავტობიბლიოთეკა თვითეულ დასახლებულ პუნქტში ახორციელებს მასობრივ ღონისძიებებს, აწყობს წიგნის გამოფენებს, ხმამაღალ კითხვას, წიგნების კოლექტიურ განხილვას, ლიტერატურულ საღამოებს, მკითხველთა კონფერენციებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს და სხვა.

ამ მიზნით იკრებს აქტივს სოფლის ინტელიგენციის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებისაგან.

6. ავტობიბლიოთეკა როგორც დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო დაწესებულება თავისი მუშაობის შესახებ წლიურ ანგარიშს უდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას.

7 .ავტობიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის აღრიცხვა, დამუშავება და მისი მთელი მუშაობის ორგანიზაცია და აღრიცხვა სწარმოებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ მიხედვით.

8. ავტობიბლიოთეკის რეისების გეგმას და სამუშაო საათებს ადგენს ავტობიბლიოთეკის გამგე დასახლებულ პუნქტის მოსახლეობისათვის მოსახერხებელი დროის გათვალისწინებით და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება.

3. ავტობიბლიოთეკის ბიუჯეტი და შტატი

9. ავტობიბლიოთეკა იმყოფება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ბიუჯეტზე და აქვს ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც გათვალისწინებულია სახსრები სამუშაო ხელფასისათვის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის, წიგნების შესაძენად, ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად, სადგომის შესაკეთებლად და მოსაწყობად.

10. ავტობიბლიოთეკის შტატი განისაზღვრება ორი ერთეულისაგან: ავტობიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი — გამგე და მძღოლი.

ავტობიბლიოთეკის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომი.

11. ავტობიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-გამგეს და მძღოლს ნიშნავს და ათავისუფლებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება.

12. ავტობიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-გამგედ შეიძლება დაინიშნოს პირი ვისაც აქვს უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 2 წლისა, ან უმაღლესი განათლება სხვა სპეციალობით და ბიბლიოთეკაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

13. ავტობიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი-გამგე პასუხისმგებელია ავტობიბლიოთეკის მთელი მუშაობისათვის, წიგნობრივი ფონდისა და ავტობიბლიოთეკის ქონების დაცვისათვის და წარმოადგენს მატერიალურ-პასუხისმგებელ პირს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შემდგენლებისაგან . . . 5
2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. მიღებული სკკპ XXII ყრილობის მიერ (ამონაბეჭდი)

ბანყოფილება I.

პარტიული, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ (1959—1970 წ.წ .)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
   სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის 22 სექტემბრის დადგენილება 13
4. სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ბიბლიოთეკის კოლექტივს, საბჭოთა კავშირის ბიბლიოთეკების ყველა მუშაკს
   სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა 22
5. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების შესახებ.
   სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 იანვრის დადგენილება 24
6. რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
   საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 დეკემბრის დადგენილება 24
7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პეტიციების რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით მტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისის ბრძანებულება 32

8. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 თებერვლის დადგენილება 33

9. სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშაობის გაუმჯობესების შესახებ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივლისის დადგენილება 34

10. საბიბლიოთეკო კადრების დანიშვნისა და გამოყენების შესახებ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აპრილის განკარგულება 36

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დადგენილებები და ბრძანებები

11. ბავშვებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კულტურის ორგანოების მონაწილეობის შესახებ.
სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 12 მაისის დადგენილება 37

12. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს 1959 წლის 24 ნოემბრის ბრძანება № 1710 43

13. სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1963 წლის 29 აგვისტოს ბრძანება 57

14. „ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შესაძენი თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 9 დეკემბრის № 1753-გ განკარგულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1966 წლის 17 დეკემბრის ბრძანება 62

15. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივ ბიბლიოთეკებში წიგნობრივი ფონდების გამოყენების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 29 სექტემბრის დადგენილება 64

16. კ. მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების მეშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 30 ივლისის დადგენილება . . 70
17. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს შემადგენლობა 74

განყოფილება II.

სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ერთობლივი დადგენილებები და ბრძანებები, ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირების მიმართვები და რეკომენდაციები

18. ახალგაზრდობაში წიგნის პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
სსრკ პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რსფსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 5 თებერვლის დადგენილება 80
19. სასკოლო ასაკის ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება 84
20. რესპუბლიკის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების საქმეში საქართველოს საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1968 წლის 25 იანვრის ერთობლივი გადაწყვეტილება 90
21. ბიბლიოთეკა ბასების კომუნისტური აღზრდის კერაა. მიმართვა ამიერკავკასიის ყველა ბიბლიოთეკის მუშაკისადმი 96
22. საქართველოს სსრ ბიბლიოთეკების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვა საქართველოს ყველა ბიბლიოთეკის მუშაკისადმი. 1968 წ. 27 თებერვალი 99
23. რეკომენდაციები ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებისათვის.
მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროების ბიბლიოთეკების სამმართველოების, განყოფილებებისა და საბიბლიოთეკო ინსპექციების უფროსების, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიბლიოთეკების დირექტორების თათბირის მიერ 1967 წლის იანვარში 102
24. უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდაველთის ბიბლიოთეკების მუშაკთა

რესპუბლიკათაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებზე (1966 წ. მაისი) 110

■ ა ნ ო ტ ა ც ი ა III

დებულებები, ინსტრუქციები, წესდებები, განმარტებები, ფუშაობის ნორმები

დ ე ბ უ ლ ებ ებ ი

25. სსრ კავშირის ბიბლიოეკათაშორისო აბონემენტის ერთიანი, საერთოსახელმწიფოებრივი სისტემის დებულება 117
26. სანიმუშო დებულება „წარჩინებული მუშაობის ბიბლიოთეკის“ წოდების მინიჭებისა და მასობრივი ბიბლიოთეკის მუშაკებისა და აქტივისტების საპატიო სიგელით დაჯილდოების პირობებისა და წესების შესახებ . . . 130
27. სანიმუშო დებულება ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საბჭოს შესახებ 132
28. დებულება საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკების სამხარეთმცოდნეო მუშაობის შესახებ 134
29. დებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ 141
30. საქართველოს სსრ მასობრივი ბიბლიოთეკების ერთიანი ქსელის ორგანიზაციის ძირითადი დებულება . . 142
31. დებულება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს შესახებ . 148
32. დებულება ბიბლიოთეკების საუწყებათაშორისო საბჭოს შესახებ 150
33. კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის განყოფილების დებულება 152
34. დებულება ბიბლიოთეკის საბჭოს შესახებ 155
35. დებულება საქართველოს სსრ ბიბლიოთეკების მუშაკთათვის „რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდების მინიჭების შესახებ 158
36. დებულება სასოფლო ბიბლიოთეკასთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული საბავშვო განყოფილების შესახებ . 159
37. ახალგაზრდობის თბილისის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის დებულება 161
38. დებულება სარაიონო ბიბლიოთეკის შესახებ 165
39. სარაიონო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების დებულება 170
40. სასოფლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების დებულება 176
41. ძირითადი დებულება სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების საბავშვო ლიტერატურით დაკომპლექტების შესახებ . 182
42 დებულება რესპუბლიკური და საოლქო ბიბლიოთეკების წიგნთგაცვლითი ფონდების შესახებ 187

ინსტრუქციები და განმარტებები

43. ინსტრუქცია ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვის შესახებ 190
44. ინსტრუქცია საოლქო, სამხარეო, და რესპუბლიკური (ასსრ) ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ 196
45. ინსტრუქცია მასობრივი ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ 205
46. ინსტრუქცია ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის წესის შესახებ 212
47. ინსტრუქცია ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან გამოუყენებელი ლიტერატურის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 221
48. ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დაცვისკ უზრუნველყოფის შესახებ.
    სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს წერილი 226
49. წიგნადი ფონდებისათვის ბიბლიოთეკების მუშაკების მატერიალური პასუხისმგებლობის ოდენობის შესახებ.
    სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წერილი მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის მინისტრებს. 1961 წ. 20 ივლისი 228

შინაგანაწესი, წესდებები, წესები

50. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების მუშაკთა შრომითი შინაგანაწესი 229
51. კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წესდება 237
52. სანიმუშო წესდება საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის შესახებ 246
53. მასობრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესები 248

მუშაობის ნორმები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კლასიფიკაცია

54. საბიბლიოთეკო მუშაობის ძირითადი პროცესების ნორმები მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის 251
55. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კლასიფიკაცია 264

განმარტებები ბიბლიოთეკების მუშაკთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ

56. სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასების დამტკიცების შესახებ თვიური ხელფასის მინიმალური ოდენობის 60 მანეთამდე გადიდებასთან და

ცალკეულ კატეგორიების მუშაკების სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით . 273
57. ინსტრუქცია ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების განსაზღვრის წესის შესახებ (ამონაბეჭდი) . 277
58. სიას სასწავლებლებისა, რომლის დამთავრება ხელფასის განაკვეთის დანიშვნის უფლებას აძლევს უფროს ბიბლიოგრაფებს, უფროს ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, წრეების ხელმძღვანელებს 291
58. მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი ბიბლიოთეკებისა და წიგნის პალატების მიკუთვნების მაჩვენებლები 293
59. ბიბლიოთეკების განაწილება მუშაობის პროფილის მიხედვით 297
60. წსრ კავშირის უნივერსალური და სპეციალიზებული პროფილის პირველი ჯგუფის უდიდესი სამეცნიერო ბიბლიოთეკების სია 300
61. მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებისადმი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიკუთვნების წესი 302

მასალები საქართველოს სსრ-ში ქალაქად და სოფლად ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების შესახებ

62. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 აგვისტოს წერილი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების მიზნით საჭირო ღონისძიებათა გატარების შესახებ . . . 305
63. ცნობა საქართველოს სსრ ქალაქად და სოფლად მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 305
64. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და მშრ. დეპ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1969 წლის 19 ნოემბრის დადგენილება 310
65. მახარაძის რაიონის ბიბლიოთეკების ქსელის მოწესრიგების, განვითარებისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქ. კპ. მახარაძის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის 1970 წლის 28 მაისის დადგენილება 315
66. საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება ქ. ქუთაისში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის შედეგების შესახებ 320
67. საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 26 მაისის და-

დგენილება მახარაძის რაიონში ჩატარებული სემინარ-პრაქტიკუმის შედეგების შესახებ 325

ცნობარის აწყობის შემდეგ დამატებული მასალა

68. დროებითი დებულება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სისტემის ავტობიბლიოთეკის შესახებ 330

Министерство культуры Грузинской ССР
Государственная Республиканская библиотека Грузинской ССР
им. К. Маркса

РУКОВОДЯЩИЕ МАТЕРИАЛЫ ПО БИБЛИОТЕЧНОМУ ДЕЛУ

(Справочник)

(На грузинском языке)

Составители — Г. И. КИПАРОИДЗЕ
С. А. ПУЛУЗАШВИЛИ

Редактор — П. В. КИКНАДЗЕ

Бесплатно

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV-71 წ.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 21,25.

შეკვ. № 1278. ტირაჟი 1000.

უფასო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4.

Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати